

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

# ტერმინი

VIII

თბილისი  
2017

UDK(უაკ) 821.353.1.092[რუსთაველი შოთა]  
რ-939

### **სარედაქციო საბჭო:**

მაკა ელბაქიძე  
ირმა რაჭიანი  
გრივერ ფარულავა  
ელგუჯა ხინთიბიძე

### **სარედაქციო კოლეგია:**

ივანე ამირხანაშვილი (რედაქტორი)  
ლია კარიჭაშვილი (რედაქტორის მოადგილე)  
ნანა გონჯილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)  
მარიამ კარბელაშვილი  
თამარ ხვედელიანი

### **კომპიუტერული უზრუნველყოფა:**

თინათინ დუგლაძე  
რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. 5  
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Tchavchavadze Avenue, Tbilisi 0128  
Tel. 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

ISSN 15123081

## სარჩევი

### პარალელუბი

#### მარიამ ქარბელაშვილი

ქალის კონცეპტი „ვეფხისტყაოსანში“  
ევროპული კონტექსტით.....7

#### ივანე ამირხანაშვილი

პოეტური კანონი როგორც ხასიათი.....32

#### ნანა გონჯილაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სახეექმნადობის  
ტიპოლოგიური მიმართებანი  
აღმოსავლურ მწერლობასთან.....39

### „ვეფხისტყაოსნის“ მეტაენა

#### ნესტან რატიანი

არავერბალური კომუნიკაცია  
„ვეფხისტყაოსანში“.....64

### ისტორიული რეალიები

#### ვლადიმერ ჭელიძე

ჰერეთის ერისთავი შოთა  
(„რუსთველიანას“ კვალდაკვალ).....74

#### თინათინ ბიგანიშვილი

პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიური  
თეორიის ერთი ასპექტის პოლემიკური მხარე  
(შოთა რუსთველის ვინაობის საკითხი).....99

## თვალსაზრისი

### ლია კარიჭაშვილი

#### თამარ სეფაშვილი

ეთიკურისა და ესთეტიკურის  
ურთიერთობიმართებისათვის  
რევაზ სირაძის „ქართული კულტურის  
საფუძვლებში“.....115

### ზოია ცხადაია

#### თამარ ციციშვილი

„მესამე ლექსის“ ინტერპრეტაცია  
აკაკი წერეთლის ლირიკაში.....123

### გუბაზ ლეთოდიანი

ფატმანის სახის რემინისცენცია  
ტიციან ტაბიძესთან.....134

## ცნება და ტერმინი

### ლია წერეთელი

რუსთველის „ლალი“.....142

## რუსთაველი ხელოვნებაში

### საბა მეტრეველი

შოთა რუსთაველის პოემა  
და ქართული თეატრი.....150

## რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში

### დარეჯან მენაბდე

იარომირ იედლიჩკა –  
„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი.....180

## **Contents**

### **Parallels**

#### ***Mariam Karbelashvili***

Concept of a Woman In “The Knight in Panther’s Skin” by European Context.....	7
---	---

#### ***Ivane Amirkhanashvili***

Poetic Canon as a Character (Nizami and Rustaveli).....	32
--	----

#### ***Nana Gonjilashvili***

Typological Correlation of Several Creative Images in the “Knight in the Panther’s Skin” with Oriental Literature.....	39
--	----

### **Meta Language of the “The Knight in Panther’s Skin”**

#### ***Nestan Ratiani***

Non-verbal Communication in “The Knight in the Panther’s Skin”.....	64
--	----

### **Historical Realities**

#### ***Vladimer Chelidze***

Eristavi (duke) of Hereti Shota (by the footsteps of Rustvelian.....	74
---	----

#### ***Tinatin Biganishvili***

Polemics about Pavle Ingorokhva’s Rustvelological Theory (the question of Shota Rustaveli’s personality).....	99
---	----

## Point of View

**Lia karichashvili**

**Tamar Sephashvili**

- The Issue of Interrelations between the  
Ethical and Aesthetical in Revaz Siradze's  
Work "Fundaments of Georgian Culture" ..... 115

**Zoia Tskhadaia**

**Tamar Tsitsishvili**

- Interpretation of the "Third Verse"  
in Akaki Tsereteli's Poetry ..... 123

**Gubaz Letodiani**

- Reminiscence of Phatman's Character  
in Titsian Tabidze's Poetry ..... 134

## Concept and Term

**Lia Tsereteli**

- Rustveli's "Chainless"  
("Laghi") ..... 142

## Rustaveli in Art

**Saba Metreveli**

- Shota Rustaveli's Poem  
and Georgian Theatre ..... 150

## Rustaveli in World Literature

**Darejan Menabde**

- Jaromír Jedlička –  
Translator of *Vepkhistqaosani* ..... 180

## პარალელები

მარიამ კარბელაშვილი

### ქალის კონცეპტი „ვეფხისტყაოსანში“ ევროპული კონტექსტით

რუსთაველის პოემაში ქალის თაყვანისცემის იდეა პირველად მეცნიერული რუსთველოლოგის ფუძემდებელმა ვახტანგ მეექვეშე წამოაყენა თავისი „თარგმანის“ „შესავალში რუსთაველი 1975). ეს საკითხი XX საუკუნის დასაწყისში ევროპული ლიტერატურის ანალოგიურ მოვლენას დაუკავშირეს ამ ლიტერატურის დიდმა მცოდნემ ვ. ფ. შიშმარევმა და „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარმა ნ. მარმა. სწორედ ქალის კულტისა და რაინდობის პრობლემა იქცა იმ არსებით ფაქტორად, რომელმაც საფუძვლიანად შეარყია „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული გენეზისის მარისეული თეორია. მეცნიერებაში საბოლოოდ გაირკვა და დასაბუთდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი გენეზისით ევროპული ქრისტიანული კულტურის ნაყოფია და არა აზიური, მუსლიმური, კერძოდ კი სპარსული კულტურისა (კარბელაშვილი 2014: 126-143). ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს რუსთაველის პოემაში ასახული ქალის სახეები წარმოადგენს, რომელთა თანამედროვე ინტერპრეტაციაში არის მომენტები, რაც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.

„ვეფხისტყაოსანი“ ორგმირიანი ნაწარმოებია, რაც სრული სიახლეა XII საუკუნის რომანის კომპოზიციურ განვითარებაში. პოემაში ორი მთავარი გმირი ქალია – ნესტან-დარეჯანი და თინა-თინი, მათთან ერთად საგანგებო ყურადღების ღირსია ნესტან-დარეჯანის აღმზრდელი მამიდის – დავარის, ასმათის, ფატმანის და ასევე ქაჯეთის მეფე ქალის დულარდუხტის მხატვრული სახეები, რომელთა ინტერპრეტაცია საკმაო სირთულეებს აწყდება რუსთველის ენიგმატური სტილის გამო. ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალების კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის გმირ ქალებთან მსგავსებას ამჟღავნებს, არის

მიჯნურთათვის ე.წ. საგმირო საქმეთა დავალების მოტივი, „სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“ (377, 2) – მიმართავს ნესტან-დარეჯანი ტარიელს. ინდოეთის მეფის ასული ტარიელს ავალებს დალაშქროს ხატაეთი, რომელიც ადრე ინდოეთის სახარაჯო იყო, ახლა კი ხარაჯას აღარ უხდის და ინდოეთის მეფეს აღარ ემორჩილება – ასე იჭრება პოემაში პოლიტიკური თემატიკა. ტარიელი ასრულებს ამ დავალებას, რის შემდეგაც ინდოეთის მეფე ინვევს სათათაბიროდ სამ ვაზირს ტარიელთან ერთად და სვამს ნესტან-დარეჯანისთვის საქმროს ძების საკითხს. ინდოეთის მეფის, ნესტან-დარეჯანის მამის ამ გადაწყვეტილების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი არსებობს: ალ.ბარამიძე და მასთან ერთად მთელი რიგი რუსთველოლოგებისა თვლიან, რომ ფარსადანმა იცის, რომ ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს უყვართ ერთმანეთი და შეგნებულად ცდილობს მათ დაცილებას, რათა არ გამეფდეს ტარიელი, რომელსაც თვით მეფე ამზადებდა სამეფოდ, და ხვარაზმის ძლიერ სახელმწიფოსთან დაახლოების მიზნით სასიძოდ ინვევს ხვარაზმშაპის შვილს. სამეფო თათბირი უცხოელი უფლისანულის სასიძოდ მოწვევას გადაწყვეტს, და, როგორც თავად ტარიელი ამბობს, იგი იძულებულია „მიემონმოს“ ამ თათბირს. ეს გადაწყვეტილება ნესტანის აღმფოთებას იწვევს და ტარიელს მისთვის მიცემული ერთგულების ფიცის გატეხას აბრალებს. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ეპიზოდი – „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ (517-547) – ჩემის აზრით, არის პოემის კვანძი, და მის ინტერპრეტაციაში, განსაკუთრებით კი ნესტანის სახის გაგებაში სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. აღექსანდრე ბარამიძე თვლის, რომ აქ პოემის გმირი ქალი სამშობლოს ინტერესებს პირად გრძნობებზე მაღლა აყენებს და ამიტომ გადაწყვეტს არასასურველი უცხოელი სასიძოს „მოპარვით“ მოკვლას, რაც ტარიელმა უნდა აღასრულოს:

„მოპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,  
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმაცა ვით იტვირთაო“ (543; 2,4).

ალ.ბარამიძემ სგანგებო სტატიები უძლვნა ნესტან-დარეჯანისა (ბარამიძე 1975: 123-126) და ტარიელის (ბარამიძე 1944: 269-286) მხატვრულ სახეთა განხილვას, რაც აისახა შემაჯამებელ მონოგრა-

ფიაში „შოთა რუსთაველი“. ავტორმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟები, ვაჟები და ქალები, მხურვალე პატრიოტებია“ (ბარამიძე 1938: 85-106), ამიტომაც ნესტანი თვლის, რომ „ხავარაზმშაპის ძეს ინდოეთში იწვევდნენ არა მარტო ნესტანის საქმროდ, არამედ ინდოეთის ნამდვილ მბრძანებლად, ინდოეთის ფაქტობრივ მეფედ. ამით საფრთხეში ვარდებოდა ინდოეთის სუვერენობა, ინდოეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“ (ბარამიძე 1975: 142). ამიტომ ნესტანმა ტარიელს ურჩია მოქაშე ხვარაზმშაპის ძის დაუყოვნებლივ მოკვლა და, საჭირო შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ხელში აღება“ (ბარამიძე 1975: 125). ტარიელი ასრულებს მიჯნურის დავალებას, „მოპარვით“ ანუ „უსისხლოდ“ კლავს კარავში მშვიდად მძინარე ხვარაზმელ სასიძოს, მაგრამ ეს მკვლელობა არ იფარება, რასაც ტრაგიული შედეგი მოჰყვა: ნესტანის აღმზრდელმა მამიდა დავარმა ნესტანი „დაალება, დაალურჯა“, შემდეგ კი თავის ერთგულ მონებს კიდობანში ჩაასმევინა და უბრძანა ზღვით ინდოეთიდან გადაკარგვა. ეს საბედისწერო მკვლელობა განსაზღვრავს პოემის სიუჟეტის შემდგომ განვითარებას, მაგრამ მისი შეფასება დიამეტრალურად საპირისპირო შეხედულებებს გვიჩვენებს. ალ.ბარამიძემ ჯერ კიდევ 1937 წელს წამოაყენა ე.წ. „ტარიელის რეაბილიტაციის“ თეორია, რაც იმაში მდგომარეობა, რომ მკვლევარი ამ მკვლელობას ამართლებს ნესტანისა და ტარიელის სახელმწიფოებრივი, პატრიოტული მოსაზრებებით. ალ.ბარამიძე იმოწმებს ნესტანის სიტყვებს:

„ჰყადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“ (544, 2).

და ასეთ კომენტარს უკეთებს: „ნესტანის ეს სიტყვები გამსჭვალუია ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით. ინდოეთის უფლისწული ილაშქრებს უცხოელთა, კერძოდ, სპასელთა უზურპაციისა და ტირანიის წინააღმდეგ, იგი შეგნებულად იცავს თავისი სამშობლო ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირსებასა და პატივს“ (ბარამიძე 1975: 143). მეცნიერი ამ საკითხს, რომელსაც პატრიოტიზმის გამოვლენად თვლის, უკავშირებს ნესტანის პირად გრძნობებს ტარიელის მიმართ და თვლის, რომ ნესტანი „...გულისთქმას არ აჰყვა, პირადული თავმოყვარეობის საკითხი მან

დაუმორჩილა ბრძნულ პოლიტიკურ თვალსაზრისს ... ნესტანმა კარგად იცოდა, რომ მთავარი იყო ინდოეთის სახელმწიფოებრივი პრესტიჟის საკითხი. მათი პირადული წადილიც მაშინ განხორციელდებოდა, თუ ინდოეთი თავს დააღწევდა მოულოდნელად დატეხილ ხიფათს“ (ბარამიძე 1975: 143).

საკითხის ამგვარი დაყენება და გადაჭრა გაიზიარა თითქმის ყველა რუსთველობოგმა, რის გამოც ჩრდილში მოექცა ამ ეპიზოდის მორალური მხარე, მაგრამ მან მაინც იჩინა თავი სრულიად პარადოქსული სახით. ეს ბუნებრივიც იყო და მოსალოდნელიც. თუ რამდნად ენიგმატური და მართლაც „საქმე საჭოქმანო“ არის პოემის ეს ეპიზოდი, მოწმობს ის გარემოება, რომ ერთსადაიმავე წიგნში იგი ორგვარად – ურთიერთსანინაალმდეგოდ არის ინტერპრეტირებული: ერთგან მკვლევარი წერს, რომ ნესტანი და ტარიელი სახელმწიფოებრივი, პატრიოტული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, მეორეგან კი, პირიქით, წერს, რომ ეს გმირები პირადი მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ: „სიყვარულის ალმოდებული გმირების ურთიერთობას სამშობლოს დაცვისა და სახელმწიფოს მართვის ინტერესი აპირობებს. ამიტომაა, რომ ტარიელისა და ნესტანის არსებობასა და ქცევაში საკუთარი „მე“, პიროვნული კეთილდღეობა მზადა შესწიროს სახელმწიფოებრივს: ნესტანი და ტარიელი სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე სამშობლოს პიროვნულზე მაღლა აყენებენ. სიყვარულის გრძნობა მათთვის შემოსილია ეროვნული იდეალით“ (იმედაშვილი 1968: 98). ამავე ნაშრომში მეორე ადგოლას ავტორი წერს: „...თავისუფალი სიყვარყლის ქადაგებაში რუსთაველი არღვევს ქალის გარიგებით გათხოვების ტრადიციას და არ ერიდება სახელმწიფო მასშტაბის კონფლიქტს – ნესტანმა უყოფმანოდ, წამის დაუხანებლად უკუაგდო მამისა და სამეფო თათბირის გადაწყვეტილება მისი უცხო უფლისწულისათვის მითხოვებაზე ... თუმცა ფარსადანის არჩევანით და სამეფო კარის დასტურით ხვარაზმელი სასიძო უკვე ჩამოსულიყო სახელმწიფო ინტერესით გამიზნული ქორნინებისათვის. შეყვარებულს მოაკვლევინა ოფიციალური საქმრო. პირადმა სძლია სახელმწიფოებრივს“ (იმედაშვილი 1968: 206).

განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ამ ეპიზოდმა (ისევე, როგორც ფატმანის მოთხოვნით ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის

მოკვლის ეპიზოდმა) გამოიწვია ის, რომ უცხოელი მეცნიერის მიერ მისი შეფასება არსებული თანამედროვე ინტერპრეტაციის მიხედვით მოხდა, რამაც რუსთაველის პოემის იდეური დონის თაობაზე დიდი დაეჭვება დაბადა. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა-ქართველოლოგმა გ. დეეტერსმა 1958 წელს ჰუგო ჰუპერტის მიერ გერმანულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანზე“ რეცეზზია გამოაქვეყნა, სადაც პოემას ფაქტიურად უარყოფითი შეფასება მისცა, მისი აზრით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ „...თავის მომხიბლაობას არსებითად ფორმას უმაღლის, იმ დროს, როცა მისი იდეური შინაარსი ვერ შეეძრება მის თანამედროვე ნანარმოებებს სხვა ლიტერატურებიდან“ (აღმოსავლური ... 1958: 55). „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე ნანარმოებები „სხვა“, ე.ი. დასავლეთევროპული ლიტერატურიდან კრეტინ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის რომანები; მაშადამე, გ. დეეტერსმა ჩათვალა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი კრიტიკას ვერ უძლებს. გერმანელი ქართველოლოგის ამ უარყოფით შეფასებას გამოეხმაურა ნ. ნათაძე, რომელმაც სამართლიანად ჩათვალა, რომ „...დეეტერსის აზრი – ყველაზე ნიპილისტურია ბოლო დროის გამონათქვამებს შორის შოთა რუსთაველის შესახებ“ (ნათაძე 1965: 180), თუმც ამ აზრის სასარგებლოდ გერმანელ ქართველოლოგს არცერთი არგუმენტი არ მოუყვანია.

რამდენადაც ეს აზრი ეკუთვნის ქართველოლოგს – რომელიც ქართული ენის სპეციალისტია და არა ლიტერატურისმცოდნე (ნათაძე 1965: 180-181), – დაწერილია გერმანულ ენაზე და ამდენად ევროპელ მკითხველს გარკვეულ შეხედულებას უქმნის რუსთაველის პოემაზე, ერთგვარად საბედისნერო როლს თამაშობს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მსჯელობისთვის იმ საზოგადოებაში, რომელიც, ბუნებრივია, არ იცნობს რუსთაველოლოგიაში არსებულ შეუთანხმებლობას იდანაშაულო ადამიანის მკვლელობის თაობაზე. აქ აუცილებელია ითქვას, რომ ე.ნ. „ტარიელის რეაბილიტაციის“ თეორიის შექმნამდე ქართულ ენაზე არსებულ გამოკვლევებში ნასტანისა და ტარიელის ეს ტრაგიკული შეცდომა არვის შეუფასებია, როგორც ზნეობრივი საქციელი, ხოლო ის „ორმაგი მორალი“, რომელმაც ეს მკვლელობა გაამართლა, საბჭოთა ეპოქის ბუნებრივი ნაყოფია, რომელმაც ღმერთის – უმაღლესი მორალური აბსოლუტის – უარყოფით ზნეობრივი ორიენტირები არია და

კეთილსა და ბოროტს შორის ზღვარი მოშალა. მაგრამ ზნეობრივი კრიზისის ამ უმძიმეს პერიოდში აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც წინ აღუდგა „ორმაგი მორალით“ ნაკარნახევ ინტერპრეტაციას და ამ ეპიზოდს, ისევე, როგორც პოემის მთავარ გმირებს ერთადერთი მართებული ზნეობრივი შეფასება მისცა. ეს პიროვნება იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც სტატია 1936 წელს დაწერა, მაგრამ რა თქმა უნდა, მისი გამოქვეყნება იმ დროს, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, წარმოუდგენელი იყო. სტატია მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1966 წელს გამოქვეყნდა, როგორც საარქივო მასალა (ეკაშვილი 1966: 224-274) საგულისხმო შენიშვნით: „...ზოგი საკითხი, რომლებზედაც ავტორი ცხარედ კამათოს, სპეციალურ ლიტერატურაში გადაწყვეტილია და უკვე აღარ ითვლება საკამათოდ ... აქვე შევნიშნავთ, რომ ავტორის ზოგიერთ დებულებას რედაქცია არ ეთანხმება, ან, უკეთს შემთხვევაში, საკამათოდ მიაჩნია“ (ეკაშვილი 1966: 227). ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს „ზოგიერთი დებულება“ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს ეხება. კ.ცინცაძე (ეკაშვილი) „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ამ ეპიზოდში აღ.ბარამიძისგან სრულიად განსხვავებულ დახასიათებას აძლევს, მაგალითად, ტარიელის შესახებ ამბობს, რომ „...ნესტან-დარეჯანის დაკარგვამდე ის არის აღმასრულებელი ამ თვითნება უფლისწულის ახირების და ბოროტი რჩევა-დარიგებისა“ (ეკაშვილი 1966: 242). ნესტანი ამ დახასიათებით არის „თვითნება უფლისწული“, „ბოროტი რჩევა-დარიგების მიმცემი“, რაც ზნეობრივი თვალსაზრისით აფასებს ნესტანის პირველ დავალებებს, მიცემულს ტარიელისთვის (ხატაელთა დალაშქვრა, მძინარე სტუმრის „მოპარვით“ – ანუ სისხლის მოპარვით მოკვლა). ნესტანის „გამორჩევა“ ასეა შეფასებული: „ნესტანი იძლევა ისეთ რჩევას, რომელშიც შეზავებულია ცრუბა, ურცხვობა, ვერაგობა, მშობელთა უპატივცემლობა-შეურაცხოფა, ქვეყნისა და სამშობლოს განწირვა და მხოლოდ და მხოლოდ თვითნებობა“ (ეკაშვილი 1966: 243). ზნეობის თანახმად პოემის პირველ ნაწილში ნესტანის მოქმედება კ.ცინცაძის მიერ სრულიად ობიექტურად არის შეფასებული: რუსთაველის სიდიადე სწორედ ისაა, რომ რომანის მეორე ნაწილში ნესტანი სულ სხვაგვარად წარმოუდგება მკითხველს; მასასადამე, რუსთაველმა ნესტანის – ასევე ტარიელის – მხატვრული

სახით რაღაც გაყინული ტიპი კი არ შექმნა, არამედ დაბატა ხასი-ათები, რომელიც განვითარებას განიცდიან. კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ვონ ეშენბახის გმირებიც ამგვარ დინამიკაში არიან წარმოდგენილნი. რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ტარიელს და პარციფალს ანათესავებს ის, რომ ორივენი ჩადიან საშინელ ცოდ-ვას – ჰელავენ უდანაშაულო ადამიანებს – ტარიელი ნესტანის ჩა-გონებით კლავს მძინარე უფლისწულს, ვოლფრამის პარციფალი შურდულით კლავს უდანაშაულო რაინდს – „ნითელ იტერს“, რო-მელიც მისი ნათესავი აღმოჩნდება. ამრიგად, XII საუკუნეში ორი დიდი შემოქმედი ქრისტიანული სამყაროსი სვამს ღრმად ზნეობრივ საკითხს უდანაშაულო მსხვერპლის შესახებ, ხოლო მკვლელობის ჩამდენი როგორც რუსთაველის, ისე ვოლფრამის რომანებში სი-ნანულის გზით, სულიერი ტანჯვა-წამების ფასად გამოისყიდიან ამ კაენურ ცოდვას. სხვა საქმეა, რომ ვოლფრამის რომანში ეს პირდა-პირ არის გაცხადებული, რუსთაველი კი თავისი მკითხველისგან მოელის მის გმირთა საქციელის ზნეობრივ შეფასებას. ამრიგად, გ. დეეტერსის მიერ რიგორისტულად, პოემის განხილვის გარეშე გამოტანილი დასკვნა, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ იდეური თვალ-საზრისით თვალს ვერ გაუსწორებს XII საუკუნის სხვა ლიტერატუ-რულ თხზულებებს, არგუმენტს მოკლებული და დაუსაბუთებელია. რუსთაველის მანერა გმირთახატვისა მეტად ენიგმატურია; მე ად-რეც აღმინიშნავს, რომ ლეონარდო და ვინჩის მსგავსად, რუსთა-ველსაც აქვს თავისი „sfumato“, ზოგიერთ რამეს იგი პირდაპირ კი არ ამბობს, არამედ მკითხველს უტოვებს განსასჯელად და ამით ამ-ხელს ამა თუ იმ ეპოქაში ზნეობრივ ვითარებას.

ის, რაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს, არის მათი ღრმა განათლება როგორც ღვთის-მეტყველებაში, ასევე ფილოსოფიაში და სამართლებრივ საკითხებ-ში. ნესტანის, თინათინის, დავარის, ასმათის მეტყველება ამჟღავ-ნებს მათ დიდ ცოდნას და ასევე ნიჭიერებასაც (მამაკაც პერ-სონაჟებზეც იგივე ითქმის, მაგრამ ამაზე საუბარი ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს). ის, რომ ნესტან-დარეჯანს თავისმა აღმზ-რდელმა მამიდამ, დავარმა შეასწავლა ღვთისმეტყველება, აღნიშ-ნული აქვს კ.ცინცაძეს; (ეკაშვილი 1966: 246); მაშასადამე, „ვეფხის-ტყაოსნის“ პერსონაჟები ფლობენ იმ ინტელექტუალურ ცოდნას,

რაც ყოველი ეპოქის განათლებული ადამიანისთვის მარადიულ და წარუვალ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ როგორც ნესტანის „გამორჩევის“ (539-545) ანალიზი მოწმობს, იგი წარმატებით ფლობს სოფისტიკის ხერხებსაც, როდესაც თავის მსჯელობას აგებს თავისთვის სასარგებლო ალტერნატივებზე, რითაც ასაბუთებს უდანაშაულო სასიძოს მოკვლის აუცილებლობას და ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებს ფორმულით:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“ (542,4).

ნესტანის ამ ფრაზამ არა მხოლოდ რუსთველოლოგთა, არამედ სამართლისმცოდნეთა ღრმა ინტერესი გამოიწვია და მის გარშემო საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა, თუმც თავად ფრაზის შინაარსასა და ნესტანის გადაწყვეტილების სამართლიანობაში არც ერთ მხარეს არ შეჰპარვია ეჭვი. თავის რჩევაში ნესტანი თავიდანვე ერთმანეთს უპირისპირებს „დიდ სისხლს“ ანუ მრავალთა დახოცვას და „მცირე სისხლს“ ანუ ერთი ადამიანის მკვლელობას:

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქნები შუა კედლად,  
რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად,  
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“ (542.2-4).

ამრიგად გამოაქვს ნესტანის განაჩენი ხვარაზმელი სასიძოსთვის, რომელიც ტარიელმა უნდა აღასრულოს. მაგრამ განა ერთი უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა ნაკლები ცოდვაა, ვიდრე მრავლისა? ცოდვა ცოდვად რჩება, თუმც ინდოეთის მეფის ასული თვლის, რომ ერთი უბრალო ადამიანის „უსისხლოდ“ (კარბელაშვილი 1993: 183-220). მოკვლა – არაფერია, მხოლოდ „დიადი სისხლი უბრალოა“ ძნელად სატვირთავი:

„დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო“ (543,4).

შემდეგ მთელი მსჯელობა აგებულია argumentum ad hominem-ზე ტარიელის მიმართ და მთელი ეს „რჩევა“ სოფისტური ხერხების ისეთ ღრმა ცოდნას ამჟღავნებს, რომ მთელი ეს პასაუი საგანგებო განხილვას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ზემოხსენებული ფრაზის ანალიზზე შევჩერდები, რომელიც ნესტანის სოფისტური ოსტატობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

განდიდების, გამეფების სურვილით შეპყრობილი ქალის ანალოგს შუასაუკუნეთა ლიტერატურაში მე ვერ ვპოულობ, ერთადერთი ანალოგია, რომელიც შემიძლია მოვიყვანო, არის შექსპირის „მაკბეტი“, სადაც ლედი მაკბეტი ჩააგონებს ქმარს დუნკან მეფის მალულად, ვერაგულად მოკვლის აუცილებლობას, რათა თავად მაკბეტი გამეფდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში შექსპირთან იმ სოფისტურ მსჯელობასთან არ გვაქვს საქმე, როგორიც რუსთაველის პოემაშია. ლედი მაკბეტი, ქმრის განდიდების მანით შეპყრობილი, პირდაპირ, ყოველგვარი სოფისტური დასაბუთების გარეშე მოითხოვს ქმრისაგან მძინარე სტუმრის მოკვლას და მის მხლებელთა ამოხოცვას. საინტერესოა რომ ლედი მაკბეტი ამ თავის განზრახვას ქალურ საქმედ არ თვლის:

„მოდით, სულნო, ბნელ განზრახვათა  
ჩამგონებელნო, განმაშორეთ ეს ჩემი სქესი!  
ამავსეთ მკაცრს ავკაცობთ თავით ფეხამდე,  
ეს ცხელი სისხლი შემიდედეთ და გ ზა დაუხშეთ,  
ამოუქოლეთ სინიდისის ტანჯვას და ქენჯნას,  
რომ შენანება ბუნებრივი არ დამიბრუნდეს...“.  
(„მაკბეტი“, I,7). (შექსპირი 1940: 158)

ლედი მაკბეტის სომნამბულიზმი, ხელიდან „სისხლის წვეთის“ მოცილების მტანჯავი განცდა სინდისის ქენჯნის შედეგია, „მკაცრმა ავკაცობამ“ თავისი შედეგი გამოიღო და მოსპონ მაკბეტიც და მისი ცოლიც: ინდივიდის თვითნებობა მისსავე დამანგრეველ ძლად იქცა. რუსთაველი სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს – მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ტარიელისა და ნესტანის „ბუნებრივი შენანებაა“ ჩადენილი დანაშაულის გამო – ისინი სულიერი ტანჯვა-ნამების გზით ინანიებს თავის ცოდვას. ის უსასრულო ტირილი ტარიელისა, სინამდვილეში ტარიელის ზნეობრივ ფერისცვალებას ნიშნავს, რადგან ცრემლი – სულინმიდის მადლია. იგივე მადლი მოქმედებს ნესტანშიც, რომელიც რომანის დასაწყისში ცრემლსა და ტირილს სამარცხვინოდ თვლის (379,3), შემდგომ თვითონ „გაუწყვედლად“ ტირიის:

„ვით გიამბო საკვირველი მე, გლახ, მისი ყოფა-ქცევა,  
დღე და ღამე განუწყვედლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!“ (1145,12).

– მოუთხრობს ფატმანი ავთანდილს და აგრძელებს:

„შამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან“ (1147,1).

ასე იცვლება ნესტანი ჩადენილი მკვლელობისა და ინდოეთიდან დავარის მიერ გადასაკარგად გაძევების შედეგ. ეს აღარაა ის ნესტანი, რომელიც „გამორჩევის“ სცენაში ტარიელს პირგამეხებულ ვეფხვად მოეჩვენა, რამაც მისცა კიდეც სათაური მთელ პოემას:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“ –

ასე დაამახსოვრდა ტარიელს ნესტანი.

საერთოდ, პომერის ცნობილი ხერხი – პოემის სხვა პერსონაჟების მიერ მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით ამა თუ იმ მომქმედ პირზე მსჯელობა – რუსთაველს უმთავრესად ნესტანის მიმართ აქვს გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ნესტან-დარეჯანი პოემის მთავარი გმირი-ქალია, რუსთაველი მასთან პირის-პირ მხოლოდ ბოლოს, ტარიელთან წერილის წერის პროცესში გვახვედრებს, მანამდე კი მის შესახებ ვიტყობთ ჯერ ტარიელის, შემდეგ ფრიდონისა და ფატმანის მონათხრობთა წყალობით და ასე ვეგნით ჩვენს წარმოდგენას მასზე. მისი გარეგნული სილამაზით მოხდენილი შთაბეჭდილება ყოველთვის წინ უსწრებს მისი პიროვნული თვისებების გადმოცემას. ამ აღნერათა შესახებ შესაბამისი კორექტივით თამამად შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც პომეროსის მიერ მშვერიერი ელენეს აღწერის შესახებაა თქმული: „თვით ელენე პომეროს აღწერილი არა ჰყავს, მასზე მხოლოდ ტროის უხუცესნი ლაპარაკობენ. მაგრამ მათი ლაპარაკით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენს წინ იყოს რაღაც ღვთაებრივი, სიტყვით აღუწერელი“ (წერეთელი 1927: 29). ასეთია ნესტანი მკითხველის წარმოსახვაში, მისი მზიური სილამაზე ყველას ატყვევებდა ეს სილამაზე, რა თქმა უნდა, განსხვავდება სილამაზის დასავლური იდეალისგან. რუსთაველს თუკი ვინმეს სკოლა აქვს გავლილი, ეს, უპირველეს ყოვლისა, პომეროსის სკოლაა, და არა მხოლოდ მის მხატვრულ ხერხთა გამოყენების თვალსაზრისით (მაგალითად, პომეროსის ისეთი მხატვრული ხერხი, როგორიცაა უბედურების წარმოდგენა მაშინ, როდესაც უბედურება ჯერ კიდევ შორსაა“ (წერეთელი 1927: 29). ან მისი ანალოგი „როდესაც უბე-

დურება შეიძლება არც მოხდეს“, რუსთაველს გმოყენებული აქვს როგორც ავთანდილის ანდერძში, ასევე როსტევანის განცდის გად-მომცემ სტროფებში, როდესაც შეიტყობს, რომ ავთანდილი გაიპა-რა ტარიელის საძებრად (824), არამედ უფრო მეტია: ჩემის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ისევეა აგებული ნესტანის რისხვის თემაზე, როგორც „ილიადა“ აგებული აქილევსის რისხვის თემაზე. თუ ეს ვარაუდი გამართლებულია, მაშინ პოემის ტაქსტში მამაკაცის ნაც-ვლად ქალის დაყენება საინტერესო საკულევი თემაა.

ქალი-მეფე მთელ ევროპულ ლიტერატურაში მხოლოდ და მხო-ლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სპეციფიკა: დასავლური რომანი იცნობს ფეოდისა თუ სამეფოს მემკვიდრე ქალს, რაც რეალური ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს (და რომელიც ეძებს საქმროს – მამაკაცს, რომელიც მის მამულს დაიცავს მტრისგან), მაგრამ სამეფო ტახტზე ქალის მეფედ აყვანა „ვეფხისტყაოსნის“ გარდა არსად გვხვდება.

მიჯნურობის ის კოდექსი, რომელიც რუსთაველმა „ვეფხისტყა-ოსნის“ პროლოგში ჩამოაყალიბა, მთელი რიგი დეტალების მიხედ-ვით მიმართვის ობიექტად მამაკაცს გულისხმობს; ყოველ შემთხ-ვევაში „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ მხოლოდ მამაკაცს შეიძლე-ბა მიემართებოდეს:

„მიჯნურსა თვალად სიტურცე მართებს მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,  
ვისცა ეს სრულდად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“ (23).

მომდევნო, 24-ე სტროფი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქრის-ტიანული მეუღლეობის შესახებ პავლე მოციქულის მიერ ჩამოყა-ლიბებული ზნეობრივი ნორმის ალუზია. მოციქული ამბობს: „ხოლო სიძვისათვის, კაცადკაცადსა თვისი ცოლი ესუნ, და თვითუულსა თვისი ქმარი ესუნ“ (I კორინთელთა, 7,2). „ხოლო სიძვისათვის“ უნდა გავიგოთ ისე, როგორც სხვა თარგმანებშია: „ხოლო სიძვის თავიდან ასაცილებლად“ (თავიდან ასაცილებლად ჩამატებულია). საგულისხმოა, რომ რუსთაველი ამ სტროფში სწორედ სახარების ძველ თარგმანში დამოწმებულ სიტყვას „სიძვას“ ორჯერ ახსენებს და ჰგმობს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
ნუვინ გაპრევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი? (24).

რუსთაველი მეუღლეობრივ ურთიერთობაში ქრისტიანული მო-  
რალის დამცველია, რაც, სამწუხაროდ, არაიშვიათად შეუცნობელი  
რჩებოდა იმდენად, რომ ვახტანგი იძულებული იყო აღენიშნა – „ვე-  
ფხისტყაოსასნს“ ხშირად სამეძაოდ თარგმნიდნენო. ცოლ-ქმრობის  
ქრისტიანული კონცეფცია იმის საფუძველი, რომ რუსთველი,  
როგორც მკვლევარნი სამართლიანად აღნიშნავენ, უპირისპირდე-  
ბა „ვისრამიანის“ ავტორს. ორთა ერთგული, ურთიერთნდობით  
სავსეს და თავგანწირული სიყვარული – ასეთია ნესტან-ტარიელი-  
სა და თინათინ-ავთანდილის ურთიერთობა. ამ მხრივ რუსთავე-  
ლის, კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის ზნეობრივი  
კონცეფცია სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. მკვლევარი გაიოზ  
იმედაშვილი „ვეფხისტყაოსანში“ ამ საკითხთა განხილვისას იმოწ-  
მებს ნ. ჟორდანიას, რომლის აზრით „რუსთაველმა მსოფლიო მნერ-  
ლობაში მანამდე არსებულ გაგებას „ჯერ ქორწინება – მერე სიყ-  
ვარული“ დაუპირისპირა „ჯერ სიყვარული – მერე ქორწინება“,  
რითაც ახლებურად გადაწყვიტა სიყვარულისა და ქორწინების  
მოტივები“ (იმედეშვილი 1968: 206). ალბარამიძე ნესტანისა და ტა-  
რიელის ტრაგიკულ თავგადასავალს მეფე ფარსადანის საბედის-  
წერო გადაწყვეტილებას უკავშირებს: „მეფე ფარსადანი ძველ,  
დრომოქმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ  
ეკითხებოდა საკუთარი ბედ-ილბლის საქმე, „თითქო სახელმწიფო-  
ებრივი ინტერესები აიძულებდა მეფეს თავისი ერთადერთი ასული  
მიეთხოვებინა უცხოელი კაცისათვის“ (ბარამიძე 1975: 124).

ამის საპირისპიროდ არაბეთის სამეფოში სხვა ვითარებაა: როს-  
ტევანს ტახტზე აპყავს თავისი ასული, სოლო საქმროს არჩევანს  
მასვე ანდობს. საერთოდ ქალის გამეფებას მკვლევარნი ისტორი-  
ული მაგალითით – თამარის გამეფების ანალოგით ხსნიან: რეალუ-  
რი ფაქტი აისახა ლიტერატურაში. მაგრამ აქ სხვა საკითხიც იჩენს  
თავს: რადგან ქრისტიანული მოძღვრებით მეფე – მხოლოდ მამაკა-  
ცია, „ვეფხისტყაოსანში“ სახელმწიფოს მმართველად ქალის და-

სახვა ხომ არ არის დაკავშირებული ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, კერძოდ, პლატონის მოძღვრებასთან სახელმწიფოს შესახებ? სხვათაშორის, პლატონის რუსთაველი თავად ახსენებს პოემაში (დაახლოებით ისეთსავე კონტექსტში, როგორც ვოლფრამ ფონ ეშნბახის „პარციფალში“), რუსთაველის ეპოქის მწერლობა მონმობს, როგორი ინტერესით ეკიდებოდა განათლებული ქართული საზოგადოება ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს. ქალი, როგორც სახელმწიფოს მმართველი, სრულიად ბუნებრივია პლატონის მიერ შექმნილი იდეალური სახელმწიფოს ხატისთვის: „შენ, სოკრატე, მოქანდაკე-სავით ჩამოჰქენი შენს მიერ შექმნილი სახელმწიფოს მმართველები. – და მმართველი ქალებიც, გლავკონ, – ყოველივე, რაც ვთქვი, ქალებს არანაკლებ ეხება, ვიდრე მამაკაცებს: მართალია, რა თქმა უნდა, ამ ქალებს, რომელთაც ამ მხრივ ბუნებრივი ნიჭი აქვთ. – ეს სწორია, თუკი ქალები ყველაფერში მამაკაცთა თანაბრად მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ვთქვით“ (პლატონი, სახელმწიფო, 540e). იგანე ჯავახიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ტახტზე აყვანასთან დაკავშირებით დაწერილი ნაწარმოებია (ეს დებულება უფლებას გვაძლევს ვეფხისტყაოსნის შექმნის დროდ ვივარაუდოთ XII საუკუნის 70-იანი წლების II ნახევარი, ე.ი. ის პერიოდი, როდესაც კრეტიენ დე ტრუას პირველი რომანები იწერებოდა), ხოლო კ. ცინ-ცაძე (ეკაშვილი), წინამორბედ რუსთველოლოგთა კვალდაკვალ, მართებულად თვლის მოსაზრებას, რომ „თინათინისა და თამარის ტახტზე აყვანის ამბავის იგივეობა უნდა ჩაითვალოს გამტკიცებულად ... გიორგი მეფის დინასტიურმა წადილმა საქართველოს მისცა „ღმრთისა სწორი მეფეთა მეფე თამარი და გენიალური მხატვრული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ (ეკაშვილი 1966: 240).

თინათინის მხატვრული სახე მკითხველი თვალწინი იძერნება: როსტევანისა და ვაზირთა გადაწყვეტილებით მამის ტახტი უნდა დაიკავოს თინათინმა:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია,  
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია,  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (39).

ეს უკანასკნელი ტაეპი „მოსწრებული მხატვრული აფორიზმი“ კი არ არის, არამედ პერიფრაზია ქრისტიანული სწავლის ერთერთი მთავარი დებულებისა – არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედა-კაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ (გალატელთა მიმართ, 3:28)“ (ეკაშვილი 1966: 239), მაგრამ აქ ერთი კითხვა ისმის: როსტე-ვანს თინათინი იმიტომ აჰყავს ტახტზე, რომ მისი ასულია, თუ რა-იმე სხვა მიზეზიც არსებობს? ჩემის აზრით, აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაზირთა სიტყვებს:

„სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“ (38).

თინათინის მზესთან შედარება მისი გარეგნული სილამაზის მეტაფორას არ ჰგავს:

„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ (51).

სხავაგვარად შეიძლება განიმარტოს: თინათინი ისეთივე სამარ-თლინია, როგორც მზე, რადგან „ვარდთა და ნეხვთა მზე სწორად მოეფინების“ (49); სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ტა-ეპის სახარებისეული წყარო: „მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათე, 4:45). მაშასადამე, თინათინი სამართლიანია და ამიტომ არის მისგან „მზე შენაფლობი“. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ არაბეთი მემ-კვიდრეობითი კი არა, არჩევითი მონარქიაა, სადაც რამდენიმე ახალგაზრდას ამზადებენ სამეფოდ და მათგან ყველაზე ღირსეულ-სა და სამართლიანს ანდობენ სახელმწიფოს მართვას. იქნებ ამას-თანაა დაკავშირებული ის, რომ როსტეტვანი თვით კი არ ურჩევს საქ-მროს თინათინს (რაც დინასტიური მოსაზრებებით ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო), არამედ არჩევანს თვით მას ანდობს. ყოველ შემთხ-ვევაში, ის გარემოება, რომ თინათინი, მსგავსად ნესტანისა, თავად უმხელს სიყვარულს ავთანდილს (რაც ჩვეულებრივია რუსთავე-ლის გმირებისათვის, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია კრეტიენ დე ტრუას სორდამორის ან ფანისათვის), მის პიროვნულ თავისუფ-ლებაზე მეტყველებს. თვით მისი ფიცი, მიცემული ჭაბუკი სპასა-ლარისთვის, ქრისტიანული ზნეობით არის ნაკარნახევი:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,  
მზეცა მომხვდეს ხორცეული, ჩემთვის კაცად შენაქმარი.  
სრულად მოყვანყდე სამოთხესა, ქვესკენლს ვიყო დასანთქმარი,  
შენი მკლავდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“ (133).

და სიყვარულის გამჟღავნებისთანავე აძლევს დავალებას, რადგან ავთანდილს მისი სამსახური ორი მიზეზის გამო მართებს: ერთი იმიტომ, რომ უებრო ყმაა (ანუ რაინდი), ხოლო მეორე – იმიტომ, რომ თინათინის მიჯნურია (130). თინათინის დავალბა, მიცემული მიჯნურისთვის, ძნელია, მაგრამ კეთილშობილებით და კაცთმოყვარეობით აღსავსე: მან უნდა მოძებნოს „უცხო მოყმე“, რომელიც „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ და შეიტყოს მისი ამბავი. თინათინისა და ავთანდილის კაცთმოყვარეობა იმდენად უსაზღვროა, რომ მეორედაც, როდესაც ავთანდილი კვლავ მიისწრფის ტარიელის დასახმარებლად, მაგრამ როსტევანი წასვლის ნებას არ აძლევს, თინათინი უყოყმანოდ თანხმდება მიჯნურთან განშორებას, რათა მისთვის უცხო ადამიანს მწედ მოევლინოს. აქაც ქრისტიანული სიყვარულის გამოვლენასთან გვაქვს საქმე, და თინათინ-ავთანდილის გადაწყვეტილება სხვა არაფერია, თუ არა განხორციელება, საქმედ ქცევა იოანეს სიტყვებისა: „უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადგას მეგობართა თვისითავვის“ (იოანე, 15:13). თინათინის ყოველი მოქმედება ქრისტიანული ზნეობით არის აღსავსე: მომხიბლავია სცენა, როდესაც უკვე მეფედ ხმობილი თინათინი მამის სანახავად მივა, და რაკი გაიგებს, რომ შენუხებულია და ავთანდილი ახლავს, მორიდებით უკან გაბრუნდება (102– 103). მეფე-ქალი, არაბეთის სახელმწიფოს მპყრობელი, ინარჩუნებს მთელ ქალურ მომხიბლაობას, მაგრამ თუკი თავისი გადაწყვეტილება სამართლიანად მიაჩნია, უკან არ იხევს. მაგრამ თინათინის მხატვრულ სახეში მთავარი ისაა, რომ არაბეთის სახელმწიფოსა და მისი მეფე-ქალის სახით რუსთაველი თავის ეთიკურ-პოლიტიკურ იდეალს გვამცნობს.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ნესტანის მხატვრულ სახეს რუსთაველი პომეროსის ხერხით ხატავს: ნესტანის პიროვნებას ვეცნობით პოემის სხვა პერსონაჟების მეოხებით. მეორე მხატვრული სახე ქალისა, რომელიც ამ ხერხითაა წარმოდგენილი, დავარია. ჩვეულებრივ,

სამეცნიერო ლიტერატურაში მის ერთადერთ დამახასიათებელ სი-ტყვად იქცა „ქაჯი“, რაც მას უარყოფითად განსაზღვრავს, მაგრამ თავის მხატვრული სახის რაობას არ ხსნის, მითუმეტეს, რომ მის შესახებ ან გაკვრით საუბრობენ, ან საერთოდ არ ახსენებენ. მისი მხატვრული სახის ამავე საზღვრებში განხილვა წარმოდგენილია ცხობილი რუსი ლიტერატურის მცოდნის პ.ნ. ბერკოვის სტატიაში (ბერკოვი 1966: 79-84). დავარის როლს პოემის კომპოზიციურ აღნა-გობში მკვლევარი იმით აფასებს, რომ მან ნესტანზე „დამღუპველი“ გავლენა იქონია. თავისი გამხრნელი აღმზრდელობითი პრინცი-პებით (ბერკოვი 1966: 73-74). და პოემაში დატრიალებული ტრაგი-კული მოვლენები მისი პორივნებით არის განპირობებული. მაგრამ აქვე მკვლევარი ისეთ თვისებებს მიაწერს დავარს, რის უფლებესაც პოემის ტექსტი არ იძლევა: იგი მას თვლის „ჯადოქრად“, რადგან ქაჯთა მეფის ცოლი იყო და შეითვისა ქაჯური თვისებები. მაგრამ რუსთაველის პოემიდან დავარის „ჯადოქრობა“ არსაიდან ჩანს, მისთვის ამ თვისების მიწერა მხოლოდ ლალი ფანტაზიის ნაყოფია. ფარსადანმა თავის დას ნესტანი „სიბრძნის სასწავლელად“ ჩაბა-რა, ეს სიბრძნე კი ნესტანმა მართლაც შეითვისა მამიდისგან, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ტარიელისთვის ქაჯეთის ციხიდან მიწერილ წერილში. ამასთან უნდა გავიხსენოთ ასმათის ის ღრმა განსწავლულობა ღვთისმეტყველებაში, რაც მის სიტყვებში ჩანს:

„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ სავსება ყოველთა, აღვგავსებ მზეებრ ფენითა;  
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო სმენითა!“ (917).

ეს სპეციფიკური ტერმინოლოგია ასმათს მხოლოდ დავარისგან შეიძლება ჰქონდეს შეთვისებული. ხოლო მისი დიალოგები ტარი-ელთან და ავთანდილთან მის ღრმა ფსიქოლოგიურ ინტუიციაზე მე-ტყველებს, რასაც ამავე დროს განსწავლულობის იერიც დაჰკრავს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:  
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკე მიდიან,  
უგულო კაცი ვარ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.  
შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდინ“ (848).

გულის, ცნობისა და გონების ერთიანობა – ფილოსოფიური კატეგორიის დებულებაა, რაც მაღალი რენესანსისთვის არის ნიშანდობლივი, და რუსთაველმა სწორედ ასმათს მიანდო ამ აზრის გამოთქმა.

ასმათი უანგარო და თავგანწირული მეგობრობის განსახიერებაა, რაც მის მხატვრულ სახეს სრულიად უნიკალურს ხდის შეასაუკუნეთა ლიტერატურაში: ერთგვარი ანალოგის სახით შეიძლება ლიუნეტა (კრეტიენის „ივეინი, ანუ ლომის რაინდი“) დაგვესახელებინა, მაგრამ მისგან განსხვავებით ასმათის სახე ერთგვარი ასკეტიზმით ხასიათდება.

რუსთველური სიყვარულის ფონზე, რომელიც მეუღლეობის ქრისტიანულ კონცეფციას განასახიერებს და რუსთაველის იმ პერსონაჟებს უკავშირდება, რომელთაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურში „იდეალურ გმირებს“ უწოდებენ, კონტრასტს ქმნის „ემპირიული ადამიანი“ (ნ. ნათაძე 1966: 103) – ფატმანი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი რომანისტის ხელით დახატული ხასიათია“ (ნ. ნათაძე 1966: იქვე) და სწორედ მასთანაა დაკავშირებული *menage a trois*. ფატმანს პოემის მთავარ გმირთან მკვეთრი კონტრასტი განასხვავებს: იგი ვაჭრის ცოლია, ხოლო მისი გარეგნული პირტრეტი, რუსთაველის მიერ დახატული, ცხადად გვიჩვენებს, რომ ნესტანის და თინათინის გარეგნობას იგი შეგნებულად არ აზუსტებს, რათა მკითხველს დაუტოვოს ფანტაზირების საშუალება. ფატმანის გარეგნობის აღწერა იმდენად რეალისტურია, ისეთი ზუსტი მხატვრული დეტალებით დასურათებული, რომ მკითხველს მისი რეალურად წარმოდგენა არ უჭირს: ესაა ჩვეულებრივი, ცოცხალი, სიცოცხლის მოყვარული ქალის პირტრეტი, რომლის შინაგანი მდიდარი ბუნება მხოლოდ შემდეგ გადაიშლება მკითხველის თვალწინ:

„ფატმან-ხათუნ, თვალად მარჯვე, არ-ყმანვილი, მაგრა მზმელი,  
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირხმელი,  
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი,  
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“ (1077).

XII საუკუნის ლიტერატურისთვის ქალის ამგვარი რეალისტური აღწერა გამონაკლისს წარმოადგენს: ჩვეულებრივ ქალს ადარებენ

მზეს, მთვარეს, ცისკარს, ვარდს და უხვად ამკობენ არამიწიერი სი-ლამაზის გამომსახველი სხვადასხვა ეპითეტებით. ეს ძველი ტრა-დიციაა, რომელმაც მძლავრი გავლენა მოახდინა ქალის სილამაზის აღნერის ტრაფარეტის შემუშავებაში. რუსთაველის ნოვაცია, ფატ-მანის პორტრეტის დახატვასთან დაკავშირებით შემიძლია შევა-დარო მხოლოდ შექსპირის 130-ე სონეტს, სადაც ქალის სილამაზე ტრაფარეტული შედარებების უარყოფის ხერხით არის დახატული:

„მზის შესადარი ჩემს ქალბატონს არა აქვს მზერა,  
მე ვერ დაგარქმევ იმის ბაგეს მენამულ მარჯანს“...

ალბათ არცერთ ლიტერატურულ გმირს – თვით მადამ ბოვა-რისა და ანა კარენინას ჩათვლით – არ შეხვედრია ისეთი კიცხვა ლიტერატურის მცოდნეთა მხრივ, როგორიც ფატმანს ერგო ქა-რთულ ლიტერატურათმცოდნეობაში: საქმე იქამდე მივიდა, რომ მის მიმართ ისეთი სიტყვებიც კი იხმარეს, რაც წესიერ საზოგადო-ებაში ტაბუირებულია. ზოგიერთმა მკვლევარმა მას ისეთი რამაც მიაწერა, რაც რუსთაველის პოემაში ქვეტექსტშიც კი არ იკითხება! ყოველივე ეს ფარისევლური საზოგადოების მორალს ავლენს და არა ლიტერატურული პერსონაჟის მხატვრულ სახეს. ამგვარი საზომით განსჯისას უკვე ნახსენები მადამ ბოვარი და ანა კარენინა საერთოდ გასაძევებელი არიან ლიტერატურის „კარგი საზოგა-დოებიდან“. მაგრამ ამ რთული მხატვრული სახის შინაგანი პოტენ-ცია იმდენად ძლიერია, რომ ზოგიერთმა მკითხველმა, უპირველეს ყოვლისა რუსთაველის პოემის შესანიშნავმა მცოდნემ აღქან-დრე ბარამიძემ თავისი რადიკალური უარყოფითი შეხედულება ფატმანზე შეცვალა და ამის დასაბუთებას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა (ბარამიძე 1985: 100-106).

ფატმანის თემა *menage a trois*-თან არის დაკავშირებული, რაც მკვეთრად მიჯნავს მას პოემის სხვა გმირთაგან: გ.იმედეშვილის აზრით, რუსთაველი „...ამ ცუდლუტ მანდილოსანს თავის საყვარელ გმირთა მწკრივში ღირსეულ ადგილს არ ანიჭებს, თუმც ეს ვაჭრის ცოლი უგვაროთა წრიდან ერთი გამონაკლისთაგანია, რომელიც საკმაოდ მიმზიდველ სახეს ქმნის. ფატმანში რუსთაველმა ამოიცნო ზოგადი ტიპი ოჯახურ გარემოში ამომავალი ახალი ტიპისა, რო-მელიც შემდეგ ეკროპული რომანის სქემაში განსაკუთრებულ ად-

გილს დაიჭერს და შექმნის ღალატიანი სიყვარულის საყოველთა-ოდ ცნობილ თემას“ (იმედაშვილი 1968: 300). თუ კრეტიენ დე ტრუამ ღალატიან სიყვარულს დედოფალ გენიევრას სახე დაუკავშირა, რუსთაველთან კი ეს ქალი – ვაჭრის ცოლია. განსხვავებული სო-ვიალური სტატუსი, რა თქმა უნდა, მწერლის იდეურ მიზანდასახუ-ლებას ემსახურება. დასავლური თანადროული რომანისტთაგან განსხვავებით, რუსთაველი ერთადერთია, ვინც ვაჭართა წრე – რა-ინდული საზოგადოებისგან სრულიად განსხვავებული სოციალუ-რი ფენა – ასახ XII საუკუნის რომანში.

რუსთაველმა, თავისი ენიგმატური სტილის თანახმად, ბევრი ისეთი დეტალი ჩააქსოვა ფატმანის მხატვრულ სახეში, რაც მისი „ბიოგრაფიის“ წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს. ფატმანს არ უყვარს თავისი ქმარი – ვაჭართუუცესი უსენი, რადგან ის „მჭლე არის და თვალად ნასი“ (1205,1): რას გვეუბნება ეს სიტყვები იმაზე მეტს, რაც მშრალი ინფორმაციის ფონზეა მოცემული? იმას, რომ ფატმანი ესთეტური ბუნებისაა. სხვათაშორის, ამაზე მიგვანიშ-ნებს უკვე მისი პირველი დახასიათება – „დია ედო სასალუქო დასა-ბურაჟ-ჩასაცმელი“ (1077,4) – ფატმანს უყვარს ლამაზი ტანსაც-მელი, ამავე დროს სიცოცხლისმოყვარული არსებაა. მაფრამ რამ-დენად შეეფერება მისი შინაგანი ბუნება იმ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობს? მეუღლეობის ქრისტიანული კონცეფციის შესახებ რატომლაც მხოლოდ პოემის მთავარი გმირების – თინათინისა და ნესტანის – შესახებ მსჯელობენ და ნესტანთან დაკავშირებით ხაზს უსვამენ ფარსადანის პოლიტიკურ მისაზრებებს ხვარაზმშას შვილ-ზე მისი გათხოვების გადაწყვეტილების მიღებისას. მაგრამ ქალის მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით უძებნიდნენ ქმარს? განა არ იყო მატერიალური მოსაზრებებიც? თუ ფატმანის სიტყვებს და მოქმედებას ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი თავისი ნებით არ მისთხოვებია უსანს და მან იცის, რაც არის ასეთი უსიყვარულო ქორწინება. ამიტომაა, რომ იგი თავსა და ოჯახსაც კი სწირავს, ოღონდ ნესტანს ზღვათა მეფის რძლობა ააცილოს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ფრანკლინის სიტყვები: „სადაც არის ქორწინება უსიყ-ვარულოდ, იქვეა სიყვარული ქორწინების გარეშე“ (ლუმისი 1963: 53). ამ უსიყვარულო ქორწინების მსხვერპლია ფატმანიც, მაგრამ იგი მსხვერპლია ჭაშნაგირისაც, რომელსაც იგი მუდმივ ტერორში

ჰყავს და რომ არა ავთანდილი, მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტის მიზეზი შეიქნებოდა. ამიტომ ავთანდილის მიერ ფატმანის დავა-ლებით ჭაშნაგირის მოკვლა მართლაც „მართალი სამართალია“ – ავთანდილს ამ ნაბიჯის გადადგმას მისი კეთილშობილება ავალ-დებულებს, რათა იხსნას ქალი მოძალადისაგან. აქაც რუსთაველი შეუდარებლად ორიგინალურია: თუკი არტურის ციკლის რომანებ-ში რაინდი, როგორც წესი ექომაგება ქალიშვილებს, რუსთაველმა ეს რაინდული საქციელი კვლავ თავისებური „საჭოჭმანო“ ვარიანტით წარმოადგინა, რათა დააფიქროს მკითხველი ადამიანთა ურთულეს ურთიერთობებზე. „უგულო სიყვარული“, რომელიც რუსთაველს სძულს, ფატმან-ჭაშნაგირის ურთიერთობაში განსაკუთრებით ცხა-დად ავლენს თავის ჭეშმარიტ არსა: იგი უბედურების მიზეზი ხდება. ასეთია რეალური ქალის და რეალური კაცის (ფატმანიც და ჭაშნაგ-ირიც უაღრესად რეალისტური მანერით დახატული პერსონა-ჟებია) ტრაგიკული შეჯახება menage a trois-ში, რომელიც ქალის უმწეო სოციალური მდგომარეობით არის განსაზღვრული. ის მკვლ-ევარნი, რომელიც ფატმანს ამ კონტექსტის გარეშე განიხილავენ, მას „ალვირახსნილობას“, „გარყევნილებას“ სწამებენ, რაც პოემაში არსა-იდან ჩანს: ეს უსიყვარულოდ, მატერიალური მოსაზრებებით მდიდარ ვაჭარზე გათხოვილი სიცოცხლით სავსე ქალი ეძებს სი-ყვარულს, მაგრამ ამაოდ. საყურადღებოა ერთი დეტალი: ფატმანი, რომელსაც მასავით მდიდარი „ხათუნები“ ახლავს, ნავროზობა დღეს მხიარულობს, „თამაშობს“, „მღერის“, „ყმაწვილობს“, იცვ-ლის სამოსს და თმის ვარცხნილობას (რეალური ქალის რეალური ქცევა), და უცბად, უმიზეზოდ გუნება შეეცვლება, „უგემურად“ გახდება (ზოგმა ინტერპრეტატორმა ისე გაიგო, თითქოს ფატმანს რაღაც საჭმელმა აწყინა!) – ეს მისი ღრმა ბუნების მაჩვენებელია: მას რაღაც შინაგანი სევდა, ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა აწუხებს, რასაც ვერავითარი სიმდიდრე ვერ შეცვლის. მისი სიყვა-რულით სავსე გული პიროვნულ ბედნიერებაში ვერ ჰპოვებს გან-ხორციელებას, და ეს სიყვარული იქცევა ადამიანის მიმართ სიყ-ვარულად, იმ სიყვარულად, რასაც კაცომოყვარეობა ჰქვია. ასეთია მისი სიყვარული წესტანის მიმართ, ამიტომაა იგი „დედისა მჯობი დედა“ (1285,1) წესტანისათვის, რომელმაც დედური სიყვარულის სითბო მხოლოდ ფატმანისგან იგრძნო. თავგანწირვა მოყვასისთვის

ამაღლებს და ასპეტაკებს ფატმანის პიროვნბას, მისი გამბედაობა, კაცთმოყვარეობა, სიუხვე, გონების გამჭრიახობა, შრომისმოყვარეობა გვიხატავს ისეთ სახეს, რომელსაც არასგზით არ მიესადაგება ის „შავ-თეთრი“ კვალიფიკაციები, რომლებიც დღევანდელ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გვხდება. ეს მხატვრული სახე, მართლაც უნიკალურია XII საუკუნის ლიტერატურისთვის, უფრო ღრმა კვლევას მოითხოს, რადგან რუსთაველმა თავის პოემაში მას ძალიან დიდი მისია დააკისრა და თუ რისი თქმა უნდოდა ამით ავტორს, ჯერჯერობით კიდევ არ არის ცხადი. თანამედროვე მკვლევარებმა ათასგვარი ხერხის მოხმობით გაამართლეს ნესტანის მიერ უდანაშაულო ხვარაზმშას შველისთვის გამოტანილი სასიკვდილო მსჯავრი და ეს მკვლელობა, რომელმაც არა მხოლოდ ნესტან-ტარიელს, არამედ მთელ ინდოეთსმოუტანა უბედურება („ხვარაზმშას სისხლი უბრალო სისხლად რად დამადებინე“ (562,1) – ამბობს ფარსადანი), ფატმანს კი არ აპატიეს უსენის ღალატი, რამაც უბედურების წინ მხოლოდ თავად ფატმანი და მისი ოჯახი დააყენა. საინტერესო შემთხვევაა ადამიანის სიცოცხლისადმი დამოკიდებულების განსჯისათვის. საერთოდ, ფატმანის შესახებ ერთი-ორი ციტატის მიხედვით ხდება მსჯელობა (მაგალითად, „თუ ყვავი ვარდსა იშვის, თავი ბულბული ჰგონია“ (1254,4)) და მხედველობიდანაა გამოტოვებული, რომ ნესტანის ღრმა სულიერ გარდაქმნაში ფატმანსაც მიუძღვის ღვანლი: მისი „დედობა“ და „დობა“ ნესტანის მიმართ – უანგარო სიყვარულია მოყვასის მიმართ, რასაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ მეგობრობას უწოდებენ, თუმც ეს სიტყვა (მეგობრობა) „ვეფხისტყაოსანში“ საერთოდ არ გვხვდება.

საინტერესოა ნესტანის ერთგული „ტყბილი ასმათის“ (553,3) მხატვრული სახე, რომელიც პოემაში მეგობარი ქალის განსახიერებაა: იგი ნესტანს ახლავს იმ განმარტოებულ კოშკში, სადაც ნესტანი დავარის ხელმძღვანელობით სწავლობს სიბრძნეს (330,4) და როგორც ასმათის მეტყველება მოწმობს, ისიც ითვისებს ამ გაკვეთოლებს. მისი მოყვარული არსება იხატება ავთანდილთან პირველი შეხვედრისას, როდესაც სიკვდილის მუქარასაც კი მედგრად ხვდება და არ ამხელს ტარიელის ვინაობას, მაგრამ როგორც კი მტირალ ავთანდილს დაინახავს, გული მოულბება, ხოლო ავთანდილის

მიერ მიჯნურობის ხსენება საბოლოოდ მოინადირებს მის გულს: „აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უგრო დესი“ (252,4) – ეუბ-ნება იგი ავთანდილს. მისი თავდადება ნესტანისა და ტარიელის მიმართ უანგარო და გულნრფელია, იგია მათი მესაიდუმლე, ხოლო ტარიელის გაჭრის შემდეგ – ერთადერთი, ვინც მის ტრაგიულ ბედს იზიარებს და ამავე დროს – მისი „ვაზირი“ ანუ მრჩეველია. ეს გონიერი ქალი ქრისტიანული ზნეობითაა აღსავსე: „არა ვარგა უსა-ზომო, ზომსა თავი გარდგიხდია“ (276,4) – ეუბნება იგი ტარიელს და აძლევს იმ ბრძნულ რჩევას, რაც ჯერ კიდევ არაა ღირსებისებრ შეფასებული ამ სახის ინტერპრეტაციის დროს. ასმათი ურჩევს იმას, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს – საზოგადოებაში დაბრუნებას (273,2; 277,3– 4). აქ უნდა გავიხსენოთ არისტოტელეს ცნობი-ლი დებულება, რომ საზოგადოებისგან განდგომილი ადამიანი ან ნადირია, ან ღმერთი. ასმათის სიტყვებიდან ჩანს, რომ მან იცის ეს და ყველანაირად ცდილობს ტარიელი საზოგადოებას დაუბრუნოს. მიაღწევს კიდეც მიზანს – ტარიელის შემობრუნება სიცოცხლისკენ ავთანდილთან მისი დამეგობრებით – ასმათის დამსახურებაა.

გამოკვლეუებში ნაკლები ყურადღება ექცევა პოემის ისეთ პერსონაჟს, როგორიცაა ქაჯეთის მეფე-ქალი დულარდუხტი, რომელსაც პოემის იდეურ-მხატვრულ გააზრებაში ძალიან მნიშ-ვნელოვანი ადგილი უკავია. კრეტიენ და ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახისგან განსხვავებით, რუსთაველის პოემაში გამო-რიცხულია ყოველივე ჯადოსნური და არაბუნებრივი; ბოროტება კონდენსირებულია ქაჯის სახეში, მაგრამ ეს სულაც არ არის ზღაპ-რული ქაჯი, რომელსაც ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში ვხვდებით: „არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობინ კლდესა სალსა“ (1246,4) – უხსნის ფატმანი ტარიელს. ქაჯი პოემაში გააზრებულია, როგორც homo amoralis, რაც უკვე აღვნიშნე ამ საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვ-ლევაში (კარბელაშვილი 1985: 19-21). ქაჯეთი ამ homo amoralis-ით დასახლებული ქვეყანაა, სადაც ერთი ერის ხალხი კი არ სახლობს, არამედ „არიან ერთად კრებული კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზე-და გახელოვნებული“ (1247,1 – 2), ყოველგვარი ბოროტების ჩამ-დენი: „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი, თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“ (1249,1 – 2). ამ ქაჯეთის სა-ხელმწიფოს მართავს მეფე-ქალი – დულარდუხტი, რომლის მოკლე

დახასიათებაც საკმარისია, რომ დავასკვნათ: ქაჯეთი – ანტიკური ფილოსოფიის ტერმინით რომ განვსაზღვროთ – ტირანული სახელმწიფოა, რომელსაც ქალი მართავს:

„დუღარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,  
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია“ (1221,1-2).

ესაა სასტიკი, დაუნდობელი თვითმპყრობელი მეფის სახე, რომელიც ქვეშევრდომებს შიშის ზარს სცემს. ქაჯთა სამეფოს მკვიდრნი მეკობრეობით, ყაჩალობით, რბევით შოულობენ ალაფს; ნესტან-დარეჯანიც მათი „ნაალაფევია“, რომელიც არმაღანად ანუ საჩუქრად უნდა მიჰვარონ დუღარდუხტს. ნაძალადევი ქორწინების ერთ ხიფათს ნესტანმა გულანშაროში დააღწია თავი გაპარვით, მეორე ხიფათი ქაჯეთში ელის, რადგან დუღარდუხტი გადაწყვეტს თავის ძმისწულს შერთოს ნესტანი ცოლად. ცნობილი აფორიზმი რუსთაველისა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361,4) ქაჯეთის ციხიდან ნესტანის გამოხსნის გამოა თქმული. ქაჯეთი ანტიპოდია არაბეთისა ისევე, როგორც დუღარდუხტი – თინთინისა.

ქალი-მეფე ორი სანინააღმდეგო გადაწყვეტითაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“: ქალი შეიძლება იყოს იდეალური მეფეც და ტირანიც. თუ რა განსაზღვრავს რუსთაველის კონცეფციას, სპეციალურ ლიტერატურაში რაიმე კონკრეტული აზრი ამის შესახებ არ გამოთქმულა. ჩემის აზრით, რუსთაველის მიერ მამაკაცის თანაბრად ქალის მეფედ წარმოსახვა ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის, კერძოდ, პლატონის დებულებიდან იღებს საწყისს, იმ დებულებიდან, რომ ქალს მამაკაცის თანაბრად შეუძლია სახელმწიფოს მართვა, ხოლო თვით ქალი-მმართველის ბუნებას განსაზღვრავს სახელმწიფო. ეს ადამიანის არა თეოლოგიური, არამედ ფილოსოფიური კონცეფციაა.

#### დამოცვებანი:

აღმოსავლური ... 1958: *Orientalische Literaturzeitung*. 1958, N 1.

ბარამიძე 1938: ბარამიძე ალ. „ტარიელი“. რუსთაველის კრებული, 750. თფილისი: 1938.

**ბარამიძე 1944:** ბარამიძე ალ. „ნესტანი“. ლიტერატურული ძეგბანი. II. თბილისი: 1944.

**ბარამიძე 1975:** ბარამიძე ალ. შოთა რუსთაველი. თბილისი: 1975.

**ბარამიძე 1985:** ბარამიძე, ალ. „ფატმანის სახის გარშემო“. ნაკვევები ქართული ლიტერატურიდან. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985.

**ბერკოვი 1966:** П. Берков. О композиции „Витязь в тигровой шкуре“. ю. „Литературная Грузия“. 1966, №-10.

**ეკაშვილი 1966:** ეკაშვილი კ. (კალისტრატე ცინცაძე). „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის“. შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგბანი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

**იმედაშვილი 1968:** იმედაშვილი, გ. ვეფხისტყაოსნი და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

**კარბელაშვილი 1985:** კარბელაშვილი მ. რუსთაველის „ქაჯის – ქაჯეთის“ ინტერპრეტაციისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნების საკონფერენციო საბჭო. ლიტერატურის ინსტიტუტი. XX სამეცნიერო სესია. ოეზისები. 25-27 დეკემბერი, 1985.

**კარბელაშვილი 1993:** კარბელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსნის „უსისხლოდ“: ტერმინის იურიდიული და ეთიკური ასპექტები“. ქართული მწერლობის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993.

**კარბელაშვილი 2014:** კაბელაშვილი მ. „Проблема сюжета поэмы Руставели «Витязь в тигровой шкуре» в контексте geopolitiki: Грузия – Европа или Азия?“. *Sjani. Annual Scholarly Journal of Literary Theory and Comparative Literature*. 2014, № 15.

**ნათაძე 1965:** ნათაძე ნ. რუსთაველური მიჯნურობა და რენესანსი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1965.

**ნათაძე ... 1966:** ნათაძე ნ., ცაიშვილი ს. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი: 1966.

**რუსთაველი 1975:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსნი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა, 1712 წ. აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

**შექსპირი 1940:** შექსპირი უ. ტრალედიები. ივანე მაჩაბლის თარგმანი ინგლისურიდან. წიგნი მეორე. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1940.

**ნერეთელი 1927:** ნერეთელი გრ. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ეპოსი და ლირიკა. ტფილისი: 1927.

**Concept of a Woman In “The Knight in Panther’s Skin”  
by European Context**

**Summary**

The idea of adoration of a woman in the Rustaveli’s poem was first considered by Vakhtang the Sixth, the founder of scientific Rustvelology, in his introduction to ‘Targmani Vepkhistkaosnisa’ (Targmani’ is ‘Translation’ in Elglis language. In Georgian language Translation also means explanation and comments). In the beginning of the 20th century the great expert of European literature V.F.Shishmarev and N.Marr, the researcher of In The Knight in Panther’s Skin associated this issue with the analogous phenomenon of European literature.

It was namely the problem of woman’s cult and chivalry which became the essential factor that shattered thoroughly Marr’s theory about Persian genesis of The Knight in Panther’s Skin. It was finally approved and substantiated in the science that the poem The Knight in Panther’s Skin by its genesis is a product of European Christian culture and not of Asian, Muslim, in particular of Persian culture (Karbelashvili 2014: 126-143).

In this case the subject of our interest is women images given in Rustaveli’s poem. A woman – king is presented by two counter concepts in The Knight in Panther’s Skin; a woman can simultaneously be an ideal king and a tyrant. According to my opinion, imagination of a woman as a king, similar to a man, takes origin from the postulate of Plato, antique political philosopher, from the postulate that a woman can rule the state similar to a man, while the nature of a woman-ruler, as such, is determined by the state. This is a philosophical conception of a human being and not theological.

## ივანე ამირხანაშვილი

## პოეტური კანონი როგორც ხასიათი\*

ნიზამი და რუსთაველი. ტრადიციული თემა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე თვით ტრადიცია, რადგან ეს ორი ფიგურა თვითონ ქმნის ისეთ რაღაცას, რასაც კულტურას უწოდებენ.

აქ იმდენად დიდია სიახლოვის განცდა, რომ ძალაუწყრიდა ჩჩდება საბაბი შედარებისათვის. და არის ამ შედარებაში ერთ-დროულად ბანალურიც და განსაკუთრებულიც, მაგრამ ამოცანის ღირებულებაც იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებული მხარეები მოარგოს ერთმანეთს ისე, რომ მივიღოთ შუალედური მოდუსი.

აკადემიკოსი კორნელი პეტრელიძე, როდესაც საუბრობდა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ლეილისა და მაჯუნის“ შესახებ, წერდა:

„Руставели и Низами – разные люди по своему миросозерцанию и темпераменту. Каждый из них совершенно самостоятелен в обработке и трактовке одной и той же сюжетной основы, состоящей в стремлении к объединению двух страстно любящих существ, разлученных внешними объективными причинами“ (Зарубин 1974: 117).

შესაძლოა, კორნელი კეკელიძე მართალია, ორ დიდ პოეტს შორის განსხვავება არის და ასეც უნდა იყოს, მით უმეტეს, ისეთ ინდივიდუალისტებს შორის, როგორებიც არიან ნიზამი და რუსთაველი. თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ ინდივიდუალიზმია მთავარი ფაქტორი, რომელიც აახლოებს ამ პოეტებს და ეს სიახლოვე, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება თავისუფლებაში, პოეტურ თავისუფლებაში.

პოეზია პირობითობათა ცოცხალი, მარად მოძრავი სისტემა რომ არ იყოს, გაცილებით იოლი იქნებოდა მსჯელობა ტიპოლოგიურ პარალელებსა თუ კომპარატივისტულ შეხვედრებზე, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვალდებული ვართ მსგავსება ვეძებოთ სწორედ მოძრავ სისტემებში, რათა დავასაბუთოთ ამ სისტემათა სიკონკრინოსუნარიანობა.

\* ნაკითხულია მოხსენებად ქ. ბაქოში 2015 წლის 27 ნოემბერს, აზერბაიჯანის სლავისტიკის უნივერსიტეტის ინციდატივით გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „შედარებითი ლიტერატურის მცოდნეობა და კულტურა: ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის საწყისთა კრიტიკულიძი“.

შუა საუკუნეების კულტურას ახასიათებს ბევრი საერთო ნიშანი, რაც განაპირობებს სხვადასხვა ლიტერატურის შინაგან ერთიანობასა და ტიპოლოგიურ მსგავსებებს. პოეტურ წარმოსახვათა და გამოხატვის ფორმათა იდენტურობა ქმნის ტრადიციას, საერთო სურათს, რომლის შიგნით ხორციელდება ისეთი ცალკეული, ინდივიდუალური გამოხათებები, როგორებიც არიან ნიზამი, რუსთაველი, საადი, ჯალალადინ რუმი, თუნდაც დანტე ალიგიერი.

პოეტები სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, სხვადასხვა ენას იყენებენ იმისათვის, რომ შექმნან ერთი პოეტური „მატერია“, რომელიც გასაგები იქნება არა ენის მეშვეობით, არამედ ამ „მატერიის“ სტრუქტურის საშუალებით.

პოეტური ფაქტურა მარტო ორნამენტი არ არის, არც მარტო ტექნიკაა, არამედ ეს არის ქმნადობის ენა, მსოფლმხედველობა, სტილი, რომელიც გამოხატავს შემოქმედების არსს.

კაცმა რომ თქვას, რა არის პოეზია? – ეს არის საგნებისა და მოვლენების შინაგანი აზრის ამოცნობა და ამ აზრის მასშტაბის გადიდება შესაძლებელ მაქსიმუმამდე ისე, რომ არ დაირღვეს თავდაპირველ ვარიანტში მოცემული სტრუქტურა.

ამისათვის არსებობს ერთ-ერთი ცნობილი საშუალება, რომელსაც ჰიპერბოლას უწოდებენ.

ჰიპერბოლის მიზანია გახსნას მოვლენის არსი, გახსნას საგანი, გაააქტიუროს მისი ალქმა.

ამის მაგალითად გამოდგება ნიზამი განჯელის პოემის „ლეილი და მაჯნუნი“ ერთ-ერთი თავი, რომლის სათაურია „ლეილი რა დღეში იყო“. ნიზამი ლეილის სილამაზეს წარმოგვიდგენს ისე, რომ ვარდის კოკრის მიკროსივრციდან მაკროსივრცემდე ადის, მიწის წილიდან მთვარის სიმაღლემდე აღწევს:

ყვავილის ბუტკო გაიშალა  
და ლვინისფერად დაჰჰერა,  
წელში გასწორდა ხე მორჩი,  
ბალში სათუთად ნამყოფი,  
ტკბილიც და ამოდ საჭვრეტიც  
ზედ დაიმწიფა ნაყოფი.

შვების ვენახში ჰყვაოდა,  
პირი გაზაფხულს უგავდა,  
კაცს ისე მოუხედავდა,  
იქვე ფერფლავდა, ბუგავდა.

.....

ვარდსა და მთვარეს მშვენებით  
მისით შექმნოდათ ვიშები, –  
ვარდის წინ როქით გაევლო,  
მთვარისთვის ეთქვა ქიშები.

.....

ამ ქალს ნიკაპის ფოსოში  
ჯადო ჩაედო იმდენი,  
შიგ კაცთა გულებს ღუპავდა  
მასთან ზედიზედ მიდენილს.  
(ნიზამი 1974: 163-165)

ნიზამის სივრცე არ ჰყოფნის. საგნები ვერ იტევს შთაგონების ენერგიას, რომელიც თითქოს სადაცაა გაარღვევს ყოფიერების საზღვრებს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია. პოეტი არ გადის ამ საზღვრებს გარეთ. იქით არ არის მისი სივრცე. ამ სივრცეს საუკუნეების შემდეგ აღმოაჩენს რომანტიზმი, გერმანული ფილოსოფიის წიაღიძან აღმოცენებული ბელეტრისტული ტრანსცენდენტალიზმი. თუმცა ფორმით, ფაქტურით, განწყობილებით, მოტივებით, შთაგონების ხასიათით – მისულია რომანტიზმის ზღვრამდე.

ჩვენ წინაშეა პროცესი – ეპიკური ფორმის განახლება, რომელიც გულისხმობს არსებული ტრადიციის ფარგლებში ინდივიდუალური კანონის დამკავიდრებას, შინაგან დაძაბულობას, ემოციურობის მუხტის შეტანას თხრობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ნიზამი განჯელი ახორციელებს ეპიკური პოეზიის ტექნიკის რეფორმირებას მაქსიმალიზმის სულისკვეთებით. აკადემიკოსი ევგენი ბერტელსი წერდა:

„ტრადიცია მოითხოვდა, რომ მთელი ტექნიკური ოსტატობა უპირატესად ლირიკაში, რითმულ უანრში განვითარებულიყო. ეპოსი, როგორც თხრობა, ადვილად იტანდა სხვა საშუალებათა სიღარიბეს... ამიტომ XI საუკუნის პოეტთა ყველა ტექნიკური ილეთი ძირითადად თავს იყრის ლირიკულ ჩანართებში, აღწერებში, გადახვევებში, და ა.შ.

ნიზამი გარკვეულწილად მიჰყვება ამ ტრადიციას... თანმიმდევრულად იცავს პრინციპს, რომელიც გულისხმობს მაქსიმალურ მხატვრულ გამომსახველობას, თითოეულ სტროფში სამშვენისების იმგვარად გამოყენებას, რომ ერთი მისხალიც არ დაკარგოს აზრის გადმოცემისას“ (ბერტელსი 1940: 129-130).

ტრადიციის სულიდან იბადება გამომსახველობითი მაქსიმალიზმი და მაღალი თვითმყოფადობა. უშუალო განცდების გამოხატვა ხდება, ერთი შეხედვით, იმპულსურად, ინსტინქტურად, სტიქიურად, მეორე მხრივ, ამაში არის წესრიგი, მყარი, კარგად მოფიქრებული სისტემა.

პოეტი აღმოაჩენს სიახლეს და ამით აღმოაჩენს თავის თავს, თავის მისიას. სიტყვიერი ფაქტურის მიღმა არსებობს და მოჩანს რაღაც ისეთი, რაც მაქსიმალურად გამოხატავს სიტყვის კომპოზიციურ შესაძლებლობებს.

ნიზამის ხელოვნებაში შეაქვს პიროვნული, პერსონალური და, ამგვარად, სუბიექტურის კულტივირებით ქმნის ახალ ზოგადობას, ახალ უნივერსალურ მსოფლმხედველობას. ის ანადგურებს ყოველგვარ უპიროვნოს და ამაგრებს პიროვნულის საზღვრებს. სიმძიმის ცენტრი გადააქვს ისეთ ფუნდამენტურ ფასეულობაზე, რომელიც ადვილად თავსდება ისტორიულ პერსპექტივიგაში.

ამ ქმედებათა ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი არის ის, რომ მაქსიმალიზმი ვერ არღვევს ზომიერების გრძნობასა და გემოვნებას.

ჰიპერბოლიზაციისაკენ სწრაფვა არ ნიშნავს გიგანტომანიას ან მეგალომანიას. მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი. თუკი შეიძლება საუბარი ესთეტიკაში ხასიათის არსებობის შესახებ, მაშინ ჰიპერბოლიზაციის კანონს შეგვიძლია ესთეტიკური ტემპერამენტი ვუწოდოთ.

თავში „თათბირი ტარიელისა“ შოთა რუსთაველი ასე წარმოადგენს ბოროტი ძალის განადგურებას:

მაშინ ქაჯეთს მოიწა უსაზომო რისხვა ღმრთისა:  
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;  
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,  
ველზი მევდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

(რუსთაველი 1966: სტრ. 1401)

აშენავა, რომ მონუმენტურობის წესი სულიერ წყობას გამოხატავს. გამოსახვის მაღალ რეგისტრში ვხედავთ ავტორს, მის ხასიათსა და სურვილს, დააახლოვოს მკითხველი საგნებთან. პოეტი ესთეტიკურად ააქტიურებს აღქმის პროცესს, პროცენტორებას უკეთებს მკითხველის წარმოსახვას და ხდის მას ქმნადობის მონაწილედ.

მკითხველი დამოკიდებულია არა მარტო ტექსტზე, არამედ ავტორის ნებაზეც. სუბიექტურობის ხარისხი მაღალია.

რამდენადაც ძლიერია სუბიექტურობის ხარისხი, იმდენად დიდია ავტორის სურვილი, მკითხველს თავს მოახვიოს თავისი წარმოდგები; რამდენადაც ძლიერი, სუგესტიური, შთამაგონებელი ძალით მოქმედებს ავტორის ნება, იმდენად მკვეთრი და პლასტიკურია მის მიერ შექმნილი საგანი, მოვლენა, სივრცე.

პოლონელი ფილოსოფოსის რომან ინგარდენის ტერმინით რომ ვთქვათ, პოეტი ახორციელებს საგანთან დაკავშირებული წარმოდგენების აქტუალიზებას (ინგარდენი 2015: 154).

სადაც იწყება აქტუალიზება, იქვე ხდება კონკრეტიზებაც.

კონკრეტულია ჰიპერბოლის სტილისტიკური მიზანი – დაგვანახვოს საგანი ჭეშმარიტი არსით ისე, როგორც გამადიდებელ შუშაში.

განასაკუთრებულია „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ავთანდილი და განსაკუთრებულია მისი ლიმილიც, რომლის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. ამიტომ ავტორი მიმართავს პლასტიკას და მისი მეშვეობით სივრცის ათვისებას:

ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,

თავ-მოდრეებით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,

თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.

(რუსთაველი 1966: სტრ. 64)

პოეტი ბუნებასა და სიტყვის ბუნებრივ თავისებურებებს იყენებს იმისათვის, რომ შექმნას ზებუნებრივი სინამდვილე. მაგრამ ისე, რომ პლასტიკური მთლიანობა არ დაირღვეს, სტრუქტურა იყოს მყარი, გამძლე, დაცული გარე ზემოქმედებისაგან. ერთი სიტყვით, სტრუქტურა უნდა იყოს შეუვალი და დახშული.

ფილოსოფიაში არსებობს ასეთი ტერმინი ingenium – „სწრაფი გონება“, რომელიც გულისხმობს არა იმდენად ინტელექტუალურ

ძალას, რამდენადაც გამომგონებლურ უნარს, ფატაზიას, რომელიც დაკავშირებულია გრძნობებსა და შეგრძნებებთან (გოლენიშჩევ-კუტუზოვი 1964: 115).

ნიზამისა და რუსთაველის ingenium – „სწრაფი გონება“ მათ ჰიპერბოლისტურ აზროვნებაშიც გამოიხატება. ეს არის მათი პოეტური იდენტობა, მათი ხასიათი, მათი ენა, უფრო სწორად, მეტა-ენა, რომელსაც ისინი იყენებენ იმისათვის, რათა გახსნან არსებობის საიდუმლო და დაუკავშირონ ის გრძნობიერების სფეროს.

### დამონიშვანი:

**ბერტელს 1940:** Бертельс Е.Э. Великий азербайджанский поэт НИЗАМИ. Эпоха – жизнь – творчество. Баку: изд. АзФАН, 1940.

**გოლენიშჩევ-კუტუზოვი 1964:** Голенищев-Кутузов И. Барокко, классицизм, романтизм. ж. «Вопросы литературы», №7. 1964.

**ინგარდენი 2015:** ინგარდენი რ. „კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია“. ლიტერატურის თეორია. III. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: 2015.

**კეკელიძე 1974:** კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. XIII. თბილისი: „მეცნიერება“, 1974.

**ნიზამი 1974:** ნიზამი განჯელი..„ლეილი და მაჯნუნი“. ლირიკა. თარგმნა მაგალი თოდეუამ. თბილისი: „საბჭ. საქართველო“, 1974.

**რუსთაველი 1966:** შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**Poetic Canon as a Character  
(Nizami and Rustaveli)**

**Summary**

Nizami and Rustaveli. Traditional theme which is more than a tradition itself because these two figures themselves created something that is called culture. If poetry was not a living, ever-moving system of conventions, it would be much easier to discuss about typological parallels or comparativistic similarities, but the fact is that we have to look for similarities in the moving systems namely, in order to justify the viability of these systems.

Medieval culture is characterized by many common features, which determine the internal unity and typological similarities of different literatures. Poetic imaginations and identity of the forms of expression create tradition, a general picture within which such individual shining talents as Nizami and Rustaveli are realized.

## ნანა გონჯილაშვილი

### „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სახექმნადობის ტიპოლოგიური მიმართებანი აღმოსავლურ მწერლობასთან

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დაკვირვება გამოკვეთს მეტად საინტერესო განსახოვნებებს, რომლებიც რელიგიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის სფეროებში დამკვიდრებული ტრადიციული სახეებისა და სახე-იდეებისგან, სიმბოლოებისა და წარმოდგენებისაგან განსხვავდება. არაერთგზისაა აღნიშნული, რომ რუსთაველი დასავლეთისა და აღმოსავლეთის მწერლობათა წიაღში შემუშავებულ უნივერსალიებს პარადიგმული სახისმეტყველების კვალობაზე გარდაქმნის და ახალი შინაარსით ამეტყველებს. აღმოსავლურ მწერლობასთან ტიპოლოგიური მიმართებების თვალსაზრისით, საინტერესოა ჩვენ მიერ შესწავლილი რამდენიმე პარადიგმის, კერძოდ, თინათინისა და ნესტანის მიერ მიჯნურთათვის ნაჩუქარი სამხრე-სამკლავეების და მუშთარ-ზუალის განსახოვნებათა, კვლევა.<sup>\*</sup> სხვადასხვა ეპოქის შემოქმედთა ნააზრევის წარმოჩენა, მსგავსება-განსხვავებათა დაძებნა რუსთველური სახექმნადობების სპეციფიკას გამოკვეთს, რაც, თავის მხრივ, მხატვრული სახეების შინაარსის ინტერპრეტირების საფუძველს ქმნის. კვლევა-ძიებას ამ თვალსაზრისით წარვმართავთ.

თინათინისაგან ავთანდილისათვის ნაჩუქარი მარგალიტის სამკლავის სიმბოლიკას ეხმიანება რუსთაველის თანამედროვე ებრაელი პოეტის – მოშე იბნ ეზრას (XI-XII სს.) ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ერთგვარი ვედრებაა უფლისადმი:

კვლავ ალიძრიან ჩემი ფესვები  
რომ გარდასულთან ხიდი განიდოს  
სიბრძნის ზღვას ვნახავ,  
გადავეშვები  
ჩერს შევუყვები სამარგალიტოს.  
(მოშე იბნ ეზრა 1994: 113)

\* იბ. ჩვენი წერილები – ძლვენ-საჩუქართა სიმბოლური მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსნი“, ძიებანი, XXIV, გვ. 216-225; „ამას ჰგვანდეს ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“, ძიებანი, 2007, XXVIII, გვ. 80-94

აქ მარგალიტი გააზრებულია როგორც დიდი სიწმინდე და სიბრძნე. ლექსში „სიბრძნის ზღვა“ და „სამარგალიტო ჩქერი“ ლეთის სასუფევლის აღმნიშვნელია, რომელთანაც შეერთება წარსულსა და ანტყოს შორის გადებული ხიდითაა შესაძლებელი. ამ მიმართებით, „ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტის სამკლავე (სხვა დატვირთვასთან ერთად), შესაძლოა, გმირთა დრო-სივრცული კავშირის ურღვევობის და ღვთაებრივ სიწმინდესთან ზიარების სიმბოლოდ გავიაზროთ.

მარგალიტის, როგორც უმაღლესი ხელმწიფის, ღმერთის, სიმბოლოდ აღქმა, ჩნდება ჰაფეზის პოეზიაშიც:

და რომლის ბადალ მარგალიტს არა ჰელობს ზეცის ნიჟარა,  
ვინც სხვა ქვეყნების მეფენი მხევლებად შემოიჯარა,  
(ჰაფეზი 1970: 40)

– ამბობს პოეტი და მისთვის ღვთაება ის ერთადერთი მარგალიტია, რომლის ბადალი ზეციურ სასუფეველში არ მოიპოვება (მარგალიტის სიმბოლოს საღვთო სახელად და ქრისტიანული სახის-მეტყველებით გააზრება მოცემულია ჩვენს ადრინდელ ნაშრომში, რომელსაც სქოლიოში ვიმოწმებთ).

ნიზამი განჯელის ერთ ლექსში – „მიწის გამოსათხოვრად თქმული“ – მარგალიტი სულის სიმბოლოა –

... უცნაური გზები გელის.  
რწმენის საგზლით ივსე უბე,  
ხვატიანი გზებით ივლი,  
თან წაიღე ცრემლის გუბე.  
მარგალიტი თავის სადაფს  
დაუბრუნე ისევ უკან.  
(ნიზამი 1974: 87)

ნიზამისათვის სიკვდილის გზა უცნაურია, ძნელი გზაა და ამიტომაც რწმენითა და სინანულით, „ცრემლთა გუბით“ აღვსილი უნდა დაადგეს ადამიანი ამ გზას, რათა მთავარი მიზანი აღას-რულოს: მარგალიტი – სულის სიმბოლო – დაუბრუნოს თავის წიაღს – სადაფს, უფლის საგანეს, პირველსამყოფელს. ამ მიმართებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თინათინისა და ავთანდილის

შეწყვილებულმა სულებმა – „მარგალიტებმა“ – საბოლოოდ დიდი და ტკივილიანი გზის გავლით, რწმენითა და სინანულით უნდა მოიპოვონ საოცნებო, მათი წილი სამკვიდრო – უფლის წიაღში თავმისადრეკელი. ნიზამისეული მარგალიტის სიმბოლოს, „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით, შესაძლოა, სხვაგვარი დატვირთვაც დაეძებოს, უფრო მიწიერი – თინათინი თავის სულს – მარგალიტს – აბარებს ავთანდილს, ვითარცა სადაფს. მარგალიტის წიაღში დაბრუნება მიჯნურთა სულისა და ხორცის ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმება (გავიხსენოთ, უფალს „მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ჭორცთავსა ღმრთებით გამობრწყინ-დების...“ – საბანისძე 1963: 53).

მარგალიტის ზემოაღნიშნულ შინა-არსას ეხმიანება აზერბაიჯანელი პოეტის, იზ ედ-დინ ჰასანოღლის (XIII ს.), ერთი ლექსი, რომელშიც პოეტი საკუთარ თავს მარგალიტად წარმოსახავს, მარგალიტად, რომელიც ვერ თავსდება ორ სკნელს – მიწიერებასა და ზეციურობას – შორის და სულიერებით უსაზღვროა, ზღვაში დაუტევნელი, სივრცესა და დროშია განფენილი:

ჩემში სუფევს ორი სკნელი, თუმც ამ სკნელში ვერ ვთავსდები,  
უსივრცო ვარ მარგალიტი, სზღვარ-ველში ვერ ვთავსდები...  
ფარულ განძის კვალიც მე ვარ, მზირალისა თვალიც მე ვარ,  
მარგალიტის ალიც მე ვარ, ზღვაოდენში ვერ ვთავსდები.  
(ჰასანოღლი 2007: 29)

ლალი და მარგალიტი სახარების საუნჯედ, ბოროტებისა და უკეთურებისგან დამცავ რწმენის ფარად და კედლადაა აღქმული საიათნოვას ლექსში „მოდი იტვირთე!“:

ლალ-მარგალიტი სახარებისა  
ფარად იფარე, კედლად იკედლე,  
ნუცა დაუფენ ლალს და მარგალიტს  
ნინაშე ღორთა, საიათნოვა! (საიათნოვა 1986: 34)

საიათნოვა პოეტურ სიტყვაში გაცხადებულ, რწმენით ნასაზრდოებ სიწმინდეთ სახარებისეული ფრაზით ამონმებს და საკუთარ თავს მოუწოდებს, დაიცვას ეს წმინდა მარგალიტი. პოეტისათვის შემოქმედება ბრძოლას ემსგავსება, სიტყვის ხმლად მოქნევა კი, რომელიც ჭეშმარიტებითაა გაჯერებული და „მარგალიტის სვინაქ-

სრად”, წმინდა სიტყვად გაიაზრება, დამარცხება რომ არ უზერია. ამ მიმართებით, თინათინის ნაჩუქარი მარგალიტი ავთანდილისთვის რწმენის სიმტკიცე და ზღუდეა, დამცავი და დამფარავი „მტერ-თა ძლევის, ზღვათა ღელვისა“ და „ლამით მავნე“ სულებისაგან.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ თინათინისა და ავთანდილის განუწყვეტელი კავშირი დრო-სივრცულ განზომილებაში, განმტკიცებულია მარგალიტით – ზეციურობით და მარადისობასთან ზიარებას გულისხმობს („სიყვარული აგვამაღლებს...“). ამასთანავე, მარგალიტის ბოძებით თინათინი ავთანდილის ცნობიერებაში, თითქოს, თავის სახებას ალბეჭდავს; ჟამთააღმწერლის კვალიბაზე თუ ვიტყვით – „...ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს მარტოება“ (ჟამთააღმწერელი 1989: 893), თინათინი ობოლ მარგალიტს, სიმბოლურად, დაობლებულ სულს ავთანდილს ატანს.

ქალის სიმბოლოდ „ობოლი მარგალიტის“ მხატვრული სახე გამოყენებული აქვს ნიზამი განჯელსაც პოემაში – „ლეილი და მაჯნუნი“:

ის მარგალიტი ობოლი (ლეილი – ნ.გ.)

ამ სოფლის ჯავარს (მაჯნუნს – ნ.გ.) შევრთოთო!

(ნიზამი 1986: 93)

ლეილი „ობოლ მარგალიტად“ განიცდება მხოლოდ და მხოლოდ მიჯნურთან და მიჯნურობასთან მიმართებით. მიჯნური, სხვადასხვა გარემოების გამო, მარტო თავის გრძნობასთან; თინათინის მსგავსად, ავთანდილიც მოშორებულია თავის ტყუპ მარგალიტს და ამდენადაა „ობოლი“. ნიზამის პოემის მიხედვით, „ობოლი მარგალიტი“ შეიძლება აღნიშნავდეს არა მარტო მიჯნურ ქალს, არამედ მიჯნურ მამაკაცსაც:

მაჯნუნი ნეჯდის გორაკზე იჯდა დაღლილი ქვითინით,  
გვირგვინის თავში ჩასმული, ობოლი მარგალიტივით.

(ნიზამი 1986: 275)

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მარგალიტი ორივე გმირის მარტოსულობის გამაერთიანებელი სახეა.

ირანელი პოეტი აბუ საიდი (XI ს.) ერთ რობაიაში ჩივის თავის მარტოსულობას, ცხოვრების გზაზე მოყვასის გარეშე ყოფნას,

რომლისთვისაც გულის სიღრმეში დატევნილ მარგალიტებს არ დაიშურებდა:

ცეცხლში ვიწვი და მეგობარი არ გამაჩნია,  
შორეულ გზაზე თანამგზავრი არ გამაჩნია,  
მაქვს გულის ფსკერზე უამრავი მარგალიტები,  
მაგრამ ვის ვანდო, მეგობარი არ გამაჩნია.

(აბუ საიდი 1977: 286)

ამ მიმართებით, თინათინისა და ავთანდილის სულიერი თანაზიარობა, სიყვარულის ფიცით დამონშებული სულის საუნჯე-მარგალიტთა შეწყვილება ფიზიკურადაც გაცხადდა – სიმბოლურად, თინათინი შორ გზაზე მიმავალ სპასპეტს თავის გულის ნანილს, მარგალიტის სამკლავედ ასხმულს, მიჯნურს თანამგზავრად აახლებს.

როგორც ზემოაღნიშულიდან ჩანს, მარგალიტისა და „ობოლი მარგალიტის“ სახე-სიმბოლოები, ძირითადად, მძაფრი სიყვარულის თანმხელები, ზოგადადამიანურ სულიერ სამყაროს უკავშირდება.

თინათინის „ობოლმა მარგალიტმა“ ავთანდილს, როგორც ქრისტიან მხედარს, სულიერი მღვიძარება უნდა დაუმკვიდროს, ნების სიმტკიცე გაუძლიეროს; თინათინის სიყვარული, მშვენიერება, სიბრძნე „სიკვდილე გასატანი“ გახადოს, რასაც ის ითხოვს კიდეც თავის ლოცვაში ღვთის მიმართ – „და ნუ ამოჰთხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!“ (რუსთაველი 1966: 801); „და მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის – თქმათაო!“ (რუსთაველი 1966: 800). თინათინისეული მარგალიტით შემკულმა სამკლავემ უნდა გაამშვენიეროს ავთანდილის „სულის უდაბნო“. სულით ობლობის ერთგვარი თავშესაფარია მარგალიტი, იმავ-დორულად – სულიერი ქორნინების ცხადყოფა. მარგალიტი სიმბოლურად ხომ ქრისტიანული სიწმინდეა – „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუ დათრგუნონ იგი ფერჭითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მთ. 7, 6). ამასთანავე, მოვალეობასაც ახსენებს სპასპეტს თინათინის საჩუქარი – „პირველ ყმა ხარ,... მერმე, ჩემი მიჯნური ხარ“ (რუსთაველი 1966: 129). თინათინი თითქოს აფრთხილებს ავთანდილს დიდ ხიფათთან დაკავშირებულ გზაზე და მარ-

გალიტის სამკლავის ბოძებით სულიერი სიწმინდის შენარჩუნებასა და წრფელი სიყვარულის დაცვისაკენ მოუწოდებს.

ავთანდილის გზა უცნობ სამყაროში, მისი „მეუდაბნოეობა“ თინათინისაგან მიძღვნილმა მარგალიტმა, სიმბოლურად, რწმენის მარცვალმა უნდა წარმართოს. ეს გზა კი ტკივილის გზაა – „გზა ეწოდა, რამეთუ თქვა: „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებად და ცხორებად“ (საბანისძე 1963: 53). მარგალიტი სიმბოლოა, იმედია კვლავ მიბრუნებისა – „და მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე“ (რუსთაველი 1966: 130), – ამბობს თინათინი. სანუკვარი მიზნის მისაღწევად დიდი მოთმინება, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება ჰმართებს ავთანდილს. ნიზამი განჯელის თქმით კი: „ვინც ითმენს, მარგალიტები ზღვიდან იმ მყვინთავს ამოაქვს“ (ნიზამი 1974: 37).

ავთანდილი „ყოვლისა საფასისა წარგებითა და სისხლითა თვის-თაცა დათხევითა“ (საბანისძე 1963: 52), სარწმუნოებით ეძიებს და მოიპოვებს მას ერთს.

ომარ ხაიამი სწორედ ამგვარი გააზრებით მოიხმობს მარგალიტს და ამბობს –

ჭირში გამოვლილ მაშვრალს შვებას არგუნებს ბედი,  
იმარგალიტებს ნიჟარაში ტყვედემნილი წვეთი.

(ხაიამი 1977: 320)

ავთანდილი თავისი რაინდული სიტყვითა და საქმით ხდება მარგალიტის ღირსეული მფლობელი. სპასპეტი, ვაჭარი კაცის მსგავსად (იგი ვაჭრულად მოსილი შედის გულანშაროში და ასევე ვაჭრის ტანსაცმლით აპირებდა ქაჯეთში შესვლას) „კეთილ მარგალიტს“ ეძებს და მოიპოვებს კიდეც; სახარებისეული სიტყვები რომ მოვიხმოთ – „წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაცა ედვა, გამოიყიდა იგი“ (მათ. 13, 46), რადგან კარგად იცის ავთანდილმა, რომ „მარგალიტი არვის მიჰევდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (რუსთაველი 1966: 160).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან კავშირში საგულისხმოა ერთი გარემოება – რუსთაველი მარგალიტის სახე-სიმბოლოსთან მიმართებით მოიხმობს ქრისტიანულ მოტივებსა და სიმბოლიკას: „ვარდ-

სა ქაცვი მოაპოვნებს“, „სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“, „ცრემლი სდის ვითა ბისონი“, „მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე“. პოეტის მიერ მარგალიტის სახე-სიმბოლოს ამგვარ არეალში მოქცევა მისი ქრისტიანული შინაარსით წაკითხვის საფუძველს ქმნის.

მარგალიტის სამკლავის პარადიგმული პოტენციის გამოვლენაში, როგორც აღნიშნა, გვეხმარება ტიპოლოგიური კვლევა-ძიება, რაც, თავის მხრივ, აფართოვებს მის სახისმეტყველებით არეალს. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო ნიმუშებია წარმოდგენილი აღმოსავლურ პოეზიაში.

მარგალიტის ქალის ხატებად აღქმა გვხვდება „ვისრამიანში“. რამინი გულში – სადაფში, ჩასმულ მარგალიტად სახავს ვისის და ღმერთს შესთხოვს მისგან განუშორებლობას: „გული ჩემი სადაფი არის და შენ შიგან – მარგალიტი. ჩემი მკერდი ცა არის და შენ მას ზედა – მასკვლავი. ღმერთმან ესე სადაფი უმარგალიტოდ ნუ გახადოს და ესე ცა – უმასკვლავოდ“ („ვისრამიანი“ 1982: 347).

უძგირფასესი მარგალიტი, რომლის მოპოვება სიკვდილის ფასადაა შესაძლებელი, რამინის სიმბოლოდაცაა წარმოდგენილი ვისის მეოთხე წიგნში: „ვაჭრისაებრ ძრვასა შევედ, რომელ ცოცხალი გამოსლვასა აღარ ეჭვდა და სახელმწიფოსა თვალ-მარგალიტს ეძებდა“ (იქვე: 452). გავიხსენოთ ავთანდილის შერმადინთან საუბრისას ნათქვამი სიტყვები თინათინთან დაკავშირებით: „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (რუსთაველი 1966: 160).

თინათინისგან ავთანდილისთვის ნაჩუქარ სამკლავესთან რემინისცირდება „ვისრამიანის“ ერთი ეპიზოდი – ვისიმ და რამინმა ერთმანეთს სამარადისო სიყვარული შეჰვიცეს, „და ერთი იისა კონა მისცა ხელთა (ვისიმ – ნ.გ.) რამინს და ეგრე უთხრა: – ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახევდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დავისწავლი: სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ვჰნახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღემოკლე ვარ, ოდესცა ესე ფიცი გავტეხო, ღმერთი უარ ვქმნაო“ („ვისრამიანი“ 1982: 321). მართლაც, გულიზე დაქორწინებულმა რამინმა იის კონა როცა დაინახა, გაახსენდა ვი-

სი და მისი ფიცი. ეს გახდა რამინისათვის ერთგვარი ბიძგი ვისის-თან დასაბრუნებლად.

თინათინ-ავთანდილის მარგალიტი, განსხვავებით ვისისა და რამინის ია-ვარდისაგან, თავისი „სულითა და ხორცით“ უჭკნობი და დღეგრძელია, უძვირფასესი და სხვაგვარ სიმაღლეებს მიწევნული. „ვისრამიანის“ ეს ეპიზოდი ავთანდილ-ტარიელის გარდობისთვის ფიცსაც გაგვახსენებს.

ამასთანავე, რამინისათვის მარგალიტი-ვისი სიცოცხლის იმე-დია, როგორც ავთანდილისათვის მარგალიტი – „სიცოცხლის სა-იმედი ნიშანი“: „წავალ, მარგალიტთა თავისა სადაფისაგან გამოვე-ძებ, წავალ ჩემისა სიცოცხლისა იმედსა ჩემთა სულთაგან ვეძებ“, – ამბობს რამინი („ვისრამიანი“ 1982: 476).

ფირდოუსის პოემაშიც – „მანუჩარი“, მარგალიტი ერთგან ქალის აღმნიშვნელი მეტაფორაა: „მარგალიტს ჰგავდა შემოსილი მარ-გალიტებით“ (ფირდოუსი 1976: 38), – ნათქვამია რუდაბეზე. აქვე, მარგალიტს სხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს:

მთელ ღონეს ვიხმარ,  
თვალმარგალიტის ხედ აღმოვხვდე იმ ადგილს ზედა,  
თვალი დავუტკბო გზად მიმავალს, ვაყოფო მხნედა“.  
(ფირდოუსი 1976: 44)

– ამბობს გამიჯნურებული რუდაბე. გმირისათვის „თვალმარგა-ლიტის ხედ“ გარდაქმნა ადამიანური შესაძლებლობის უდიდესი ძალისხმევის ფასად მიიღწევა; ბუნებაში არარსებულის განხორ-ციელება მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. აქაც სიყვარულია ის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც მარგალიტის მხატვრულ სახეს უკავშირდება. ამ მიმართებით, თინათინის მარგალიტიც გზად მი-მავალ ავთანდილს თვალს უტკბობს და სულის მხნეობას ჰმატებს.

ნიზამი განჯელისათვის მარგალიტი ქალწულებრივი სიწმინდის, უბინოების სიმბოლოდ აღიქმება:

ლექსებსაც თხზავდა ლეილი, სიბრძნე ლექსისა იცოდა,  
მას გაუხვრეტელ მარგალიტს, ძალედვა, – არ მნადს ქენება,  
ლექსების მარგალიტები ეხვრიტა როგორც ენება.  
თავად უბინო ქალწული, – უნდა მერწმუნოთ უფიცოდ –  
ლექსებს წერდა და რა ლექსებს! – სულ ქალწულივით უბინოს“.  
(ნიზამი 1986: 50)

პოემიდან როგორც ჩანს, ლეილი თვით „მარგალიტების საბადო“ (იქვე: 45), სიბრძნის, ლექსთა ქალწულიებრივი უმანკოების – მარგალიტების – მცოდნე და ხელოვანი გამომთქმელია.

ლეილის მსგავსად, უბიწო ქალწული თინათინი, სიმბოლურად უბიწო სიტყვას – „მარგალიტს“ – ფლობს და მისი „სიბრძნის“ მცოდნეა. იგი ქალწულებრივი უმანკოებით ავთანდილთან სიყვარულის ფიცს დებს და მას მარგალიტით ამონმებს.

ნიზამი განჯელის ლირიკაში „მარგალიტს“, ვითარცა მშვენიერებისა და სილამაზის გამომხატველ პატიოსან თვალს და ვითარცა სიმბოლოს, ხშირად ვხვდებით. ლექსში „სიტყვის მწონავი მოვიდა“ მარგალიტი პოეტური სიტყვის სიმბოლოა:

სიტყვის მწონავი მოვიდა,  
საქმე არ გახლავთ ადვილი.  
ჩვენს მარგალიტებს გასინჯავს, –  
ყალბი არის თუ ნამდვილი.  
(ნიზამი 1974: 40)

„პატიოსანი თვლების გამყიდველი“ ნიზამი ყალბ მარგალიტს (ყალბ ლექსს) ალიზს ადარებს („მარგალიტი გაქვს, გგონია, თურმე გქონია ალიზი“ – იქვე: 62) და ცოტასა და კარგის – „ვით მარგალიტი ჭიოტას“ (იქვე: 62) – თქმას ამჯობინებს. იგი მიმართავს პოეტებს, გაფრთხილდნენ, რადგან სიტყვის ოსტატი, შემოქმედი „მარგალიტს უნდა ხვრეტდეს“ და „ნაჯახს არ უნდა იშველიერდეს“. ნიზამისათვის, რომელიც „აურაცხელი განძის“ მფლობელად მიიჩნევს თავს, „პირთამდე სავსე გონებით“, მარგალიტი პოეზიაში გაცხადებული სიბრძნის სიმბოლოა –

განძის მთა მიდგას, გამიდის  
თვალ-მარგალიტის რუები.  
(ნიზამი 1974: 58)

– ამბობს პოეტი და უშურველად გასცემს საუნჯეს, მყიდველებსა თუ მპარავთ დაუფარავად სთავაზობს, „უმასპინძლდება“ სტუმრებს ამგვარი ქონებით (აქ გვაგონდება იოვანე საბანისძის მიმართვა მკითხველისადმი: „... მასპინძელ ექმნენით სიტყვათა ამათ ჩემთა...“ – საბანისძე 1963: 49) და ერთგან ჩივის კიდეც, რომ პოეტურ სიტყვას, „ჭიოტა მარგალიტს“, არ ჰყავს „მუშტარი“, მსინჯავი –

მუშტრებს დაევსოთ თვალები,  
ქესატობაა ძალიან.  
არვინ მისაღებს მარგალიტს,  
მისთვის არავის სცალია.  
(ნიზამი 1974: 48)

ამ მიმართებით, „წყნარი და ცნობილი“ თინათინის „ჭიოტა მარგალიტი“, შესაძლოა, სიბრძნის საუნჯის სიმბოლოდ მივიჩნიოთ, ჭეშმარიტი სიტყვის სიმბოლოდ, რომელსაც როსტევანის ასული უშურველად და სიყვარულით გასცემს, გაიღებს, ვითარცა გულუხვი მასპინძელი „სიტყვის მწონავი“, მარგალიტის დამფასებელი ძვირფასი სტუმრისათვის – ავთანდილისათვის; რომელიც, თავის მხრივ, ტკბილი სიტყვითა და „მღერით“ მთელ სამყაროს მოჰყენს თავისი სულის წუხილს – „ლექსთა საბრალოთა“, თინათინის სიყვარულის საგაღლობელს, „მარგალიტებად დახვრეტს“ და სულიერთა და უსულოთ განაცდევინებს ჭეშმარიტი გრძნობის, მიჯნურობის ჰანგთა ჰარმონიას.

თინათინისგან მარგალიტის სამკლავის ავთანდილისათვის ჩუქების ეპიზოდთან, გარკვეულწილად, რემინისციონდება ნიზამი განჯელის ლექსი – „გუშინ გამოჩნდა მუშკის ფარდიდან“, სადაც სატრფო განშორების უამს ეკითხება პოეტი:

„.... მითხარ, ნიშანი რა დაგიტოვო,  
ამ ბედნიერი დღის სახსოვარი?“  
მე მხოლოდ კოცნა ვთხოვე ვედრებით  
და შემდეგ ენა ვეღარ დავძარი.  
პასუხად ერთი ცრემლი დამეცა,  
მან გამიჩნია გულში ხანძარი.  
(ნიზამი 1974: 52)

და როგორც ავთანდილი მარგალიტის სამკლავის მიღების შემდეგ ნატრობს თინათინის სიზმრად ნახვას, ნიზამიც სატრფოსაგან მარგალიტის ცრემლის ჩუქების შემდეგ განაცხადებს:

შირგან-შაჰის მზეს ფიცავს ნიზამი,  
სიმართლე შაჰს არ დაემალება,

სატროფოსთან ცხადად არა ვყოფილვარ,  
თურმე მარტოდენ ვნახე ზმანება.  
(ნიზამი 1974: 52)

მარგალიტი საუკეთესო, „ძვირფასი“ ლექსის აღმნიშვნელია  
ჰაფეზის პოეზიაშიც:

ჰაფეზ შენდა სადიდებლად ზეალმოვლენ ვარსკვლავები  
ძვირფას ლექსთა მარგალიტი აჰკინძე და აღალანდი.

(ჰაფეზი 1970: 33)

ამგვარ მარგალიტთა ასხმა და „აღალანება“ პოეტის სადიდე-  
ბლად ვარსკვლავებს ამოაბრნყინებს. ჰაფეზისათვის საიდუმლო  
სიტყვაც შესაძლოა, მარგალიტად იქცეს. ლექსის მარგალიტს შე-  
უძლია უთქმელი სიტყვის გამოთქმა:

საიდუმლოთა მარგალიტს დავხვრეტ და ავაციმციმებ,  
გულიდან ჩამოვიშორებ უთქმელი სიტყვის სამძიმეს,  
(ჰაფეზი 1970: 88)

– ამბობს პოეტი.

თინათინისა და ავთანდილის სიყვარული პოეზიაა. მათს მარ-  
გალიტში, სიმბოლურად, საიდუმლო მიჯნურობის სიტყვაა ჩადე-  
ბული. თინათინის მარგალიტი („მის მზისა მკლავსა ნაპამი“) იმ „ხე-  
ლიხელ საგოგმანებელ მარგალიტად“ აღიქმება, იმ დიდი სიბრძნის,  
სიყვარულისა და სიკეთის საუნჯედ, რომელსაც „და აქმადე ამპად  
ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი“ (რუსთაველი 1966: 7) – „ვეფხის-  
ტყაოსანი“ – წარმოადგენს.

აღმოსავლური პოეზიისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსან-  
ში“ მარგალიტს, მსგავს მნიშვნელობებთან ერთად, სხვაგვარი  
სიმბოლური დატვირთვაც აქვს, რაც ლიტერატურული წყაროების  
განხილვითაც დასტურდება (განხილულია ჩვენს ზემოდასახელე-  
ბულ წერილში)

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების სამხრე-სამკლავეთა პარადიგმუ-  
ლობის დადგენაში გვეხმარება ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთი შე-  
სატყვისი ეპიზოდი. „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ სახე-სიმბოლო-  
ებთან ამ მიმართების შესწავლა, საიტერესო კუთხით წარმოაჩენს  
მათს დატვირთვას.

მძივის ძვირფასი სამკლავე ამშვენებს „როსტომიანის“ გმირს – ზურაბს. თავდაპირველად იგი როსტომ ფალავნის სამკლავე იყო –

პილოტანსა მძივი ება ძვირფასისა, არ დასაგდო,  
შეიხსნა და ქალსა მისცა, მისეულად მან დააგდო.  
(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 23)

როსტომმა მძივი ფეხმძიმე თუმანს იმ პირობით მისცა, რომ ვა-  
ჟის დაბადების შემთხვევაში, მას მკლავზე შეაბამდა —

ფალავანს მკლავსა შეაბი, ღრუბელთა სულთა აფრქვევდეს.  
(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 213)

თუმანმა ზურაბს ბრძოლაში წასვლის წინ სამკლავე დანაბარე-  
მისამებრ უბოძა. ამ საჩუქარში დედის იმედი იყო ჩაქსოვილი —  
როსტომის მძივი ოდესმე მაინც დახმარებას გაუწევდა შვილს —

მუნ დედაჩემი მოვიდა, ტირს მკვდარსა დაედარების,  
მან ესე მძივი მიბოძა, რომელი მკლავსა არ ების,  
და დამვედრა, მამისეულმა, ნახე, სად მოგეხმარების?  
(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 236)

— უამბობს მამას მასთან ორთაბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრი-  
ლი ზურაბი. მძივის სამკლავემ ვერ დაიცვა ფალავანი, ავმა ბედმა  
უხმარ ნივთად აქცია იგი —

მძივი თქვენგან ნაბოძები არად ჩემთვის უხმარია,  
ბედი ავი გამიმლაშდა, შავი ეტლი გამერია  
და მამის ხელით დალახრული უპატიოდ მკვდარი ვძია,  
(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 236) — ამბობს ზურაბი.

როსტომმა სწორედ ამ მზის სადარი სამკლავით იცნო თავისი ძე —

მერმე გაუხსნა ხაფთანი, ელვა გამპჰკრთა, მზე ვითა,  
მძივი იცნა და ატირდა როსტომ, ყვიროდა, მთა ვითა.  
(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 236)

შვილის სიკვდილით შეძრული თუმანი მოთქვამს. მის გლო-  
ვაში კვლავ მძივის სამკლავე ჩნდება. დედას სჯეროდა, რომ

როსტომისათვის სამკლავის ჩვენებით ზურაბი სიკვდილს გადაურჩებოდა –

რად არ უჩვენე მანამდის ეგ მძივი იმათეული?

(„როსტომ-ზურაბიანი“ 1949: 243) – ტიროდა თუმანი.

„როსტომინანის“ მიხედვით, მძივის ძვირფასი სამკლავე როსტომის ვაჟკაცობის, ფალავნობის სიმბოლოა. მან საკუთარი ღირსების რეგალია გადაულოცა მომავალ ძეს იმ იმედით, რომ ზურაბი სახელოვანი გმირი დადგებოდა. ამასთანავე, თინათინის მარგალიტის სამკლავის – „სიცოცხლის საიმედო ნიშნის“ მსგავსად, ზურაბის სამკლავეში ჩაქსოვილია დედის იმედი, რომელიც ერთგვარი წინაპირობაა შვილის ხსნისა და გადარჩენისა. ისიც მამისეული სითბოს, სიყვარულის, სიკეთის შემნახავი მძივია და ზურაბს განუშორებლად ახლავს თან. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სამხრე-სამკლავეთაგან განსხვავებით, მისი მფლობელი ბედისწერის მსხვერპლი ხდება და მარცხდება. სამკლავემ ვერ იხსნა გმირი, რადგან მისი ბრნყინვალება „ხვაფთანის“ ქვეშ იყო დამალული, მისი მზე „დაბნელებული“ იყო.

ამის საპირისპიროდ, რუსთაველის პოემის გმირები მას გაცხადებულად ატარებენ. მათი სულიერი ენერგია და მხნეობა მიჯნურთაგან ნაპოძები ამ ერთადერთი ნიშნით მყარდება და ცოცხლობს.

ნიზამი განველის „შვიდი მზეთუნახავი“ მძივის სამკლავე და-ქორწინებისა და დიდი სიყვარულის ნიშან-სიმბოლოდ აღიქმება. ნითელი სასახლის ამბავში რუსთა მეფის მზეთუნახავმა საქმროებს პირობად დაბრკოლებათა გადალახვა დაუწესა. ვერვინ შესძლო მოთხოვნების შესრულება. ბოლოს ერთმა რაინდმა მიაღწია მიზანს, მზეთუნახავის გამოცანებიც ახსნა. ერთ-ერთი პასუხის დროს რაინდმა მას ცისფერი მძივი გაუგზავნა. მზეთუნახავმა მამას აუხსნა ამ ქმედების აზრი და თავისი პასუხიც:

მე რომ ის მძივი მაშინათვე  
მკლავზე შევიბი,  
ამით ვუთხარი: თანახმა ვარ,  
გამოგყვე-მეთქ! (ნიზამი 1986: 135);

როცა დაქორწინდნენ, ყრმამ –

მკლავზე უნახა მისი მძივი  
ხელმწიფის ასულს,  
ხოლო თვალებში მისი ტრფობა  
ამოიკითხა (ნიზამი 1986: 137).

მიჯნურთა მიერ ძვირფასი მძივის სამხრე-სამკლავეთა ძღვნობა, როგორც ჩანს, კველგან სიყვარულის დამამოწმებელი, ერთგულების, მეუღლეობრივი ფიცის ან მომავალი ქორწინების ნიშან-სიმბოლოა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამხრე-სამკლავის ბიბლიურ წანამძღვრთა და აღმოსავლურ პოეზიის ნიმუშებთან ტიპოლოგიურ მიმართებათა დაძებნა თინათინის მარგალიტის სამკლავეში ორ-საფეხუროვანი სიმბოლიკის არსებობას გვაფიქრებინებს: 1. მარგალიტი – აერთიანებს ძველი და ახალი აღთქმის, აგრეთვე აღმოსავლური პოეზიის შესატყვის სიმბოლიკას, ქრისტიანულის აქცენტირებით. მარგალიტი სიმბოლოა ქრისტესი (სულისა და ხორცის მთლიანობა); მარადისობასთან მიახლებისა; იგი ჭეშმარიტი რწმენის მარცვალია, ქრისტიანული სიწმინდეა, ხორცშესხმული, უბინო სიტყვაა და პოეზია; სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულის, მშვენიერების შესატყვისია; სითბოს, სახიერების შემნახავი თვალია, სიცოცხლის ნიშანია, ქალწულებრივი უმანკოების, საიდუმლო მიჯნურობის, უთქმელი გრძნობის საფიცარი ხატია; მარტოსულობის (ობოლი მარგალიტი) და, იმავდროულად, სულიერი მღვიძარების, მხნეობისა და სიმშვიდის დამნერგვია;

II. სამკლავე სიმბოლოა ღვთაებრივი სიწმინდისა და მადლისა, საღვთო მიჯნურობისაკენ სწრაფვისა; რჯულითა და სიყვარულით გამყარებული ადგილია, „შუენიერი“ ერთობის დამნერგავი და მფარველი; სამეფო რეგალიაა, პატივისა და დიდების, სიბრძნის ნიშანი; მძიმე „ტვირთია“, მოვალეობა და პასუხისმგებლობაა; იგი ნიშნობის სიმბოლო და წმინდა ოჯახის შექმნის ერთგვარ წინაპირობად აღიქმება; ორივე სიმბოლო ერთად კი ძველი და ახლის კავშირს გულისხმობს, წარსულის საფუძვლის ქრისტიანული სულიერებით დატვირთვას მოასწავებს. ძველი და ახალი პლასტების რუსთველისეული განსახოვნების ეს სავარაუდო ურთიერთკავშირი პარადიგმული სახისმეტყველების მაჩვენებელია.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამხრე-სამკლავების სიმბოლურსა და პარადიგმულ ხასიათს. არქეტიპული ძირებისა და ტიპოლოგიური მიმართუებების შესწავლა კი ახლებური კუთხით წარმოაჩენს მათს სახის-მეტყველებას. აღნიშნულ განსახოვნებათა რუსთველური მოდელი აერთიანებს აღმოსავლური ლიტერატურის და ძველი და ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებს, ქრისტიანულ მოტივთა აქცენტირებით. ამგვარი ერთიანობა კი მათი ზოგადსიმბოლური მნიშვნელობის მაჩვენებელია.

აღმოსავლურ მწერლობასთან ტიპოლიგიური მიმართუებების ძიებისას „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკიდან მუშთარისა და ზუალის განსახოვნებებმა მიიქცია ყურადღება. ავთანდილის მნათობებისადმი „გალობას“ ეხმიანება ჯალალ ედ-დინ რუმის (XIII ს.) ვარსკვლავებისადმი მიმართვა:

... ეჰე, ვარსკვლავნო, განახვენ ბაგე!  
საჩინო ჰყავი, რომ ჰგიებ ჩემში.  
და ნაწილაკი ყოველი ჩემი  
შენთან უბრობს და გაბრუვდა შენში:  
— „მე ვარ ოსტატი იმ კამათლისა,  
გასართობად რომ გიჭირავს ხელში“.  
(რუმი 1977: 370)

პოეტი, როგორც ჩანს, ვარსკვლავებს ესაუბრება და მათგან ნიშანს ითხოვს, რათა მის სულში მყოფობა დაადასტურონ (შდრ. ავთანდილთან – „აპა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან..“ – რუსთაველი 1966: 953). ჯალლალ ედ-დინ რუმი, ავთანდილის მსგავსად, თავისი „ყოველი ნაწილაკით“, მთელი არსებით შეიგრძნობს ვარსკვლავთ (ავთანდილი ყოველ ვარსკვლავთან საერთო თვისებას წარმოაჩენს, რითაც მათთან თანაზიარობას ავლენს). იგი თავს ოსტატად მიიჩნევს „იმ კამათლისა“, რომელსაც, სავარაუდოდ, ბედი ჰქვია და რომელსაც ვარსკვლავები თავის გასართობად ათამაშებენ. ამდენად, რუმის თქმით, თავად არის საკუთარი ბედის „გამომჩალხველი“.

საკუთარი ბედის „გამომჩალხველია“ ავთანდილი. იგი ლერთს და თავის თავს მინდობილი რაინდია და, შესაბამისად, ვარსკვლა-

ვიანი ზეცა მისი შინაგანი სამყაროს სურათია და რუსთველის მიერ მხოლოდ მხატვრული განსახოვნებისათვისაა მოწოდებული. მუხთალ სოფელთან და ბედთან მებრძოლი აკთანდილი, „სევდისა მუფარახი“ და „ცნობიერთა დასტაქარი“, ცხოვრების პრინციპად „ცდას“ აღიარებს – „ბედი ცდაა, გამარჯვება, ლმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“, რომლის წარმატება ლვთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

„ამგვარად, მუშთარის მნიშვნელობა ასტროლოგიურია და მისი თვისებანი ერთი ხაზის მოსმით გამოხატული და ძლიერი ხელოვნებით შესრულებული“, – ასკვნის ვ. ნოზაძე ამ ეპიზოდის გან-ხილვისას (ნოზაძე 1957: 86).

ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნის“ მთელი ერთი თავი ვარ-სკვლავიანი ღამის აღწერას ეძღვნება. აქ მუშთარ-იუპიტერი „ბორჯის“ სახელნოდებითაა მოხმობილი, შაჰის სიყვარულითაა დამოწმებული და ბედნიერების გამგეა:

ბორჯის შაჰის სიყვარულითაა ბეჭედდასმული,

რომელსაც ქვეყნის ბედნიერება უპყრია ხელთ.

(ნიზამი 1972: 67-68)

მაჯნუნი, ავთანდილისაგან განსხვავებით, შვიდ მნათობთაგან მხოლოდ ზუპრასა (ცისკრის ვარსკვლავს) და მუშთარს ევედრება, სიყვარულში შემწეობას შესთხოვს. მაჯნუნისათვის „დიდი ბედის ვარსკვლავი“ – მუშთარი – ბედნიერების, სამართლიანობის, ომისა და გამარჯვების გამგეა; მასთან შეხვედრისას მაღლდება მისი სული. ამიტომაც მუშთარს, როგორც „ქვეყნის სამართლიანი საქმეებისადმი ერთგულს“, „წყალობის წერილთა მწერალს“ და მთელი სამყაროს დამტევნელს („შენ სახეშია გაშლილი მთელი სამყარო“ – იქვე: 73), მიჯნური ვედრებით მიმართავს:

ჩემი ბედი შენგანაა ამალებული,

გული ჩემი შენგანაა ძალმოსილი.

შემომხედვე წყალობის თვალით,

თუ იცი წამალი, მარგე რა.

განმარიდე უბედურება,

გააკეთე ის, როგორც შეშვენის გმირს.  
მიჯნურისაგან რამე ნიშანი მომიტანე,  
მიპოვე ვარდნარიდან გადაკარგული ვარდი".  
(ნიზამი 1972: 73)

მოხმობილი ტაეპებიდან როგორც ირკვევა, მაჯნუნი მუშთარი-  
საგან თანაგანცდას ითხოვს და „დაკარგულ“-„გადაკარგული“  
სატრფოს მონახვას და მისი რაიმე ნიშნის მიტანას ემუდარება. ამ  
მიმართებით, ავთანდილის თხოვნა განსხვავებულია. უპირველეს  
ყოვლისა, მას თინათინისგან ნაბოძები „სიცოცხლისა საიმედო ნი-  
შანი“ თან აქვს და, რაც მთავარია, მისი მიჯნური, როგორც თავად  
ამბობს:

„ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის, მორჭმული ღმრთისა ნებითა,  
საკრძალავი და უკადრი, ლალი, არვისგან ვნებით-ა,  
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა...“  
(რუსთაველი 1966: 1460)

ამდენად, მისი თხოვნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესად  
„მართალი სამართლის“ ქმნას ეხება.

მაჯნუნის ვედრებაში „პირმტკიცე“ მუშთარი ადამიანთა შეწევ-  
ნის „წიგნის მწერალი“ ვარსკვლვია. ამიტომაც „გვიანი სტუმარი“  
– მაჯნუნი – მას ჭირთა და ვნებათაგან დახსნას სთხოვს და იმავ-  
დროულად სვე-ბედისა და ძალის მიმნიჭებლად მიიჩნევს:

ეჲა, მუშთარო, შენ გესავ  
შენი სტუმარი გვიანი,  
ძალსა და ძლევას შენ მაძლევ,  
შენით ვარ თუ ვარ სვიანი.  
(ნიზამი 1974: 283)

მნათობებისადმი ვედრებაში ნიზამი განჯელისა და რუსთავე-  
ლის გმირები სიყვარულში შემწეობას, მიჯნურებთან მოციქულო-  
ბას ითხოვენ, მათი ბუნების შესატყვის ქმედებას ელიან და, ამ  
შემთხვევაში, მუშთარ-ბორჯის (ასტროლოგიური შეხედულების  
კვალიბაზე) მსგავსი სახასიათო შტრიხებით იხსენიებენ (სამარ-  
თლიანი, ბრჭე, მიუდგომელი, მართლად გამკითხავი), თუმცა  
მაჯნუნის ვედრებაში ბორჯის გავლენის სფერო უფრო მასშტა-

ბურია; შესატყვისად, მისდამი თხოვნაც – მრავალმხრივი, ვიდრე – ავთანდილის „გალობაში“, როგორც მას ვ. ნოზაძე უწოდებს.

შუა საუკუნეების ეპრაელი პოეტი შამუელ ჰანაგიძი შვილისადმი, იოსებისადმი, მიძღვნილ ლექსში „გამარჯვების საგალობელი“ „ცის დარბაზებს“ შეპლალადებს და უსტარს ანდობს საკუთარ განზრახვას:

– გასწი, გაფრინდი, ჩემო უსტარო,  
ჩემო კუშტო და ჩემო უშტარო,  
რომ ზენაარის საუფლოებში  
ამამზევო და  
ამამუშთარო (ჰანაგიძი 1994: 24).

შამუელ ჰანაგიძისათვის ზენაარის საუფლოში მიწევნილი გამარჯვების საგალობელი მისი „ამუშთარების“, „ბედნიერების დიდ ვარსკვლავად“ გადაქცევის სანინდარია. ამ მიმართებით, ავთანდილისთვისაც წყდლულთა განკურნება, მიჯნურ გულთა შორის სიმართლის გაბრჭობა და „უმართლესის“ აღიარებაც მისი თხოვნის დამოწმება – „ამუშთარებაა“.

მუშთარი, ვითარცა „ბედნიერების წყარო“, სამართლიანობისა და სათნოების ვარკვლავი, წარმოჩენილია მაჯნუნის მნათობისადმი ვედრებაში:

ვინც მორჭმულობის წყარო ხარ  
და ძლევის ნიშნად იქები  
ცხრა მთის იქითაც გააძვრეს  
მტერს შენი სიქით სიქები.  
(ნიზამი 1972: 284)

მუშთარი, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ლეილისა და მაჯნუნის“ ზე-მოაღნიშნული სტროფებიდადან როგორც ირკვევა, გმირთა ბედის მოსარჩევე, მათი თანამდგომი და კეთლისმყოფელი პლანეტაა. ამ შემთხვევაში მას, როგორც „მართალსა ბრჭესა ღმრთულსა“, ღვთა-ებრივი სამართლის, „უმართლესის“ განკითხვისა და განმკითხველის, დამმოწმებლის ფუნქცია აკისრია. პოემებში მუშთარი მართალი ადამიანების ქომაგია როგორც ჭეშმარიტი სიყვარულისა და მშვიდობის, ისე ომიანობის დროს.

მუშთარისა და მთვარის შეყრა მიჯნურთა შეხვედრის აღსანიშნად მოცემულია „ვისრამიანში“. მძინარე შაპს ვისიმ ძიდა მიუწვინა, თავად კი ბალში რამინთან ჩავიდა: „ნარგისი და ვარდი ზამთრისა ერთგან შეიყარნეს, შვენოდეს ერთგან, ვითა მთვარე და მუშთარი, ვითა კვლა გვარიანობა და სიმდაბლე“ („ვისრამიანი“ 1982: 362). ჩვენი აზრით, მუშთარი აქ რამინს მიემართება, მთვარე – ვისიმ. მიჯნურთა შეხვედრის ასტრალური სიმბოლიკით წარმოდგენა ამ პლანეტათა ბუნების შესატყვისი მახასიათებლებით აიხსნება: მთვარე – სიყვარულის შემწე, სიყვარულის ძალის მიმცემი, მუშთარი – ბედნიერების, სამართლიანობის ვარსკვლავი. „ვისრამიანში“ მნათობთა აღნიშნული შეხვედრა, ასტროლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენად არ მიიჩნევა და მიჯნურთა რიგითი შეყრის დასასურათებლად იმდენად ღრმა შინა-არსის შემცველი მხატვრული სახე არაა, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის“ მუშთარ-ზუალის ერთად დგომის ბრწყინვალე, იშვიათი მოვლენა და სახე-სიმბოლოდ გასააზრებელი.

მუშთარის ქალის სახესთან შედარება (რაც იშვიათად გვხვდება) იძებნება ნიზამი განჯელის პოემაში „ლეილი და მაჯნუნი“. ლეილი, რომელიც არ იმჩნევს მაჯნუნის ტრფობას, პოეტის შეხედულებით მუშთარს ემსგავსება, ალბათ, როგორც ბედნიერების მომტანს:

მაგრამ იმ მთვარის გარშემო  
მისი ტრფიალით უშტარი  
ვითა მუშთარო, მოჯარდა  
ასი სასიძო – მუშტარი.  
(ნიზამი 1972: 237)

ნიზამი განჯელი მუშთარს კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს „შვიდ მზეთუნახავში“ ნითელი სასახლის ამბის გადმოცემისას, რუსთა მეფის უმშვენიერესი ასულს ყველა სხვა სიკეთესთან ერთად – „... მუშთარისაგან შეეძინა გულოვანება“ (ნიზამი 1986: 106).

„ვეფხისტყაოსნის“ მუშთარ-ზუალის შეყრის მეტაფორულ სურათში ტარიელის სახის მუშთართან მიმართებას თუ დავუშვებთ, მაშინ ნესტანის სახე-ხატად ზუალი უნდა მივიჩნიოთ.

ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნში“ ქეივანი-ზუალი შაპის ერთგულ და სიყვარულით გამსჭვალულ პლანეტადაა წარმოდგენილი, რომელიც მუდმივ საომარ მზადმყოფნაშია:

ქეივანი შაჰისადმი დიდი სიყვარულით  
განმსჭვალული მახვილს ლესავს.  
(ნიზამი 1972: 68)

„ვეფხისტყაოსნის“ ზუალ-კრონისიც ხომ (რომელზეც ქვემოთ  
ვისაუბრებთ) ომის, დამანვრეველი ძალის მპყრობელი, ხმალშე-  
მართული მეომარია.

სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის პირველი დიდი პოეტი რუდაქი  
თავის „სიბერის ელეგიაში“ მოიხსენებს „უბედურების შავ ვარსკ-  
ვლავს“ – ქეივან-ზუალს და თავდაპირველად მას მიაწერს სიყმანვი-  
ლის, ახალგაზრდული იერისა და ბედნიერების დაკარგვას, შემდგომ  
კი – უფლის განგებას:

როგორ დამნავსა ზუალმა,  
როგორ ავიკელ ამ ცითა!  
არც ზუალს ვერჩი არაფერს,  
არც უამთა მახის დაგებას,  
ეს ვისგან მოხდა მე გეტყვი,  
ეს იყო უფლის განგება.  
(რუდაქი 1977: 129)

ამ მიმართებით, „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სამყარო ღვთის  
ნებას ემორჩილება, გმირთა ცხოვრებაში „კეთილთა მზათა“ და  
„ბედი უბედოს“ წესი და, ზოგადად, „საზღვრის დასაზღვრა“ ღვთის  
განგებაზეა დამოკიდებული. რუსთაველის გმირებს ეს სწამთ, კარ-  
გად აქვთ გაცნობიერებული და სახიერი უფლის მოიმედენი არიან.

შამუელ ჰანაგიდის ლექსში „იოსებისადმი“ „ბნელ ვარსკვლა-  
ვად“ წოდებულ მნათობში, შესაძლოა, ზუალი იგულისხმებოდეს,  
რადგან „უბედურების შავი ვარსკვლავი“ აქაც სისხლთან, უბე-  
დურებასთან და ადამიანურ შიშთანაა დაკავშირებული:

ცამდე აღზევდა სისხლის ღრეობა,  
ბნელი ვარსკვლავი აღჩნდა სანიშნოდ...  
დედა შვილისკენ მიიქცეოდა, –  
ძრწოდა უგზოდ და უანგარიშოდ.  
(ჰანაგიდი 1994: 28)

შამუელ ჰანაგიდის „ბნელი ვარსკვლავისაგან“ განსხვავებით, ზუალი ავთანდილში შიშსა და ძრნოლას არ აღძრავს, პირიქით, თავად „სევდისა მუფარახი“, „ცნობიერთა დასტაქარი“, „ბუნება-ზეარი“ სპასპეტი ჭირთა გამრავლებას, კაეშნით დამძიმებას ითხოვს და დათმენის რწმენით აღვსილი, განსაცდელს სიყვარულით სავსე გულით, სულიერი მზაობით ელის. ავთანდილი ვედრების დასრულების შემდეგ მნათობთა კეთილისმყოფელ გავლენასა და თანადგომას იმოწმებს:

აპა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:

მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან...

(რუსთაველი 1966: 953)

პლანეტათა წესსა და რიგს, მათს ზემოქმედების ძალასა და მოქმედებას „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთი განაგებს. მიჯნური ავთანდილის განცდათა მნათობთაგან „დამოწმებისა“ და მათი „დაპნედის“ მიღმა უზენაესის ნება ვლინდება ისე, ვით მაჯნუნის ვდრებაში.

„რუსთაველი ნიზამის მსგავსად ვარსკვლაური ცის აღნერისას ფართოდ და ლალად იყენებს ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ცოდნას. მისი საშუალებით ქმნის იგი რთულ პოეტურ მეტაფორებს, რომელთა სრული გახსნისათვის სამი პლანისა გასათვალისწინებელი: პოეტური, ასტრონომიული და ასტროლოგიური“ (იმედაშვილი 1968: 77).

მუშთარი და ზუალის სახისმეტყველება იხილვება თეიმურაზ I-ის ნათარგმნ თხზულებაში – „მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა“. მასში ზუალის ბრწყინვალება იოსების მშვენიერების წარმოსაჩენადაა მოხმობილი:

რა ბაზიყამ გაიცადა იოსების სიტურფენი,

ტანი-სარო, ბროლ-გიშერი, ვით ზუალი, შუქთა მფენი.

(თეიმურაზ I 1933: 81)

როგორც ჩანს, თეიმურაზის ნათარგმნ პოემაში ზუალის „შუქთა მფენლობა“ უფრო მეტად გმირთა მშვენიერების, აღმატებული სილამაზის გამოსახატავადაა გამოყენებული, განსხვავებით რუსთაველისაგან, რომელიც ასტროლოგიურ სამყაროს მეტად მნიშვნელოვანი და ღრმა შინა-არსით ტვირთავს.

ასტროლოგიურად, მუშთარ-ზუალის ერთად დგომა იშვიათი მოვლენაა და დიდი ბედნიერების მომასწავლებელია. ალბათ, სწორედ ეს შინაარსი (ბედნიერების აღსანიშნი მოვლენა) დაედო საფუძვლად თეიმურაზ I-ის ნათარგმნი პოემის – „ლეილ-მაჯნუნიანის“ – ერთ სტროფს; კერძოდ, ლეილისა და მაჯნუნის შობასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია:

6. პირ-მეტყველთა მარგალიტთა მათ სადაფი აღმოშობდეს,  
კრონოს, ზევსი, ოტარიდი სინათლეთა მათ უძლნობდეს,  
მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმდერდეს და თამაშობდეს,  
და – „მზე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსო“ – ამას ხმობდეს  
(თეიმურაზ I 1933: 24)

ამ ერთი სტროფის თარგმანი გმირებს „პირ-მეტყველთა მარგალიტთა“ ამსგანებს, სადაფის წიალთაგან (მშობელთაგან) შობილებს. მარგალიტთან „პირ-მეტყველის“ ეპითეტის ხმარება ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. შესაძლოა, ამ მეტაფორულ სურათში იგი აზრის სიცხადისათვისაა მოხმობილი. მარგალიტის მიღმა დაკონკრეტულია ლეილისა და მაჯნუნის წყვილთა არსებობა, მკითხველისათვის გაცხადებულია მისი შინაარსი; გმირთა შესაძლოად სტროფის ბოლო სამ ტაეპში კი ასტროლოგიურ სამყაროა წარმოდგენილი, რათა მასშტაბურობით, ზეციური სამყაროს ყოვლისმომცველობით განგვაცდევინოს გმირთა დაბადების მოვლენა, შეგვაგრძნობინოს მათი გამორჩეულობა და შეუდარებლობა, მათი სწორფერობა კი მზისა და მთვარის „დაჯუფთებითაა“ აღნიშნული.

მუშთარ-ზუალთან მიმართებით საინტერესოა სტროფის მეორე ტაეპი, სადაც მნათობთაგან ლეილისა და მაჯნუნის შობის დასასურათხატებლად მოხმობილია კრონოსი, ზევსი და ოტარიდი, ვითარცა გმირებისათვის სინალის მფენნი. კრონოსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე ზუალია (სატურნია), ხოლო ზევსი – მუშთარი (იუპიტერი). ამ შემთხვევაში მუშთარისაგან, ვითარცა „დიდი ბედის ვარსკვლავისაგან“, ბედნიერებისა და ნათლის „ძლვნობა“ (რაც ასტროლოგიაში ამ პლანეტისათვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია) არაა გასაკვირი, მაგრამ კრონოს-ზუალის – „უბედურების შავი ვარსკვლავის“ – მოხმობა, ასტროლოგიური თვალსაზრისით

– შეუსაბამო. მათი ერთად მოხმობა, შესაძლოა, მუშთარ-ზუალის ერთად შეყრის, როგორც უჩვეულო, არაჩვეულებრივი მოვლენის წარმოჩენის გააზრებით აიხსნას, ამასთანავე – რუსთაველის გავლენითაც. თუ გავითვალისწინებთ ლეილისა და მაჯნუნის „უბედობედს“, მაშინ ზუალისა და მუშთარის ერთად ხსენება, სიმბოლური აზრით, გამართლებული ჩანს.

მუშთარისა და ზუალის პლანეტები ერთად იხილვება თეიმურაზისვე ნათარგმნ პოემაში „იოსებზილიხანიანი“; კერძოდ, ერთავში – „იოსების და ზილიხანის ერთგან შეყრა და მეფისაგან შეტყყობა“ – როდესაც ღალატით განრისხებული მეფე ზილიხას „დაალურჯებს“ (ეს ეპიზოდი დავარისაგან ნესტანის „დაალება, დალურჯების“ სცენას ჩამოჰვავს), კვლავაც ციურ ვარსკვლავთა წყება იხილვება:

228. მზემან ნახა ეგრე მყოფი, მისთვის გული დაეწო-და  
მთვარემ იცა პირსა ზედა, მუნით ლები დაეტყო-და,  
ეთერი და მუშთარ-ზუალ ცრემლთა ღვარსა დაელტო-და,  
და მისთა წყლულთა საკურნებლად ასპიროზცა მისკენ რბოდა.  
(თეიმურაზ | 1933: 88)

მნათობთა წუხილი, შეშფოთება აქ გმირისთვის თანალმობის, თანაგანცდის წარმოსაჩენად იხატება; ადამიანის გრძნობა-განცდათა თანამონანილედ ალიქმება, თითქოს, ზეციური მიწიერს სწვდება და ითავსებს. ამგვარი განსახოვნება იმავდროულად მოვლენას მასტებურობას სძენს, თითქოს არაა საკმარისი ამჭვეფნიური ქმედებითა და სიტყვით მისი წარმოჩენა (რაც წინ უძღვის ზემოაღნიშნულ სტროფს), რომ მთელი ზეციური სამყაროა გმირთა ბედის გამზიარებელი.

დასასრულს, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ აღმოსავლური მწერლობის ნიმუშებთან ტიპოლოგიური მიმართებების ძიება-წარმოჩენა კიდევ ერთხელ გააცხადებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს სილრმესა და მრავალფეროვნებას, რუსთაველის სააზროვნო ნაკადის მრავალმხრივობას. მოხმობილ სახეექმნადობათა შინაარსში ტრადიციულ ბიბლიურ განსახოვნებებთან ერთად, შესაძლებელია აღმოსავლური ლიტერატურის სახისმეტყველებითი თავისებურებების გათვალისწინებაც.

## დამოცვებანი:

**აბუ საიდი 1977:** აბუ საიდი. „ლირიკა“. ირანული პოეზია (შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთოთ ვ. კოტეტიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

**„ვისრამიანი“ 1982:** „ვისრამიანი“. ქართული პროზა. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

**თეიმურაზ I 1933:** თხულებათა სრული კრებული (ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიშვილის რედაქციით). ტფილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, 1933.

**იმედაშვილი 1968:** იმედაშვილი გ. ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

**მოშე იბნ ეზრა 1994:** მოშე იბნ ეზრა. „პოეზია“. კრებ. შრომანი ღელეთა (შუა საუკუნეების ეპრაელი პოეტები) (ჯ. აჯაიშვილის თარგმანი). თბილისი: საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა, 1994.

**ნიზამი 1974:** ნიზამი განჯელი. „ლეილი და მაჯნუნი“. ლირიკა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

**ნიზამი 1986:** ნიზამი განჯელი. შვიდი მზეთუნახავი (სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

**ნიზამი 1986:** ნიზამი განჯელი. ლეილი და მაჯნუნი (მ. თოდუას თარგმანი). თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1986.

**ნიზაմე 1957:** ნიზამე ვ. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება. სანტია-გო დე ჩილე: 1957.

**ჟამთააღმწერელი 1989:** ჟამთააღმწერელი. „მონლოლთადროინდელი მატიანე“. ქართული პროზა. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

**„როსტომ-ზურაბიანი“ 1949:** „როსტომ-ზურაბიანი“. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. II (ს. ყუბანენიშვილის რედაქციით). თბილისი: სტალინის სახ. თსუ გამომცემლობა, 1949.

**რუმი 1977:** რუმი ჯალალ ედ-დინ. „ლირიკა“. ირანული პოეზია (შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთოთ ვ. კოტეტიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

**საბანისძე 1963:** საბანისძე იოვანე. „ჰაბოს წამება“. ძველი ქართული აფიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (ილ. აბულაძის რედაქციით). თბილისი: საქ.სარ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963.

**საიათნოვა 1986:** საიათნოვა. ლექსები (სომხურიდან თარგმნა გ. შაჰნაზარმა). თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1986.

**ფირდოსი 1976:** ფირდოსი. მანუჩარი (ბ. შავლაშვილის თარგმანი). თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1976.

**შოთა რუსთაველი 1966:** „ვეფხისტყაოსანი“ (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქტიოთ). ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

**ხაიამი 1977:** ხაიამი ო. ორანული პოეზია (შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ვ. კოტეტიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

**ჰანაგიძი 1994:** ჰანაგიძი შამუელ. „პოეზია“. კრებ. „შროშანი ღელეთა“ (შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები) (ჯ. აჯიაშვილის თარგმანი). თბილისი: საქ. მეცნ. აკად გამომცემლობა, 1994.

**ჰასანლლი 2007:** ჰასანლლი იზ ედ-დინ. „თარგმანები. აზერბაიჯანული პოეზია ქართულად“. ქართული პოეზია აზერბაიჯანულად (თარგმნა ოქტაი ქაზუმინვამი). თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2007.

**ჰაფეზი 1970:** ჰამს ედ-დინ ჰაფეზ შირაზელი. ლირიკა (სპარსულიდან თარგმნა ვ. კოტეტიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

*Nana Gonjilashvili*

## Typological Correlation of Several Creative Images in the “Knight in the Panther’s Skin” with Oriental Literature

### Summary

The work included seeking and studying number of paradigms of the Knight in the Panther’s Skin, in particular, typological correlation of embodiment of the armlets gifted by Tinatin and Nestan to their lovers and Jupiter and Saturn with the samples of oriental literature. Revealing conceptions of the artists of various epochs, seeking of the similarities and differences emphasizes the specific nature of the Rustaveli’s characters and this provides basis for interpretation of the contents of the created characters. Rustaveli transforms the universals developed in the western and eastern literatures with paradigmatic expressiveness and charges them with the new contents.

## „ვეფხისტყაოსნის“ მეტაენა

### ნესტან რატიანი

#### არავერბალური კომუნიკაცია „ვეფხისტყაოსანში“

დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სხეულის ენის სწორად გამოყენებას ისეთივე წარმატების მოტანა შეუძლია, როგორც სამეტყველო ენისას. პოლიტიკოსები ტრიბუნიდან და ტელეკურანიდან, ადვოკატები – სასამართლო დარბაზებიდან, მსახიობები სცენიდან აქტიურად იყენებენ კომუნიკაციის ამ საშუალებას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის ისეთი უესტებიც, რომლებიც საერთაშორისოა, თუმცა ზოგიერთი უესტი მხოლოდ ლოკალურ ხასიათს ატარებს და მისი გამოყენება-გაგება მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალშია შესაძლებელი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ის ქმედება და უესტი, რომლებიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, დღესაც შემორჩენილია საქართველოში, ზოგი ზუსტად იმავე ფორმით, ზოგი კი – ოდნავი სახეცვლილებით. ამათგან არის უესტები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად გასაგებია, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა და გავრცელებულია არაერთ ქვეყანაში, თუმცა არის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ გარკვეული წრისთვისაა გასაგები და მხოლოდ ერთი რეგიონით შემოისაზღვრება. საერთაშორისოდ აღიარებული უესტების შემთხვევაში ძნელი სათქმელია, რომელი კულტურა რომელ კულტურას დაესესხა, რადგან ისინი, შესაძლოა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც აღმოცენებულიყვნენ სხვადასხვა დროსა და გარემოში. „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება ძველ სამყაროში საქართველოს მიმდებარე რეგიონებში გავრცელებული რამდენიმე ქმედება, რომლითაც ერთგვარი კომუნიკაცია ხდებოდა. არადა, პოემაში არის ისეთი პასაუები, რომლებიც მოითხოვს ამ ქმედებებს. მაგ. ე.ნ. მავედრებლის პოზა, როდესაც მავედრებლები ხელში რტოთი მიდიოდნენ რამეს სათხოვნელად. ტექსტში ავთანდილი ვაზირს თხოვს, როსტევანთან უშუამდგომლოს. ავთანდილი არ იჭერს ხელში რტოს, ისევე როგორც ვაზირი არ შედის როსტევანთან რტოთი ხელში. როგორც ჩანს, ამ ქმედებას, რომლითაც ძველ საბერძნეთსა და

ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში კომუნიკაცია ხდებოდა, არ აღიარებს „ვეფხისტყაოსანი“. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ეს უესტი უცხო იყო რუსთველისთვის, რადგან პოემაში არაერთი სტრიქონია, რომელიც მიუთითებს ავტორის ღრმად განსწავლულებაზე და არა მარტო ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის ცოდნაზე. ალბათ, კომუნიკაციის ეს ფორმა არ იყო გავრცელებული არც საქართველოში და არც იმ რეგიონებში, სადაც პოემაში აღნერილი მოქმედება ხდებოდა, ამიტომაც ავტორს არ სჭირდება გმირებისთვის უცხო უესტების გამოყენება. ასევე პოემისთვის უცხოა გლოვის ნიშნად თავზე ნაცრის წაყრა, რომელიც საკმაოდ ხშირია ბიბლიაში. „ვეფხისტყაოსანში“ გლოვობს ტარიელი, მაგრამ მისი გლოვა ერთნლიანი გამოკეტვითა და შავის ჩაცმით გამოიხატება. შევი სამოსის ტარება უდავოდ აღძრავდა მნახველში გლოვაზე მინიშნებას და მოახდენდა კომუნიკაციას, რომ შავით მოსილი მგლოვიარე იყო. რადგან სამოსზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ აღვინიშნო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზოგიერთ შემთხვევაში სამოსითაც ხდება კომუნიკაცია. მაგ. ტარიელის მიზანი, როდესაც იგი ვეფხის ტყავით იმოსება, ისაა, რომ საყვარლის სილამაზის აქცენტირება მოახდინოს.\* სამწუხაროდ, მისი ქმედება მნახველებისთვის გაუგებარია და ეს იწვევს გაუგებრობას კომუნაკიციის დროს (sc. miscommunication). ტარიელის სამოსის არასწორი შეფასება გახდება ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებისთვის საკვანძო მომენტი.\*\* ის, რომ ტანსაცმლით ხდება გარკვეული ტიპის კომუნიკაცია, არავისთვის არ უნდა იყოს სადაც. არსებობს გარკვეული დრესკო-

\* რომე ვეფხი შევწირი სახედ მისად დამისახაეს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბადჩემად მომინახაეს; (662) ეს თემა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და მასზე არ შეგჩერდება ამ სტატიის ფარგლებში.

\*\* ეს პასაჟი ახსნილი მაქვს წერილში „ორი ჯოლკლორული მოტივი „ვეფხისტყაოსანში“ (რატიანი 2008: 159-167), რომელშიც გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ტარიელის ჩაცმულობას და აღკაზმულობას უკავშირდება როსტევანის ხასიათის შეცვლა, რადგან ტარიელი მას მოაგონებს შელოცვების პერსონაჟს. ეს შელოცვა, სნეულების სიმძიმიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფერის სამოსში გამოწყობილ და შესაბამისად სხვადასხვა ფერის ცხენზე ამზედრებულ უცხოს წარმოადგენს, რომლის მოახლოებაც დავადებას ინვევდა. შევი ფერის მხედარი, რომელიც შავ ცხენს მოაგელვებდა, ყველაზე საშიში იყო. ტარიელს, შელოცვის ტექსტის დაავადების გამომვევი მხედრისგან ჩაცმულობა განასხვავებს, თუმცა მისა ალგაზმულობა ძალიან წააგავს ამ მხედრის აღჭურვილობას. ამავე სტატიაში საუბარი მაქვს დაჭრილი ტარიელის შეხვეულ ძელავზე, რომელიც ასევე შემდგარი კომუნიკაციის ერთგვარი ელემენტი უნდა გამხდარიყო, რომ არა ინდოეთის მეფე და ეს პასაჟი ამით ზღაპრისთვის დამახასიათებელ ელემენტად გადაიქცევა.

დები, რომელთა გაუთვალისწინებლობაც პრობლემებს გვიქმნის დღევანდელ დღეს. ის, ვინც არ იცავს დადგენილ ნორმებს, კონტექსტიდანაა ამოვარდნილი. ასეთივე სურათს გვიხატავს „ვეფხისტყაოსანიც“. მაგ. ფარსადანი, რომელსაც დაბნედილი ტარიელის გონზე მოსვლა გაახარებს, თავშიშველი გამორბის სასახლიდან.\* რა თქმა უნდა, ფარსადანი ამ შემთხვევაში კონტექსტიდანაა ამოვარდნილი, მეფე სასახლეს არ უნდა ტოვებდეს შესაფერისი სამოსისა და აღჭურვილობის გარეშე. მაგრამ მეფის სწორედ ამგვარმა „კონტექსტიდან ამოვარდნამ“ უნდა აღძრას შესაბამისი ემოცია მკითხველში. ასევე კონტექსტიდან ამოვარდნილი და უადგილო იქნება სამი დღე მეფის (როსტევანის) ან ავთანდილის თავშიშველი სიარული ნაძლევის წაგების შემთხვევაში:\*\* დღევანდელი მკითხველისთვის თითქოს ცოტათი გაუგებარია, რას უკავშირდება ეს ნაძლევი, რა სირთულესთანაა დაკავშირებული მისი შესრულება, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ქმედება დღევანდელ საქართველოშიც შემორჩენილია ოდნავ შეცვლილი სახით, როდესაც ბიჭები ნაძლევის ან აზარტული თამაშის წაგების შემთხვევაში თავს იპარსავენ. მიმართია, რომ მას შეძეგა, რაც მამაკაცებისთვის ქუდის ტარება სავალდებულოდ აღარ ითვლება, თმის გადაპარსვა უნდა იმეორებდეს იმ „სასჯელს“, რაც დაეკისრებოდა ხოლმე წაგებულს თავშიშველი სიარულით.

როდესაც სამოსის როლს განვიხილავთ კომუნიკაციაში, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ თინათინისა და ავთანდილის შეცვედრას ნადირობის შემდეგ. ამ ეპიზოდში თინათინი ავთანდილს ცოტა უცნაურად შემოსილი დახვდება.\*\*\* თინათინის ჩაცმულობას სხვადასხვაგვარად ხსნიან „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრები. ჩემი აზრით, თინათინის მიერ შიშველ სხეულზე ყარყუმის ოდნავ უდიერი მოგდება და ჩამოშლილი რიდე ავთანდილისთვის თინათინისგან ეროტიზმის ხაზგასმა კი არა (როგორც ამას მკვლევართა ერთი ჯგუფი ხსნის), გმირის უხასიათობაზე მინიშნებაა. თინათინი, რომელიც „უეროქუშად ჯდა“ (126) და „დაღრეჯით იყო მჯდომარე“ (128), ისეთ საგონებელშია ჩავარდნილი როსტევანის გმო, რომ მას აღარც კი სცალია ეტიკეტზე საფიქრელად. მისმა ჩაცმულობამ ავთანდილ-

\* ფარსადანი მეფე მორბის თავშიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა... (361).

\*\* ვინც იყოს უარესი, თავშიშველი საქ დღე ვლიდეს! (71)

\*\*\* გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმი უსაპირონი, ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი... (127)

საც და მკითხველსაც უნდა დაანახოს, რომ თინათინისთვის მამის დადარღიანება იმდენად სულისშემძვრელია, რომ მას არც დრო და არც თავი აქვს იმისთვის, რომ თავისი სამოსის მოწესრიგებაზე იფიროს. თუმცა ამ ახსნასთან (რომელსაც თვითონ ტექსტი გვაძლევს) ერთად უფლებას ვიტოვებ, გამოვთქვა ერთი ვარაუდიც: რამდენადც ვიცით, ხშირ შემთხვევაში სამოსი განგვაწყობს საუბრის-თვის, გვკარნახობს საუბრის ტონს. მაგ. მასნავლებელი მოსწავლეს თავისი ჩაცმულობით აქცევს შესაბამის კალაპოტში. ასევეა პოლიტიკოსიც. სპორტულ სამოსში თავისუფლად ჩაცმული პოლიტიკოსიც და მასნავლებელიც გულახდილი საუბრისთვის განგვაწყობს, ხოლო სოლიდურად, აკადემიურად ჩაცმულ პოლიტიკოს-საც და მასნავლებელსაც ვერ მივმართავთ ისეთივე თავისუფალი ტონით, როგორც პირველ შემთხვევაში. ჩვენი ტონი, მეტყველება იმისდა მიხედვით შეიცვლება, თუ რა აცვია თანამოსაუბრეს. ჩაცმის სტილი ერთგვარად განაპირობებს საუბრის უშუალობას ან ფორმალურ ხასიათს. შესაძლოა, თინათინის ჩაცმა ავთანდილისთვის იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ საუბარი ოფიციალურ ტონალობაში არ წარიმართება და ამზადებს მოსაუბრეს უშუალობისთვის. თინათინის შემდგომი ტექსტიც ხომ იმის მიმანიშნებელია, რომ მას არ უნდა, ავთანდილი დაიძაბოს. ამ დაძაბულობის მოსახსნელად კი პირველი ნაბიჯია მისი დახვედრა არაოფიციალური სამოსით. ასეთივე დაძაბულობის მოსახსნელ ქმედებად მივიჩნევ ერთ პასაჟსაც. თინათინის გამეფების აღსანიშნავი ნადიმის დროს როსტევანი მოწყენილი ზის სუფრასთან. მისი მწუხარების მიზეზის დასადგენად მეფესთან სოგრატი და ავთანდილი მიდიან. მაგრამ, როგორც ჩანს, მეფესთან მისვლა ადვილი საქმე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გმირი მეფის სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს. ამიტომაც, სოგრატი და ავთანდილი ასეთ ხერხს მიმართავენ: „ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა, თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა“ (60). როგორც ჩანს, შევსებული სასმისით მეფესთან მიახლება არ არღვევს ეტიკეტს. ეს უესტი როსტევანისთვის გასაგებს ხდის, რომ მის ქვეშევრდომებს რაღაც განსაკუთრებული აქვთ მისთვის სათქმელი და სავსე სასმისით მასთან მიახლოებულებს მეფეც კი ვერ გააწილებს და მოუსმენს, რაც არ უნდა ჰქონდეთ მათ მისთვის სათქმელი.

აქვე არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ავთანდილის თავგადასავალი გულანშაროში. სანამ ყრმა ამ სამეფოში შევიდოდა, იგი ვაჭრებს მეკობრეების მოგერიებაში დაეხმარა, შემდეგ კი გადაწყვიტა, ვაჭრული სამოსი ჩაეცვა და ისე ნარმდგარიყო ახალი ნაცნობების წინაშე: „მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა; თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!“ (1067) ამ ვაჭრული სამოსის გამო დაიწყება ის პატარა გაუგებრობა, რომელიც არასწორად გაგებულ არავერბალურ კომუნიკაციას მოჰყვება. ფატმანი ჩათვლის, რომ ავთანდილი მისი წრის არის და სამიჯნურო წერილს მისწერს ავთანდილს. მაგრამ, მიუხედავად ავთანდილის გაოცებისა, ჭაბუკი ვერ ხვდება, რომ არასწორი კომუნიკაცია მისი ვაჭრული სამოსის გამო შედგა და მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ამხელს სიმართლეს – იბრუნებს სამოსს და, შესაბამისად, მასა და ფატმანს შორის უკვე სწორი კომუნიკაცია მყარდება.

როგორც სტატიის შესავალში აღვნიშნე, არავერბალური კომუნიკიისას ცველაზე ხშირად სხეულის ენა გამოყენება. სხეულის ენიდან მნიშვნელოვანია ორი ჟესტის გამოყოფა, რომელიც დღესაც გავრცელებულია საქართველოში. თუმცა ერთი უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე – მეორე. მეორეს უფრო აქტიურად მეტყველებისას ვიყენებთ ხოლმე. როდესაც ავთანდილი ასმათს შეხვდება, თხოვს, რომ მოყმის შესახებ უამბობს, მაგრამ ქალი ამის წინააღმდეგია. ავთანდილი, სანამ თმაში სწვდება და კისერზე დანას მიაბჯენს ტარიელის ერთგულ მხლებელს, შემდეგნაირად გამოხატავს თხოვნას: „ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა“ (237); „ასმათს მიუყარნა მუხლი წინა... მუდარობა მოეწყინა... გაგულისდა, ყელსა დანა დააბჯინა“ (243). ეს იმას წიშნავს, რომ ავთანდილი მუხლებზე ეცემა ასმათის წინაშე და თითით ეხვეწება ასმათს, ტარიელის ასავალ-დასავალი გააგებინოს. მუხლის მოყრა არ გვიკვირს რამაზ მეფისგან, რომელმაც დრო იხელთა და უპატრონოდ დარჩენილ ინდოეთში გაბატონებულა: „ცხენის ფერხთა მოეხვია, მუხლ-მოყრილი შეეხვენა, მოახსეანა: „შემიბრალე!“ (1615) მისგან არც ის გვიკვირს, რომ ცხენს ეხვევა ფეხებზე, რადგან მას ალბათ ამ ჟესტით ტარიელის შეჩერება სწავლით და სწორედ ამის კომუნიკაციას ცდილობს ცოტა უცნაური საქციელით. მუხლებზე ეცემა ტარიელიც, როდესაც იგი როსტევან

მეფეს თხოვს ქალის მიცემას ავთანდილისთვის: „მუხლ-მოყრილი გეაჯები“... (1530) – ეუბნება ყმა არაბეთის მეფეს და ამის შემდეგ, დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა უცნაურ ქმედებას სჩადის: „ამოილო ხელ-მანდილი, მოინასკვა ზედა ყელსა, ადგა, მუხლი მიუყარნა, ეაჯების, ვითა მზრდელსა“. (1531) როდესაც როსტევანი ტარიელს ასეთ დღეში ნახავს, მის მიერ თავის დამდაბლებას სათანდოდ დააფასებს და ისიც საკადრის პატივისცემას გამოხატავს: „შორს უკუდგა, თაყვანის-სცა, ქვე მინამდის დაუვარდა“... (1532) მუხლებზე დაცემაც და თითოთ ხვეწნაც ადვილად გასაგები ჟესტებია დღევანდელი მკითხველისთვისაც. თუმცა დღევანდელ დღეს ნაკლებად ვეცემით მუხლებზე ერთმანეთის წინაშე, მაგრამ სალაპარაკო ენაში ხშირად ვიყენებთ ამ გამოთქმას, რათა დავარწმუნოთ მოსაუბრე ჩვენს გულწრფელ თხოვნაში. მეორე ჟესტი, რომელსაც დღესაც ხშირად ვიყენებთ, არის ე.ნ. თითოთ ხვეწნა. მაგრამ ამ ჟესტს, ანუ თითოთ ხვეწნას, მცირე განმარტება სჭირდება. რომელ ჟესტან გვაქვს აქ საქმე – თითის აწევასთან, სამი თითის ერთმანეთზე მიტყუპებით გაშერასთან თუ ყელის კანის თითოთ გამოწევასთან? რა თქმა უნდა, სამივე ჟესტი ერთსა და იმავე ტიპის კომუნიკაციას ახდენს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მესამე ტიპის ჟესტი სხვა სიტყვებით გამოიხატებოდა და აქ საქმე ან პირველ ან მეორე ტიპის ჟესტან უნდა გვქონდეს, რადგან მესამე ტიპის ჟესტს აღნერს ნესტანი შემდეგ პასაჟში: როდესაც ტარიელი და ნესტანი დაგეგმავენ სასიძოს მოკვლას, ნესტანი სრულიად დარწმუნებულია, რომ ამ მკვლელობის შემდეგ ფარსადანი ტარიელს იქით შეეხვენება, მისი ქალიშვილი ცოლად მოიყვანოს: „ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწნა, შემოკვდომა, ხელთა მოგცეს თავი ჩემი“... (551) ჩემი აზრით, „ყელის-მოტება“ არის ყელზე ორი ან სამი თითის მიღება (შესაძლოა, კანის გამოწევაც). საინტერესოა, რომ ეს ჟესტი სხეულის ენის საერთაშორისოდ აღიარებული ჟესტების არცერთ ჩამონათვალში არ გვხვდება. ყელზე ზოგიერთ ქვეყანაში გაისვა-მენ საჩვენებელ თითს, რაც ნიშნავს: „მკვდარი ხარ!“ ან წკიპურ-ტის მირტყმით ყელზე (ზოგჯერ ყბის ქვემოთ) აღნიშნავენ ერთად დალევის სურვილს. ყელზე თითების შეხება არც ხვეწნას და არც სხვა დატვირთვას არ ატარებს კომუნიკაციისას სხვა კულტურებ-

ში.\* როგორც ჩანს, ეს უესტი ლოკალური იყო (თუმცა, შესაძლოა, ვცდებოდე და სხვა რომელიმე კულტურაც იცნობდეს ამ უესტს) და მას დღესაც მივმართავთ ხოლმე. სხვა ეროვნებები თხოვნასაც და ხვეწნასაც ზეანეული ორი ხელისგულის ერთმანეთზე მიბჯენით გამოხატავენ. ამ უესტს დაესესხნენ ქრისტიანი მლოცველებიც. „ვე-ფხისტყაოსანში“ „მლოცველის“ უესტი არ ფიქსირდება, თუმცა ამ უესტს არა მარტო ქრისტიანები ან იუდევლები, არამედ მუსლიმებიც მიმართავენ. ყელზე თითების მიღების უესტის შესახებ გავესაუბრე ბიოლოგებსაც (ზოოლოგებს). მათ ივარაუდეს, რომ ამ უესტის წარმოშობა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მგლების მიმართ ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულებით. თურმე მგლებიც, ლიდერთან ურთიერთობისას, თავს მაღლა სწევენ და უჩვენებენ ყელს. ალბათ, ადამიანებიც ყელზე თითის მიღებით სხეულის ამ ნაწილის აქცენტირებას ახდენენ და ამით მიანიშნებენ, რომ, თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სიკვდილზეც კი წავლენ.

თხოვნის გამოსახატავად კიდევ ერთ უესტს მიმართავენ პოემა-ში. როდესაც ფარსადანი ტარიელს სთხოვს, ნესტანის სანახავად წაჰყევს, იგი ხელით ხელს დაუჭერს: ხელი ხელსა დამიჭირა (346). საინტერესოა, რომ ეს უესტიც, ისევე როგორც წინა ორი, დღესაც არ არის უცხო საქართველოში. ხელის ხელზე მოკიდება გამოხატავს პარტნიორის დაკავებას (ისევე როგორც მუხლებზე მოხვევა) და თხოვნის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს.\*\*

ბოლოს, არ შეიძლება, არ ალვინიშნოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პირველივე შეხვედრისას ავთანდილმა და ტარიელმა ერთმანეთი გადაკოცნეს, მისალმებისას საკოცნელად გაწევა ჩვეულებრივ

\* რამდენიმე ჩემს ახლობელს, რომლებიც უცხოეთში (აშშ, ავსტრია) ცხოვრობენ, ვთხოვე, თავიანთი განსხვავებული ეროვნების ნაცნობებისთვის – აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან – ეჩვენებინათ ეს უესტი და მმახვდარიყვნებ, რის არავერბალურ კომუნიკაციას ახდენდნენ ისნინ. არცერთმა გამოკითხულმა არ იცოდა ამ უესტის მნიშვნელობა. ამ უესტს უცხოეთში მცხოვრები ჩემი ახლობლების უცხოელი ნაცნობები არ იცნობენ და, შესაბამისად, არც ცნობენ. არ იციან ეს უესტი არც ჩემმა უცხოელმა სტუდენტებმა. მათ მითხრეს, რომ თავიდან უკვირდათ ქართველების ეს უესტი, მაგრამ შემდეგ მიეჩვინენ, თუმცა თვითონ არ იყენებენ და მათ თხოვნის გამოხატვისას ე.წ. მავედრებლის უესტი (ორი ხელის ერთ-მანეთთან მიბჯენა) ურჩევნიათ.

\*\* თუკი გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს რუსთველი არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკაში“ არსებული მეგობრობის ტიპებს აღიარებდა (რატიანი 2011), მაშინ ეს უესტი ადვილად ასახსნელი ხდება.

შესტად არ ითვლებოდა. ეს არ დასტურდება შეხვედრის სხვა სცენებში. ტარიელისა და ავთანდილის ასეთი საქციელი კი სხვა საკითხის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ამდენად, კვლევამ დაგვარწმუნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირები აქტიურად იყენებენ არავერბალურ კომუნიკაციას. ჩვენთვის, დღევანდელი მკითხველისთვის, ამ ენის შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გასაგები ხდება, რომ კომუნიკაციის ზოგიერთი ფორმა დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი, ზოგიერთი კი – აღარც გამოიყენება. სამოსი სხეულის ლამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველდღიურობაში იგი თითქმის შერწყმულია ადამიანთან, ამიტომ სხეულის ენის განხილვა წარმოუდგენელი იქნებოდა სამოსის ენის განმარტების გარეშე. როგორც კვლევამ დაადასტურა, „ვეფხისტყაოსანში“ სამოსით მყარდება გარკვეული სახის კომუნიკაცია. რაღაც შემთხვევაში ესაა საშუალება, რომლითაც გმირები გარკვეულ მინიშნებებს აკეთებენ, „ესაუბრებიან“ ერთიმერეს. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც სამოსის აღნერით ავტორი მკითხველს მიანიშნებს, თუ რა უნდა ამოკითხოს მან ტექსტში, რაზე დასვას აქცენტები და როგორ გაიგოს ესა თუ ის მოქმედება.

#### დამოწმებანი:

**რუსთველი 1992:** რუსთველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა, 6. ნათაძის რედაქციით. თბილისი: 1992.

**ბარამიძე 1991:** ბარამიძე ალ. „ვეფხისტყაოსნის“ დიალოგი. ჟ. მაცნე, №1. თბილისი: 1991.

**გონჯილაშვილი 1998:** გონჯილაშვილი ნ. „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკისათვის (მარგალიტი, თვალი ერთი, სამკლავე). ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების 1 სამეცნიერო სესია. თეზისები. თბილისი: 1998.

**გონჯილაშვილი 2000:** გონჯილაშვილი ნ. „ყაბაჩა და ერთი რიდე“. „შოთა რუსთაველი“, № 1, თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2000.

**გუგუშვილი ... 1989:** გუგუშვილი მ., ძონენიძე ლ. „ვეფხისტყაოსნის“ 122 სტროფის პირველი სტრიქონის გაგებისათვის“. ლიტერატურული ძიებანი. ტ. 3 (XVII). თბილისი: 1989.

**ელბაქიძე 2014:** ელბაქიძე მ. „ტანსაცმლის ტარების ეტიკეტი შუასაუკუნეების ევროპაში“. სჯანი, 15. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

**ვასაძე 2003:** ვასაძე თ. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონცეფცია. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2003.

**ზარიძე 1996:** ზარიძე ხ. ვეფხის ტყავის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსნის“ სიუ-ჟეტსა და კომპოზიციაში. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, XXVI. თეზისები. თბილისი: 1996.

**კარბელაშვილი 1996:** კარბელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსანი“ როგორც მეტა-ფორა“. გაზ. „მამული“, ოქტომბერი, 1996.

**ნათაძე:** ნათაძე ნ. ინტერპრეტაცია „ვეფხისტყაოსანი“. <https://www.youtube.com/watch?v=pS7BNrjhzrc>

**რატიანი 2008:** რატიანი ნ. „ორი ფოკლორული მოტივი „ვეფხისტყაოსანში“. ქართული ფოლკლორი. 4. თბილისი: 2008

**რატიანი 2011:** რატიანი ნ. „თეორიიდან პრაქტიკამდე – არისტოტელეს „ნიკო-მაქეს ეთიკისა“ და პლატონის „ნადიმის“ კონტექსტში წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“. შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესები, საქართველო, ევ-როპა, აზია. მეცნიერებელის საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. თბილისი: 2011.

**სირაძე 1982:** სირაძე რ. სახისმეტყველება. თბილისი: 1982.

**სულაბერიძე 1999:** სულაბერიძე ტ. „სამეტყველო ეტიკეტი და „ვეფხისტყაოსანი“. ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების 2 სამეცნიერო სესია. მასალები. თბილისი: 1999.

**სულავა 2009:** სულავა ნ. „ვეფხისტყაოსანი“ – მეტაფორა, სიმბოლო, აღუზია, ენიგმა. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2009.

**ცანავა 1992:** ცანავა ა. „ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგების ეროვნული ძირები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი. თბილისი: 1992.

**ხინთიბიძე 1987:** ხინთიბიძე ზ. იდეალურ გმირთა ინდივიდუალიზაციისათვის. ქ. მაცნე (ელს), № 4, თბილისი: 1987.

**Non-verbal Communication in  
“The Knight in the Panther’s Skin”**

**Summary**

The article explores different types of non-verbal communication which are described in “The Knight in the Panther’s Skin”. It is clear from the text that confusion appears among the characters (as well as among the readers) of the poem when the messages expressed through clothes are misinterpreted. The article attempts to explain the reasons of those misinterpretations. The article also focuses to study the gestures described in the text. The gestures described in the poem include the gestures of international and local character. E.g. the gesture – pulling out (stretching out) the skin of the throat with fingers to express begging – cannot be found in other cultures. The article concludes that this gesture described in the text is still alive in Georgia and seems to be local and understood only to Georgians.

# ისტორიული რეალიები

---

## ვლადიმერ ჭელიძე

### ჰერეთის ერისთავი შოთა („რუსთველიანას“ კვალდაკვალ)

საისტორიო თხზულებათა ცნობილი კრებული „ქართლის ცხოვრება“ ქრონოლოგიური და გენეალოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ამ კრებულში შესული თანადროული ეპოქის წერილობით ძეგლებში წარმოდგენილ მეფეთა და ერისთავთა შორის მკვლევარები გულდასმით ცდილობენ მოიძიონ ისტორიული პირი, რომელმაც შექმნა პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ცნობილი ქართველი მეცნიერი და მკვლევარი, რუსთველოლოგი პავლე ინგოროვა მნიშვნელოვანი, საინტერესო და საგულისხმო მიგნება-დაკვირვებების საფუძველზე პოემის ავტორს – შოთა რუსთაველს – ჟამთააღმნერლად წოდებული უცნობი ავტორის ასწლოვან მატიანეში რამდენიმეგზის მოხსნიერბულ ჰერეთის ერისთავ შოთასთან აიგივებდა (ინგოროვა 2016 (I): 167-232; ინგოროვა 2016 (II): 170-497; ინგოროვა 2016 (III): 73-174).

განსაკუთრებულ ყურადღებას უდაბო იქცევს ის გარემოება, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა, როგორც საქართველოს სამეფოს მაღალი სახელისუფლებო წრის ერთერთი აქტიური წარმომადგენელი, სახელწიფოებრივად ძალიან მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებში იღებდა უშუალო მონაწილეობას. კერძოდ, საგულისხმოა, რომ დასავლეთ საქართველოში გადასულმა მეფე რუსუდანმა მონლოლებთან შეთანხმების მისაღწევად შანშე და ავაგ მხარგრძელები, ვარამ გაგელი და შოთა გაგზავნა: „გულისჭმა ყორა მეფემან რუსუდან, რომელ წარიღეს ქუეყანა ამიერი თათართა, განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თვისი დავით და მოანდოს თათართა, და აღიღოს სიმტკიცე უვნებლობისა. და წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე, და ავაგ, და ვარამ, და ჰერეთის ერისთავი

შოთავ, რომელსა მანის ფერობისათვეს კუპრობით უჭიმობდეს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 550); აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულ რუსუდანს და მის ძეს დავითს სხვებთან ერთად დახვდა შოთა: „გარდამოვიდა თუ მეფე და წარმოგზავნა ძე თუ დავით, რომელთა წინა-მიეგებნეს შანშე, ავაგ და ეგარსლან, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი, შოთა კუპარი, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე ციხისჯუარელი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 553); მან მონანილეობა მიიღო კოხტასთავის შეთქმულებაში: „ამათ შფოთთა შეეკრძეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორლაი, ჰერ-კახნი, ქართელნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 566); შოთა შეეგება ტყვეობის შემდეგ დაბრუნებულ ლაშაგიორგის ძეს დავითს: „გამოიყანეს დავით..., ხოლო სულტანი ლმობიერ იქმნა, ... და ესრეთ წარმოავლინა და ვითარ მოინივნეს საქართველოს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე, და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუპარი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 569).

ამავე დროს, უამთააღმწერელი ჰერეთის ერისთავს უარყოფითი ნიშან-თვისებებისა და თავისებურებების მქონე პიროვნებად წარმოაჩენს: „მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდნენ“<sup>2</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ეპოქის (XI-XIII ს.ს.) ქართულ სალი-ტერატურო პროცესში დამკვიდრებული ელინოფილური სამწერლო ტრადიციიდან გამომდინარე, აქ პირველი სიტყვა („მანისა“) უნდა იყოს ბერძნული წარმომავლობის ტერმინი მ ა ნ ი ა (μανία – „გიუი“, „ვნებამორეული“; „ვნება“, „სიგიუე“, „მისწრაფება“), რომელსაც, როგორც მეტაფორას, აქვს მნიშვნელობა – „ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი“.

ძველი ქართულით ამ სიტყვის შესატყვისია ხ ე ლ ი – „გიუი“, „შმაგი“. ამის შესაბამისად, ფრაზა „მანისა ფერობისათვის“ გადა-ტანითი მნიშვნელობის მქონეა („ხელისა ფერობისათვის“, „ხელო-ბისათვის“, „შმაგობისათვის“).

აქედან გამომდინარე, ასევე მეორეულ მნიშვნელობას იძენს მომდევნო ფრაზაც – „კუპრობით უხმობდნენ“.

როგორც ჩანს, უამთააღმწერული მიანიშნებს, რომ ჰერეთის ერისთავს „კუპრივით შესახედაობის მქონეს, გახელებულს, გაშ-მაგებულს უწოდებდნენ“<sup>4</sup>.

აღნიშნულ მონაკვეთში ისტორიული პირის გარკვეული შინაგანი თავისებურების, მისი ბუნება-ხასიათისა და პიროვნული გრძნობა-განწყობილების ამგვარ კონტექსტში წარმოჩენა („მანისა ფერო-ბისათვის კუპრობით უხმობდნენ“) უცნობი ავტორის მიზანმიმარ-თული პოზიციაა. კერძოდ, მისი აზრით, „ჰერეთის ერისთავ შოთას მანისა ფერობისთვის (ხელობისათვის, შმაგობისათვის) კუპრივით შესახედაობის მქონეს (გახელებულს, გაშმაგებულს) უწოდებდნენ“.

მეტაფორულად მსგავსი კონტექსტის მქონე პარალელ-ანალო-გები შესაძლოა მოვიძიოთ შოთა რუსთაველის პოემის პროლოგის პოეტურ სტრიქონებში:

მე, რუსთაველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი, დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი, ანუ მომცეს განკურნება ... .(8, 1-4)

ამასვე მიანიშნებს სხვა სტრიქონიც:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან ... (22, 1)

ეს მეტაფორული პარალელები ახლებურად გააზრებულ, არ-გუმენტირებულ და სრულიად მყარ საფუძველს უქმნის პავლე ინგოროვას მოსაზრებას ჰერეთის ერისთავ შოთასა და შოთა რუსთაველის იგივეობის შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, რომ ამასვე ადასტურებს ჰერეთის ერისთავის დახასიათება, რაც, კერძოდ, ასწ-ლოვანი მატიანის ავტორის, როგორც სასულიერო მოლვანის, სარ-წმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივ პოზიციიდან გამომდინარეობს.

პოემის პროლოგში გადმოცემულია მხატვრულ-შემეცნებითი პრიორიტეტები. კერძოდ, ამ ეპიკური ნაწარმოებისათვის არსებითა სიპრძისმეტყველების მიმართულება:

შაირობა პირველადვე სიპრძისაა ერთი დარგი. (12, 1)

ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰევდებიან. (21, 3)

უამთაალმწერლისათვის მსოფლმხედველობრივად მიუღებელია ამგვარი პოზიცია იმის გამო, რომ ის ნაკლებად თანხვდება ღვთის-მეტყველების ჭეშმარიტ არსს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ასევე პოემის იმ სხვა „საჭომანები“ მხატვრულ-შემოქმედებითი კრიტერიუმების მოძიება, რაზედაც ძირითადი აქცენტებია ეპიკურ ნაწარმოებში გადატანილი:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები. (9, 1)

მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია. (19, 4)

მხატვრული გამონაგონის გადმოცემისა და ამბის ალეგორიულ-ნართაული საშუალებებით ასახვის პრინციპი (ლიტერატურული ფიქცია) უამთაალმწერლისათვის ასევე მიუღებელია, რადგან მისი შემოქმედებითი და შემეცნებითი პრიორიტეტი „ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე“<sup>5</sup>.

უცნობ ავტორს, „შოთა კუპარი“ სახელად და მეტსახელად აქვს გააზრებული, რაც გარკვეულ გაუგებრობას ქმნის, რადგან ასწლოვან მატიანეში ძირითადად აღნიშნულია ისტორიულ პირთა წარმომავლობა („ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ“, „სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე ციხისჯუარელი“, „ვარამ გაგელი“, „სარგის თმოგუელი“ და სხვ.). როგორც ჩანს, პერეთის ერისთავი შოთა კუპარიც სხვების მსგავსად იქნებოდა მოხსენიებული. შესაბამისად, „კუპარი“ წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინი უნდა იყოს და არა მეტსახელი. ამასვე მიუთითებს ბოლოსართი „-არ“, მაგრამ არცერთ ისტორიულ სახელწოდებაში არ გვხდება სიტყვის ძირი – კუპარი.

ჰერეთის მიმდებარე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის სახელწოდებაა – კუპარი – ეთ -ი. ისტორიულად კუპარის საერისთაო

კახეთ-ჰერეთის („ჰერ-კახთა“) სამეფო-სამთავროსთან იყო გაერთიანებული.

სავარაუდოდ, „პ“/„ხ“ ასო-ნიშნების მონაცვლეობის მიხედვით „კუ[ხ]არის“ (მეტსახელის) ნაცვლად პირველწყაროში, თანდროული ეპოქის რეალიებიდან გამომდინარე, იქნებოდა წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინი – კ უ [ ხ ] - ა რ - ი.

ეს გარემოება არა ხელნაწერთა ვარიანტული სახესხვაობებით, არამედ ასო-ნიშანთა („პ“/„ხ“) მიზანმიმართული ჩანაცვლებითაა განპირობული. ასწლოვანი მატიანის ავტორმა საგარაუდო პირველწყაროს მონაცემებში, როგორც ჩანს, განახორციელა მსოფლმხედველობრივად გააზრებული გრაფიკულ-ტექსტობრივი სახეცლილებები, რითაც საისტორიო კონტექსტში იდეოლოგიური ქვეტექსტის მქონე მეტაფორული მნიშვნელობა შეიძენა.<sup>6</sup>

საგულისხმოა, რომ ერთმანეთის შესაბამისია „კუხეთის“ სახელწოდებიდან წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინი „კუ[ხ]არი“ და ამავე მხარის ადმინისტრაციული ცენტრის – ციხე-ქალაქ „რუსთავის“ სახელწოდების მიხედვით შექმნილი წარმომავლობის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა-ტერმინი „რუსთაველი“.?

საგულისხმოა, რომ უამთააღმნერლის ასწლოვან მატიანეში წარმომავლობის აღმნიშვნელი და თანხვედრილი ორი სიტყვა-ტერმინით მოხსენიებულია სხვა ისტორიული პირებიც. ასეთია, კერძოდ, „სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე ციხისჯუარელი“ და „ყუარყუარე ჯაყელი“, რომელიც სხვა შემთხვევაში ორივე სიტყვა-ტერმინითაა მოხსენიებული – „და წარმოავლინეს კაცი სამცხეს, ყუარყუარე ციხისჯუარელ-ჯაყელსა თანა“.

როგორც ცნობილია, იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის სააღაცე წიგნში შეტანილია სახელი „მეჭურჭლეთუხუცესი შოთა“, რომელსაც მკვლევარები შოთა რუსთაველთან აიგივებენ, რადგან მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკებს შორის, თანადროული ეპოქის მისი სურათია გამოსახული.

არსებული საისტორიო მონაცემების მიხედვით შესაძლებელია სრულად იყოს აღდგენილი ამ ისტორიული პირის წარმომავლობისა და თანამდებობრივი მდგომარეობის პირველსახე – „ჰერეთის ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა კუ[ხ]არი-რუსთაველი“.

გარდა ამისა, საისტორიო თხზულებებისა და პოემის შედარების შედეგად შესაძლებელია სხვა ისტორიულ-ლიტერატურული პარალელების მოძიებაც.

თამარ მეფის მეფორედ გათხოვებისა და გიორგი რუსის წინამდლობით აჯანყებულ ქართველ ერისთავთა დამარცხების შემდგომ განვითარებულ სიტუაციას ავტორი საისტორიო თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ამგვარ განმარტებას ურთავს: „ვინა ესეცა უწყოდეთ, რომელ წურთათა ღმრთისათა სივრცე დიდ ფრიად არს; რამეთუ კეთილთა და კეთილ-გამგონეთა ნიშთა აღჩენითა სწურთის კეთილად-დართვითა, ძლევა-მინიჭებითა. რამეთუ კეთილისა სულისათვის ღმრთის-მოყუარე და თვისად მისი არს, ვითარ იტყვასცა დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ: „კეთილი კეთილთათვს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტათვს ბოროტ“ (ქართლის ცხოვრება 2008: 426).

უმთალმწერლის პოზიციისგან განსხვავებით, ამ საისტორიო თხზულების ავტორის ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, გარკვეული მსოფლმხედველობრივი (სიბრძნისმეტყველებით) კონტექსტის მქონე ანალოგსა და ღიატერატურულ-შემეცნებითი ხასიათის მსგავსებას პოულობს შოთა რუსთაველის პოემის ერთ-ერთი თავის („ავთანდილის ანდერძი“) ცნობილ პოეტურ სტრიქონებთან:

მე სიტყვასა ერთსა გყადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:  
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. (789, 3-4)

განსაკუთრებით საგულისხმო მსგავსება-შესაბამისობა ეძებნება ამ ისტორიული კონტექსტის მომდევნო ეპიზოდს, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ასე აღნერს:

„და შეიქმნა მშეკდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთბამად ძოვდეს ლომი და წარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 427).

ანალოგიური ხასიათის ეპიზოდია ასახული პოემის ბოლო თავში:

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს. (1664, 4)

ამ პარალელებს საფუძვლად უდევს საერთო ბიბლიური კონტექსტი (წინასწარმეტყველება ესაიასი – 11, 6; „მაშინ ძოვდეს მგელი

კრავთა თანა, და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარა-კი და ლომი და კუროდ ერთად ძოვდენ“ – 65, 25; „მაშინ მგელი და კრავნი ძოვდენ ერთბამად და ლომი, ვითარცა ჭარი ბზესა ჭამდეს“).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეულია ასწლოვან მატიანეში გადმოცემული ვრცელი ამბავი ახალგაზრდა მეფის ლა-შა-გიორგის პირველი ლაშქრობის შესახებ:

„მაშინ იწყეს განძით განდგომა და არღარა მოსცეს მეფესა ხარკი. მაშინ თქუა მეფემან, ვითარმედ: „ვინათგან მეფეთა შორის ბრნებინვალებან და სანატრელმან დედამან ჩემმან დამიტევა მეფობა, ყოველი წინააღმდეგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხა-რაჯედ შექმნა და დღეისმომდე მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არიან. ან განძისა ათაბაგსა სანუნელ უქმნიე. და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა; მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა და თქუენ შრომასა შეგამთხუო. რამეთუ ძალითა და თანად-გომითა თქუენითა დაუცემისა სანატრელთა პაპათა და მამათა ჩუენ-თა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, და ან მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და ალვიმ ჭედროთ განძასა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა სანუნელ ვიქმნენთ“. ... ვითარცა ესმა ყოველთა წარჩინებ-ულთა სამეფოსათა, განიხარეს და ... მაშინ დაამტკიცეს ლაშქრობა, და განძის დარბევასა წარემართნეს თკთ მეფე სპითა დიდითა. ვერ წინააღუდგეს განძელნი, და მოაღვეს ქუეყანა განძისა: აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხუ, და მოადგეს ქალაქსა განძისასა, და მრავალ დღე ... აქათცა და მუნითცა ურჩეულესნი ებრძოდიან. მაშინ ინება მეფემან გარეშემოვლად ქალაქისა მცირედითა ლაშქრითა, და ვითარ მოვლიდა მტკურისაკენ ქუემოთ, ცნეს ესე განძის მყოფთა, ყოველნივე აღიჭურნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათი ათასი. ხოლო მეფესა ჰყავა ოთხი ათასი კაცი ოდენ. ხოლო მაშინ ვითარ მოვლი-და მეფე, იცნეს იგი, და მსწრაფლ განახუნეს კარნი ქალაქისანი, და ვითარ მტეცნი ზედა მიუკიდეს. და იხილა მეფემან ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა გულითა, განმწინობითა სპათა მათთათა, ეგრეთვე სპანი მეფეისანი, სიკუდილად განმწირველნი თავთა მათთანი, ეტყო-დეს: „სიკუდილამდის ვიღუანოთ, და დავდვათ თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხუნოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა“ და მყის მი-ეტევნეს ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად სასტი-კი. და მიეცნეს პირსა მახჯლისასა უმრავლესნი რჩეულნი განძისანი.

თუ მეფე ლაშა წინა მიეტევა მწნედ და ძლიერად, თუ გოლიათი მკლავითა სჯანითა და ჭელითა გოლიათითა. ხოლო ვითარ იხილეს სიმწნე მათი განძელთა, სწრაფით ივლტოდეს პირისაგან მათისა, და სდევნეს ვიდრე კართამდე ქალაქისად, და მცირედნილა შეეს-წრნეს ქალაქად, და უმრავლესნი ტყუე ყვეს და ზოგნი მოსრნეს. ხოლო ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდსა მათ-სა და საყელოსა თმითურთ იფხურიდეს, და განაძლიერეს ყივილი და ზრიალი ყოველგნით. ესმა რა ესე ყოველგნით გარე მოდგომ-ილთა ლაშქართა, მეფესა მომართეს მსწრაფლ. ხოლო მეფე უვნებე-ლად დაცული ღმრთისა მიერ, იგი და მისნი წინამბრძოლნი თავადნი სახელოვანნი მოეგებნეს. რომლისათვის დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 523-525).

აღნიშნულ საისტორიო მონაკვეთს მეტად საგულისხმო აზრო-ბრივ-ტექსტობრივი ანალოგი ეძებნება პოემაში. კერძოდ, მისი მს-გავსია საოცარი პოეტური ექსპრესიონითა და დინამიურობით ასახუ-ლი ტარიელის ასევე პირველი ბრძოლის ვრცელი ამბავი:

„ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაფონია,  
ან მათნი ჯავრნი ჩვენ ზედა ჩვენგან არ დასათმონია!“ (377, 3-4)

„წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“. (379, 2)

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია.  
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია. (402, 1-2)

„მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი,  
თანა წამოყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი,  
დავჰედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი,  
ახლოს მომდევდით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდეს შველანი“. (427, 1-4)

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;  
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;  
ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.  
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად. (445, 1-4)

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;  
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნაეს ვითა ტანაჯორი,  
ერთობ სრულად ამოვნებიდე წინა კერძი რაზმი ორი. (447, 1-4)

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით,  
მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით. (451, 3-4)

არ ვპრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე. (455, 4)

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთმანეთის მსგავსია საისტორიო თხზულებასა და პოემაში გადმოცემული როგორც მოხარკე ქვეყნების ხელახლა დასაქვემდებარებლად განხორციელებული საომარი პროცესები, ისე არაორდინალური საპრძოლო პერიპეტიობი, როცა ისტორიული პირიცა და ეპიკური გმირიც რიცხობრივად ნაკლები რაოდენობის რაზმებით სასტიკად ამარცხებენ მრავალ-რიცხოვან მოწინააღმდეგებებს.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხატაეთი რეალურად არსებული ქვეყანა იყო და არა პოეტური გამონაგონი, რომელიც ასწლოვანი მატიანის გადმოცემით ლაშა-გიორგისა და რუსუდანის (შესაბამისად, ჰერეთის ერისთავის შოთას) თანადროულ ეპოქაში მონღლოლებს ჰქონდათ დაპყრობილი:

„ჩინგიზ-ყაენი ... მივიდა ხატაეთს, ... ეპრძოლა ხატაეთის ტელმნიფესა არსლან-ხანსა ზედადა სძლო. ესრეთ ტელთ იგდო“ (ქართლის ცხოვრება 2008: 531).

აღნიშნული საისტორიო მონაცემები პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს პოემა შექმნილია თამარის მეფობის შემდგომ ეპოქაში. კერძოდ, მასში მხატვრულად ასახულია მომდევნო პერიოდში (ჰერეთის ერისთავ შოთას მოღვაწეობის დროს) განვითარებული ისტორიული მოვლენები.

პოემის დაწერის თარიღს მიახლოებით აკონკრეტებს ის არსებითი ხასიათის საგულისხმო და საყურადღებო პარალელები, რაც ამ ეპიკურ ნაწარმოებს საისტორიო თხზულებასთან ეძებნება.

პროლოგში ავტორი ძირითად და გამორჩეულ ყურადღებას უთმობს მიჯნურობას:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა. (22, 1-2)

მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,  
ნურა გაპვა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს. (26, 3-4)

თამარს არ ჰქონია მიჯნურობის მსგავსი ეპიზოდები. მისი მეორედ გათხოვების აღწერისას „ისტორიანი და აზმანი შარავანდ-ედთანი“ პირდაპირ გადმოგვცემს: „მაშინ თამარ ... ესრეთ თქუა მბრძანებელმან: „...აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროს-ნობისა, არცა პირველ, არცა ანე“ (ქართლის ცხოვრება 2008: 420).

უამთააღმნერლის ასწლოვან მატიანეში, კერძოდ, ლაშა-გიორგის მიჯნურობის გამორჩეული ეპიზოდია მოთხოვნილი:

„მისრულმან კახეთს სოფელისა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ ... და შეიყუარა ფრიად“ (ქართლის ცხოვრება 2008: 526).

როგორც ჩანს, ამგვარი მწველი სიყვარულის ამბავი დაედო საფუძვლად რუსთველურ მიჯნურობას. ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ გეოგრაფიული სახელწოდების („ვ ე ლ ი ს ციხე“) პირველი სიტყვა („ვ ე ლ ი“), არა უნდა იყოს მექანიკური დამთხვევა, არამედ მიზანმიმართულად გააზრებულია პოეტის მიერ<sup>8</sup>. კერძოდ, აღნიშნული სიტყვა „ვ ე ლ ი“ განზოგადებულ მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს პროლოგის სტრიქონებში:

აჲა, გული გამიჯნურდა, მიჳხვდომია ვ ე ლ თ ა რბენა! (10, 2)  
მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ვ ე ლ თ ა გამოვარდეს. (26, 3)

ასევეა პოემის ერთ-ერთ სამიჯნურო ეპიზოდში:

რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად. (162, 2)

გარდა ამისა, საყურადღებოა პოემის ის ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ნესტან-დარეჯანი სურთ მიათხოვონ ხვარაზმშას ძეს:

მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,  
თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრი არ-რომელია“. (511, 3-4)

დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,  
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“ (513, 1-2)

თავის მხრივ, უამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ ხვარაზმშას  
ძე ჯალალედინი ცოლობას სთხოვს რუსუდანს:

„მაშინ სულტანმან ჯალალდინ ავაგ ათაბაგისა და ამირსპას-  
ალარისა ... ინება ნახვა... . მიუვლინა მოციქული და ... შეკრძეს მახ-  
ლობელად ერთი-ერთისა. მაშინ იწყო სულტანმან სიტყუსა თქმად:  
„არა მოვედ მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშედო-  
ბისათვს. .... ან მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და  
ვბრძოლოთ მტერთა. მასმიერს, რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს,  
და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა, და ვსძლოთ ყოველთა  
მტერთა ჩუენთა. .... არა მნებავს ოწრება საქართველოსა, არამედ  
დაცვა მტერისაგან, და თქუენ მიერ მე განვძლიერდე და ვიყვნეთ  
მშედობით“. ესმა რა სიტყუანი სულტნისანი ავაგს. არა პასუხ-უგო,  
არამედ ... მსწრაფლ წარავლინა კაცი მეფისა და აუწყა თქმული“  
(ქართლის ცხოვრება 2008: 538).

ხვარაზმშას ძის ჯალალედინის ასეთი შემოთავაზება მიუღე-  
ბელი იყო რუსუდანისთვის: „განკურდა მეფე და უცხო უწინდა საქმე  
ესე“.

როგორც ცნობილია, პოემაში ნესტან-დარეჯანიც ასევე კატ-  
ეგორიულად წინააღმდეგია, რომ მიათხოვონ ხვარაზმშას ძეს და  
ამას ეუბნება ტარიელს:

ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ. (540, 4)

ამავე დროს, ინდოეთის მეფის ასული, როგორც მიჯნური მი-  
ჯნურს, შესაბამის დავალებას აძლევს თავისი ქვეყნის სამეფო ტახ-  
ტის მომავალ მემკვიდრეს:

დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად:  
რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად. (542, 2-3)

ტარიელი ავთანდილთან საუბარში აღნერს, როგორ შეასრულა  
ეს დავალება:

კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით,  
უსისხლოდ მოვკალ იგი გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით. (557, 3-4)

კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,  
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე. (558, 1-2)

ანალოგიური ხასიათის გადმოცემაა მოთხრობილი ასწლოვან  
მატიანეში:

„დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი ჰელოვანი,  
მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინისათა, შევიდა  
კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი,  
რომელ ვერავინ ცნა. და ვითარ განთენდა, იხილეს კარვის მცველ-  
თა, ჩაღატა ნოინი მოკლული იყო, ... არა უწყოდეს ვისგან მოკლულ  
იყო. ... მაშინ გამოვიდა კაცი ერთი ლერწმოანით, რომელსა აქუნდა  
ლახუარი წუდილი, შეღებული სისხლითა. და ლახუარი იგი ალიპყრა  
ზე, და ძლიერად ჭმა ყო: „მან ქუშტემ ჩაღატა“, რომელ არს ენითა  
სპარსულითა, „მე მოვკალ ჩაღატა“. ვითარ იხილეს თათართა, მი-  
ეტევნეს. ხოლო იგი ივლტოდა ლერწმოანთა მიმართ, ხოლო მათ  
შეუდვეს ცეცხლი ლერწამსა და გამოიყვანა ცეცხლმან ლერწამთა-  
გან კაცი იგი, და მოიყვანეს ჩარმალან, იოსურსა და ბიჩუსა წინაშე.  
ხოლო იგინი ჰკითხვიდეს, ვითარ მოაკუდინა ჩაღატა ნოინი. და მან  
ესრეთ აუწყა: „მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის საჩინო. მათ მუ-  
ლიდთა თავადთა მომცეს ოქრო ფრიადი, რათა თქუენგან ვინმე  
მოვაკუდინო ოთხთა მაგათგან. წარმოვედ, მოვკალ და დავიმალე“.  
და იგინი ეტყოდეს: „რა იყო მიზეზი გამოსლვისა შენისა და ყივილი  
მაღლად, სიკუდილი დიდისა ნოინისა, ვინათგან დამალულ იყავ.“ და  
კუალად მულიდი მიუგებდა: „ლერწამთა იმათ უქშირესთა შევედ და  
დავიმალე; მყის მოვიდა დედაკაცი ვინმე სიტურფე-ალმატებული  
და მრქუა მე: „რა ესე ჰქმენ, კაცო? შენ მოჰკალ კაცი და დაიმალე,  
და ან მრავალი სული მოკუდების მიზეზად შენდა და იგი უბრალონი  
მოსწყდებიან“ და მე ვარქ: „რა ვჰყო, დედოფალო?“ ხოლო მან მრ-  
ქუა: „ალდეგ და შემომიდეგ მე; წარვედ და თქუ, რამეთუ შენ მოჰკალ  
კაცი იგი, და განარინე ურიცხვ სული სიკუდილისაგან“: ხოლო მე  
მსწრაფლ ალვდეგ და შეუდეგ, სადა-იგი მომიყვანა წინაშე თქუენსა.  
ვითარ ჭმა ვყავ და მიხილეთ, დედაკაცი იგი უჩინო იქმნა, და არა

უწყი ვინა მოსრულ იყო, და მე ესე-რა ვარ წინაშე თქუენსა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 563).

სრულიად აშკარაა, რომ ერთმანეთის მსგავსია მონღოლთა მიერ ალამუთის ციხის ასაღებად წარმოებული შვიდწლიანი ომის დროს (მასში მონანილეობას ქართველებიც იღებდნენ) ჩაღატა ნოინისა და პოემაში ხვარაზმშას ძის მკელელობათა ეპიზოდები. მრავალთა დახოცვისაგან გადარჩენის მიზნით მხოლოდ ერთი პიროვნების დასჯის იდეა თანხვედრილია ისტორიულ და მხატვრულ კონტექსტებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჟამთააღმწერლის გადმოცემა კოხტასთავს შეკრების შესახებ, რომლის მონანილე სხვებთან ერთად ჰქონდების ერისთავი შოთაც იყო:

„ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორლაი, ჰერ-კახნი, ქართელნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. ... დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს ყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჭის ერისთავი – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ, და მივიდეს კოხტას თავსა, დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა წინააღმდეგეს, და წარასხეს ქუეყანასა ანისისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიჩნიერს ჩარმაღან ნოინს წინაშე, რქუა: „რა არს შეკრება თქუენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა? „ხოლო მთავარნი მიუგებდეს: „არა განდგომად შევკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ“, რომელსა-იგი უწოდეს ხარაჯად. ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა, და ბრძანა განძრცვა ყოველთა, მწართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა, და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდის მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ ჭეშმარიტი, სიკუდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოჭეშნებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ

არა არწმუნებდეს. და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა, მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი, შორის სამცხისა და ლადოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრებულთა ყოფა სატან-ჯველთა შინა ბოროტთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თუსად სიკუდილად და სირცხეკლად შერაცხა საქმე იგი. და წარავ-ლინა ლაშქარი თუსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, ... განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისა. რამეთუ ქალაქად შესრულ იყვნეს ნოინნი, და ესე წარჩინებულნი, მოედანსა შინა დაკრულნი მტკრითა, შიშუელნი მსხდომარე იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტნე წარ-ჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირ-ულნი, გარდა კიდა ჰუნისაგან, და დააბნია. სამოსელი თუსი, განში-შულდა, და შეიკრნა მტკარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა. და ვითარ იხილეს თათართა, განკურდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცუა სამოსელი თუსი, და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“. რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათუს განკურდეს თათარნი, და წინაშე მათსა მიუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისასა. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამად, შევიკრიბენით, რათა განგაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, – ესე იყო შეკრება ჩუენი. ან თქუენ ძრის-მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს; მეცა მათ თანა მოვეუდე ... და ვითარ ესმა ესე ცოტნეს-გან ნოინთა, განკურდეს სათნოებისათუს მისისა და თქუეს: „ვი-ნათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თუსი მოყუარეთათუს და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თუსი სიკუდიდ, – არა არს სიცრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთუს განუტეოთ ყოველნი“. და განუშუნეს ... წარჩინებულნი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 566).

ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობის ეს გამორჩეული ის-ტორიული ეპიზოდი, როგორც ჩანს, მხატვრულ-შემეცნებით გან-ზოგადებას პოულობს პოემის აფორისტულ გამონათქვამებში („ავთანდილის ანდერძი“):

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა. (799, 4)

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი! (800, 4)

გამარჯვებულის მხრიდან დამარცხებულის მიმართ გამოჩენილ დანდობას, ასევე ზნეობრივ საქციელსა და მშვიდობიან დამოკიდებულებას გარკვეული შესაბამისობა ეძებნება პოემაში:

ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;

გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე. (1614, 3-4)

მხატვრული კონტექსტი მიანიშნებს, რომ როგორც ჩანს, თვით-მხილველის მიერაა პოეტურად ასახული დრამატული ისტორიული რეალიები.

თავის მხრივ, ასწლოვანი მატიანის გეოგრაფიული სახელწოდება „ველისციხე“ წარმოაჩენს წართმეული შეყვარებულის მკვიდრობის ადგილს: „არა ინება ქორწინება ცოლისა. ამისთვის შეკრძეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზიორნი და მოაწისენებდეს: „არა ჯერ არს, რათა მწევალი გესუას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული პირი ქრისტესი პავლე: „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“. ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა. ამისთვის წარგუარეს ქალი იგი ... და ქმარსავე მისასა მისცეს“.

პოემაში აღნიშნული სახელწოდების („ველის ციხე“) ანალოგს, საგარაუდოდ, წარმოადგენს „ქაჯეთის ციხე“, რომელიც, როგორც ბოროტების სიმბოლო, ასევე წართმეული მიჯნურის ადგილ-სამყოფელის განზოგადებული მხატვრული სახეა:

ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:

ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალალი და გრძელია,

მას კლდესა შუა გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია,

მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია. (1242, 1-4)

შესაბამისად, ლაშა-გიორგის სიყვარულის ისტორიული კონტექსტი პოეტურ ნანარმოებში მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს.

ამავე დროს, „ქაჯთა ქალაქი“, როგორც ცნობილია, ციხე-ქალაქია არტაანში, რომელსაც ლეონტი მროველი აღწერს თავის საისტორიო თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“, რაც, კერძოდ, სამ ეპიზოდ-

შია მოთხობილი (ჭელიძე 2015-2016: 275; ჭელიძე 2016: 169-170). პირველად ის გვხვდება ამ თხზულების მეორე თავში, რომელშიც გადმოცემულია ქართლის ეთნარქ-ეპონიმების შესახებ ისტორიულ-ლეგენდარული ამბები: „ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქის: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქა-ჯთა ქალაქი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 30). ხოლო მეორედ ამავე ისტორიულ რეალიებზე ავტორი მიუთითებს თხზულების მესამე თავში („ამბავი ფარნავაზისა“): „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქართლის ცხოვრება 1955: 43). ალნიშნულ ეპიზოდებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მესამე მონაკვეთი, რომელიც გადანაცვლებული და ჩართულია ორმეფობის ხანის მეორე წყვილის მეფობის პერიოდის აღნერილობაში. კერძოდ, ლეონტი მროველი სომეხთა მეფის იარვანდის (ორონტ II-ის, ძვ. წ. III ს-ის ბოლო და II ს-ის დასაწყისი) მიერ ჩვენი ქვეყნის სამხრეთი მდებარე სასაზღვრო მხარეების მიტაცებას ასე მოგვითხრობს: „მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. ... და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მტკუნი, ნათესავნი დევთანი, და უნდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელიც ესე ითარგამნების „დევთა-სახლად“ (ქართლის ცხოვრება 1955: 59).

ალსანიშნავია ისიც, რომ არა მხოლოდ ციხე-სიმაგრეთა სახელწოდებებია თანხვედრილი, არამედ მათი მკვიდრნიც ერთმანეთის მსგავსია.

ლეონტი მროველი მათ ასე ახასიათებს: „კაცნი მტკუნი, ნათესავნი დევთანი“.

პოემის მიხედვითაც ანალოგიური კონტექსტია:

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი  
კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი. (1247, 1-2)

ამავე დროს, „მეფეთა ცხოვრება“ განმარტავს ამ ციხე-ქალაქის სახელწოდებას: „ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმანების „დევთა-სახლად“.

ამ გადმოცემას ანალოგი ეძებნება ტარიელის ავთანდილისათვის მოთხობილ ერთ-ერთ ეპიზოდში:

მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები,  
მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები. (1364, 3-4)

გარკვეული შესაბამისობებია საისტორიო თხზულებისა და პოეტური ნაწარმოების ფრაზებსა და სიტყვა-ტერმინებს შორის („დევთა-სახლი“/„ქვაბნი დევთა“; „ნათესავნი დევთანი“/„დევთა დასები“).

საგულისხმოა, რომ პოემისეული „ქაჯთა ქალაქი“ საგულისხმო და საყურადღებო მსგავსება-პარალელებს პოულობს როგორც ველისციხის, ისე არტაანისა და ალამუთის ციხე-ქალაქთა ისტორიულ კონტექსტებში<sup>10</sup>, რადგანაც სხვადასხვა პროტოტიპის თავმოყრა ერთ მხატვრულ კონტექსტში ეპიკური ლიტერატურული ნაწარმოებისათვის მეტად დამახასიათებელი და ნიშანდობლივი შემოქმედებით მოვლენაა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ისტორიული და მხატვრული კონტექსტების ანალოგ- პარალელები ასახავს არა მხოლოდ თამარისა და დავით სოსლანის, არამედ ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის თანადროულ ეპოქას<sup>11</sup>. ხოლო მომდევნო ქრონოლოგიური მსგავსება-შესაბამისობა, კერძოდ, ალამუთის ციხე-სიმაგრის აღების ეპიზოდი (1256 წ.), გარკვეულად მიანიშნებს დავით ულუს მოღვაწეობის ხანაზე.

ამას ადასტურებს სხვა ისტორიულ-ლიტერატურული პარალელები. კერძოდ, ინდოეთის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის მწვავე პრობლემას ასახავს პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რაც სიუჟეტურად აერთიანებს და ამთლიანებს ეპიკურ პოეტურ ნაწარმოებს. მასში მხატვრულად წარმოჩენილია აღმზრდელი მამიდის სრულიად გაუგონარი მოქმედებები ნესტან-დარეჯანის მიმართ:

ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის,  
მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის. (575, 3-4)

რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,  
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა,  
მათ კიდობანი მოჰქმნდა, უუბნეს არ აჯებითა,  
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა. (580, 1-4)

ასწლოვანი მატიანე ლაშა-გიორგის შესახებ გადმოსცემს: „მის-რულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრი-ად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ ... და შეიყუარა ფრიად. და მუცლად იღო დედაკაცმან მან და შვა ყრმა, რომელსა უნოდეს სახელად დავით. ესე დავით იგი არს, რომ-ელი შემდგომად დიდთა განსაცდელთა მეფე იქმნა. ... ესე ყრმა აღ-ზრდად მისცა დასა თჯსა რუსუდანს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 526).

საქართველოს სამეცნ ტახტის მემკვიდრეობის მეტად რთულმა და წინააღმდეგობრივად განვითარებულმა ანალოგიურმა პრობ-ლემამ განაპირობა აღმზრდელი მამიდის, რუსუდანის, წარმოუდ-გენელი და დაუჯერებელი გაწყვეტილებები, კერძოდ, მისი ძმისწუ-ლის წინააღმდეგ „შემდგომად დიდთა განსაცდელთა“ მოწევნა, რაც ვრცლად, დეტალურად და დრამატულად აქვს ასევე მოთხრობილი ჟამთააღმზერელს.

საგულისხმოა, რომ შემდგომ, კერძოდ, ტყვეობიდან დაბ-რუნებულ დავითს სხვებთან ერთად შეეგება ჰერეთის ერისთავი შოთა.

ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი გმირის მიერ სამი მხრიდან ქაჯეთის ციხის აღების პერიპეტიონის საოცარი მსგავსება ასწლოვან მატიანეში აღნერილ ბალდადის ციხე-ქალაქის დაპყრობის საბრძოლო ეპიზოდებთან, რომელშიც უშუალო მონა-წილეობას იღებდა დავით ულუ:

„ხოლო ვითარ მოიწყო მეფემან სამეცნ, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა, რომელი იხილა რა ულო ყაენმან, პატივითა შეიწყნარა, და ნოინთა თანა დააწესა წინა-სადგომად და ჯომად, და განმკითხველად და ბჭედ. ამათ უამთა ინება ულო ყაენმან აღმტე-დრება ბაბილოვანს ზედა, რომელ არს ბალდადი, და კელმწიფესა ბაბილოვნელთასა ხალიფას ზედა, და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, და წარემართა ბალდადს, ბრძოლის ყოფად ხალიფასა. მი-ვიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არ-ამედ შეივლტოდა ბალდადს, ხოლო ყაენი გარე მოადგა, და მოიცვა იგი ერთ-კერძო თჯთ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელ-გონ ნოინი, და ერთ-კერძო დავით მეფე, რამეთუ მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. და ბრძოდეს ძლიერად,

არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბალდადი. მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ჯუშე. და შეთხარეს ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპარსთა ბალდადელთა და შიში ფრიადი აქუნდა ბალდადელთა და ესრეთ განახუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შევიდეს. ... ესრეთ ადვილად რა კელთ იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ვინ-მე მიუთხრნეს განსაცდელნი და ჭირნი, რომელ მოიწივნეს ბალდადს ზედა მოსრნეს. მახულითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ, ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოვნილთა ვინ-მე მიუთხრნეს? რამე, აღიგსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარითა და შესამოსლითა, სამსახურებელითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა, თვინიერ ოქროსა და ვეცხლისა, თუალსა და მარგალიტსა, და შეამოსელთაგან კიდე“.

ბრძოლის მსვლელობა ანალოგიურადაა ასახული პოემაში:

სამთავე სამად გაიყვეს – თვითომან თვითო – კარები. (1412, 1)

სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,  
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუეთა ტკრციალი. (1414, 3-4)

მაშინ ქაჯეთს მოინია უსაზომო რისხვა ღმრთისა: (1415, 1)

მათვე რისხვით გარდუმრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,  
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა. (1415, 3-4)  
ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული,  
თავით ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,  
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალენი – სრეული ... (1419, 1-3)

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;  
სამიათასა აპკიდეს მარგალიტი და თვალები,  
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები.... .(1426, 1-3)

შესაბამისად, დავით ულუ უნდა იყოს მოხსენიებული პოემის  
ეპილოგში:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,  
ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად,  
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

როგორც ჩანს, შოთა რუსთველი ამ სტროფში მას მოიაზრებს თავისი სახელგანთქმული წინაპრის „შუქ[თ ა მ ა რ] ებლად“ (ამ პოეტურ ფრაზაში თ ა მ ა რ პ. ინგოროვამ ამოიკითხა), რაც სწორედ აღმოსავლეთში (ბაღდად-ბაბილონეთში) მოპოვებული დასავლე-თის (ბასიანისა და შამქორის) დარი გამარჯვებითაა განპირობე-ბული.

პოეტი ეპიკური ნაწარმოების მთავარი გმირის ტარიელის სადარი ქართველი მეფის შესახებ მომდევნო სტროფის დასაწყისში დასძენს:

დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი! (1667, 1)

აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ბაღდადის ციხე-ქალაქის აღების (1258 წ.) შემდგომ ახლო პერიოდში, კერძოდ, ამავე საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე, შეიქმნა შოთა რუსთავე-ლის „ვეფხისტყაოსანი“.

ამდენად, აღნიშნული ისტორიულ-ლიტერატურული პარალელე-ბი პირდაპირ მიანიშნებს თანადროული ეპოქის პერეთის ერისთავის შოთა კუ[ხ]არისა და პოეტის შოთა რუსთაველის იგივეობაზე.

## შენიშვნები:

1. შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავთან დაკავშირებით აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამომცემ-ლობამ „ჩვენი მწერლობა“ ოთხ ტომად დასტამბა პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიური თხზულებანი (რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე, გამომცემელი – დავით გალეგაშვილი), რომელშიც შევიდა მკვლევრის ცნობილი მონოგრაფიები და ნაშრომები („რუსთველიანა“, „რუსთველია-ნას“ ეპილოგი“, „შოთა რუსთაველი“, „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად აღდგენილი ტექსტი და დისკუსიის მასალები). აღსანიშნავია, რომ ამ თხზულე-ბებს ნამდვარებული აქვს როსტომ ჩხეიძის (ჩხეიძე 2016 (I): 3-14), ელგუჯა

თავდგირიძის (თავდგირიძე 2016:), ივანე ამირხანაშვილისა (ამირხანაშვილი 2016: 3-14) და ლია კარიჭაშვილის (კარიჭაშვილი 2016: 3-16) მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

2. „მანისა ფერობისათვის“ ერთ-ერთი საისტორიო მონაცემია, რომლის საფუძველზე პავლე ინგოროვა შოთა რუსთაველის მანიქეველობას ასაბუთებდა, რაც სადღეისოდ არ არის გაზიარებული. სხვადასხვა რელიგიური კონფესიისადმი პოეტის მიკუთვნების საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა მერაბ ღალანიძის მოსაზრებები (ღალანიძე 2016 (I): 152-159).

3. ამ აზრთა სხვადასხვაობიდან აღსანიშნავია მ. ღალანიძის დაკვირვებები ჰერეთის ერისთავის შოთა კუპარის შესახებ (ღალანიძე 2016 (II): 513-532), რომელსაც დართული აქვს როსტომ ჩხეიძის საგულისხმო და საინტერესო გამოხმაურება (ჩხეიძე 2016 (II): 535-540).

4. უამთააღმწერლის მიერ სხვა ისტორიული პირის უარყოფით კონტექსტში მოხსენიებაც („ეგარსლან ... არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“) ასევე მეტაფორული მნიშვნელობის მქონეა. კერძოდ, „არარათა ნიჭთა ... სამამაკაცოთა მქონებელი“ მიანიშნებს, რომ „ეგარსლან ბაკურციხელი ... არა ნიჭთა მქონებელი სამგედვეროთა“ და „მგედღობის წესთაგან ცარიელი“ იყო. ხოლო „არარათა .. ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ აღნიშნავს, რომ „თათართა დიდად ბატივითა შეეწყნარა“.

5. მომდევნო პერიოდში სწორედ აღნიშნული ტენდენციის გაგრძელებაა ტიმოთე გაბაშვილის სიტყვები შოთა რუსთაველის შესახებ: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილნება“. თავის მხრივ, ანტონ კათალიკოსი მას, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს, მეტად მაღალ და სრულიად გამორჩეულ შეფასებას აძლევს:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,  
თუ სამ სწადოდა, ღმრთისმეტყველიცა მაღალ,  
უცხო, საკვირველ პიტიკოს-მესტიხე.

მიუხედავად ამისა, ის კატეგორიულ პოზიციაზე დგას და, თეოლოგიურ-დოგმატიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მკვეთრად კრიტიკულია მის მიმართ:

მაგრა ამაოდ დაპშვრა, საწუხარ არს ესე.

6. საგულისხმოა, რომ ჟამთააღმნერელი თავის ასწლოვან მატიანეში პირველწყაროებზე რამდენჯერმე პირდაპირ მიუთითებს. გარდა ამისა, ადრე აღნერილ ეპიზოდში სიტყვით (მ ა 6 ) მოხსენიებულნია ასევე „რინდნი“ (როგორც ამას პ. ინგოროვა მიუთითებდა), რაც სავარაუდო პირველწყაროს „მუნ“ სიტყვაში ერთ-ერთი ასო-ნიშნის (უ/ა) მიზანმიმართულმა გრაფიკულ-ტექსტურობრივმა შსგავსმა სახეცვლილებამ განაპირობა. აღნიშნული ფრაზაც („რინდნი [მ ა 6 ]“), შესაბამისად, იდეოლოგიური ხასიათის მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს: „ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვნისა თაფლუჭისა, ტფილის[ს] მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძლონ სიბილნე თესი. ხოლო რინდნი [მ ა 6 ], მეფისა მისლვასა არ მგონებელნი და ღვნით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 526).

7. აღმოჩენილია საგულისხმო წერილობითი წყაროები „რუვისთაველთა“ საგვარეულოს შესახებ, ხოლო წარმომავლობის აღმნიშნელი სახე-ელნოდება კ უ { ხ } ა რ ი დადასტურებულია ონომასტიკური მონაცემებით (შემორჩენილია ერთერთ გვარ-სახელში – კ უ ხ - ა ლ - ა - შ ვ ი ლ ი ).

ქართულ სამოხელეო ტერმინთა შესახებ გამოქვეყნდა უაღრესად მნიშვნელოვანი ვრცელი ენციკლოპედიური ნაშრომი, რომლშიც შესულია საისტორიო მონაცემები ჰერეთის ერისთავ შოთასა და შოთა რუსთაველზე, როგორც მეჭურჭლეთუხუცესზე (ენციკლოპედიური ლექსიკონი 2017: 184-185; 227).

8. „გმირის ველად გაჭრა, სახლ-კარს მოცილება გავრცელებული მოტივია მითოლოგიასა და ფოლკლორში, აღმოსავლურსა თუ დასავლურ სარაინდო თუ სამიჯნურო ნანარმოებებში“ (ლალანიძე, 2002, 58-68), მაგრამ ამ შემთხვევაში, კერძოდ, აღნიშნული რეალური ისტორიული კონტექსტიცაა გასათვალისწინებელი.

9. ეს გადმოცემა „პირდაპირ კავშირშია მოსე ხორენელის II წიგნის 40 და 41 თავების შინაარსთან“ (ქართლის ცხოვრება 2011: 226).

10. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობდა, რომ არტაანში მდებარე ციხე უნდა იყოს პოემის ქაჯეთის ციხის პროტოტიპი და არა – ალამუთის ციხე. თავის მხრივ, კორნელი კეკელიძე ერთ დროს ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მონლოლების ეპოქაში დაიწერა (კეკელიძე 1973: 51-82). სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით თამაზ ნატროშვილმა მეტად საინტერესო მიგნებები და დაკვირვებები ნარმოადგენა ალამუთის ციხის ქაჯეთის ციხესთან გასაიგივებლად.

11. აღნიშვნულ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საგულისხმო და გასათვალისწინებელია შალვა გაბესკირიას კვლევა-ძიებანი (გაბესკირია 2004-2005: 40-69; გაბესკირია 2016: 69-95).

## **დამოცვებანი:**

**ამირხანაშვილი 2016:** ამირხანაშვილი ი. „ჩვენი ისტორიის ასთვალა არგუსი (პავლე ინგოროვას მონოგრაფია შოთა რუსთაველზე)“. ინგოროვა პ. რუსთაველოლოგიური თხზულებანი. ტ. III. თბილისი: 2016.

**გაბესკირია 2004-2005:** გაბესკირია შ. „რუსთაველოლოგიის ზოგი პრობლემური საკითხის შესახებ. უ. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). თბილისი: 2004-2005.

**გაბესკირია 2016:** გაბესკირია შ. „ფიქრები რუსთაველოლოგიის რამდენიმე პრობლემურ საკითხზე“. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული – „ელიზბარ ჯაველიძე 75“. თბილისი 2016.

**ენციკლოპედიური ლექსიკონი 2017:** „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი: 2017.

**ვეფხისტყაოსანი 2011:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: 2011.

**თავბერიძე 2016:** თავბერიძე ე. ინგოროვა პ. „რუსთველიანას ეპილოგი“. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. II. თბილისი: 2016.

**ინგოროვა 2016ა:** ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. I. თბილისი: 2016.

**ინგოროვა 2016ბ:** ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. II. თბილისი: 2016.

**ინგოროვა 2016გ:** ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. III. თბილისი: 2016.

**კარიჭაშვილი 2016:** კარიჭაშვილი ლ. „მზე დგას ზენიტში“ (პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხნიგნეულის კორპუსი). ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. IV. თბილისი: 2016.

**კეკელიძე 1973:** კეკელიძე კ. „ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა“. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 12. თბილისი: 1973.

**ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება. ტ. I ( ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ). თბილისი: 1955.

**ქართლის ცხოვრება 2008:** ქართლის ცხოვრება. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008.

**ქართლის ცხოვრება 2011:** ქართლის ცხოვრება (ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა). თბილისი: 2011.

**ღაღანიძე 2002:** ღაღანიძე მ. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები შინ და გარეთ. ჟ. ლიტერატურა და ხელოვნება, № 1. თბილისი: 2002.

**ღაღანიძე 2016ა:** ღაღანიძე მ. „რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმარებლობის შესახებ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში“. „ვეფხისტყაოსნი“ და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში: თანამედროვე ინტერპრეტაციები: საერთაშორისო კონფერენცია (კონფერენცია ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850-ე საუბილეო წლისთავს). მასალები. თბილისი: 2016.

**ღაღანიძე 2016ბ:** ღაღანიძე მ. „ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ ნინააღმდეგ“. ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. IV. თბილისი: 2016.

**ჩხეიძე 2016ა:** ჩხეიძე რ. „ვეფხისტყაოსნი“ – მომავლის ორიენტირად (პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიური ოთხნიგნეული). ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. I. თბილისი: 2016.

**ჩხეიძე 2016ბ:** ჩხეიძე რ. „ოპ, ეს ვარიანტული სახესხვაობანი“. ინგოროვა პ. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. IV. თბილისი: 2016.

**ჭელიძე 2015-2016:** ჭელიძე ვლ. ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები. ნაწილი პირველი. ჟ. ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII. თბილისი: 205-2016.

**ჭელიძე 2016:** ჭელიძე ვლ. „ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები“. ნაწილი მეორე. სვანი, 17. თბილისი: 2016.

**Eristavi (duke) of Hereti Shota  
(by the footsteps of Rustveliana)**

**Summary**

The eminent Georgian scholar and researcher Pavle Ingorokva identified Shota Rustveli with the Eristavi (duke) of Hereti Shota who was, according to “The History of hundred years” of the Chronographer (“Jamtaaghmtsereli”), one of the active figures of the high officials of the Georgian kingdom and directly participated in important historical processes. After the comparative study of “The History of Hundred years” and “The Knight in Panther’s Skin” (Vepkhistkaosani) there was acquired and presented resemblances and parallels of the historical and literary contexts that reflect the contemporary epoch not only of Thamar and Davit Soslan, but also of Lasha-Giorgi and Rusudan, and the chronologically last coincidence directly indicates that The poem of Shota Rustveli was created in the epoch of Davit Ulu. These historical-Literary parallels corroborate the identity of the poet Shota Rustveli and his contemporary Eristavi (duke) of Hereti Shota Ku[kh]ari.

პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიური თეორიის  
ერთი ასპექტის პოლემიკური მხარე  
(შოთა რუსთველის ვინაობის საკითხი)

შოთა რუსთველის ვინაობის საკითხი რუსთველოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ისტორიული ფაქტების, „ვეფხისტყაოს-ნის“ ანალიზისა და მემატიანეთა ცნობების საფუძველზე არაერთ-მა რუსთველოლოგმა გამოთქვა აზრი რუსთველის ვინაობის შესახებ. რუსთველოლოგიური თეორიების პოლემიკური მხარე საკ-მაოდ საინტერესოა ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, მაგრამ განსა-კუთრებით საყურადღებოა ის რეზონანსი, მღლვარება, აზრთა სხ-ვადასხვაობა, ცხარე კამათი და მსჯელობა, რაც პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიურ თეორიას მოჰყვა შედეგად. წინამდებარე სტა-ტია სწორედ ამ საკითხის განხილვას ეთმობა.

პავლე ინგოროვას „რუსთველიანა“ წიგნად გამოიცა 1926 წელს, თუმცა მკვლევარმა რუსთველის ვინაობის თემაზე თავისი პირველი საჯარო მოხსენება – „შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოს-ნის“ თარიღი და პოეტის ვინაობა“ – წაიკითხა საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის საჯარო სხდომაზე, 1922 წლის 3 ივნისს, შემ-დგომი მოხსენება კი – „რად ეწოდება შოთა რუსთაველს მანის სეფე და კუპარი“ – იქვე, იმავე წლის 4 ივლისს (ლალანიძე 2010: 186).

პავლე ინგოროვას „რუსთველიანას“ გამოცემას რამდენიმე წლის შემდეგ მძაფრი დისკუსია მოჰყვა, კერძოდ, 1927 წლის „მნა-თობის“ მეორე ნომერში კორნელი კეკელიძის გამოხმაურება, რა-საც ამავე უურნალის მე-3-4 ნომრებში პავლე ინგოროვამ უპასუხა.

„რუსთველიანას“ ავტორის ოპონენტთა შორის ასევე იყვნენ კონსტანტინე ჭიჭინაძე, იუსტინე აბულაძე, სარგის კაკაბაძე და სხვანი. ისინი პავლე ინგოროვას რუსთველოლოგიური თეო-რიის სხვადასხვა ასპექტის კრიტიკას გვთავაზობენ, თუმცა შოთა რუსთველის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით ფაქტების, მემა-ტიანეთა ცბობების პავლე ინგოროვასეულ ინტერპრეტაციას, საბოლოო ჯამში, არც ერთი მათგანი არ იზიარებს.

შოთა რუსთველის ვინაობის შესახებ პავლე ინგოროვას კონცეფცია მოკლედ ასე შეგვიძლია გადმოვცეთ: შოთა რუსთველი მატიანის ფურცლებზე ნახსენებია, როგორც შოთა კუპრი (კუპარი). მისი მოღვაწეობის პერიოდია XII ს-ის მეორე ნახევრიდან XIII ს-ის პირველ ნახევრამდე. ის იყო შოთა, პერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მას უამთააღმწერელი, პავლე ინგოროვას მტკიცებით, მანიქეველთა ორდენის მეთაურად მოიხსენიებს (ინგოროვა 2016).

პავლე ინგოროვას „რუსთველიანას“ მეორე ტომი წარმოადგენს რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენის მცდელობას, თუმცა ეს წინამდებარე სტატიაში განსახილველი საკითხის სხვა ასპექტია და ამის შესახებ არ ვისაუბრებთ.

შოთა რუსთველის ვინაობის შესახებ პავლე ინგოროვას ვერსიის პოლემიკური მხარის განსახილველად აუცილებელია გამიმჯნის ფაქტები, რომელთა საფუძველზეც პავლე ინგოროვამ თავისი თეორია ააგო, მათი ინტერპრეტაცია პავლე ინგოროვას მიერ და „რუსთველიანას“ ავტორის ოპონენტთა საპასუხო კრიტიკა ასევე ისტორიული ფაქტებისა და მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე.

საკითხის ამგვარმა განხილვამ თვალსაჩინოდ წარმოაჩინა აღნიშნული პოლემიკის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე: პავლე ინგოროვას ოპონენტთა შორის, თავის მხრივ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, კორნელი კეკელიძე ეთანხმება პავლე ინგოროვას (ინგოროვა 2016: 113), რომ „მესხი მელექს“ რუსთველის მიმბაძველია (კეკელიძე 1979: 26). შესაბამისად, ის არ არის იმ მეცნიერთა თუ ავტორთა ბანაკში, რომლებიც პავლე ინგოროვას მთავარ არგუმენტს რუსთველის პერელი ერისთავობისა აპათილებენ რუსთველის მესხური წარმოშობით, რომ მესხი პოეტი შოთა რუსთველი ვერ იქნებოდა პერეთის საერისთავოს მკვიდრი, პერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი (გ. არაბული, ნ. შოშიაშვილი, რ. ფირცხალაიშვილი და სხვ.). ამ მეცნიერთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენს სამეფო კარზე თორელთა და ჯაყელთა მეჭურჭლეთუხუცესობა, თუმცა ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, რომ თორელებსა და ჯაყელებს მეჭურჭლეთუხუცესობა XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან პერნდათ (არაბული 1992: 79; მეტრეველი 2012: 441) და არა XII საუკუნის 90-იანი წლებიდან, კერძოდ, 1189

წლიდან, როცა მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდა და თანამდებობა ჩამოართვეს. ამას გარდა, მატიანებისა და ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე თამამად ითქმის, რომ „1189-1221 წლებს შორის ამ „ხელის“ (მეჭურჭლეთუხუცესობის – თ. ბ.) მფლობელი რომელიმე კონკრეტული პირი ქართულ მატიანებში დასახელებული არაა“ (არაბული 1992: 79). ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ „ისტორიული წყაროებით მეჭურჭლეთუხუცესად ცნობილ პირთა შორის (ასეთ წყაროთა შორის უმთავარესია იერუსალემის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნი – თ. ბ.) შოთა რუსთველი ერთადერთია, ვინც 1190-იან წლებში ამ „ხელის“ მფლობელად შეიძლება წარმოვიდგინოთ. აბულასანი შოთამ შეცვალა, ალბათ, 1189 წელს. სხვა რეალური კანდიდატურა, შოთას გარდა, ამ დროისათვის არ ჩანს“ (არაბული 1992: 74).

„მესხი მელექსე“ რუსთველის მიმპარველად რომ უნდა ვიგულისხმოთ, ამას კორნელი კეკელიძე ასე ხსნის: 1. ჩვენამდე შემორჩენილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სხვადასხვა ნუსხა იცნობს აღნიშნული სტრიქონის რამდენიმე განსხვავებულ ვერსიას. კორნელი კეკელიძე დეტალურად განიხილავს 27 ძირითადი ხელნაწერის ვერსიას და საბოლოოდ დაასკვინის: „წაკითხვისა და გაგების ასეთი სხვადასხვაობა თავისთვად დამახასიათებელი და დამაფიქრებელია. ეს წაკითხვა ღალატობს ან რითმას (თემისა, დაბისა), ან ლექსიკას (დამისა?), ან ლოგიკას („რუსთველისა და მისა“, „რუსთველისა... სად ამისა“, „რუსთველი სადამი სა“). ხელნაწერთა უმრავლესობისა და აზრის მიხედვით უნდა იკითხებოდეს არა „რუსთველი, რუსთველისა, რუსთავისა, რუსთავლისა“, არა-მედ, „რუსთველისად“, და არა „დაბისა, დამისა, თემისა, და მისა, სად ამისა, სადამი სა“, არამედ „ამისა“, ესე იგი – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (კეკელიძე 1979: 25).

ჰავლე ინგოროვას თეორიის საფუძველზე არსებულ სამეცნიერო პოლემიკას ისიც ახასიათებს, რომ „რუსთველიანას“ ავტორის ოპონენტები ერთმანეთსაც ეკამათებოდნენ პავლე ინგოროვას არგუმენტაციის სასარგებლოდ ან პირიქით. მაგალითად, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მართალია, არ იზიარებს პავლე ინგოროვასა და კორნელი კეკელიძის, ჩემი აზრით, საკმოდ დამაჯერებლად დასა-

ბუთებულ ვერსიას „გწერ ვინმე მესხი მელექსე...“ სტროფოს ფსევ-დო-რუსთველურად გამოცხადების შესახებ და ამტკიცებს, რომ სტროფი რუსთველურია, მაგრამ ამ სტროფის მისეული ინტერ-პრეტაცია არ ეწინააღმდეგება პავლე ინგოროვას ვერსიას, რომ შოთა რუსთველი „რუსთველად“ ქართველ მემატიანეთა მიერ არ იხსენიებოდა, არამედ სულ სხვა ზედწოდებით, და რომ „რუსთველი“ ფსევდონიმია და არა ადგილ-მამულის ფლობის აღმნიშვნელი წოდება (ჭიჭინაძე 1928: 91). თავის მხრივ, ამ პოზიციას, აღნიშნული სტროფის რუსთველურობის ვერსიას, პავლე ინგოროვას სა-სარგებლოდ აბათილებს კორნელი კეკელიძის ოპონირება ამჯე-რად კონსტანტინე ჭიჭინაძის მიმართ (კეკელიძე 1979: 25), თუმცა იქვე პ. კეკელიძე პავლე ინგოროვასეული ინტერპრეტაციის ლაფ-სუსასაც მიუთითებს, რომ „რუსთველისად ამისა“ ნიშნავს არა „რუს-თველისთვის“, როგორც ამას პ. ინგოროვა ამტკიცებს, არამედ „რუსთველის მიბაძვით“ (კეკელიძე 1979: 26). შესაბამისად, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პავლე ინგოროვას თეორიის სამეცნიერო თვალსაზრისით საკმაოდ მყარი საფუძვლები მისი ოპონენტების თვალში საეჭვო გამხდარა, ერთი მხრივ, ლაფსუსების გამო, რომ-ლებიც, ზემოაღნიშნულის მსგავსად, მის კონცეფციაში მრავლადაა (ასეთ სამეცნიერო ლაფსუსად უნდა ჩაითვალოს პავლე ინგორო-ვას მიერ რუსთველის სავარაუდოდ არსებული ტექსტის „ქებანის“ განხილვა, რასაც კონსტანტინე ჭიჭინაძე, სულ მცირე, უზუსტო-ბად, უფრო კი პავლე ინგოროვას ულევი ფანტაზიის ნაყოფად მი-იჩნევს – ჭიჭინაძე 1928: 96-99) და, მეორე მხრივ, „რუსთველიანას“ ავტორის ერთგვარად რომანტიკულ-პოეტური მცდელობის გამო, რომ თითქმის არარსებული ფაქტებისა და მხოლოდ სავარაუდო ცნობების საფუძველზე სურდა აღედგინა შოთა რუსთველის ბიოგრაფია (ინგოროვა 2016 ბ).

„რუსთველიანას“ ავტორის ერთ-ერთი ოპონენტის, გიორგი არაბულის მტკიცებით, პავლე ინგოროვას თეორიის ნაკლოვან მხარედ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ XII-XIII საუკუნეების რუსთავს (თბილისის მახლობლად არსებულ სტრატეგიულ პუნქტს) ჰერეთის ნაწილად მიიჩნევს (არაბული 1992: 22). სავარაუდოდ, რუსთავი (ამ ვერსიის მომხრეთათვის არგუმენტია „როსტომიანში“ სერაპიონ საბაშვილის ჩანართი სტროფი. „რუსთველი თამარ მეფეზე ამ-

ბობს: „თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა“. სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვებოდა პატრონობის აღმნიშვნელი ახალი გვარი „რუსთველი“, – აღნიშნავს გიორგი არაბული – არაბული 1992: 81), როგორც ამას პავლე ინგოროვა ამტკიცებს, შოთა რუსთველი-სათვის კონკრეტული დამსახურების გამო უნდა ებოძებინათ (შდრ. სარგის ვარამის ძე მხარგრძელს თმოგვი თამარ მეფემ 1197 წელს ერთგული სამსახურისთვის უბოძა და ამიტომაც იწოდებოდა სარგის თმოგველად – ჯავახიშვილი 1982: 145), რაც არ ეწინააღმდეგება ჰერეთიდან მის წარმოშობას და არც იმ ფაქტს, რომ ჰერეთის საერისთავოს საზღვრებში რუსთავი არასდროს ყოფილა.

გიორგი არაბული რუსთველის თორელობას პოეტის მესხური წარმოშობითა და სამცხის რუსთავის მფლობელობით ხსნის (არაბული 1992: 81), თუმცა სამცხის რუსთავი XII საუკუნის ბოლოს მხოლოდ დაბა, სოფელი რომ იყო და არა სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქი, რომლის ფლობაც აღინიშნება წოდებით „რუსთველი“, ამას პავლე ინგოროვა საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებს არა მარტო „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა...“ სტროფის ფსევდო-რუსთველურობის დადასტურებით, არამედ სამცხის რუსთავის შესახებ საკმაოდ საინტერესო ისტორიული ცნობების ანალიზით. კერძოდ, პავლე ინგოროვა განიხილავს დ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილ და გამოქვეყნებულ ისტორიულ დოკუმენტს, რომლის ბევრად ძველი პირი ასევე აღმოაჩინა სარგის კაკაბაძემ და გამოაქვეყნა. ხელნაწერის სახელწოდებაა „ქ. წმიდისა და ცათა მობაძვისა კათოლოკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა ეკლესიისა ძულითგან საქონებელნი და სამწყსონი“ (ინგოროვა 2016: 128, 129). ამ ისტორიული დოკუმენტის განხილვისას პავლე ინგოროვა იმოწმებს გადამწერისავე ცნობას (ინგოროვა 2016: 131), რომ ხელნაწერი შეიცავს ძველ ნუსხას და გადაწერის დროს დამატებულ ახალ ნუსხას, მაგალითად: „ღობიერნი (დასახელებულია გვარი – თ. ბ.) სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკლესიითა დიასამისძე-თა აქუს“ (ინგოროვა 2016: 129). პავლე ინგოროვა „რუსთველი-ანას“ პირველ ტომში ამ დოკუმენტის სრულ ვერსიას გვთავაზობს. გადამწერის მიერ ძველ ნუსხაში წარმოდგენილ გვართა ახალი ნუსხით ჩანაცვლება ამ ისტორიულ დოკუმენტში საკმაოდ თვალ-საჩინოდაა აღნიშნული. ჩამონათვალში კი მოხსენიებული არიან

თმოგველნი, ფანასკერტელნი, თუხარელნი, კავკასისძენი, აბუსე-რისძენი და სხვანი მათივე სამფლობელო მამულების დასახელების პარალელურად, თუმცა ამ დეტალურ სიაში არ არის ნახსენები რუსთველი, რაც თითქმის წარმოუდგენელი უნდა იყოს, თუკი რუსთავი სამცხე-საათაბაგოს იმდენად მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ პუნქტს წარმოადგენდა, რომ მისი მფლობელი რუსთველად ინოდებოდა და, რაც მთავარია, როგორც იერუსალემის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის, კერძოდ, რუსთველის პორტრეტის შესწავლა ცხადყოფს, დიდგვაროვნის ტიტულს, რეგალიებს ატარებდა. ამ მყარ არგუმენტაციას პავლე ინგოროვა იმითაც ამ-დიდრებს, რომ აკონკრეტებს ღობიერთა (ღობიერნი – თ. ბ.) გვარის სამფლობელო მამულის ადგილმდებარეობას, კერძოდ, იმოწმებს ისტორიულ დოკუმენტს, რუკას, სახელწოდებით „სამცხისა და თორი-ჯავახეთის მფლობელი გვარების სამფლობელოები“ (ინგოროვა 2016: 133), რომლის საზღვრებშიც სწორედ რომ დაბა რუსთავი შედიოდა (ინგოროვა 2016: 133), ხოლო რეზიდენციას, აღნიშნული მამულის ცენტრს წარმოადგენდა ღობიერთი და არა რუსთავი.

პავლე ინგოროვას თეორიის სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის დღემდე კამათის საგანი გამხდარა თამარისა და მისი კარის დიდ მოხელეთა მოღვაწეობის თარიღები (არაბული 1992: 65-77).

ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას შოთა რუსთველის მესხური წარმოშობის უარყოფასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ამყარებს პავლე ინგოროვას თეორიის განხილვის პროცესში, მასთან პოლემიკის დროს კორნელი კეკელიძის მიერ გამოთქმული აზრი და მის მიერ წარმოადგენილი სამეცნიერო მსჯელობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ლინგვისტურ ანალიზს ეფუძნება: „ნ. მარს, რომელსაც, მოყვანილ სტროფზე დაყრდნობით, პოეტი მესხეთიდან გამოჰყავს, მისი „მესხობის“ დამტკიცების მიზნით, პოემაში მესხიზმების მოქებნა სურდა. ასეთ მესხიზმებად მას მიაჩნდა ნანარმოების სომხური, სვანური და არაბულ-სპარსული სიტყვები... მაგრამ საქმე ისაა, რომ ე.წ. არაბულ-სპარსული ელემენტები, გამოიხატება ის ლექსიკურ მასალაში, თუ პოეტურ-სტილისტიკურ პარალელიზმებში, გვხვდება ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგ-

ლებშიც, რომელნიც, დანამდვილებით ვიცით, მესხეთში არ წარმო-შობილან“ (კეკელიძე 1979: 27).

რუსთველის პოემის ლინგვისტურ და სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით ავტორის სადაურობის დადგენა, დაზუსტება იმისა, საქართველოს რომელი კუთხიდან იყო წარმოშობით შოთა რუსთველი, კორნელი კეკელიძის აზრით, ძალიან რთულია. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერს: „აკად. ა. ჩიქობავამ ერთ-ერთ თავის შრომაში წამოაყენა საკითხი ვეფხისტყაოსანში დიალექტიზმების შესახებ, რადგანაც, მისი სიტყვით, „დიალექტიზმების ანალიზს შეუძლია მიგვახვედროს, რომელი კუთხიდან იყო შოთა რუსთაველი“. კვლევა ძიების პროცესს ავტორი მიუყვანია შემდეგ დასკვნამდე: პოემაში არის აღმოსავლური (ქართლ-კახური) და დასავლური (იმერულ-გურულ-აჭარული) დიალექტიზმები, მაგრამ ეს ავტორის კი არ არის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა...ასე რომ, პოემის ენის მიხედვით ვერ ხერხდება რუსთველის სადაურობის გარკვევა, ამიტომ ეს საკითხიც ჯერჯერობით ლიად უნდა დარჩეს“ (კეკელიძე 1979: 28).

რუსთველის ვინაობის შესახებ „რუსთველიანაში“ წარმოდგენილ არგუმენტაციას ამყარებს იერუსალემის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის, კერძოდ, რუსთველის პორტრეტის შესწავლის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.

პავლე ინგოროვა „რუსთველიანას“ მეორე ტომში განიხილავს იერუსალემის ჯვრის მონასტერში რუსთველის პორტრეტის საკითხს, აღაპთა წიგნების ორ ნუსხას, რომლებშიც შოთა მეტურჭლეთუცესი არის მოხსენიებული (ინგოროვა 2016 ა: 22-37). შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე მის მიერ გამოთქმული სამეცნიერო თვალსაზრისი დღეს უკვე საკამათო აღარ არის.

პავლე ინგოროვა „რუსთველიანას“ მეორე ტომში საფუძლიანი მსჯელობისა და გამოკვლევის ბოლოს ასეთ დასკვნებს გვთავაზობს: „იერუსალემის მასალები ადასტურებენ შემდეგ ფაქტს: შოთა რუსთველი, მოხუცობის ჟამს, ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეტურჭლეთ-უხუცესი. არავითარ ეჭვს არ ინვევს იდენტიფობა აღაპებში მოხსენიებული ვაზირის შოთა მეტურჭლეთუცესისა და იერუსალემის ფრესკაზე წარმოდგენილი რუსთველისა.

**მართლაც, გავითვალისწინოთ შემდეგი:**

1. აღაპებს განაწესებდნენ იმ პირთათვის, რომელთაც დვანტლი მიუძღვდათ მონასტრის წინაშე. ხოლო შოთას დვანტლი იმდენად დიდი ყოფილა, რომ თვით მისი სურათიც კი დაუხატავთ მონასტერში. ცხადია, შოთასათვის უნდა განეწესებინათ აღაპი. და შოთას აღაპი, როგორც ვხედავთ, მართლაც არის ჩაწერილი ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში.

2. აღაპში შოთა რუსთველი მოიხსენება, როგორც ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი. ხოლო იერუსალემის ფრესკაზე შოთა რუსთველი მართლაც გამოსახულია დიდებული ხელისუფალის, ვაზირის სახით.

3. თარიღი ერთია. შოთას აღაპი, როგორც გამოირკვა, ხელის მიხედვით, პალეოგრაფიული ნიშნებით, შოთა რუსთველის ეპოქისაა” (ინგოროვა 2016 ა: 36).

3. ინგოროვას დასკვნები დასტურდება, როგორც აღაპთა ნუსხის პალეოგრაფიული ანალიზით, ასევე სხვა ისტორიული წყაროების შედარებითი ანალიზით, რაც, რუსთველოლოგის უახლესი კვლევების მიხედვით, დეტალურად არის განხილული რუსთველოლოგის მეშვიდე ტომში, კერძოდ, ქეთევან ბეზარაშვილის სტატიაში, სადაც ვკითხულობთ: „დღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ ჯვრის მონასტრის ფრესკაზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველია წარმოდგენილი” (ბეზარაშვილი, ქვარაია 2015: 49).

რუსთველის პორტრეტის აღწერის შესახებ ქ. ბეზარაშვილის სტატიაში ვკითხულობთ: „შოთა რუსთაველის ფრესკული გამოსახულება იერუსალემის ჯვარის მონასტრის მოხატულობის პროგრამაშია ჩართული. მისი პორტრეტი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ბურჯის აღმოსავლეთ წახნაგზე, წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. ომანე დამასკელის ფიგურებს შორის მუხლმოყრილი, ვედრების პოზაშია გამოსახული. მდიდრული საერისკაცო სამოსით შემოსილი მოხუცი დიდგვაროვანის პორტრეტს ხუთხაზიანი ასომთავრული წარწერა ამკობს: „ამის დამხატ/ავსა შოთაი/ შეუნდოს ღმერთმან. ამინ/ რუსთვე/ლი“ ( ბეზარაშვილი, ქვარაია 2015: 49).

პატლე ინგოროვას თეორიის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს, იერუსალემის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნის ჩანაწერს, თანა-

მედროვე რუსთველოლოგიური კვლევების მიხედვით, ზუსტად იგივე დატვირთვა აქვს, როგორც ამას პ. ინგოროვა „რუსთველი-ანაში“ აღნიშნავს.

იერუსალემის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ქ. ბეზარაშვილი ზემოაღნიმნულ სტატიაში ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ჩვენამდე შემორჩენილი ორი ნუსხიდან (ტიშენდორფისა და საკუთრივ სვინაქსარისა) შოთა მეჭურჭლეულუცესის აღაპი ორივე მათგანში ჩანს: 1. „ორშაბათსა სულისა წმიდისა მოსლვისასა წირვაი და აღაპი შოთაისა მეჭურჭლეულუცესისაი, შეუნდვენ ღმერთმან“ და 2. „[ორშაბათსა სულისა წმიდისასა]. ამასვე ორშაბათს აღაპი შოთაისა მეჭურჭლეულუცესისაი. ვინ შეცვალოს, შე-მცა-ცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთაისა“. მარხვა-ზატიკის დღეებზე განაწილებულ აღაპთა შორისაა XII საუკუნეში, კლასიკური ნუსხურით შესრულებული შოთას აღაპიც. როგორც ე. მეტრეველი ვარაუდობს, ამ აღაპის შესრულების დრო არ უნდა სცილდებოდეს XIII საუკუნის დამდეგს“ (ბეზარაშვილი, ქვარაია 2015: 55, 56).

პავლე ინგოროვას თეორიის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ, ჩემი აზრით, უნდა მივიჩნიოთ უამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეში შოთა რუსთველის მოხსენიების სავარაუდო საკითხის საკმაოდ სუბიექტური და დაუზუსტებელი მნიშვნელობით განმარტება. შესაძლოა, შოთა რუსთველს მონალოლთა დროის მატიანის ავტორმა მართლაც უწოდა შოთა კუპრი, რომელსაც უამთააღმწერელი სულ ოთხჯერ ახსენებს და იგი ყოველთვის ქართველ წარჩინებულთა გვერდით არის ნახსენები. ამ საკითხს მერაბ დალანიძე სამეცნიერო სტატიაში შესანიშნავად განიხილავს: „პირველად შოთას სახელი გამოჩინდება, – და ამავე დროს მისი ზედნოდებაც განიმარტება, – როცა, მეფე რუსუდანის გადაწყვეტილებით, დამპყრობელთა წინაშე დესპანებს გაგზავნიან: „წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე, და ავაგ და ვარამ და ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 550). მეორედ, როცა რუსუდანი საკუთარ ძეს სამეფო ტახტის დასაკავებლად აგზავნის, ხოლო მეფე-ქალსა და მის ვაჟს შეეგებებიან ქართველი წარჩინებული: „წინამიეგებნეს შანშე, ავაგ და ეგარსლან, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არა-

რათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი, შოთა კუპარი, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეფურჭლეულუცესი ყუარყუარე ციხისჯუარელი, თორელნი, თმოგუელნი...“ (ქართლის ცხოვრება 2008: 553). მესა-მედ, კოხტასთავის შეთქმულთა ჩამოთვლისას: „ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუ-არყუარე, კუპარი შოთა, თორლაი, [...] სარგის თმოგუელი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 566); მეოთხედ და საბოლოოდ, ტყვეობიდან დახსნილ დავით ლაშას ძეს დამხვედრთა შორის: „მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი: შანშე და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, [...] ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, ორბელნი, გამრეკელი, შოთა კუპარი, და ყოველ-ნი მთავარნი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 569; ღალანიძე 2010: 184, 185).

იხსენიებოდა თუ არა შოთა რუსთველი თანამედროვეთა შორის, როგორც ამას ჟამთაალმწერელი აღნიშნავს, როგორც შოთა კუპარი, პავლე ინგოროვასეული ამგვარი ვარაუდის უარსაყოფად ან დასადასტურებლად კიდევ უფრო მეტად საფუძვლიანი კვლევებია საჭირო. უნდა აღინიშნოს, რომ პავლე ინგოროვას ვერსია ემ-თხვევა თეიმურაზ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს ვერსიებსაც (ღალანიძე 2010: 187), მაგრამ „კუპარი“, როგორც მანიქეველის აღმნიშვნელი სიტყვა, ჩემი აზრით, პავლე ინგოროვას თეორიაში არ არის დამაჯერებელი არგუმენტებითა და ფაქტებით დასაბუთებული. „კუპარს“ მელნის ფერის აღმნიშვნელ სიტყვას უწოდებდნენ თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე (თეიმურაზ ბაგრატიონი 1964; თეიმურაზ ბაგრატიონი 1960), კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1963), სოლომონ იორდანიშვილი (იორდანიშვილი 1953), ალექსანდრე ბარამიძე (ბარამიძე 1975), ხოლო ი. ანთელავა (ანთელავა 1988) სიტყვა „კუპარს“ „კვიპაროსს“ უკავშირებდა. ამ განმარტებათა მიუხედავად, არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტების ნუსხა, რომელთა გაანალიზებაც სრულყოფილ საფუძველს გვაძლევს შოთა რუსთველს არათუ არ ვუწოდოთ მანიქეველი, არამედ დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის XII –XIII საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვიძლი შვილი იყო. ამის დასტურია

იერუსალემის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის შესწავლა (ბეზარაშვილი 2015: 29-61; ლალანიძე 2012: 89, 90; ხინთიბიძე 1993), იერუსალემის აღაპთა წიგნების პალეოგრაფიული ანალიზი და სამეცნიერო შესწავლა, რომ არაფერი ვთქვათ იმ უამრავ სამეცნიერო კვლევაზე, რომლებიც შოთა რუსთველის, როგორც ქრისტიანისა და მართლმადიდებელი ეკლესიის აღმსარებლის მსოფლმხედველობას ფართოდ წარმოაჩენს (გამსახურდია 1991; ხინთიბიძე 1993).

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე არგუმენტი, რომელმაც პავლე ინგოროვას რუსთველის მანიქეველობის შესახებ ფართო მსჯელობის საფუძველი მისცა, არის დახასიათება, რომელიც, როგორც თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევები ცხადყოფს, შოთა კუპარს კი არა, არამედ ეგარსლან ბაკურციხელს მიეწერება: „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ – ამ სიტყვების მნიშვნელობის შესახებ მერაბ ლალანიძე წერს: „უამთააღმნერლობის“ შესწავლამ ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო ტექსტთან მიმართებაში სანდოდ დაამტკიცა, რომ მატიანესეული ეს სასტიკი დახასიათება სრულიადაც არ შეეხება არც შოთას და არც ავაგს, არამედ ეგარსლანს“ (ლალანიძე 2010: 188), – წერს მერაბ ლალანიძე და წყაროებსაც ასახელებს: „უამთააღმნერელი“. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987; ასევე იმოწმებს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების პირველ ტომს რ. კიკაძის ავტორობით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შოთა რუსთველის ვინაობის შესახებ პავლე ინგოროვას ოპონენტთა ერთ-ერთი მყარი არგუმენტი, რომელიც შოთა კუპარისა და შოთა რუსთველის იგივეობის შესაძლებლობასაც კი დაუშვებლად წარმოაჩენს, გაბათილებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძისა და გიორგი არაბულის ოპონირება პავლე ინგოროვას მიმართ.

პავლე ინგოროვას ვერსიის უარსაყოფად კორნელი კეკელიძე წერს: „ვერ მივიჩნევთ პოემის ავტორად ვერც მონღლოლთა დროის მოღვაწე შოთა კუპარს, რომელსაც ისტორიკოსი შემდეგნაირად ახასიათებს: „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“.

განა „არარათა ნიჭთა და ზნეთა მქონებელ“ კაცს შეეძლო დაეწერა ისეთი გენიალური ნაწარმოები, რომელიც მსოფლიო მწერლობის ისტორიაშიც შედევრად შეიძლება ჩაითვალოს?“ (კეკელიძე 1979: 22).

ასწლოვანი მატიანის თანამედროვე კვლევების მიხედვით წაკითხვა კორნელი კეკელიძის ზემოდამოწმებულ არგუმენტს სრულიად უსაფუძვლოდ და გაბათილებულად წარმოაჩენს. ასევე უსაფუძვლოდ მიმართა გიორგი არაბულის არგუმენტი შოთა რუსთველისა და შოთა კუპრის იგივეობის დაუშვებლობის შესახებ. კერძოდ, რუსუდანის დროს მონალოლთა წინაშე დესპანთა ჯგუფში შოთა კუპრის მოხსენიებისას მის „მანის ფერობაზე“, ანუ შავგვრემანობაზე საუბარი გვაფიქრებინებს, რომ თამარის სიცოცხლის ბოლო წლებში ის დაახლოებით ათი წლისა უნდა ყოფილიყო (არაბული 1992: 22), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე ასაკოვანი პოეტის „მანისა ფერობა“, ანუ შავგვრემანობა გაუგებარია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ის, რომ მეტსახელი მხცოვანობამდეც შესაძლოა შემორჩეს ადამიანს. ამას გარდა, ჯვრის მონასტერში გამოსახული პოეტი მოხუცია, ხოლო „როსტომიანის“ ერთ-ერთი ჩანართი: „რას მიმერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ლამაზ-ენა...“, სხვა ფაქტებთან ერთად, პავლე ინგოროვას აზრით, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ რუსთველს ღრმა მოხუცებულობამდე მიუღწევია (ინგოროვა 2016: 137).

იგივე შეიძლება ითქვას პავლე ინგოროვას თეორიის გაკრიტიკების, მასთან სამეცნიერო პოლემიკის პროცესში გიორგი არაბულის ასევე სუსტი არგუმენტაციის შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი, ჰერეთის საზღვრებში ქალაქ რუსთავის არსებობა-არარსებობის საკითხი, ზემოთ უკვე განვიხილეთ. ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც გიორგი არაბული პავლე ინგოროვასთან ოპონირების პროცესში განიხილავს (არაბული 1992: 16-22), შეიძლება ითქვას, რომ შოთა კუპრის შესახებ მატიანის ფურცლებზე ცნობები საკმაოდ მნირია. შესაბამისად, დანამდვილებით არ შეგვიძლია განვაცხადოთ, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნისა და სამეფო კარის წინაშე რა დამსახურებათათვის იყო სარგის თმოგველის, ცოტნე დადიანის, ვარამ გაგელის, გრიგოლ სურამელის, ყვარყვარე

ჯაყელ-ციხისჯვარელისა და სხვათა გვერდით მოღვაწე თუ მომსახურე პირი, რაც ასწლოვანი მატიანის ფურცლებზე წარმოდგენილი უდავო ფაქტია. ამას გარდა, იყო თუ არა ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი ჰერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, ეს ცალკე საკითხია, რომლის ხელალებით უარყოფას სამეცნიერო ფაქტებსა და ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მსჯელობა სჯობს.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც გიორგი არაბული პავლე ინგოროვას ოპონენტად გვევლინება, ასეთია: „არ არსებობს არავითარი ცნობა შოთა კუპრის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ“ (არაბული 1992: 22). ეს, რა თქმა უნდა, ფაქტია, თუმცა შეუძლებელია არ დაგვაფიქროს იმ გარემოებამ, რომ XV საუკუნეზე უადრეს (ვგულისხმობ ერისთავისეული ხელნაწერის მინიატურას, სადაც შოთა რუსთველია გამოსახული – ინგოროვა 2016: 341-358) პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ან მისი ავტორი შოთა რუსთველი არსად, გარდა იერუსალემის ალაპთა წიგნისა და ტაძრის ფრესკული მხატვრობისა, ნახსენები არ არის. ხოლო თავად რუსთველის მიერ ნახსენები ტექსტი, რომლის ავტორიც სარგის თმოგველია – „დილარგეთი“, ჩვენამდე ფრაგმენტულადაც არ მოღწეულა. შესაბამისად, ასეთ ისტორიულ საკითხებზე ვარაუდისა და მხოლოდ ზეპირი გადმოცემების მიხედვით მსჯელობა სამეცნიერო პოლემიკის თვალსაზრისით დამაჯერებელი არ არის.

და ბოლოს, თეიმურაზ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს მომნერა შოთა რუსთველის შესახებ. ცნობები, რომელთა გამოკვლევას, გავრცობას, დასაბუთებასა და ფართო საზოგადოების წინაშე წარმოჩნასაც პავლე ინგოროვამ მიუძღვნა თავისი „რუსთველიანა“, მეცნიერთა უმეტესობისათვის სანდო საბუთს არ წარმოადგენს, რადგან თეიმურაზ ბატონიშვილი ვერ ასახელებს წყაროს, რომელსაც ეყრდნობა, როცა აცხადებს, რომ შოთა რუსთველი ჰერეთის ერისთავი იყო. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „თუმცა წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაცა მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთა რუსთველისა, რომელი იგი იყო ადგილი ჰერეთით, ქალაქით რუსთავით და ქალაქიცა იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან, გარნა ან ახლად ვპოვეთ რა მოთხოვთ საქართველოსა აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძისა, მას შინა წერილ არს რუსუდან მეფისა მოთხოვთასა შინა შემდგომ-

ნი ესე სიტყვაზი: „მეფემან რუსუდან მოიხება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და ალილო შანა და ფიცი მათგან უკნებელობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებულნი კაცნი: შანშე და ავაქ და ვარამ გაგელი და ერეთის ერისთავი შოთთა, რომელიცა მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“... ამა მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთა რუსთაველი თუ სადაით იყო იგი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1960: 291).

მეცნიერთა უმეტესობა თეიმურაზ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს პოზიციას რუსთველის ჰერეთის ერისთავობის შესახებ არ იზიარებს, რადგან თეიმურაზ ბაგრატიონი ვერ იხსენებს წყაროს, რომელშიც ეს ცნობა ამოუკითხავს, თუმცა სიტყვები: „წერილთა შინა რომელთამე მეხილვა“ არ არის უგულებელსაყოფი, რადგან თეიმურაზ ბატონიშვილი არ აღნიშნავს, რომ მას ყური მოუკრავს ან სადმე სმენია, არამედ წერს, რომ წერილობით წყაროებში ამოუკითხავს, მაგრამ ამ ისტორიული დოკუმენტის სახელს ვერ იხსენებს. ეს კი, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობაა ხალხურ თქმულებებთან და ზეპირ გადმოცემებთან შედარებით. თუმცა ისტორიული წყაროების შესწავლა, სავარაუდოდ, ამ საკითხს ნათელს მოჰყენს.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა უფლებას მაძლევს აღვნიშნო, რომ პავლე ინგოროვას მიერ დამოწმებული ისტორიული წყაროების ვრცელი ნუსხა, მისი თანმიმდევრული მსჯელობა, მოგვიანებით კი „რუსთველიანას“ ავტორის ძირითადი პოსტულატების (გარდა რამდენიმე სამეცნიერო ლაფსუსისა და უზუსტონებისა, რაც ზემოთ განვიხილეთ) ახალი რუსთველოლოგიური თუ წყაროთმცოდნეობითი, ლინგვისტური და პალეოგრაფიული გამოკვლევებით დადასტურებული მართებულობა რუსთველის ვინაობის საკითხს არსებითად ნათელს ჰქონის, თუმცა საბოლოო დასკვნებისათვის, თამამი განაცხადისთვის, ცხადია, სხვადასხვა ისტორიული წყაროებისა და მატიანეთა ცნობების დეტალურად შესწავლა და განხილვა არის საჭირო.

## **დამოცვებანი:**

**ანთელავა 1988:** ანთელავა ი. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბილისი: 1988.

**არაბული 1992:** არაბული გ. შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1992.

**ბაგრატიონი 1960:** ბაგრატიონი თ. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა. გ. იმედაშვილის რედაქციით. თბილისი: 1960.

**ბეზარაშვილი ... 2015:** ბეზარაშვილი ქ., ქავთარია ნ. „მაქსიმე აღმსარებლისა და შოთა რუსთაველის პატრისტიკული ღმრთისმეტყველება და ქრისტიანული ფრესკა“. რუსთველოლოგია. ტ. VII. თბილისი ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015.

**გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსნის“ სახისძეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

**ინგოროვა 2016ა:** ინგოროვა პ. „რუსთველიანა“. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2016.

**ინგოროვა 2016 ბ:** ინგოროვა პ. „რუსთველიანას ეპილოგი“. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2016.

**ინგოროვა 2016 გ:** ინგოროვა პ. „შოთა რუსთაველი (1166-1250)“. რუსთველოლოგიური თხზულებანი. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2016.

**კეკლიძე 1979:** კეკლიძე კ. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1979.

**დაღანიძე 2010:** დაღანიძე მ. „ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ წინააღმდეგ“. ლიტერატურული ძეგლანი. XXXI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

**დაღანიძე 2012:** დაღანიძე მ. რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

**ჭიჭინაძე 1928:** ჭიჭინაძე კ. რუსთველის გარშემო. ტფილისი: გამომცემლობა „სტაბა პოლიგრაფ-სკოლისა“, 1928.

**ხინთიბიძე 1993:** ხინთიბიძე ე. შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.

**ჯავახიშვილი 1982:** ჯავახიშვილი ი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.

*Tinatin Biganishvili*

## **Polemics about Pavle Ingorokhva's Rustvelological Theory (the question of Shota Rustaveli's personality)**

### **Summary**

Pavle Ingorokhva's rustvelological theory is based on several historical facts. Pavle Ingorokhva analysed this historical facts and wrote Shota Rustaveli's biography, but Pavle Ingorokhva's conception is quit suspicious and many scientists and writers polemized with the central conception of 'Rustveliana'. They controverted the theory of the identification of two persons: Shota Kupri and Shota Rustveli.

'Rustveliana" was published in 1926, but the main conception of the book was represented in 1922. Pavle Ingorokhva identifies the Georgian nobleman Shota Kupri with the Georgian poet of 12-th and 13-th centuries Shota Rustaveli, an author of 'Vepkhistkaosani".

Scientific researches proved that Pavle Ingorokhva's theory is based on the right historical facts. One of them, the fresco of Shota Rustaveli in the Jerusalem monastery of the Holy Cross, proved that Shota Rustaveli was the Georgian noble. Also is important the fact that in the Book of Commemoration of Jerusalem Holy Cross church is a separate commemoration (aghapi) for Shota the Treasurer.

## თვალსაზრისი

ლია კარიჭაშვილი  
თამარ სეფაშვილი

ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებისათვის  
რევაზ სირაძის „ქართული კულტურის საფუძვლებში“

„მშვენიერება სასწაულია.“  
რევაზ სირაძე

ლრმა კავშირს ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემატიკას შორის ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიექცა ყურადღება. „ნიკომაქეს ეთიკაში“, ისევე როგორც „დიდ ეთიკაში“, არისტოტელე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სათნოების მიზანი ზნეობრივი მშვენიერებაა. სიკეთე და მშვენიერება მისთვის ერთი მთლიანობაა, არისტოტელეს ეკუთვნის ტერმინი „კალოკაგათია“, რაც კეთილისა და მშვენიერის თანამყოფობას ნიშნავს. „არ იქნება შეცდომა, თუ ყოვლად წესიერი ადამიანის მიმართ ვიხმართ გამოთქმას კალოკაგათია, რადგან როცა კაცი ყოველმხრივ კარგია, მასზე ამბობენ, რომ ის მშვენიერიცაა და კეთილიც. მშვენიერია როგორც სათნოება, ისე მისგან გამომდინარე მოქმედებანი“ (არისტოტელე 1994: 67). არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა ზოგადად კეთილი, რაც საყოველთაოდ კეთილია, და ზოგადად მშვენიერი, რაც ობიექტურად მშვენიერია: „კეთილია ის, ვისთვისაც კეთილი არის ზოგადი კეთილი, მშვენიერი კი არის ზოგადი მშვენიერი. აი, ასეთი კაცია კეთილიცა და მშვენიერიც. მაგრამ ვინც ზოგად სიკეთეს არ თვლის სიკეთედ, ის არ იქნება არც კეთილი და არც მშვენიერი“ (არისტოტელე 1994: 67).

ამდენად, არისტოტელე საუბრობდა ჭეშმარიტი სიკეთისა და ჭეშმარიტი მშვენიერების მთლიანობაზე. მისთვის ეთიკური გულისხმობდა მშვენიერებისკენ სწრაფვას. არისტოტელე სათნოებებს (ეთიკურ თვისებებს) განსაზღვრავდა, როგორც საშუალოს სიჭარესა და ნაკლოვანებას შორის. მისი თქმით, სათნოებას ინარჩუნებს ზომიერება: „ეთიკური თვისებები ისპობა ნაკლებობით ან

სიჭარბით“ (არისტოტელე 1994: 47). იგი გამოარჩევდა სულიერ და სხეულებრივ სათნოებებს. სულიერს მიაკუთვნებდა გონიერებას, სიბრძნეს, სიამოვნებას და სხვა, ხოლო სხეულებრივს – სილამაზეს, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ძალაუფლებას, პატივს ...

არისტოტელეს ადამიანის არსებობის უმაღლეს მიზნად მიაჩნდა ბედნიერება. ბედნიერება მჭიდრო კავშირშია „უმაღლეს სათნოებასთან“, ხოლო „უმაღლესი სათნოება“ არის „ან გონება ან სხვა რამ, რაც გვხელმძღვანელობს და წარგვმართავს ჩვენი ბუნების შესაბამისად, რაც გვაძლევს ცოდნას ღვთაებრივსა და მშვენიერზე. ის ან რაღაც ღვთაებრივია, ანდა ჩვენში არსებული ღვთაებრივი, რომელიც გვამოქმედებს ჩვენთვის დამახასიათებელი სათნოების შესაბამისად“ (არისტოტელე 1994: 222).

ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული კულტურის საფუძვლები“ რევაზ სირაძე ცალკე არ გამოყოფს ეთიკურის და ესთეტიკურის ურთიერთმიმართების საკითხს, მაგრამ კულტურის ცნების განსაზღვრებასა და მთელ მის კონცეფციას ქართული კულტურის საფუძვლების შესახებ, განმსჭვალავს სიკეთისა და ჭეშმარიტი მშვენიერების განუყოფლობის იდეა. მეცნიერის დასკვნით, „რაც ესთეტიკურია, შეუძლებელია ეთიკურიც არ იყოს. არ ვარგა ის სილამაზე, რომელსაც სიკეთე არ ახლავს“. იგი, პირველყოვლისა, მიჯნავს კულტურასა და ცივილიზაციას. კულტურა, განსხვავებით ცივილიზაციისგან, სულიერი ფენომენია. მისი უმთავრესი ნიშანია სიკეთე. სიკეთის გარეშე ყალიბდება ფსევდოკულტურა ან ანტიკულტურა. „კულტურა ესაა შინაგანი სიკეთით ცხოვრების უნარი, პიროვნების შინა სახე არა-მეტაფორული, არამედ არსობრივი მნიშვნელობით... არსებითად კულტურა „სულითა ხოლო საცნაურია“ (სირაძე 2000: 107).

კულტურის ძირითად ნიშნად მეცნიერი მიიჩნევს პიროვნების მიმართებას სულიერი ღირებულებებისადმი, სულიერ ფასეულობათა შეგრძნების უნარს. **ამ თეორიის საფუძველი კი ის არის, რომ ქართულ კულტურას არსებითად და დიდნილად განსაზღვრავს ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანობის არსი.** „ყოველივეს სიკეთე ანიჭებს სახეს, მის გარეშე ყოველივე უსახურია და უმსგავსო, ანუ ღვთის სახეს მოკლებული“ (სირაძე 2000: 9). მეცნიერის შენიშვნით, ყოფითი კულტურის ეთიკური ფასეულობაც

ქრისტიანობით განისაზღვრებოდა საქართველოში, დაწყებული პურობის თანამდევი ეთიკით, დამთავრებული საქორწინო ცერემონიალური რიტუალით და ამ ყოველივეს ახლდა თავისი ესთეტიკა.

არისტოტელესეული „უმაღლესი სათნოება“, „ზოგადი კეთილი“ და „ზოგადი მშვენიერი“ ქრისტიანულ თეოლოგიაში ჭეშმარიტი სიკეთე და მშვენიერებაა, რომლებიც აბსოლუტური ერთის ძირითადი არსობრივი მსაზღვრელებია სიყვარულსა და სიბრძნესთან ერთად. ცხადია, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია, უკეთ რომ ვთქვათ, ისნი ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთისგან გამომდინარებენ. უმაღლესი სიბრძნე სიყვარულით მიიღწევა. ღმერთი ჭეშმარიტი სიკეთეა, ჭეშმარიტი მშვენიერებაა („მშვენიერება შეიმოსა“). მშვენიერია ის, რაც სახიერია, სიკეთეა, ჭეშმარიტი მშვენიერების განცდა საღვთო სიბრძნის წვდომის უნარს ნიშნავს. წმინდა გრიგოლ ნოსელის განსაზღვრება სიკეთის ბუნებისა, თითქმის თანხვდება არისტოტელეს შეხედულებას, რომლის მიხედვით, სიკეთეს ერთი სახე აქვს, ბოროტებას – მრავალგვარი. „ჭეშმარიტი სიკეთე ბუნებით მარტივი და ერთსახოვანია და უცხოა ყოველგვარი ორმაგობისა და დაპირისპირებულთა შეულლებისათვის, ხოლო ბოროტება ჭრელია და შენიღბული“ (ნოსელი 1989: 176).

ძველ ქართულ ენაში „კეთილისა“ და „მშვენიერის“ სემანტიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ფარავს:

„კეთილი – ქველი, შუენიერი, უმჯობესი, სულნელი, კარგი, საპატიო, მხნე, საამო“ (აბულაძე 1973: 195).

„კეთილი – „შუენიერი, კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი (აბულაძე 1973: 508).“

„სახიერი – „ქველის-მოქმედი“, კეთილი, კეთილისმოქმედი, ტკბილი“ (აბულაძე 1973: 383).

„სახიერება – სიკეთე, კეთილის-მოქმედება, სიმშვიდე, მოწყალება“ (აბულაძე 1973: 385).

„შუენიერი – კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი“;

„შუენიერება – სიკეთე, სილამაზე“ (აბულაძე 1973: 508).

სასულიერო მნერლობაში სიკეთე განუყოფელია მშვენიერებისგან. პერსონაჟის მშვენიერებას და მის საქმეებს მისივე ქმედებანი განსაზღვრავს. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ღვთის სახიერებამ ადამიანს მიანიჭა სიბრძნე და გონიერება ანუ მსგავსება, „ხატი

თავისი საკუთარი ბუნების მშვენებით შემოსა“ (წოსელი 2009: 139). ადამიანი არის სახიერი, „შუენიერი“, რამდენადაც ინარჩუნებს იგი თავის პირველსახეს, ხატობას ღვთისას. ამდენად, ადრეული შუასაუკუნეების ესთეტიკას თავისი კრიტერიუმები აქვს, ესენია: სიკეთე, სიბრძნე, მშვენიერება და სიყვარული. იგი სულიერი ხედვით აღიქმება. მაგალითად, მშვენიერია იაკობ ხუცესის თვალით დანახული ბორკილდადებული წმინდა შუშანიკი: „ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შვენიერად, ვითარცა სძალი, შემქული საკრველთა მათგან“. დედოფლის მონამეობრივი ღვაწლი და სულიერი წათელი პირქუშ საპყრობილესაც კი განწმენდს და გარდაქმნის: „განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“.

აგიოგრაფის მიზანი პერსონაჟის გარეგნული იერსახის აღწერა არ არის, ამიტომაც არ გეხვდება პორტრეტები, მაგრამ წმინდანის სახე შეუძლებელია მშვენიერი არ იყოს, რადგან იგი ღვთის მადლი-თაა აბეჭდილი.

„წმინდანის სულიდან წამოსულ სინათლეს ძალუძს განწონოს „ჭურჭელი სულისა, სხეული, განწონოს სამოსელიც და მიეფინოს ირგვლივ. ასე იხილვება წმ. გრიგოლი, ჯავახეთის კრებაზე თავმოყრილთაგან... წმინდანი მშვენიერების მოტრფიალეა და მშვენიერია თავად“ (ფარულავა 2003: 12). ამ მშვენიერების წყარო სულიერი საწყისია, ამოტომაც სიყვარული და სიკეთე მისგან განუყოფელია.

ცნობილია, რომ რუსთაველის ეთიკური კრედო მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა მშვენიერების გამსაზღვრელი ძირითად ფაქტორად გვევლინება პოემაში. მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს, რომ რუსთაველისთვის ადამიანური განცდისა და ქცევის ესთეტიკური ღირსება ემყარება ეთიკურს, ე. ი. მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია. არც ერთი ადამიანური მოვლენა არ გამოიწვევს ესთეტიკურ მონონებას, არ ჩაითვლება ლამაზ განცდად ან ლამაზ საქციელად, თუ იგი არ აქმაყოფილებს მორალურ გრძნობებს.

რუსთაველი ასახავს სამეფო კარის ცერემონიალურ კულტურას, მაგრამ მისთვის უპირველესად საინტერესოა ადამიანის „შინა-არსი“, ამიტომაც შენიშნავს რევაზ სირაძე, რომ „პერსონაჟების სახეთა რაობა არსებითად ვლინდება არა სამეფო კართა ატმოს-

ფეროში, არამედ უშუალოდ ბუნების ფონზე, სამეფო პალატებიდან შორს, ცისქვეშეთში, სადაც ყოველგვარ აზრს კარგავს პიროვნებათა რეგალიები და რჩება მხოლოდ კაცად-კაცური და ქალად-ქალური ღირსებანი, რჩება ის, რაც მათ მიანიჭა ღმერთმა და არა სამეფო კარმა“ (სირაძე 2000: 6).

პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, რომელსაც ასე ჰიპერბოლურად (მაგრამ არა კონკრეტულად და რეალისტურად), გადმოსცემს რუსთაველი, მათი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური მრნამსი განსაზღვრავს და მათივე ქმედებები და ურთიერთობები ადასტურებს, ამიტომაც უკავშირდება მათ სახეებს მშვენიერების, სიკეთისა და ძლიერების სიმბოლოები: მზე, ლომი, ვარდი, ნათელი და სხვა... სადაც ზნეობა ნაკლოვანია, ნაკლოვანია გარეგნული ხატიც და პერსონაჟი „თვალად ნასია“.

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობით რუსთაველი, ცხადია, ეხმიანება არისტოტელეს ზემონახსენებ დებულებას სიკეთისა და მშვენიერების მთლიანობის შესახებ, ამავე დროს, იგი აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით, მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი. საგულისხმოა, რომ გარდა ფილოსოფიური ნაზრევისა, სამყაროს ესთეტიკური წარმოდგენა აახლოვებთ რუსთაველსა და იოანე პეტრიწს.

მშვენიერება სიკეთესა და ჭეშმარიტებას უკავშირდება რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა...“ სილამაზეს სუბიექტურ ცნებად მიიჩნევს, ის არ არის „ზოგადი“ მშვენიერება, ხორციელების „ნიჭია“, ცვალებადი და წარმავალი. მშვენიერება ღვთაებრივია, უცვლელი და უბერებელი. ის სულის თვისებაა, მას მიემართება ცნებები: „ნათელი“, „უკვდავება“, „სიყვარული“, „სასუფეველი“. სწორედ მშვენიერ სულთა შორის იბადება ჭეშმარიტი სიყვარული.

ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია, რომელსაც რევაზ სირაძე ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მიიჩნევს, გულისხმობს ესთეტიკური ხედვის პოტენციალს, რადგანაც ყოფიერების აღქმა სახეობრივად სხვა არაფერია, თუ არა რეალობის აღქმა ესთეტიკური კატეგორიებით. მატერიალურ საგნებსაც კი აქვთ სახეობრივი მნიშვნელობა, რადგან ყოველივე

არსებული რაღაცის სახეა. ამ კონცეფციის საფუძველიც ბიბლიურია. ადამიანი – ხატი ღვთისა -თავისი არსით სახეობრივია.

ამ პრინციპით ყველაფერი წუთისოფლისეული სახეობრივია, მათ შორის დროც. წარმავალი დრო მარადისობის ხატია. მას აშინავს, აზრს სძენს სიკეთე. სიკეთის გარეშე დრო ფუჭია. „ეს ნიშნავს, რომ წებისმიერ ამქვეყნიურ მოვლენებთან, ადამიანის რაიმე საქმიანობასთან ან მთელს მის ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის საზრისი, მისი მნიშვნელობა უნდა განიზომებოდეს იმით, თუ ისინი როგორ მიემართება მარადიულობას, როგორ მნიშვნელობს დროის მარადიულ დინებაში და ცხოვრების შემდგომი მარადისობისათვის. ადამიანის მიერ ამქვეყნად განვლილი დრო უნდა ემსახურებოდეს მისი სულის დამკვიდრებას სასუფეველში ანუ მარადისობაში. ამიტომ ამქვეყნიური საქმიანობისათვის განკუთვნილი დრო ფასდება სიკეთით. სიკეთეა წარმავალი დროის ფასეულობის განმსაზღვრელი“. ვფიქრობთ, რომ ამშია დროის ესთეტიკაც. დრო მშვენიერია თავისი წარმავლობის გამო, მშვენიერია იმიტომ, რომ ზედროულის ხატია და იმიტომაც, რომ მისი განმსაზღვრელი სიკეთეა. სახეობრივია სივრცეც, დროისა და სივრცის მთლიანობაც და „წუთისოფელიც“, რომელიც ამ მთლიანობას საუკეთესოდ ასახავს, როგორც ენობრივი მსოფლმხედველობის ნიმუში.

ენა, ენობრივი მსოფლხედვა, როგორც „ყოფიერების სავანე“ (ჰაიდეგერი) ერის კულტურისა და ცნობიერების ამსახველია. „ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვის საფუძველია სიყვარული. ესაა „აგაპე“, სიკეთით აღვსილი სიყვარული“ (სირაძე 200: 340). ამიტომაც სათქმელი უნდა განასახოვნებდეს სიკეთეს. ადამიანს სიყვარულით აღვსილის ენა მოაქცევს ქრისტიანად, როგორც თვითონ ენის „მოქცევა“ ხდება სიყვარულით.

რევაზ სირაძემ აღნიშნულ ნაშრომში უდიდესი ეთიკური უნივერსალიები და, ამავე დროს, ქრისტიანული საღვთისმეტყველო სათნოებანი – რწმენა, იმედი და სიყვარული – ეროვნული კულტურის კონტექსტში გააერთიანა. იგი კულტურის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად როგორც პიროვნულ, ასევე ეროვნულ დონეზე იმედს მიიჩნევს იმედს, რომელიც ხშირად ზნეობრივი ვალდებულებაა.

ქართული კულტურის შემადგენელია მითოსი და ქვეყნის ისტორია („მითოსი როგორც კულტურული მემკვიდრეობა“, „ისტორიის

ესთეტიკა და კულტუროლოგია“). მეცნიერის აზრით, მითოსი სი-ცოცხლისუნარიანია ყველა დროში უპირველესად ესთეტიკური ზემოქმედების წყლობით, ხოლო ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი რჩება ერის მეხსიერებასა და ცნობიერებაში („რაც ერთხელ ცხოვ-ლად სულს დააჩნდების...“), აქტუალობას არ კარგავს აწმყოშიც, თუ კონკრეტულ ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, ზოგადა-დამიანური ეთიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ... ასეთი ფაქტები ეს-თეტიკურ მნიშვნელობასაც იძენენ, რადგანაც ახლავთ ამაღლებუ-ლის განცდა, ასეთია, მაგალითად, ცოტნე დადიანის თავდადება, ან ქეთევან დედოფლის თავგანწირვა. ასეთები არიან ჩვენს ცნობიერე-ბაში დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე.... ისინი ზოგადეროვნულ სახე-იდეებად იქცნენ.

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობის იდეას ადასტურებს მშვენიერების ამგვარი განსაზღვრება: „მშვენიერება სასწაულია, ისაა იდუმალებით მოცული და მიმზიდველი „რაღაც“. ეს იდუმალე-ბა ეხსნება და ემორჩილება სულითა და ხორცით ძლიერთ, ვისაც ძა-ლუბთ ამ სასწაულით ტკბობა. აქედანვე სათავე ედება მშვენიერები-სათვის მოწამებრივ თავდადებას. და იგივე მიიყვანს ადამიანს ბევრ სასურველ და არასასურველ თავგანწირვამდე. ქვეყანას ამშვენებენ გმირები, რომელთაც უნდა იხსნან ამქვეყნიური მშვენიერება და თუ არ არსებობენ ამგვარი გმირები, მაშინ ქვეყნიერების ხსნაც აღარ ღირს“ (სირაძე 2000: 295).

#### **დამოცვებანი:**

**აბულაძე 1973:** აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

**ნადირაძე 2006:** ნადირაძე გ. რუსთველის ესთეტიკა. II გამოცემა. თბილისი: 2006.

**ნოსელი 2009:** გრიგოლ ნოსელი. „შესაქმისავის კაცისა. ძველი ბერძნული-დამ თარგმნა და შენიშვნები დაურთო გვანცა კოპლატაძემ. თბილისი: საქართველოს საპატირიარქოს გამომცემლობა, 2009.

**სირაძე 1975:** სირაძე რ. ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზ-როვნების საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1975.

**სირაძე 2000ა:** სირაძე რ. სახისმეტყველება. მეორე გამოცემა. თბილისი: 2000.

**სირაძე 2000ბ:** სირაძე რ. ქართული კულტურის საფუძვლები. თსუ გამომცემ-ლობა, 2000.

**ფარულავა 2003:** ფარულავა გ. წმიდა გრიგოლ ხანძთელი. „ნათელი ქრისტესი“. საქართველო, წიგნი I თბილისი: .თბილისის უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა, 2003.

*Lia karichashvili  
Tamar Sephashvili*

**The Issue of Interrelations between the  
Ethical and Aesthetical in Revaz Siradze's Work  
“Fundaments of Georgian Culture”**

**Summary**

Revaz Siradze does not provide separate discussion of interrelation between the ethical and esthetical in his book “Principles of Georgian Culture” but his entire conception is based on the idea of indivisibility of kindness and true beauty. According to the scientist's conclusion, what is esthetical cannot be unethical. First of all he distinguishes between culture and civilization, culture is the spiritual phenomenon and its main sign is kindness. Without kindness a pseudo-culture or anti-culture is formed. In the scientist's opinion, the historical facts or events, as well as the mythos, are of interest for the contemporary people, primarily, for their esthetic nature.

In the work Revaz Siradze's conception is considered in the context of Georgian literature.

ზორა ცხადაია  
თამარ ციციშვილი

„მესამე ლექსის“ ინტერპრეტაცია  
აკაკი წერეთლის ლირიკაში

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ შემოთავაზებულ პო-  
ეტური ტექსტის (შაირის) კლასიფიკაციიდან ყურადღებას იპყრობს  
„მესამე ლექსის“ კატეგორია, რომლის შესახებ პოეტი წერს:

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად;  
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;  
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად...  
(რუსთაველი 1987: 11)

მეთვრამეტე საუკუნეში ქართულ მწერლობაში შემოსული და  
დამკვიდრებული აშულური (აშული – არაბულად აშიკს, მოტრფი-  
ალეს ნიშანავს) პოეზია სრულიად ახალი ჟანრული სახეობა (ა.  
განერელია) იყო, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ისიც „სააშიკოდ“  
და „სალალობოდ“ იქმნებოდა. როგორც ცნობილია, ის შორს იყო  
ჩვენს პოეზიაში მანამდე დამკვიდრებული „ვარდბულბულიანური“  
(აღმოსავლური სახეობის პოეზია) სენტიმენტებისაგან და მისგან  
განსხვავებით, აშულურ პოეზიას მოჰქონდა აღმოსავლური ტემ-  
პერამენტი, ცეცხლოვანი განძყობა, უდარდელობა და ჰედონიზმი.  
ქართულმა „აშულურმა პოეზიამ უშუალო კონტაქტი და მჭიდრო  
კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან, ქალაქურ ფოლკლორთან დაა-  
მყარა ... გამოიყენა და განავითარა ქალაქური უარგონი ... მაგრამ  
ის საკმაოდ დავალებული იყო მწიგნობრული ლიტერატურისგანაც“  
(მენაბდე 1966: 632).

აშულური პოეზიის პირველმა დიდმა წარმომადგენელმა საიათ-  
ნოვამ, კარის პოეტმა, „საქართველოს სომეხთაგანმა, ერეკლე მე-  
ფის საყვარელმა მგოსანმა“ (იოსებ გრიშაშვილი) საზოგადოების  
დიდი მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა. მან სათავე დაუდო  
ქართულ აშულურ პოეზიას, მაგრამ საიათნოვა არ დარჩენილა მხო-

ლოდ მეხოტბე პოეტად. აშუღს შეეძლო საყვარელი ქალისადმი მიძღვნილ ლექსებშიც კი მწარე სიმართლე გაერია და ეთქვა, რომ არაფერია მარადიული, თვით სილამაზე წარმავალია: „სილამაზე წავა, არც შენ დაგრჩება, ვარსკვლავივით თუგინდ ცაში ახვიდე“... მიუხედავად ამისა, საიათნოვას ლირიკული გმირი მაინც მუდამ თავდავინყებული მიჯნურია, „ჭკვადაკარგული“, შუასაუკუნეების რაინდივით.

მართალია, აშუღი პოეტების ჰანგები წმინდა ქართული არ იყო, მაგრამ, როგორც მკვლევარი პეტრე მირიანაშვილი აღნიშვნავდა, თბილისში, მეფის კარზე სპარსული ბაიათები ისე დამუშავდა, რომ საკუთარი ელფერი მიიღო. ოოსებ გრიშაშვილი სომეხი მწერლის, ახ-ვერდიანის (საიათნოვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი), სიტყვების საფუძველზე ასკვნის, რომ სა-იათნოვას ლექსების წერა თურმე ქართულად დაუწყია და მხოლოდ ამის შემდეგ, ოცდაათი წლის ასაკიდან – სომხურად და სპარსულა-დო. შეიძლება, საიათნოვას ქართული ლექსების რიგით პირველობა იმანაც განაპირობა, რომ ის ერებულე მეფის კარის პოეტი იყო და, ბუნებრივია, რომ მისი მსმენელი საზოგადოება უმთავრესად ქა-რთველებისაგან შედგებოდა. უფრო მეტიც, მან სომხური წერა არც კი იცოდა და სომხურ ტექსტებს ქართულად წერდა. საიათნოვას „ლექსების ფორმას რაც შეეხება, მას მრავალი სხვადასხვა ჰანგი და საზომი აქვს ნახმარი: მუსტაზიდი, თახმისი, თეჯლისი, ყაფია“ (კეკელიძე 1959: 683). საიათნოვა იყო „ლხინის მოყვარული, ლამაზი ქალების ტრიალი, მათზე „ქებული სიტყვების“ უშურველი, ქვრივ-ობოლთა და ჩაგრულთა სევდის „მეწამლე“ და „სევდის მუფარახი“ (ოოსებ გრიშაშვილი), რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა არა მხო-ლოდ მეფე და დიდებულები, არამედ ქალაქის ჩვეულებრივი მო-ქალაქები. კორნელი კეკელიძის აზრით, საიათნოვას პოეზია დიდ გავლენას ახდენდა მის თანამედროვე პოეტებზე.

საიათნოვამ შექმნა აშუღური პოეზიის სკოლა და ბუნებრივი-ცაა, რომ მას თბილისის დაბალი ფენის მოლექსეებში ბევრი მიმ-ბაძველი, აშუღური პოეზიის წარმომადგენელთა მთელი თაობები გამოუჩნდა: შამჩი მელქო, დავით რექტორი, დიმიტრი თუმანიშ-ვილი, დავით ბატონიშვილი, ოთარ ქობულაშვილი, პეტრე ლარაძე,

სტეფანე ფარშანგიშვილი, ილია ბატონიშვილი, ზაალ ბარათაშვილი, პაზირა, დავით გივიშვილი, გიორგი სკანდარნოვა, ბეჩარა, ანტონ განჯისკარელი, იეთიმ გურჯი, ზურაბ ანტონოვი. მათ შორის, ზოგიერთი მხოლოდ თითო-ოროლა ლექსის ავტორია, უმეტესობამ კი მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქალაქურ-აშულური პოეზიის ისტორიაში.

აშულურმა პოეზიამ საუკუნეების განმავლობაში ისე მკვიდრად გაიდგა ფესვი, რომ მისი “რეზონანსი დიდხანს ისმის” მეცხრამეტე საუკუნეში. მან თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლები: ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი (ცხადაია ... 2017). ალექსანდრე ჭავჭავაძის რომანტიზმი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ერთგვარ სინთეზადაა აღიარებული. მის ტექსტებს ამ ორი გზის „სურნელის შეერთებას“ უწოდებს ვახტანგ კოტეტიშვილი: „ჭავჭავაძის პოეზიაში სინთეზი აქვს მომხდარი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას, რაც მთელი ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ნიშან-დობლივ თვისებად უნდა ჩაითვალოს“ (კოტეტიშვილი 1965: 65-66).

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, მისი მუხამბაზები, ძირითადად, ქალაქის დაბალი ფენის მოსახლეობის გულისტქმას გამოხატავს. ეს იყო დიდებული პოეტური ჟესტი დედაქალაქის მრავალფეროვანი სოციუმის მიმართ. რუსეთის იმპერიის გენერალი (მოვალეობის ერთგული) ლირიკული ტექსტებით უხსნიდა გულს თანამოქალაქეებს. ორბელიანის მუხამბაზები სავსეა ეპოქის სურნელებითა და იმ დროის კოლორიტული სახეებით. როგორც მკვლევარი გიორგი შაყულაშვილი წერს, „ის „მირზაჯანას ეპიტაფიით“ ქადაგებდა, რომ „ეშყსა და ღვინოში დაელუპათ ყოველი სიმწარე, – დიმიტრი ონიკაშვილის დარდს იზიარებდა და ლოპიანას ნაღველით ნაღვლობდა ... ეს მოტივები შემდეგში უფრო გამკვეთდა ქართულ აშულურ პოეზიაში. „ნიკოლოზ ბარათაშვილის უზარმაზარი პოეტური ენერგია და ეროვნული სული რომ არა, ალბათ, XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ სიტყვიერებასაც კი გაჰყვებოდა ის“ (შაყულაშვილი 1970: 15).

ძალზე საინტერესოა აკაკი წერეთლის დამოკიდებულება აშულურ პოეზიასთან. ამ გარემოებას პირველად ყურადღება იოსებ

გრიშაშვილმა მიაქცია თავის ლიტერატურულ ნარკვევში „საიათ-ნოვა“ (1914-1918 წწ). მოგვიანებით ალექსანდრე ბარამიძეც დარწმუნებული იყო, რომ: „მუხამბაზის“ მიმართ ერთგვარი ხარკი რაფიელ ერისთავმა და აკაკიმ გაიღესო“ (ბარამიძე 1969: 463).

აკაკი წერეთლის დაინტერესება მუხამბაზით და სხვა აღმოსავლური პოეზიის სალექსო ფორმებით საკმაოდ საგრძნობია. ამ საკითხთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა რაფიელ ერისთავის გახსენებაც. იოსებ გრიშაშვილის მოსაზრების თანახმად: „რაფიელ ერისთავს სხვა ეროტიულ სასიმღერო ლექსებს შორის აქვს ერთი ლექსი შიო მეჭიანურის ცნობილი მუხამბაზის წაბაძვით დაწერილი, რომლის ყოველი ხანა ასე მთავრდება: „ცეცხლი მოედოს, ვინც, რომ ენდოს ლამაზა ქალსა“.

გვინდა გავიხსენოთ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დაფიქსირებული ფაქტი (ბერიძე 1986: 407), რომ აზერბაიჯანულ ხალხურ მყარ სალექსო ფორმას „უჩლამას“ (ნიშნავს სამეულს, როდესაც ლექსის თითოეული სტროფი სამი ტაეპისაგან შედგება, ხოლო ყოველ სტროფს ორტაეპოვანი რეფრენი ამთავრებს) იყენებენ თავიანთ რჩეულ ლექსებში რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე. რითმათა განლაგების მხრივ სახელდება უჩლამის ორი ძირითადი სახეობა: უჩლამის პირველ სახეობაში სტროფის პირველი სამი ტაეპი საერთო რითმას ემყარება, სარეფრენო ორტაეპედი კი განსხვავებულ რითმას მოითხოვს. ამ სახეობის საუკეთესო ნიმუშია რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“

სადაც ეშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,

სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,

სადაც სიყრმითვე ვრცელვარ, – ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

უჩლამის მეორე სახეობაში პირველი სტროფის ყველა ტაეპი საერთო რითმას ემყარება. მეორე და შემდგომ სტროფთა პირველი სამი ტაეპი თავ-თავის რითმას ეფუძნება. ამასთანავე, მათი ბოლო ორტეპედები უცვლელად ანდა მეტ-ნაკლები ცვალებადობით იმეორებს პირველი სტროფის ორ უკანასკნელ, სარეფრენო

სტრიქონს. ილია ჭავჭავაძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ იშვიათ ნი-მუშად არის მიჩნეული (რ. ბერიძე).

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყვინა!..  
ანმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,  
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...  
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყვინა?

„პოეზიის მაგისტრალური ხაზის წარმომადგენლები (იგულის-ხმება ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე...) თან გრძნობენ თავიანთ უპირატესობას მარგინალური ლირიკის წარმომადგენლებზე და თან ცნობიერად თუ უნებლიერ საკმაოდ ნაყოფიერად იყენებენ ამ უკანასკნელთა სტილურ ნორმებს“ (კენჭოშვილი 2002: 50).

„ვინ იტყვის, – წერს იოსებ გრიშაშვილი, აკაკი წერეთელი აშული იყოვო, როცა ის თავის შესანიშნავ მუხამბაზ-მაჯამებს ხალხისთვის სწერდა „სამღერად და სალალობოდ“ (გრიშაშვილი 1963: 74) ... მირონცხებულმა პოეტმა სულ სხვა აზრი ჩააკემსა თავის მუხამბაზებს ... აკაკის მუხამბაზები საკაცობრიო ჰიმნით და მამულიშვილური გრძნობითაა აღსავსე. მან იცოდა, რომ მდაბიო ხალხი ძლიერ ეტანებოდა სასიმღერო ლექსებს და გული ეთანაღრებოდა, რომ ძველ მუხამბაზებში უფრო ქეიფი და ალერსი ჭარბობდა. და აი, ამიტომაც ასახა ის ცნობილ მუხამბაზებში „თავო ჩემო, ბედი არ გინერია!“, „აღმართ-აღმართ“, „დარდებისა ამშლელი“, „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“ და სხვანი“ (გრიშაშვილი 1963: 28).

აკაკის ინტერესს მუხამბაზისა და სხვა აღმოსავლური ყაიდის ტექსტებისადმი ნათელს პფენს პოეტის „დროებაში“ დაბეჭდილი წერილი „ჩანგური“ (1876 წლის 18 ივნისი 6), აკაკი თავისებურად განმარტავს ჩანგურის, როგორც დასაკრავი ინსტრუმენტის, მნიშვნელობას. ფაქტობრივად, ეს არის იგავი ჩანგურზე და ძველ მეჩონგურეზე, რომლის ხელში საკრავი საუცხოო ხმას გამოსცემდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კი ჩანგურმა ძველებური ჰანგები დაკარგა. ახალმა მექუვიდრემ ხმის გასაუმჯობესებლად ჯერ ჩან-

გურის ყველა სიმი ერთად შეკრა, დაუკრა, მაგრამ შეგრეხილი სიმებისაგან „ბაყი-ბუყის“ მეტი არა გამოვიდა რა. მერე შვილს მისცა. შვილიც „მოსაკრავე“ იყო. მანაც თავიდან ისევ დაშალა შეგრეხილი სიმები, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან სიმები ისე გაფუჭებულიყვნენ, რომ თავის საკუთარი ხმაც დაჰკარგვოდათ და არც ერთიანობაში ვარგოდნენ: „ამ მექვიდრეებს გვაგონებენ ჩვენ ის პირები – წერს აკაკი – რომელნიც ჰყიქრობენ, რომ ერთ-ფერობა, ერთ-გვარობა და ერთხმოვანება აუცილებელი საჭიროება არის...“ შემდეგ მგოსანი საუბრობს საქართველოს ყველა კუთხის შესახებ, „რადგან მათ ყველას საკუთარი ხმა აქვს ... საგანი ერთია, თუმცა მასალა მარად სხვა და სხვანაირი, ვისაც როგორ ემარჯვება, ისეთია...“ (წერეთელი 1990: 128-130). აკაკის ნათქვამის ნათელსაყოფად მოაქვს თავისი ორი ლექსი:

### იმერული ლექსი

პატარა საყვარელო,  
რისთვის მომიკალ გული,  
გალიაში გაგზარდე,  
ვით მაისის ბულბული....

აკაკი განაგრძობს მსჯელობას: „აი, ეს ლექსი, რომელსაც იმერელი, გურული, მეგრელი, ქობულეთელი და სხვა იმერნიც მიისაკუთრებენ და იმღერებენ. ამგვარად ესაყვედურებიან თვის სატრაფოს. როგორც კილო ისე სიტყვებიც მათი საკუთრებაა, მათი გულიდან ამონალებად მიაჩნიათ, მაგრამ იმავე საყვედურს, იმავე გრძნობით აღვსილნი ამერნი კი სხვაგვარად და სხვა კილოთი აღირებენ. მაგალითად ავიღოთ თუნდ ქალაქელები. გრძნობა იმათაც ერთი და იგივე ექნებათ იმერლებთან, მაგრამ კილო და მიმოხვრა თავისებური“ (წერეთელი 1990: 119-120). ამის არგუმენტად პოეტი იმოწმებს მეორე ლექსს:

## მუხამბაზი

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, **სონავი**, შეგიყვარდები,  
ცაზედ მზეა, ქვეყნაზე შენა ხარ,  
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ,  
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ,  
სიხარულო, ჩემი ცრემლის დენა ხარ.  
ეკლით წუ მჩხვლეტ... დამიბრუნე ვარდები,  
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, **სონავი**, შეგიყვარდები.

საგულისხმოა, რომ ლექსში ნახსენები ქალის სახელი „**სონა**“ ბეჭდურ ტექსტებში (რაც მოვიძიეთ) მხოლოდ აქ გვხვდება. სხვაგან აკაკი ყველგან წერს: „გეფიცები, **ტურფავი**, შეგიყვარდები“. აკაკი წერეთელი აღმოსავლეთმცოდნე იყო და უთუოდ კარგად იცოდა აშულური პოეზიისა და აშულების ისტორია. მით უმეტეს, საიათნოვას ცხოვრების ისტორია – რეალური თუ ლეგენდური. სონა, ხალხური გადმოცემით, რქმევია საიათნოვას ერთ-ერთ სატრფოს. ამის შესახებ პირველ ინფორმაციას გვაწვდის ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ასევე, მოვვინებით, საიათნოვას მკვლევარი ბონდო არველაძე. „არსებობს ზეპირგადმოცემა, ვითომდა საიათნოვას სატრფოს „**სონა**“ ერქვა“ (მელიქსეთ-ბეგი 1930: 53). აკაკი სანიმუშოდ მოტანილ ტექსტში, სავარაუდოა, საგანგებოდ იხსენებდეს ამ სახელს, დაკავშირებულს დიდი აშულის ბიოგრაფიასთან.

ისევე, როგორც გრიგოლ ორბელიანისათვის, აკაკი წერეთლისთვისაც მუხამბაზი იყო ერთგვარი პოეტური ინტერესი, შეთამაშება „სალალობო“, „სააშიკო“ მოტივებთან ქალაქურ, აღმოსავლურ სტილში. მისი სხვა მუხამბაზებიც „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“, „კინტოს სიმღერა“ („საყვარლისა ეშხზედა ლვინო დამილევია“), „ბაიათი“, „კინტო“ და სხვები, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ აღმოსავლური მგრძნობელობით ეხმიანება აშულურ – ქალაქურ ტექსტებს. აშულური პოეზია ლხინისაც იყო და ჭირშიც არ იშორებდა. აკაკის მუხამბაზად სახელდებული „ჩემო თავო, ბედი არ

გინერია“ ღრმად განცდილი სევდითა და ემოციური მსოფლხედვით შორს გასცდა აშუღური ტექსტების ერთფეროვნებასა და უდარ-დელობას. მის ლირიკულ გმირში, „სატრფო – მტერი“ ქმნის ტრაგი-კულობის განცდას. სასიყვარულო ტექსტია, მაგრამ მთლიანობაში სიკვდილ-სიცოცხლის არსზეც დააფიქრებს მსმენელს, იმის შეხ-სენებით, რომ „კაცი მტვერია“:

დავუძლურდი, განპერა გიჟი ოცნება...  
ნადვლიანად ჩემს თავზე მეცინება  
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი წება.  
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება...  
სჯობს სულ გაპერეს კაცი, რადგან მტვერია.

„თავო ჩემო...“ სამუდამოდ ჩაჯდა და ამშვენებს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ რეპერტუარს.

ქალაქური პოეზიის კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი და მკვლევარი ემზარ კვიტაიშვილი როცა ქალაქური პოეზიის მუ-სამბაზურ კილოზე მსჯელობს, მართებულად დაასკვნის, რომ რომანტიკოსთა (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი) და განსაკუთრებით – აკაკის ლირიკაში ახალი ელფერი მიიღო წარმოშობით უცხო სალექსო ფორმამ, ქართული ლაზათი შეიძინა... „ვის შეეპარება, მაგალითად, ეჭვი აკაკის საქვეყნოდ ცნობილი მუხამბაზის ქართუ-ლობაში (მკვლევარი გულისხმობს მუხამბაზს „ჩემო თავი, ბედი არ გინერია“); ეს ლექსი მისი უმშვენიერესი ლირიკის განუყოფელი ნაწილია (კვიტაიშვილი 1975: 9).

აკაკის „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“ (მუხამბაზი – მა-ჯამა), ასევე, სატრფიალო ხასიათის ტექსტია. ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობა აქაც ტრაგიკულობის ელფერს იძენს. მტრისგან მოხიბლული და მას მინდობილი მიჯნურისგან განპი-ლებული პოეტი სიკვდილში ხედავს შვებას:

ჩემო თავო! ვეღარ გურნენ წამალით!  
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივინებ, ვინც გახსოვდა მარად, ის!  
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში „აღმართ-აღმართ“ განიხილებოდა, როგორც ალეგორიული ხასიათის ლექსი. სატრიუ სამშობლოს სახით მოიაზრებოდა. ვფიქრობთ, ეს არ იყო მართებული ინტერპრეტაცია. აკაკის პატრიოტულ-ეროვნული ნარატივი იმდენად ნათლად, მკაფიოდ (ალეგორიულადაც) გამოიკვეთა მის შემოქმედებაში, რომ არ არის საჭიროება, ეროვნულ მოტივად გავიაზროთ პოეტის სათქმელი ამ ლექსში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ბრწყინვალე მუხამბაზს და თითქმის ყველა სხვა მუხამბაზსა და პაიათს პოეტი დაახლოებით ერთ დროს, 1870-იანი წლების პირველ ნახევარში ქმნის. აკაკის ეს ლექსები, მართალია, აღმოსავლურ-ქალაქური ჰანგებია, მაგრამ ქართულ ეროვნულ ხასიათთან შეჯერებული (რაც, საერთოდ, შეძლო ქართულმა აშულურმა პოეზიამ), ამდერებულ ლექსებად იქცა, რომლებსაც თავისი დანიშნულება ჰქონდათ.

### დამოშეხანი:

**არველაძე 1988:** არველაძე ბ. საიათნოვა. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“, 1988.

**ბარამიძე 1969:** ბარამიძე ა. „საიათნოვა“. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1969.

**ბერიძე 1986:** ბერიძე რ. „მყარი სალექსო ფირმები“. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1986.

**გრიშაშვილი 1963:** გრიშაშვილი ი. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. თხზულებანი. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.

**კეპელიძე 1959:** კეპელიძე კ. „საიათნოვა“. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1959.

**კენჭოშვილი 2002:** კენჭოშვილი ი. „მარგინალური პოეზიის პარადიგმები – რუსთაველიდან გალაკტიონამდე“. სჯანი, 3. თბილისი: 2002.

**კვიტაშვილი 1985:** კვიტაშვილი ე. „მუხამბაზო, რა ტკბილი რამა ხარო“. ქალაქური პოეზია. ტ. XVI, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1985/

**კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. „ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ოჩეული ნაწერები. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965.

**მელიქსეთ-ბეგი 1930:** მელიქსეთ-ბეგი ლეონ. საიათონვა. თბილისი: გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1930.

**მენაბდე 1966:** მენაბდე ლ. „საიათონვა“. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**რუსთაველი 1987:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ტექსტი დაბეჭდილია 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.

**შაყულაშვილი 1970:** შაყულაშვილი გ. საიათონვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზის დავთრის მიხედვით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970.

**ცხადაი ... 2017:** ცხადაი ზ., ციციშვილი თ. „აშულურ-ქალაქური ტექსტის რეპრეზენტაცია ქართულ რომანტიზმში“. XI საერთაშორისო სიმპოზიუმის „რომანტიზმი ლიტერატურაში“ მასალები. თბილისი: 2017.

**წერეთელი 1990:** წერეთელი ა. „ჩანგური“. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

*Zoia Tskhadaia  
Tamar Tsitsishvili*

## **Interpretation of the “Third Verse” in Akaki Tsereteli’s Poetry**

### **Summary**

Urban-ashugh poetry was never considered as a major part of Georgian literature, however it is significant sub-genre of Georgian poetry. Not to mention it's Oriental (Persian) origins, it is apparent Georgian national temper, which was because it absorbed traditions of Georgian rhymes, most importantly Georgian language, where foreign words are common. Urban-ashugh poetry has established “it's own new language”, poetic language of Old Tbilisi. Pioneer of Urban-ashugh poetry was Sayat-Nova (1722-1800), other important poets were Hazira, Davit Givishvili, Skandarova, Bechara, Anton Ganjiskareli, Ietim Gurji, etc.

New style Urban-ashugh poetry was written by Aleqsandre Chavchavadze and Grigol Orbeliani. A. Chavchavadze's romanticism is synthesis of Western and Oriental cultures, which is the writers distinct characteristic of the poet. A. Chavchavadze's urban motives and style was embodied in mukhambazs and mustazids. Ashugh poetry is important part of Grigol Orbeliani's works. Interest of Akaki Tsereteli in “Mukhambazi” and other forms of Oriental poetry is very noticeable. “Mukhambazi” had been sort of poetic interest for Akaki Tsereteli. Akaki Tseretelis's these poems are influence by Oriental-urban poetry, however they were written with Georgian natioan characteristics.

## გუბაზ ლეთოდიანი

### ფატმანის სახის რემინისცენცია ტიციან ტაბიძესთან

ფატმან ხათუნი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე განსხვავებული ქალი – პერსონაჟია. ის არის ვაჭართა ხელმწიფის ცოლი, ჰყავს საყვარელი (ჭაშნაგირი) და მეორე საყვარელს (ავთანდილს) აკვ-ლევინებს პირველ საყვარელს. ლოგიკური იქნებოდა ასეთი ხა-სიათი მოდერნისტი მწერლის ხედვის მიღმა არ დარჩენილიყო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ტიციან ტაბიძის ლექსი „ფატმან ხათუნი“. მასში ფატმანი წარმოგვიდგება მიმზიდველ და თან მოღა-ლატე ქალად, რომლისთვისაც „ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი“ (ტაბიძე 1985: 80).

„ცისფერი ყანწების“ წევრისთვის ფატმანის სახის რემინისცენ-ცია მოდერნისტულ ტრადიციას უკავშირდება და ქართველი სიმ-ბოლისტების კონცეფციასა თუ ცხოვრებისეულ სტილსაც ესადაგე-ბა, „ალიონამდე ჰკოცნის ფატმან ავსებულ ყანწებს“ (ტაბიძე 1985: 80). სიმბოლიზმი ცნობილია როგორც საგნების წვდომის ხელოვნე-ბა სიმბოლოთა მეშვეობით. სიმბოლო ისევ სიმბოლოთი თუ აიხსნე-ბა (ასე მიაჩნდათ „ცისფერყანწელებს“), ეს დაუსრულებელი ჯაჭვი ქმნის გაუცხოების ესთეტიკას. თუმცა გაუცხოება არ გამორიცხვას საგნისა თუ მოვლენის ინტროვერტულ წვდომას, რაც ასე ნიშნეუ-ლია მოდერნისტული ხელოვნებისთვის.

ორიგინალ ნანარმოებში ფატმანი მეორეხარისხოვანი პერსონა-ჟია, რომელიც შუასაუკუნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, არც თუ ისე მისაღები ყოფა-ქცევის ქალია. მეორე მხრივ, თავისი განსხვავებულობით, სექსუალობით თუ ჰედონისტური ცხოვრების სტილით საინტერესო ხდება მოდერნული ეპოქისთვის. ამგვარად, ჩვენს სტატიაში წარმოვადგენთ ერთი სახის ორმაგ აღქმას, განსხ-ვავებული (შუა საუკუნეებისა და მოდერნიზმის) ესთეტიკის ფონზე.

„ესთეტიკაში არსებობს მშვენიერების გაგების რამდენიმე მოდ-ელი: 1. იდეალისტური, რომლის მიხედვითაც მშვენიერება არის ღვთაებრივი საწყისის განსახიერება ან კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებში განვთვილი აბსოლუტური იდეა; 2. სუბიექტივისტუ-რი, რომელიც მშვენიერების წყაროდ ადამიანსა და მის ცნობიერე-

ბას მოიაზრებს; 3. მატერიალისტური – მშვენიერება სინამდვილის ობიექტური გამოვლინებაა, რომელიც მაქსიმალურად ახლოა ბუნებასთან და 4. რელატივისტური, რომლის მიხედვითაც მშვენიერება არის ყოფიერების ობიექტური მხარის თანაფარდობა ადამიანთან, როგორც სილამაზის საზომთან.“ რასაკვირველია, სილამაზისა და მშვენიერების აღქმა დამოკიდებულია პიროვნების ცხოვრების წესაა და სტილზე, გემოვნებასა და ეროვნული კულტურის თავისებურებებზე (ელბაქიძე 2013: 77).

„მედიევისტური მხატვრული აზროვნება მკაცრი კონიუქტურით ხასიათდება. შემოქმედი წინასწარ აღებული, სავალდებულო იდეებისა და პრინციპების მიხედვით ქმნის თავის თხზულებას, თუმცა ლიტერატურული კლიშეების ნორმატიულობა არ გულისხმობს შინაგანი თავისუფლების სრულ უგულებელყოფას. პირიქით, შემოქმედი ფანტაზია გასაქანს ისევ ტრადიციული პოეტიკის ორიგინალურ გააზრებაში ჰპოვებს.“ (ამირხანაშვილი 2016: 230) – წერს ივანე ამირხანაშვილი. ზემოთქმული შეგვიძლია დავუკავშიროთ „ვეზენისტყაოსნის“ ბროლოგს. აქ წარმოდგენილი და თავმოყრილია გვიან შუასაუკუნეობრივი აზროვნების მთავარი პოსტულატები და, რაც მთავარია, თავად ავტორის შეხედულებები. ამ შემთხვევაში, ყურადღებას გავამახვილებთ რუსთაველის სიყვარულის/მიჯნურბისადმი დამოკიდებულებაზე. ის ასახელებს, მიჯნურის მახასიათებლებს: თვალად სიტურფე/გარეგნული სილამაზე, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეუთა მებრძოლთა მძლეობა. ვინც სრულად ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს „აკლია მიჯნურთ ზნეობა“. რუსთაველი ასევე ზღვარს ავლებს მიჯნურობასა და სიძვას შორის, „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“ (რუსთაველი 1987: 12)...

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,  
რა მოპშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,  
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;  
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.“

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:  
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;

ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაუთა, ყმაწვილობასა.

კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.“

(რუსთაველი 1987: 12)

აქ ნათლად ჩანს, რომ აღნერილია პლატონური სიყვარული, „სოფლისა თმობა“ გულისხმობს უარის თქმას ხორციელ ლტოლვაზე, ფიზიკურ ურთიერთობაზე. ავტორი უარყოფითად არის განწყობილი მიწიერი ვნების გამოვლენისადმი, რომელიც გაიგვებულია ხვევნა-კოცნასთან. ეს მიმართება ეხმიანება შუა საუკუნეების მშვენიერის ესთეტიკურ აღქმას. ზემოთ მოყვანილი ესთეტიკური მოდელებიდან რუსთაველი ყველაზე ახლოსაა პირველთან. აქედან გამომდინარე, პროლოგში შევგიძლია გამოვყოთ დიქოტომიური წყვილი: ლამაზია, მშვენიერია-კარგია, სექსუალურია-ცუდია.

რა თქმა უნდა, პოემის მთავარი გმირები, ტარიელი და ავთანდილი არიან ჭეშმარიტი მიჯნურები. სატრფოსთვის ორივე სჩადის გმირობას, არც გარეგნული მომხიბლაობა აკლიათ და არც მოუცლელად არიან. შორით ტკბებიან სიყვარულით და ცნობილია ახლოდან სატრფოს ხილვამ როგორ იმოქმედა ტარიელზე. აქვე დავძენ, რადგან მიღებულია შეხედულება (თავადაც ვემხრობი მას), რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ტიპური სარაინდო ეპოსი, სამართლიანად მიმაჩნია შემდეგი საკითხის დასმა: ქალი – პერსონაჟები, ნესტანი და თინათინი არ არიან მხოლოდ სასიყვარულო ობიექტები. ისინი აქტიური და თანაც ინტრიგის, დაძაბულობის შემომტანი პერსონაჟები გახლავთ, განსაკუთრებით ნესტანი. ამით მსურს ხაზი გავუსვა სასიყვარულო თავგადასავალშიც ქალისა და კაცის თანაბრობას. (როგორც ნესი, ევროპულ რაინდულ რომანში ქალები არ ავალებდნენ რაინდებს საგმირო საქმეების ჩადენას, ვინმეს მოკვლას ან სახელმწიფოს დაპყრობას. რაინდისთვის ქალი მხოლოდ მოტივაციის მიმცემი სიყვარულის ობიექტია).

ამ მხრივ, ამაღლებულ სიყვარულს მოკლებულია მეორეხარისხოვანი, თუმცა, მნიშვნელოვანი პერსონაჟი ფატმანი. ის მიჯნურობის ყველა ნორმას არღვევს. ხვევნა-კოცნასა და „მტლაშამტლუშს“ არ ერიდება, რბილად რომ ვთქვათ, არც ერთგულებით გამოიჩინავა. მოკლედ, არ არის ეს ქალი „სოფლის მთმობელი“ და დღეს თუ ერთი უნდა ხვალ სხვაზეც არ ამბობს უარს. ფატმანის

ამგვარი დამოკიდებულება საპირისპირო სქესის წარმომადგენ-ლებისადმი მისივე ცვალებადი ხასიათით თუ „ეგზისტენციალური“ სევდითაა განპირობებული. გავიხსენოთ ნავროზობის ღამე (რო-დესაც შეხვდება ნესტანს), რომლის შესახებაც უყვება ავთანდილს:

„ვაჭრის ცოლთა მხიარულმან უმასპინძლე ამოდ, დურად;  
სმასა ზედა უმიზეზოდ გაეხე რამე უგემურად,  
რა შემატყვეს, გაიყარა, სხდომილ იყო რაცა პურად,  
და მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად“.

„უკმოვახვენ სარემელნი და შევაქციე პირი გზასა,  
ვიხედვიდი, ვიქარვებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა“.

(რუსთაველი 1987: 216)

ვფიქრობ, ეს არ ჰგავს ბედნიერი ქალის საქციელს. განსა-კუთრებით, მოხმობილ სტრიქონთაგან, ბოლო ორი წარმოაჩენს ფატმანის სევდიან და თანაც, ერთგვარად რომანტიკულ ხასიათს.

ასევე ალსანიშნავია, რომ ამ პერსონაჟისადმი რუსთველს, ავთანდილსა თუ ნესტანს, (გასაგები მიზეზების გამო გამონაკლისი ჭაშნაგირია) უარყოფითი დამოკიდებულება არ აქვთ. ავტორი მას ასე ახასიათებს:

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,  
ნაკუთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,  
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი;  
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

(რუსთაველი 1987: 208)

ამ მონაკვეთში ხასგასმულია ფატმანის გარეგნული მახასიათე-ბლები, – სრულიად განსხვავებულია თინათინის ან ნესტანის ალ-წერისგან. აქ არ ვხვდებით მზესთან შედარებას ან რაიმე მსგავსს, რასაც ნათელთან ექნება კავშირი. ამას გარდა მინიშნებულია მისი ჰედონისტური ცხოვრების სტილზეც.

ასევე, გავიხსენოთ ის პასაჟი, როცა ფატმანი წერილს უგზავნის ავთანდილს:

„დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,  
მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,  
მისთა მსმენელთა გულისა შემძრველი, შემარყეველი,  
უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი.“

(რუსთაველი 1987: 209)

ავთანდილის აზრი ამ წერილთან დაკავშირებით ამგვარია: „ყვა-  
ვი ვარდსა რას აქმნევს, ანუ რა მისი ფერია!“

აქ იჩენს თავს რუსთველისეული სიყვარულის კონცეფცია, რო-  
მელიც ევროპული რაინდული რომანის სასიყვარულო დოქტრინის  
მსგავსია. ვგულისხმობ, სიყვარულის წოდებრივ ხასიათს, „ვეფხ-  
ისტყაოსანში“ – როგორც ქ. მაკა ელბაქიძე აღნიშნავს – გაიდეალე-  
ბული სიყვარული მხოლოდ რაინდთა წრის კუთვნილებაა და სავალ-  
დებულო თვისებათა მეკაფიოდ ფორმულირებული კოდექსითაა  
განსაზღვრული“ (ელბაქიძე 2016: 217). ამიტომაცაა ფატმანის სი-  
ყვარული ავთანდილისთვის ერთგვარად ასაგდები, დასაცინი თუ  
მდაბიური.

მაგრამ ის, რაც ავთანდილისა და შუა საუკუნეების/რუსთველი-  
სეული სიყვარულის კონცეფციისათვის არ, თუ ნაკლებადთავსება-  
დია, საინტერესო და მიმზიდველია მოდერნიზმის ეპოქაში. ვინაიდ-  
ან მოდერნისტული ესთეტიკური მოდელი სუბიექტივისტურია და  
მშვენიერების წყაროდ ადამიანის ცნობიერებას მოიაზრებს.

სწორედ ამის გამოვლინებაა ტიციან ტაბიძის ლექსი „ფატმან ხა-  
თუნი“. მოდერნიზმის ესთეტიკისთვის დასაშვებია ლამაზი ან მშვე-  
ნიერი ქალი იყოს სექსუალური.

„მოდერნისტული მსოფლხედვა უაღრესად ინდივიდუალისტურ-  
ია. მოდერნიზმი იმდენად ორიენტირებულია სუბიექტის შინაგან  
სამყაროზე, ემიჯნება სოციუმს, ტრადიციულ სივრცეს...“ რელიგი-  
ური ასკეტიზმისგან განსხვავებით მოდერნიზმში ინდივიდი მოქ-  
მედებს არა სარწმუნოებრივი იდეის სახელით, არამედ საკუთარი  
უნიკალური ემოციური მდგომარეობის, შინაგანი განსხვავებულო-  
ბის ძალით (ლომიძე 2016: 116). ამ ყველაფრის გათვალისწინებით  
ვიტყვი, თუ რატომ არის სათაურში რემინისცენცია და არა ალუზია.  
იმიტომ რომ ფატმანი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ვეფხისტყაო-

სანშივე ავლენს განსხვავებულ ხასიათს. ის მაძიებელი პერსონაჟია და არა მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავლებში.

ქართული სიმბოლიზმი საკუთარ პოეტიკას, ესთეტიკას და მსოფლმხედველობას პრინციპულად უკავშირებს იმ ლიტერატურულ ტრადიციას, სადაც აღიარებულია მწერლობის ავტონომიურობის პრინციპი, ისინი ითვალისწინებდნენ, როგორც ევროპული რომანტიზმის ტრადიციას, ასევე რუსთაველისა და ბესიკის შემოქმედებას. (ბრეგაძე 2016: 80) მოდერნის ეპოქაში დაირღვა რენესანსულ-განმანათლებლური ანთროპოცენტრისტული მსოფლხატი, აღმოჩნდა, რომ სამყარო ყოველგვარ ცენტრს, საყრდენს მოკლებულია, მოდერნის ეპოქის ადამიანი მყარად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი პრინციპებისა და ლირებულებების გარეშე დარჩა. მის ნიპილისტურ ცნობიერებაში ყველა ლოგოცენტრისტული ლირებულება გადაფასდა. (ბრეგაძე 2016: 407-408). ამ ყოველივეს გათვალისწინებით იოლი მისახვედრია თუ რატომ ვხვდებით ფატმანის სახეს ტ. ტაბიძის პოეზიაში.

ლექსში „ფატმან ხათუნი“ ნათლად ჩანს პერსონაჟის სახის წვდომის სიმბოლისტური ცდა, ამას დასაწყისიც მოწმობს:

„ჩემს სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის“...  
(ტაბიძე 1985: 80)

ეპიტეთი „ცხელი ასული“ მიემართება ფატმანს, ლექსში ეს სახე კიდევ უფრო „ფართოვდება“ და პერსონაჟს წარმოაჩენს მგზნებარე, ინდივიდულობის მქონე ქალად. ინდივიდის ცნება თუ თავად ინდივიდუალურობა, ექსტრავაგანტულობა უმნიშვნელოვანესი ხაზია სიმბოლიზმისთვის, როგორც პოეზიასა და ზოგადად, ხელოვნებაში, ასევე ყოფით ცხოვრებაში (გავიხსენოთ, ტიციან ტაბიძის წითელი მიხაკი). ამდენად, გასაკვირი არ არის თუ რატომ მოექვა „ვეფხისტყაოსნის“ ეს პერსონაჟი ტიციან ტაბიძის ხედვის არეალში. შუა საუკუნეების ესთეტიკასა და მორალთან შეუსაბამო, ერთგვარად ემანსიპირებული ფატმანი მოდერნულ ეპოქაში რემინისცირებული, „აღმდგარი“ და სხვაგვარად ინტერპრეტირებულია.

## **დამოცვებანი:**

**ამირხანაშვილი 2016:** ამირხანაშვილი ი. „დავით გურამიშვილის პოეტური კუნტრაპუნქტი. შუასაუკუნეებიდან განმანათლებლობის ეპოქამდე“. ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში. I. თბილისი: 2016.

**ბრეგაძე 2016:** ბრეგაძე კ. „ისტორიული მოდერნი ვს. ლიტერატურული მოდერნიზმი“. ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: 2016.

**ბრეგაძე 2016:** ბრეგაძე კ. „ლიტერატურული ტრადიციების გაგება ქართულ მოდერნიზმში“. ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: 2016.

**ელბაქიძე 2013:** ელბაქიძე მ. „შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ კატეგორიათა ურთიერთმიმართულისათვის (სილამაზე/შვენიერება)“. სჯანი, № 14. თბილისი: ლიტერატურის ინსატიტუტის გამომცემლობა, 2013.

**ელბაქიძე 2016:** ელბაქიძე მ. „ვეფხისტყაოსანი“ – გზა რენესანსისაკენ“. ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში. ტ. I. თბილისი: 2016.

**ლომიძე 2016:** ლომიძე გ. „სიმბოლიზმი და ავარგანდიზმი საქართველოში“. ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში. ტ. II. თბილისი: 2016.

**რუსთაველი 1987:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.

**ტაბიძე 1985:** ტაბიძე ტ. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1985.

## *Gubaz Letodiani*

### **Reminiscence of Phatman's Character in Titsian Tabidze's Poetry**

#### **Summary**

Phatman-Khatun is the most “non-knightly” and, at the same time, the most different female character. She is the wife of the merchants’ ruler; she has a love-mate (Chashnagir) and allows her second love-mate (Avtandil) killing of the first one. It would be hard to imagine that such character would not attract attention of the modernist writers. In this respect, Titsian Tabidze’s poem “Phatman-Khatun” is of great interest. It presents Phatman as

very attractive and unfaithful woman who does not make difference between “Chachnagir and Avtandil”.

For the member of “Blue Horns”, reminiscence of Phatman’s character is associated with the modernist tradition and it suits well with the conception and life style of Georgian symbolists, “Phatman kisses the horns filled with wine to the dawn”. Symbolism is known as the art of understanding of the things by means of the symbols. Symbols could be explained by symbolic only and this endless chain creates the esthetics of estrangement. Though estrangement does not exclude introvert understanding of the things and phenomena, what is characteristic for the modernist art.

In the poem subject to study, “Phatman-Khatun” the symbolist attempts of understanding of the character are apparent and this could be seen from the beginning:

“My soul reflects the memories of a passionate maid”...

Epithet “passionate maid” is attributed to Phatman and in the poem this character further “expands” and presents her as a passionate woman with individual nature. The concept of individual as well as individuality, extravagance is the most important line for symbolism, as in the poetry and generally in the art, also in life (recall Titsian Tabidze’s Red Pink). Thus, it is not surprising that this character of the “Knight in the Panther’s Skin” attracted Titsian Tabidze’s attention. Phatman, unsuitable to the esthetics and moral of medieval period, emancipated in some manner is reminiscent, “risen” and interpreted in the different way in the modernist epoch.

In the original poem Phatman is not a main character, a woman of not quite acceptable behavior from the point of medieval thinking. On the other hand, with her different nature, sexuality and hedonist life style she becomes of interest in the modernist epoch. Thus, in our work we shall dual perception of a single character against the background of two different (medieval and modernist) esthetics.

## ცნება და ტერმინი

### ლია წერეთელი

#### რუსთველის „ლალი“

„ლალი“ – („ლალიათუნ, ლაალინ- მრ.რ ) არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბევრ ლაპარაკს, ლაყბობას, სისულელების თქმას, ბოდი-ალს (ზერეთელი 1951: 38).

სპარსულში „ლაალ“ – ხუმრობა, დარდიმანდობაა.

„ლალი“ სულხან-საბას განმარტებით, არის „უკრძალველი ადა-მიანი, ვისაც „კრძალვა არა აქვს“: „უწვრთელობისა ნიშანი არს. სი-ლალე არს განუკრძალველი კადნიერება, რამეთუ რა განლაღნეს კაცი, მეტნობისა იწყებს მანქანებისასა“.

„...სილალე არს, რომელსა მსოფლიონი სითამამეს უწოდებენ“ (ორბელიანი 1991: 408).

სულხან-საბასეული განსაზღვრით, ლალი – ამპარტავანი, უკრძალველი და თავხედი ადამიანის მნიშვნელობით იხმარება სასულიერო მწერლობაში, ჰიმნოგრაფიასა და „ქართლის ცხოვრებაში“: „მკვიდრნი მისნი... ლალ იყვნენ“ (ქართლის ცხოვრების სიმფონია 1986: 175 ), შესაბამისად, „ლალობა“ არის ამპარტავნება, თავხედობა.

„ვინმე იხილო ... ლალობად ტრაპეზსა ზედა“ (ქართლის ცხოვრების სიმფონია 1986:15).

„ქართლის ცხოვრების“ თხრობაში:

„თავხედი იყო ესე მირდატ... კაცი ლალი და ამპარტავანი“ (ქართლის ცხოვრების სიმფონია 1986: 138).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ „სილალე“ სითამამეს, უკრძალველობას აღნიშნავს:

„ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილალით თქუა“ (ქართული ჰაგიოგრაფია 2016: 202).

სილალე, როგორც კადნიერება და დაუშვებელი სითამამე, ჰიმნოგრაფიაშიც მხოლოდ ამ მნიშვნელობით დასტურდება:

„მოლებასა კიდობნისასა შეპხარეს რა იგი ზვარაკთა მათ, მხოლოდ შეხებისათვის ოდენ რისხულ იქმნა ოზან, არამედ სი-ლალისაგან მისისა ლტოლვილი, სულო, სალმრთოითა შეეხებოდე შიშით“ (ანდრია კრიტელი „დიდი კანონი“).

გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების მიხედვით „ლალი“ მზვაობარი და ამპარტავანი ადამიანია:

„ნუ განლალდები ფრიად!... „სილალე თავის მავნებლობად უწყი“, „ნუ სიღალით მჩებებელ ხარ“, „ სილალეთა წარმდენთაგან ზუაქმილნი“ ... (ბეზარაშვილი 2016: 406)

„განლალება-გაამაყება, გათამამება, გაკალნიერება:

„სჯობს მჭმუნვარებაი განლალებულთა“.

„სჯობს ჩვეულებაი მჭმუნვარე, ვიდრე ლალი“...

„მწუხარე და შექმუნვებული შუეულებაი ვიდრელა ალზევებული და ლალი“.

ადამიანთა განლალების უმთავრეს მიზეზად გრიგოლ ლვთისმ-ეტყველი სიმდიდრეს ასახელებს“

„განლალებულება-ალზუვებული და ლალი, „მდიდრად გან-ლალებულნი“... „აქუს რამე ლალი ჩუენდა ან განცხრომისაი“... (ბეზარაშვილი 2016: 372)

სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს რუსთველურ „ლალ“-ს:

„ლალი“ „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანური ბუნების გამომხატვე-ლია: ამაყი, მხნე, თავისუფალი. სილალე პიროვნული სულისკვეთე-ბაა. რენესანსული ადამიანის სრულქმნილებად წარმოდგება „ლალი“ პოემაში. კეთილშობილებას, სიმდაბლეს, უანგარობასა და სხვა სათნოებათა ზნეობრივ კოდექსს ერთგვარად აგვირგვინებს რუსთველური „ლალი“, როგორც პიროვნების სამშვენისი:

რუსთველი თამარს პროლოგში ამგვარად მოიხსენიებს – „ლალ-მან და ლამაზმან ნები“ (8,4).

როსტევან მეფე –

„ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეტად-რე“ (69,1).

„სიცილით ლალობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა“ (84,4).

თინათინი –

„საკრძალავი და უკადრი, ლალი , არვისგან ვნებითა“ (1482,2).

ვაზირი სოგრატ –

„ვაზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა“ (60, 4)

ავთანდილი –

„ყმა მეფისა საუბარსა ლალი წყნარად მოისმენდა“ (65,1,)

„ავთანდილ ლალი, უკადრი, მივა, არვისგან ჰრცხვენოდა“ (126,1)

„გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლალად მავალი“ (152,1)

„ყმა წავიდა ლალი, ნაზი, ნალვიძები, ძილ-ნაკრთობი“ (725,2)

„მოყმე მხნე. ლალად მავალი“ (141,1),

„ლალი, ბუნება-ზიარი“ (1109,1)

ავთანდილი და თინათინი –

„უბნობენ ლალი, წყლიანნი, არა სიტყვითა მქისითა“ (700, 3)

„ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად აგეს“ (142,1)

ტარიელი –

„იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად“ (96,4),

„ლალი, უკადრი“ (122,1) „ლალი, კუშტი, ამაყი, ნა“ (209,4)

„მორჭმული, ლალი, შვებული“ (676,3),

„ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა, ლალმან სიტყვითა ხაფითა“ (447,1)

„ტარიელ მადლი უბრძანა, ლალმან სიტყვითა ტკბილითა“ (1475,4)

„ინდოთ მეფე თაყვანის-სცემს, ლალი, ბრძენი, არ მახმული“ (1567,3)

ნესტანი –

„თავსა ჰკერძალავს ლალი“ (397,4)

„შენ სწერდი შენსა ამბავსა ლალი, ბრძნად გაგონებული“ (1281,4)

„აკოცა მისთა მეშველთა ლალმან ცნობითა წყნარითა“ (1423,3)

ფრიდონი –

„ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა“ (1415,1)

„იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა“ (1503, 2)

თვით ზღვისპირა ხეები რუსთველისთვის სილალით ხასიათდება:

„მუნ გარდავხე მოსვენებად, დამხვდეს რამე ხენი ლალად“ (597, 4)

ვახტანგ მეფის „ვეფხისტყაოსნის „განმარტებაში“ ვკითხულობთ; „ლალობა-არაბული სიტყვაა და გართობას, ხუმრობას აღნიშნავსო“ (შანიძე 1966: 17)

„ლალი“ „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში გან-  
მარტებულია, როგორც თავისუფალი, თამამი, ამაყი.

ცნება „ლალი“ ქართულ სიტყვიერებაში ბუნებითი თავისუფ-  
ლების, სითამამის აღმნიშვნელია და ვფიქრობთ, ამ შინაარსის  
დამკვიდრება რუსთველის დამსახურებაა. მან თავისი გმირები  
აგილგრაფიული განსაზღვრულობისგან სრულიად განსხვავებული  
რენესანსული ადამიანის პიროვნული მახასიათებლებით წარმო-  
სახა. ამ მახასიათებელთაგან სილადე სწორედ რუსთველური  
გრადაციის შედეგია:

„ლალია მთიელის ბუნება“, ლალად იზრდება მცენარე... ლალია  
ირემი ბუნებით... „ლალი“ ხალხურ აზროვნებაში დამკვიდრებულია  
თავისუფლების, სითამამის, ბუნებრივად ხალასის, შეუბოჭავის  
შინაარსით: ამ მნიშვნელობით – „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატა-  
რაში ლალად იყო“, გაორმაგებული სიტყვაქმნადობა „ლალლალი“  
– წყალში სარეცხის გავლება, გალივლივება... შესაპამისად სიტყვა  
„ლალობა“ აღნიშნავს თამაშობას ხალისიანად, მხნედ.

ლალობა, როგორც თამაშობა „ვეფხისტყაოსანში“ უხვად გამო-  
იყენება და აქვს გართობის, ხუმრობისა და შექცევის მნიშვნელო-  
ბა. როგორც განმარტავს ს.ს.ორბელიანი „ლალობა – ლალთა მი-  
ერ ქმნილი ხუმრობა, ლალობა არს მღერა, თამაშობა, ხუმრობა“ (ორბელიანი 1991: 408)

„ერთგან დასხდეს ილალობეს“ (137,1)

„ერთობ საგენი მოვიდეს, თავიცა ვალალებინე“ (455, 2)

„ერთმანეთსა ელალობნეს ლალობათა მათთა მშვენთა“ (1415,3)

„ამხანაგობდეს, ლალობდეს, ნასვლასა მათ საქმეთასა“ (1505,3)

„მოდი, ფრიდონს ველალობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა“ (1383,4)

„ამოა კარგი ლალობა, ლალსა შევე-იქმს ლალებად“ (1384,4)

ეროტიული საზრისით ავთანდილი და ფატმანი:

„ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლალობა წყლიანი“ (1099,2)

„მან გაკვირვებით უჭვრიტა მათსა ლალობა-წოლასა“ (1100,3)

„ლალი“ პოემაში უკრძალველისა და თავხედის მნიშვნელობი-  
თაც დასტურდება. გარდა თავისუფლებისა და სითამამისა, ის

აგრეთვე აღნიშნავს უკადრის საქციელს, მოურიდებლობას, ზღვარგადასულობასა და კადნიერებას:

რამაზ მეფეს –

„სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია“ (400,2)

სრულიად ნათელია, რომ აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, საისტო-რიო და სასულიერო მწერლობა არ ცნობს ამ სიტყვის დადებით საზრისს. ცხადია, რუსთველმა იცის სიტყვის ეს საზრისი და პოემაში რამაზ მეფის საქციელს ამ მნიშვნელობით განმარტავს, მაგრამ ცხადია, რუსთველმა „ლაღ“-ს სულ სხვა შინაარსის გამოხატვის ფუნქცია დააკისრა:

რუსთველის „ლაღი“ თავისი ლირსების მცოდნე ადამიანის სია-მაყეს, შევბასა და თავისუფლებას აღნიშნავს. ამის მიუხედავად, რუსთველური სილალე არ არის ზღვარდაუდები და უკიდეგანო თავისუფლება, უსაზღვრო სიამაყე, ანუ კადნიერება და წრეგადა-სული თავისუფლება. იგი აგიოგრაფიული საზრისის მნიშვნელო-ბასაც ინარჩუნებს და შესაძლოა ითქვას, რომ ამ ცნებას პოემაში ბინალური მნიშვნელობა აქვს. თუმცა, რუსთველური ლაღი-ს ცნება უმთავრესად რენესანსული ადამიანის სულიერ-ფიზიკურ თავისუფლებას, მხნეობასა და დაუსაზღვრელობას აღნიშნავს. უფრო მეტიც, სილალე რუსთველისათვის ადამიანის ბუნებითი თვისებაა. იგი ჯანის, სიმრთელის, მხნეობის ნიშანია:

„მე ვჯე ლაღი და ჯანი სად“ ( 517,2) – თავისთავზე ამბობს ტარიელი.

მას რამაზ მეფეც ასე მიმართავს: „შენ ლაღისა და ჯანისაა“.

„ჯან“-თან, ანუ ადამიანურ „ჯან-მრთელობასთან“ სილალის იდენტურად მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ რუსთველისთვის ადამიანის ბუნებითი თვისებაა – სიმხნე და ძალა, ამასთან თავი-სუფლება და ლირსების გრძნობა.

ქმედებაში ხატავს რუსთველი ადამიანის სილალეს: „ლაღობდეს“ (79,2), „სიცილით ლაღობს“ (82,4)... „ილაღობეს“, თამაშობისა და გართობის აღმნიშვნელია „ლაღობა“, მხიარულებისა და თავისუფლების გამომხატველი. პოემის პროლოგშივე შაირობა და ლექსთა თქმა ლაღობად ცხადდება:

„მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამდერელად,  
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ (17, 1-2)

ამრიგად, ლალი – უცხო წარმომავლობის ეს სიტყვა ქართულში, თავდაპირველად სასულიერო მწერლობაში კადნიერების, თავხე-დობის მნიშვნელობით დამკვიდრდა. რუსთველმა რენესანსული ადამიანის ჰარმონიული მთლიანობის, სულიერ-ფიზიკური სიჯან-საღის, თავისუფლების მნიშვნელობით გაიაზრა, თავისი გმირები ამ ეპითეტით მრავალგზის შეამკა და თამაშობა-გართობის ფუნქ-ციითაც დაამკვიდრა. ლალის საღვთისმეტყველო შინაარსი რუსთ-ველმა შეინარჩუნა და პოემაში გაკადნიერების მნიშვნელობითაც გამოიყენა, მაგრამ სილალე ადამიანის რენესანსული მთლიანობისა და თავისუფლების სიმბოლოდ დაამკვიდრა. ამასთან, საღვთო სიყვარულისა და ადამიანური სიყვარულის რუსთველური კონცეფცია პავლე მოციქულის სიტყვა-ფორმულის გაშლა-განვრცობაა პოემაში: „სიყვარული არა განლაღნის“.... სიყვარულის მადლით დაიძლევა სილალის უარყოფითი არსი. სიყვარული ხომ ამაღლებს რუსთველის გმირებს ყოველგვარ ადამიანურ ცოდვითდაცემულებაზე.

„ლალი“-ს გრადაცია ქართულ მწერლობაში რუსთველამდე და რუსთველის შემდგომ თვალნათელია. ვფიქრობთ, რუსთველი-სეული „ლალი“ იმდენად შეითვისა სიტყვიერებამ, რომ იგი ერთ-გვარად ქართული მენტალობის გამომხატველ ცნებად იქცა . ამის საუკეთესო დადასტურებაა ხალხური პოეზია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, სადაც სილალე მთიელთა და ზოგადად ქართველთა ბუნებით თვისებად წარმოდგება.

P.S. სტატია დასრულებული გვქონდა, როცა ახლადგამოცე-მულ წიგნში ოლეგ გოლიაძის მსგავს მოსაზრებას გავეცანით. ავტორი წერს:

„მშვენიერება, რაინდობა, ანუ სამხედრო ქველობა, ჰატრონების ინსტიტუტის და მასთან კონცეპტუალურად გადაჯაჭვული არისტოკრატიზმი, სიუსვე, გრძნობათა სიძლიერე-სისპეტაკე, სილ-ალე (რაც ვფიქრობთ, სხვა ზოგადადამიანურ თვისებათა შორის ქართული მოვლენაა და რაც, სამწუხაროდ, მინავლების პროცესშია)“. სილალე ავტორის მიაჩნია ქველქართული ტრადიციით, ადამიანის აუცილებელ თვისებად, რომელსაც „თვალდახელშუა ჰკარგავს თანამედროვე ქართველი“ (გოლიაძე 2017: 173).

## **დამოწევებანი:**

**ბეზარაშვილი 2016:** ბეზარაშვილი ქ. გრიგოლ ნაზიანზელის (დვთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია. ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „ახალი საქართველო“, 2016.

**განმარტებითი ლექსიკონი 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: 1986.

**გოლიაძე 2017:** გოლიაძე ო. ქართული მნერლობის ლიტერატურული პრინციპები (V-XVIII სს). თბილისი: 2017.

**კრიტელი 2003:** ანდრია კრიტელი. დიდი კანონი. თბილისი: 2003.

**ლექსიკონი 1968:** ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: 1968.

**ორბელიანი 1991:** ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.

**რუსთაველი 1957:** რუსთაველი შოთა. „ვეფხისტყაოსნი“. თბილისი: 1957.

**სიმფონია-ლექსიკონი 2005:** ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

**ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი 1986:** ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.

**ქართული ჰაგიოგრაფია 2016:** ქართული ჰაგიოგრაფია. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2016.

**შანიძე 1966:** შანიძე ა. ვეფხისტყაოსნის საკითხები. 1. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966.

**წერეთელი 1951:** წერეთელი გ. არაბულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: 1951.

## Rustveli's "Chainless" ("Laghi")

### Summary

"Laghi" is Arabic word that means talking, chattering talking nonsense, being foolish; in Persian "laagh" means joking, having fun. According to Sulkhan-Saba, "laghi" is an unrestrained, impudent person. In the religious literature it is used in the sense of impudence, audacity. Rustveli used this epithet in relation with characters many times and added the function of playing and having fun. Theological content of the word is expansion of the formula of Paul the Apostle – "love should not be chainless". Rusveli's "chainless" is the symbol of individual's renaissance entirety and liberty. Bless of love overcomes the negative substance of chainless. Love elevates Rustveli's characters over all fall of men.

# რუსთაველი ხელოვნებაში

## საბა მეტრეველი

### შოთა რუსთაველი და ქართული თეატრი

როგორც კორნელი კიკელიძე წერდა, „თეატრი, სცენა, რომელიც ხელს უწყობს დრამატული მწერლობის შექმნასა და განვითარებას, ძველმა საქართველომ არ იცოდა“ (კეკელიძე 1925: 19). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავით ალმაშენებლის მიერ „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღვთისა განმრისხებელი და ყოველი უნესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“ (ქართლის ცხოვრება 1897: 372). ის „საეშმაკო“, „ღვთის განმარისხებელი“ და „უნესობა“ კი იკრძალებოდა, მაგრამ ამის საწინააღმდეგო „სახლი სათამაშობს“ არსებობას არ აყენებდა ეჭვეჭვეშ, მით უფრო მაშინ, როცა გვქონდა „მრჩობლთა საეკლესიო თეატრი“ (თეატრი ორი შემსრულებლით), რომელის პრიორიტეტი „ღვთისმეტყველებრივ წიაღმავლობა და ცოდვილთა მოქცევა“ იყო. მიქაელ მოდრეკილი აღდგომის მესამე ხმის კანონში ასე წერს: „საღმრთოთა სახიობითა ვქადაგებ ჩვენ ერთობით მორწმუნები“ (იხ. რუსხაძე 1949: 26). თეიმურაზ პირველმა „სახლი სათამაშობს“ ასე დაახასიათა: „ხმა მჭევრად შეწყობილობა, მუტრიბთა რასტი, მუღამი, სასმენელთათვის ტკბილობა“. ამდენად, სახიობა ეს არის პოეტური სიტყვის, სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის „სინთეზური სახილველი“ (კალანდარიშვილი 2007: 184).

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი იძლევა საშუალებას, ვისაუბროთ დრამატულ პოეზიაზე. რუსთაველმა „შაირობა“ სიბრძნის ერთ-ერთ დარგად მიიჩნია, ხოლო შაირობის ერთ-ერთ გვარს, „მესამე ლექსს“ (სამღერის მწერლობას – დრამატულ პოეზიას) მოსთხოვა ნათლად თქმა და მონუმენტურობა... თუმცა, „შაირის“ განმარტება\*\* უფრო

\* გამუქება აქაც და სხვაგანაც ჩვენია – ს.მ.

\*\* თეიმურაზ ბაგრატიონი განმარტავს: „მოშაირე ქართულად ეწოდების, მაგრამ ესე ლექსი არაბულიდან არის შემოღებული ჩვენში. არაბულად შაირ არს, ე.ი. ლექსის მთქმელი, ანუ მესტიება“ (ბაგრატონი 1960: 10).

გააფართოვა ვ. გვახარიამ. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ პრო-ლოგის საფუძველზე, ჩვენ გვაქვს არა მარტო ლექსის სახეობებზე მითითება, არამედ, რამდენადაც „შაირი“ მუსიკალურ შესრულებას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, **მითითებაა შაირის სამგვარი სახის მუსიკალურ ფორმაზეც**, ისინი ერთმანეთისგან განირჩევიან ემოციურად, მოცულობით და ოსტატობის ტექნიკით“ (გვახარია 1966: 11). ზაზა შათირიშვილის მიხედვით, არსებობდა შაირობის სამი სახე: პირველი (გრძელი ლექსი) მაღლა დგას მეორეზე (მცირე ლექსი), ხოლო მესამე – ესაა სალალობო, გასართობი პოეზია, რომელიც პირველ ორზე დაბლა დგას თავისი „აქსიოლოგიური“ სტატუსით“ (შათირიშვილი 2004: 110). პოეზიის საკითხს პოემაში შვიდი სტროფი ეძღვნება, რომლებშიც რუსთაველი განიხილავს პოეზიის თეორიის საკითხებს (რაობა, დანიშნულება, შემოქმედებითი პროცესი). „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მკვლევარი (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროვა, მ. გუგუშვილი...), ავტორის კვალობაზე გამოყოფს პოეზიის სამ სახეს, გარდა რევაზ სირაძისა. მისი აზრით, რუსთველი მოშაირეთა ოთხ წევებას განარჩევს. მეოთხე სახეობას მეცნიერი ასეთ ფორმულირებას აძლევს: „ნამდვილი პოეტია ის, ვინც ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებს ქმნის“ (სირაძე 1982: 188).

„მესამე ლექსის“ შესახებ საგანგებოდ მსჯელობს დ. ჯანელიძე (ჯანელიძე 1967: 45-49), მიმოიხილავს სიტყვებს „სააშიკოდ“, „სალალობოდ“ (ჯანელიძე 1967: 50-54). მისი აზრით, სანადიმო, სააშიკო ნიშნავს სათამაშოს, ხოლო ძველი ქართული „სამდერელი“ სკენეს – სცენის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ჯანელიძე 1967: 55). უფრო მეტიც, მე-12 საუკუნის ქართულ სანახაობრივ კულტურას სათავეში ედგა ვეზირი (მინისტრი) ჩუხჩარხის (ამირჩუხჩის) სახელწოდებით, რომელიც, ამასთანავე, იყო მეფის პირადი დაცვის უფროსი (ჯანელიძე 1967: 149).

რუსთაველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მსმენელის // მაყურებლის საკითხი: „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. სახილველში სიამის („წინაგანნენდისა“ და „წინაგანსწავლისა“) მისაღებად, სიბრძნის შესათვისებლად მაყურებელი მომზადებული და გათვითცნობიერებული უნდა იყოს. რუსთაველი „სახიობისთვის“ „ვარგი მსმენელის“ საკითხს აყენებდა (ჯანელიძე 1967: 15-16).

როსტევანმა „ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა“; ფატმანი ამბობს: „ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე უამსა“. „თამაშობა“ რუსთაველის ეპოქაში ძველ ქართულ ტერმინ „მომღერლობას,“\* ანუ დრამატულ მსახიობობას (შერძნ. ტრაგოდონს), შეენაცვლა (იხ. ჯავახიშვილი 1990: 38-45). ამიტომაც ამტკიცებენ თეატრმცოდნები, რომ ქართული სახიობა რუსთაველის ეპოქაში უკვე თვითმყოფადი თეატრი იყო, რომელსაც წარმართავდა სიმღერისმწერლობა (დრამატული პოეზია) და სიცოცხლეს ანიჭებდა მემღერე-მემგოსნე-მეჩანგეთა მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება. დ. მუმლაძის აზრით, თავად რუსთაველიც ქებანის („ვთქვენი ქებანი“) სიმღერისმწერალი, ანუ დრამატული პოეტი იყო. „ქება“ კი სასახიობო შესრულების ნაწარმოებსაც აღნიშნავდა და იგი ძველი ქართული დრამატული პოეზის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა. „რუსთაველისეულ კლასიფიკაციაში „სახიობის“ სიმღერის მწერლობის (დრამატული პოეზიის), ანუ მესამე ლექსის, უანრებად დასახელებულია ქება, ქალვაჟიანი-სააშიკო, ბასრობა (ამხანაგთა სათრეველი-სატირიკული) და სალალობო (მსუბუქი ჟანრი, გასართობი) (მუმლაძე... 2014: 29-30).

ძველ დროში, ბუნებრივია, პოეზიას მსმენელი უფრო ჰყავდა, ვიდრე – წამკითხველი. მკითხველის არსებობისთვის მინიმუმ ორი რამ იყო აუცილებელი: წერა-კითხვის ცოდნა და საწერი მასალა (რომელიც საკითხოდ ძირი ფუფუნება იყო). რადგან პოეზიას უფრო იმენდნენ (უსმენდნენ), მოშაირის ოსტატობა შემდეგში პოეტმა და მსახიობმა გაიყვეს – „პოეტი წერდა, მსახიობი მხატვრულად კითხულობდა“ (ჯანელიძე 1937: 56).

მრავალგზის უცდიათ „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება, თუმცა პოემის თეატრთან დაკავშირება დაწყებულა არა მისი ინსცენირებით, არამედ სხვათათვეს მოსასმენად შესრულებით – ე.წ. მხატვრული კითხვით. 850 წლის წინ, როცა საქართველში სასცენო ხელოვნება არსებობდა, როგორც თეატრი, „სახიობა“ (ამ თეატრის წარმოდგენები სრულდებოდა ნიღბოსანი მსახიობების, მოცეკვავე-მომღერლებისა და მუსიკოსების მონაწილეობით), მაშინ გადაიდგა

\* გიორგი მონაზონის „ხრონოლრაფის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანში „მომღერლობა“ დრამატული მსახიობობს აღმნიშვნელია. წერონ კეისარი ამ თარგმანში დახასიათებულია, როგორც „მექანებისა და მომღერალობისადა შექცეული და შორის თეატრონთაისა შუებით მროკვალი“ (ყაუხჩიშვილი 1920: 193).

პირველი ნაბიჯი „ვეფხსიტყაოსნის“ სხვისთვის მოსასმენად. ქართული ტრადიცია ყოფილა სადღესასწაულო სუფრასთან, ქორნილებში თუ სალხინო შეკრების დროს „ვეფხსიტყაოსნის“ სხვადასხვა ადგილისა ან საყოველთაოდ ცნობილი სტროფის წარმოთქმა. ამის შესახებ თეიმურაზ მეორე თავის გახმაურებულ ნაწარმოებში „სარკე თქმულთა“ აღნიშნავს:

„მეფის წასვლის დროს ასტეხენ ხმა-მაღლად თვით მაყრულები,  
თქვან მუნასიბი ლექსები ბრძნის რუსთველისგან თქმულები“  
(თეიმურაზი 1939: 59)

ფიქრობენ, რომ რუსთაველის საქართველოში „ვეფხსიტყაოსანი“ წამლერებითა და საკრავის თანხლებით იკითხებოდა. ქართული ოჯახი იყო ის კერა, რომელიც ამ შემთხვევაში სცენისა და თეატრის მაგივრობას სწევდა, მაგალითად:

დიმიტრი ყიფიანს დედამ შეასწავლა ქართული ენა „ვეფხსიტყაოსნის“ კითხვით;

ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა ქართულ წიგნებსა და „ვეფხსიტყაოსანზე“ იყო აღზრდილი;

გრიგოლ ორბელიანის ოჯახში სახარება, დავითნი და „ვეფხსიტყაოსანი“ ითვლებოდა სამაგიდო წიგნებად;

ილიას დედა თურმე ხშირად უკითხავდა შვილებს „ვეფხსიტყაოსანს“;

ნიკო ნიკოლაძის დედას პოემა ზეპირად სცოდნია;

აკაეკი წერეთელი ასე იგონებს: როდესაც ერთი ვინმე დაიწყებდა ხმამაღლა „ვეფხსიტყაოსნის“ კითხვას, იმ დროს დიდი და პატარა, შინაური, გარეშე, ბატონი თუ მსახური – ირგვლივ ეხვეოდნენ მკითხველს და გულმოდგინედ უგდებდნენ ყურსო;

პლატონ იოსელიანის ცნობით, მეფე გიორგი მეცამეტე (გარდაიცვალა 1800 წ.) „ტკბილად აბოლოებდა შოთას ცრემლით ნათქვამთა“, იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგი მე-13 „ვეფხსიტყაოსანს“ კითხულობდა „ძველთა დროთა ჩვეულებრივთა წესითა“, ანუ – წამლერებით (იოსელიანი 1936: 182).

მე-19 საუკუნემ ლექსის სასაუბრო ენის სისადავით შესრულებისკენ აიღო გეზი. ამ დროს გაჩნდა ლიტერატურული წრეები და

სალონები, იმართებოდა საოჯახო და საჯარო ლიტერატურული საღამო-კონცერტები და დივერტისმენტები.\* ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში თბილისის პირველ გიმნაზიაში ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით. მასში ირიცხებოდნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, პეტრე ბაგრატიონი... ლუკა ისარლიშვილი წერს: აქ „ჩვენ ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ (ბალახაშვილი 1940: 120; მეუნარგია 1945: 47).

1875 წლის 4 აპრილს თბილისის საზაფხულო თეატრში მოეწყო პირველი სალიტერატურო – მუსიკალური საღამო. სერგი მესხი წერდა: „დიმიტრი ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. რაც შეეხება შესრულებას, მას კარგად წაუკითხავს, მაგრამ, საუბედუროდ, ისე დაბლი ხმით, რომ ზოგიერთებს არ გაუგონიათ“ (დროება 1875:), თუმცა პუბლიკაციაში არაა დასახელებული პოემის ის თავი, რომელსაც კითხულობდა. იოსებ გრიშაშვილი უფრო დაწვილებით ინფორმაციას გვაწვდის ამ საღამოს მკითხველთა რეპერტუარის შესახებ და გვაუწყებს, რომ დიმიტრი ყიფიანს წაუკითხავს „ვეფხის ტყაოსნიდან“ ქაჯეთის ციხეზე მისვლის თათბირი“ (გრიშაშვილი 1960: 16).

შემდგომშიც „ვეფხისტყაოსანის“ ცნობილი საჯარო მკითხველები ქართველი მწერლები არიან.

1. გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი) – კითხულობდა დინჯად, აუჩქარებლად, მკაფიოდ, ხმას არ აუწევდა, ხელებს არ იქნევდა და მკერდს არ იცემდა. იონა მეუნარგოიას შეფასებით: „თითოეული მისი მოძრაობა იყო მოხდენილი და იშვიათი. ჩვენში „ვეფხისტყაოსანს“ ღიღინებდნენ და არ კითხულობდნენ... ახალმა დრომ კითხვა დაუწყო დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდე არ გამონელებია“ (მეუნარგია 1941: 333);

2. მამია გურიელი – მისი სიტყვა რაღაც პირის სიღრმეში იბადებოდაო – ამბობს იონა მეუნარგია – მის კითხვაში კაცი ვერც ჩვეულებრივ ქართულ მონოტონურ ღიღინს გაიგონებდა, ვერც ევროპულ გავარდნილ დეკლამაციას (მეუნარგია 1944: 97);

\* მუსიკალური ან დრამატული წარმოდგენა, რომელიც შედგება ცალკეული ნომრებისაგან და იმართება ძირითადი სპექტაკლის // კონცერტის შემდეგ.

3. დავით ერისთავი – უყვარდა დაძაბული, დრამატული მომენტები – ეს კითხვა კი არა, თამაშიაო. ისიც სადად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ (მეუნარგია 1944: 100);

4. აკაკი წერეთელი – საუკეთესო მკითხველი იყო. 1881 წლის 13 თებერვალს ვეფხისტყაოსანის „ტექსტის დამდგენი კომისიის მეორე სხდომაზე ის და ილია მონაცემებით კითხილობდნენ „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ (დაწვრილებითი ცნობები ამ კითხვის შესახებ არ მოიპოვება);

5. ივანე მაჩაბელი – კომისიის მერვე სხდომაზე ისე კარგად წაიკითხავს ადგილებს, რომ შემდეგ თითქმის სულ მას აკითხებდნენო;

6. ილია – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში რუსთაველის პოემა მთლიანად წაუკითხავთ 1881 წლის თებერვალიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში. თავმჯდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი. საკაუჭი დარბაზის თანდასწრებით, სინათლის შუქით განათებული რუსთაველის პორტრეტის ქვეშ (მხატვარ მირიანაშვილის მიერ შესრულებული) 13 თებერვალს ილიას წაუკითხავს „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“. აღტაცებული იონა მეუნარგია წერდა: „ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადოდ, კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოოქმა, ჩინებული კილო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ჟღერა ისმის, მაგრამ თვითონ კითხვაში კი იმას ხელოვნება აკლია. რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძახებსა:

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭენობია“.

რაღაც დიდებული, რაღაც გრძნობისთვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების გამეორებაში. მაგრამ რა გინდა, რომ სულ გუნებით კილო, ამ გულის ხმას მის-დევს ბატონი ილია და ყველა ადგილებს ერთი და იგივე გვარად ამბობს“ (დროება 1881, 36: ).

2016 წელს საზოგადოებრივმა რადიომ (FM 102.4) გამოსცა დისკი „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი – 850“ (რეჟისორი ზურაბ კანდელაკი, ხმის რეჟისორი ბ. ხვიჩია), რომელშიც შესულია 1966-

2016 წწ.-ში „ოქროს ფონდში“ დაცული უნიკალური ჩანაწერები პოემის მხატვრული კითხვისა. ეს ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი ძალიან კარგად წარმოაჩენს ეტაპებს, თუ როგორ კითხულობდნენ საქართველოში რუსთაველის უკვდავ ქმნილებას, როგორ იცვლებოდა ინტონაცია და რომანტიკული პათოსიდან როგორ გადავედით სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოებულ კითხვაზე. პოემას კითხულობს 17 მსახიობი: ვერიკო ანჯაფარიძე, ეროსი მანჯგალაძე, გურამ სალარაძე, თამარ ჭავჭავაძე, ოთარ მელიქინეთუხუცესი, გიზო სიხარულიძე, კოტე მახარაძე, ტარიელ საყვარელიძე, ცაცა ამირე-ჯიბი, თათია ხაინდრავა, ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, გივი ჩუგუაშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, მარინა ჯანაშია და ნიკა წერედიანი.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების გათვალისწინებითა და საზოგადოებრივი რადიოს „ოქროს ფონდში“ დაცული ჩანაწერების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვაში შემდეგი ეტაპები // საფეხურები გამოიყოფა:

1. საკრავზე დამღერება „სახიობის“ თეატრის მონაწილეთა მიერ;
2. ოჯახებში ღილინით კითხვა;
3. რომანტიკულად ზეანეული წამღერებით შესრულება;
4. სასაუბრო ენასთან მიახლოებული კითხვა.\*

## „ვეფხისტყაოსნის“ სცენისთვის მორგების ცდები

დრამატული თეატრის გვირგვინი სპექტაკლი, ცოცხალი წარმოდგენაა, მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი ფორმა, მეტად უჩვეულო და საინტერესო – დრამატურგიული ნაწარმოების ცოცხალ სურათებად ჩვენება. ცოცხალი სურათები პლასტიკით გამოხატავდა ადამიანთა ცხოვრების (ლიტერატურული ნაწარმოების) რომელიმე ეპიზოდს ერთი აუცილებელი პირობის დაცვით – ის უტყვი და უმოძრაო უნდა ყოფილიყო. დრამატულ თეატრში სიტყვისა და მოძრაობის გარეშე მაყურებლის მონუსხვა, მისი ყურადღების კონცენტრირება საკმაოდ რთულია. შესაბამისად, ცოცხალი სურათი სცენაზე მხოლოდ რამდენიმე წუთს იხილვებოდა. ფარდა

\* 1879 წელს ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორმა იუდინმა აკრძალა პოემის კითხვა.

აიწეოდა და მაყურებელთა თვალწინ ბრწყინვალედ კოსტიუმირებული სცენური სივრცე უნდა გაცოცხლებუყვლიყო, რათა სანახაობა შთამბეჭდავი ყოფილიყო, მას თეატრალური ეფექტი უნდა მოეხდინა. ამ უანრს არ ახლდა მუსიკალური გაფორმება, ამიტომაც ცოცხალ სურათებად უნდა შეერჩიათ ისეთი ეპიზოდები, რომლებიც უფრო მეტყველი იქნებოდა პლასტიკის საშუალებით. **ცოცხალ სურათებად დადგმული „ვეფხისტყაოსანი“** ათვლას 1881 წლიდან იწყებს. პირველი ბეჭდური ცნობაც ამ დროიდან მოგვეპოვება და უკავშირდება პოემის იმ ეპიზოდს, რომლის მიხედვითაც ტარიელი მიჯნურთან შესახვედრად კოშკში მიიყვას ასმათს. წარმოუდგენიათ სამი სურათი, აქედან მესამე – „ვეფხისტყაოსანისა“. ზოგიერთი მოსაზრებით, ცოცხალ სურათებად დადგმული „ვეფხისტყაოსანი“ მ. ბებუთოვს (მიხეილ ბებუთაშვილი) ეკუთვნოდა, ბ. გორდეზიანის აზრით, კი – მ. ზიჩის (გორდეზიანი 1966: 41), თუმცა უნდა ითქვას, რომ 1881 წელს „დროებაში“ (№ 220, 21 ოქტომბერი) დაიბეჭდა ინფორმაცია საქართველოში რუსეთის სამეფო კარის მხატვარის, უნგრელი მიხაი ზიჩის მოგზაურობის მიზანთან დაკავშირებით, რომ მან უნდა „შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსი პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისათვის“... ამ ცნობასთან ერთად, იქვე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართულ იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსანიდან“, ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მიიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“ (დროება 1881:). ამდენად, ცოცხალ სურათებად წარმოდგენილი ეს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსანისა“ რომ მ. ზიჩის დადგმული ყოფილიყო, კორესპონდეციის ავტორი ამას აუცილებლად მიუთითებდა (შდრ. ცაიშვილი 1961: 138-139; შარაძე 1978: 38-40). ამასვე ამტკიცებს მ. ქვლივიძეც. უფრო მეტიც, მისი ვარაუდით, „ზიჩი დაესწრო კიდეც იმ წარმოდგენას, რომლის შესახებაც „დროება“ იუწყებოდა“ (ქვლივიძე 1967: 129). გაზეთმა „დროებაშ“ დაიწუნა მ. ბებუთაშვილის ნამუშევარი: „სურათი „ვეფხისტყაოსანიდან“ ისე მოხერხებულად არ გვეჩვენა, როგორც საგანს ეკადრებოდა“ (დროება, № 228, 1881:).

1882 წ. 6 თებერვალს თბილისის საზაფხულო თეატრში მ. ზიჩიმ წარმოადგინა საილუსტრაციოდ შერჩეული ეპიზოდები ცოცხალი

სურათების სახით გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. იგივე გაზეთი „დროება“ წერდა: „ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსანისა“ (დროება 1882, № 27:). სწორედ მ. ზიჩის ხელმძღვანელობითა და ბარბარე ბარათაშვილის თაოსნობით აჩვენეს სულ 10 სურათი, რომელშიც 100-ზე მეტი მონაწილე ყოფილა დაკავებული. ჩვენებისათვის გაკეთდა დეკორაციები, შეიკერა ძვირფასი ტანისამოსი, შეუგროვებიათ ეპოქის შესაფერი ნივთები და სამკაულები. ცოტა მოგვიანებით გაზეთი დროება გვატყობინებს, რომ „ამ მშვენიერმა მოღვაწე მანდილოსანმა (ბარბარე ბარათაშვილმა – ს. მ.) ყველა სამკაული, დეკორაცია და ტანისამოსი, რომელიც შეძენილ იქნა პატივსაცემ კნეინასაგან „ვეფხისტყაოსნის“ სურათების გასამართავად, ქართულ დრამატულ საზოგადოებას შესწირა“.

მიხაი ზიჩიმ ეპიზოდები ასე შეარჩია:

1. როსტევან არაბეთის მეფისაგან დაგვირგვინება თინათინისა;
2. მეჯლისი ფარსადან მეფესთან;
3. ნესტან-დარეჯან თავის ოთახში ზის, ასმათს ტარიელი შემოჰყავს;
4. დავარი ზანგებს აძლევს თავის ძმისწულს ზლვაში ჩასაგდებად;
5. ნადირობა და აღმოჩენა ტარიელისა;
6. გაცნობა ტარიელისა და ავთანდილისა გამოქვაბულში, აქვე ასმათი;
7. ფატმანის კაცებისაგან დახნესა ნესტან-დარეჯანისა;
8. ნარდგენა ნესტან-დარეჯანისა გულანშაროს მეფის მელიქ-სურხავის წინაშე;
9. ქავეთის ციხის აღება და ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება;
10. მეფე მელიქ სურხავთან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება.

ეს თანმიმდევრობა (გარდა უკანასკნელისა – ზიჩის ჩანახატებში პოემის მთავარ წყვილთა ქორწილია და არა მხოლოდ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა) სრულად ემთხვევა მ. ქვლივიძის მიერ გამოქვეყნებული ზიჩისეული ილუსტრაციების ყველაზე ადრინდელ მცდელობებს (ქვლივიძე 1960:). ამ ჩამონათვალით აშკარაა,

რომ „ზიჩის მიერ ცოცხალი სურათებისათვის შერჩეული იყო დინამიკური, ქმედითი ეპიზოდები (შეხვედრა, გატაცება, აღმოჩენა, დახსნა, გათავისუფლება), აგრეთვე ისეთები, რომლებშიც სანახაობის ჩვენება იყო შესაძლებელი (დაგვირგვინება, მეჯლისი, ქორწილი). ყველა ერთად კი შეადგენდა ერთი მთლიანი წარმოდგენის ნაწილებს. მას ჰქონდა დასაწყისი და დასასრული“ (ურუშაძე 1967: 56). ბენო გორდეზიანი ასე სვამს შეკითხვას: „როგორ ხდებოდა ცოცხალი სურათების დადგმა? ზიჩის, კომისიის დახმარებით, წინასწარ ჰქონდა შერჩეული პოემიდან ის მთავარი ადგილები, რომლებიც უნდა დაესურათებინა. პოემის მიხედვით გამონახვდა შესაფერის ტიპებს, ჩააცმევდა მათ სათანადო ტანისამოსს ისე, როგორც ეს ხდება თეატრში, დააყენებდა მათ სცენაზე მუნჯ მდგომარეობაში, მოუწყობდა საჭირო განათებას; სცენის უკან რომელიმე მსახიობი კითხულობდა პოემიდან სურათის შესაბამის ტექსტს“ (გორდეზიანი 1966: 41). მნიშვნელოვანია ის დეტალიც, რომ ცოცხალ სურათებად წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანი“ არ ყოფილა მთლად უმოძრაო, მაგალითად: მეორე სურათში მსახურები ლანგრებით დაატარებდნენ ხილსა და სასმელს; მეშვიდე სურათში ერთი ზანგი ფატმანისაგან მიღებულ ფულს ითვლიდა; მეცხრე სურათში კი ტარიელი ნესტანისაკენ მიექანებოდა (იხ. თულიანი 1972: 105). ობილისში გამართულ ცოცხალ სურათებში როლები ასე იყო განაწილებული: თამარ დედოფლალი – მ. იოსელიანის ქალი; შოთა რუსთაველი – დ. ზ. სარაჯიშვილი; თინათინი – ს. ჩოლოყაშვილი; მეფე როსტევანი – რაფიელ ერისთავი; მეფე ფარსადანი – ვ. თარხნიშვილი; ტარიელი – ბარათაშვილი; ნესტან-დარეჯანი – ნ. ოგლობური (ობელიანის ასული); ავთანდილი – აფხაზი. ზიჩის გარდა, წარმოდგენის გაფორმებაში მონაწილეობდნენ: მხატვარი ფილიპოვიჩი, მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი, მხატვარ-პორტრეტისტი კოლჩინი და ერთი დეკორატორი – ჯუსტიჩი. ფაქტობრივად, აღფრთვისანებით შეხვდა ქართველი საზოგადოება „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებს, თუმცა იყო ორიოდე გამონაკლისი, მაგალითად: „ჩაჭყაპეს“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ფელეტონი „დუდუკი“ (საგარაუდოდ, ავქსენტი ცაგარელისა), რომელშიც გაკრიტიკებულია ზიჩის ნამუშავარი: „ვეფხისტყაოსნისა“ ისე არა ესმის რა, როგორც

მე – ჩინეთის პოლიტიკისა“ – წერდა ავტორი. ძირითადი შენიშვნა ის იყო, რომ პერსონაჟების ჩაცმულობა (მაგალითად, ტარიელისა) არ არის ქართული (დროება, № 43, 1882), თუმცა „დროების“ მომდევნო ნომერში არ გაიზიარეს ეს შენიშვნები და საქმეში ჩაუხედავის „ყბედობად“ მონათლეს (დროება, №N44, 1882).

ზიჩისეული მონტაჟი 1882 წელს 6-ჯერ დაიდგა: 4-ჯერ თბილისში, 2-ჯერ ქუთაისში (ვრცლად იხ. ბოლქვაძე... 1961: 37-46). ზიჩის საქართველოდან წასვლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებად დადგმა, თბილისისა და ქუთაისის გარდა, გახშირებულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ოზურგეთი, ქვიშეთი, გორი, ჩოხატაური, ხაშური, ზუგდიდი). გაზეთ „ივერიის“ ცნობით, „ტფილისში დადგმებს ატარებდნენ მხატვრები ფილიპოვიჩი და კოლჩინი“ (ივერია 1897, № 253:). საქართველოს გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები დაიდგა პეტერბურგში, მოსკოვში, იურიევში, ხარკოვში, ვლადიკავკაზში, ლაიფციგსა და ბრიუსელში (დაწვრილებით იხ. ჯანელიძე 1937: 63; ურუმაძე 1967: 69-83...).

1883 წელს ალ. ყაზბეგის ხელმძღვანელობით გაუმართავთ სალამო, რომლის პირველი განყოფილება იყო სწორედ ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ (დროება 1883, №44:), თუმცა არც მონაწილენი და არც სურათების შინაარსი მითითებული არ არის.

### „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებანი

„ვეფხისტყაოსნის“ დრამატულ თეატრში წარმოდგენა სრულიად წარმოუდგენელია მისი ინსცენირების გარეშე. ამიტომ, მე-19 საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული უკვე იწყება ინტენსიური „შეტევა“ პოემაზე, რომ, როგორმე მოარგონ სცენურ სივრცეს. ჩვენ თანმიმდევრულად წარმოვადგენთ ამ მცდელობებს:

- გოდერძი ფირალიშვილი, 5-მოქმედებიანი ტრაგედია „მემკვიდრე ინდოეთისა, ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“, დაწერილია რუსულად 1805 წელს. პიესის ტექსტი დაკარგულია, მაგრამ მოხსენიებულია ოქროპირ ბაგრატიონის მიერ პიესად გადაკეთებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში.

იქ ძირითადი ნესტანისა და ტარიელის ამბავია. ვ. კიკნაძის ცნობით, მასვე ეკუთვნის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ფირალიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრ რუმინაცევ-ისთვის უჩვენებია, მაგრამ პიესა დაუწუნებიათ კლასიცისტური კანონების დარღვევის გამო (კიკნაძე 1983: 22). გოდერძი ფირალიშვილი მეფე ერეკლეს მდივანი ყოფილა, ხოლო იმ პერიოდში, როცა „ვეფხისტყაოსანის“ ინსცენირებას აკეთებდა, მსახურობდა პეტერ-ბურგის „ინოსტრანი კოლეგიაში“ (ნაქაძე 2003: 346);

- 1853 წელს მოსკოვში გამოიცა ოქროპირ ბაგრატიონის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“. დადგმის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მისივე თქმით, იდეა „ვეფხისტყაოსანის“ წარმოდგენისა გიორგი ერისთავს დაებადა;
- გიორგი ერისთავმა პიესად გადააკეთა „ვეფხისტყაოსანი“ (5 მოქმედებად), რომელიც დაიწყო ნესტანისა და ტარიელის შეხვედრით. მას სურდა ეჩვენებინა ცოცხალი ამბავი, რომელიც ახლა მიმდინარეობს;

• გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწეს ა. თამაზაშვილს დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“, დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად (ივერია № 103, 1895). ეს პიესა დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა 6. ურუშაძე მას მიიჩნევს ოქრ. ბაგრატიონის პიესის პროზაულ ვარიანტად, რომლის ენა მდარეა და ზედმეტად გაუბრალოებული (ურუშაძე 1967: 140);

• 1912 წლის 24 თებერვალს ქუთაისის თეატრის მსახიობები ბარველს დაუწერია „ვეფხისტყაოსანის“ ინსცენირება 6 მოქმედებად, რომელიც თავადვე დაუდგამს („სახალხო გაზეთი“ 1912, 538);

• ივანე მაჩაბელი – იყო შოთა რუსთაველის პოემის 1888 გამოცემის რედაქტორი; დიდი დახმარება გაუწია პოემის ილუსტრატორს, უნგრელ მხატვარ მ. ზიჩის, აგრეთვე – მარჯორი უორდროპსა და არტურ ლაისტს. ამ უკანასკნელს პოემის დრამად გადაკეთება ჯერ კიდევ 1882 წელს პქონია გამიზნული. ერთი ვერსიით, ივანე მაჩაბელს რუს კომპოზიტორ მ. იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით დაუწერია ლიბრეტო ოპერა „ვეფხისტყაოსანისათვის“ (მაჩაბელი 2009:), უთარგმნია ის ადგილები, რომლებშიც თხრობას მოქმედება სჭარბობდა, თუმცა სხვაგვარ ცნობას გვაწვდის 1966 წლის „საბჭო-

თახელოვნებაში“ (№10) გამოქვეყნებულ წერილში მსახიობი მიხეილ ყვარელაშვილი. პუბლიკაციას ჰქვია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საოპერო ლიბრეტო“, რომელიც ეხება იპოლიტოვ-ივანოვის „ნესტან-დარეჯანს“. მასში ლიბრეტოს ავტორად სწორედ კომპოზიტორია დასახელებული (რომელსაც ო. მაჩაბლის თარგმანზე დაყრდნობით აუგია ლიბრეტო). ასევე, ტატიანა ბროსლავსკაია მოგვიანებით განმარტავს: „მ. იპოლიტოვ-ივანოვმა 1885 წელს ჩაიფიქრა, უკვდავი პოემის მიხედვით შეექმნა ოპერა. ხ. სავანელმა მიუთითა პოემის მთელ რიგ ნაწყვეტებზე (თარგმნა ო. მაჩაბლელმა), რის საფუძველზეც კომპოზიტორმა თვითონ დაწერა მომავალი ოპერის ლიბრეტო, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა“... გავიდა თითქმის 40 წელი და კომპოზიტორი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას, დაწერა ახალი ლიბრეტო. როგორც ცნობილია, 1924 წელს მან დაასრულა მუშაობა 4-მოქმედებიან ოპერაზე „ნესტან-დარეჯანი“, „მაგრამ იგი არ გამოქვეყნებულა და არც შესრულებულა. დღემდე არ არის დადგენილი, თუ სად ინახება ამ ოპერის ხელნაწერი“ (ბროსლავსკაია 1977: 68).

- 1901 წელს პეტერბურგში გამოიცა რ. მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნისა“ 16 სურათად აპოთეოზით. მისი ეს ვარიანტი არის პოემის თეატრალურ ტექსტად ქცევის სერიოზული მცდელობა. იგი ემიჯნება ოქროპირ ბატონიშვილის ინსცენირების პრინციპებს („რუსთველს შესდგომოდა, ვინაიდან რუსთაველი უკეთესად მოუთხრობსო“) და ცდილობს, პოემა ქმედით სიტყვად აქციოს და მეტი დინამიკა შეიტანოს პიესაში;

- 1909 წელს პ. მირიანაშვილმა დაწერა პიესა „ვეფხისტყაოსანი“. ამ მოვლენას უურნალი „ფასკუნჯი“ გამოქმედა: „პ. მირიანაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ გადაუკეთებია სასცენოდ... პიესა შეიცავს 11 სურათს, დასადგამად არ წარმოადგენს ტექსტიურ სიძნელეს, უეჭველია, თუ დადგმული იქნება ჯეროვანის ყურადღებით, დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზე“ (ფასკუნჯი, № 9, 1909). პიესა არ დადგმულა, მოგვიანებით, 1923 წ. ლიბრეტოდ გამოიყენა ლეო ფალიაშვილმა თავისი 4-მოქმედებიანი ოპერა „ნესტანი და ტარიელისათვის“;

- 1923 წელს კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ სასცენო ვარიანტის შექმნა, თუმცა მანამდეც არაერთხელ

განუცხადებია, რომ ოცნებობდა მის დადგმაზე. რეჟისორმა 1923 წლის 17 ივლისს საჯაროდ წაიკითხა მოხსენება მომავალი წლის რეპერტუარის შესახებ და ვრცლად ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის თაობაზე, საგანგებო კომისიაც (კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი, ა. ფალავა, დ. ანთაძე, ა. გველესიანი) კი აურჩევია პოემის სცენისთვის გადასაკეთებლად (ვრცელი წერილი გამოქვეყნდა „რუბიკონში“, №12, 1923). დაიწყო მუშაობა. რეპეტიციების დღიურების მიხევით, მას დაუშვებლად მიაჩნდა ტექსტის ოდნავი შეცვლაც კი. მისი ჩანაფიქრით, გმირთა ცხოვრება ქართული ორნამენტით მოჩუქურთმებულ ტრიპტიხში უნდა გაშლილიყო... როლები ასე ჰქონდა განაწილებული:

როსტევანი – აკაკი ხორავა // შალვა ლამბაშიძე

თინათინი – ვერიკო ანჯაფარიძე // ანეტა ქიქოძე

ავთანდილი – აკაკი ვასაძე

ტარიელი – გიორგი დავითაშვილი

ნესტანი – ნუცა ჩხეიძე // თამარ ჭავჭავაძე

ასმათი – ელენე დონაური

სამწუხაროდ, რეჟისორის ეს სურვილი ვერ განხორციელდა, არადა, გამოხმაურება იმთავითვე დიდი იყო: „ქართულ სიტყვაში“ დაიბეჭდა ჯერ ცნობა, რომ მარჯანიშვილის რეჟისორობით მზადდება სპექტაკლი „ვეფხისტყაოსნი“ (ქართული სიტყვა, 2 დეკემბერი, 1923). მოგვიანებით ქვეყნდება წერილი პ. მირიანაშვილისა, რომელიც გაზეთში კამათის გამართვას ითხოვს იმის გამო, რომ პოემა კაცობრიობის საუნჯედაა გადაქცეული „და არა მით, ვითომ იქ გამოყვანილი ქვეყნები საქართველო და ქართველი ხალხი იყოს“ (ქართული სიტყვა, № 12, 3 თებერვალი, 1924);

• „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის სურვილი ჰქონია სანდრო ახმეტელსაც. ამის შესახებ ცნობას გვანვდის მ. ყვარელაშვილი: „მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ალ. ახმეტელის დაუცხრომელი ოცნება იყო „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება და მისი დადგმა ღია ცის ქვეშ. ამისთვის მას ადგილიც ჰქონდა შერჩეული: ძველი ნარიყალა, ბოტანიკური ბალის ფერდობი“ (ყვარელაშვილი 1966: 65). როგორც ზემოთ ვწერდით, რუსმა კომპოზიტორმა იპოლიტ ივანოვმა დაწერა ოპერა „ნესტან-დარეჯანი“, ლიბრეტოც მასვე შეუქმნია

ი. მაჩაბლის თარგმანზე დაყრდნობით. კომპოზიტორის თხოვნით, სწორედ ამ ლიბრეტოს გასცნობია სანდრო ახმეტელი, რომელმაც მოიწონა ნაშრომი და გამოთქვა უაღრესად საინტერესო შენიშვნები და შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირების საკითხზე. ის პირდაპირ ასე სვამს შეკითხვას: „შეიძლება თუ არა რუსთაველის პოემის შხვლოდ ამა თუ იმ ეპიზოდის მიხედვით სასცენო სიუჟეტის აგება?“ რეჟისორის მოსაზრებები მნიშვნელოვანია, ზოგადად, პოემის ტრანსმუტაცია-ტრანსფორმაციის საკითხთან დაკავშირებით, მისი სასცენო ვარიანტის შესაქმნელად. ახმეტელის ძირითადი კონცეფცია ასეთია: „ჩემის აზრით, „ნესტანის“ ლიბრეტო უნდა გაიშალოს ზღაპრული ფერადოვნებით, ხასიათებისა და ცალკეული აქტების დინამიურობით. ვინაიდან ნაწარმოების დედაარსის მთლიანად გადმოცემის შესაძლებლობა არ არის, მოცემულ ლიბრეტოში უნდა მოხდეს პოემის ცალკეული და, ამასთან, ძირითადი მომენტების გამოვლენა ფერთა სიუზვით, პლასტიკით, დინამიურობითა და აღმოსავლური მზიურობით. მე ამ თვალსაზრისით ვუდგები ლიბრეტოს“ (დაწვრილებით იხ. ყვარელაშვილი 1966: 63-65);

- 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ 750-ე წლისთავის საიუბილეოდ პოემა გაასცენიურა აკაკი ფალავამ (5 მოქმედებად), ინსცენიერება დრამატურგთა სექციაში რუსთველოლოგთა მონაწილეობით განიხილეს და მოიწონეს, განსახორციელებლად გადასცეს რუსთაველის თეატრს, თუმცა სცენაზე არ დადგმულა (დაწვრილებით იხ. ბარამიძე 1966: 16-17);
- იყო მცდელობა მარჯანიშვილის თეატრში გ. ურულის, მუშა-ახალგაზრდობის თეატრში\* კი შ. ადეიშვილის ინსცენირებათა დადგმისა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერც ამჯერად განხორციელდა;
- 1947 წელს მონტე-კარლოში, ხოლო მოგვიანებით პარიზის გრანდ-ოპერაში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე ფრანგმა ბალეტ-მაისტერმა სერჟ ლიფარმა საკუთარი ბალეტისთვის დაწერა ლიბრეტო; ცოტა ხანში არტურ ონეგერმა დამოუკიდებლად შექმნა ბალეტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები.

\* თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, დაარსდა 1929 წელს. დასში შედიოდნენ: გ. ურუშაძე, დ. ბაქრაძე, დ. ცხაკაია, ბ. კრაველიშვილი, ბ. ბალანჩივაძე და სხვები. თეატრის ხელმძღვანელი იყო გ. შავგულიძე, დადგეს შ. მანაგაძისა და ს. ჩიქოვანის „641“, ფ. კორისის „განგაში“ და სხვა სპექტაკლები. იარსება 1933 წლამდე.

1946 წელს დაიწერა შალვა მშველიძის 4-მოქმედებიანი ოპერა „ამბავი ტარიელისა“, რომლის ლიბრეტო ა. ფალავას ეკუთვნის (ორჯონივიძე 1966: 17-28);

შოთა რუსთაველისა და მისი პოემის ირგვლივ შექმნილია: 5 ოპერა, 2 ბალეტი, 2 ორატორია, ერთი კანტატა, ერთი ინსტრუმენტული კონცერტი, ორი საგუნდო, ერთი სიმფონიური და ერთიც ქორეოგრაფიული პოემა; ასევე – გუნდები, სიმღერები, ქორალები, ფრესკები, ოდები, საერო პიმჩები, ქართული ხალხური სიმღერები და მათი დამუშავებანი (იხ.: ფიჩხაძე 1966: ლონდარიძე 2006:)

პროფესიულ მუსიკაში რუსთაველის თემა პირველებმა შემოიტანეს ნიკო სულხანიშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილმა, ანდრია ყარაშვილმა და ლევან ფალიაშვილმა. მათ თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში შექმნეს სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ოპერები, თანაც როგორც რუსთაველისადმი მიძლვნილი, ისე მისი პოემის მიხედვით. „დღეისათვის საოპერო ჟანრში შექმნილია 5 ნიმუში: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919 წ.), ა. ყარაშვილის „ვეფხისტყაოსანი“ (1924 წ.), ლევან ფალიაშვილის „ვეფხისტყაოსანი“ (1925 წ.), შალვა მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1946 წ.), დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „ნესტანი“. ანდრია ყარაშვილის ოპერა დაუმთავრებელია, ლ. ფალიაშვილისა მხოლოდ საკონცერტო შესრულებით იქნა წარმოდგენილი; ასევე არ დადგმულა „ნესტანი“. სცენური განხორციელება ჰპოვა მხოლოდ არაყიშვილის ლირიკულმა ოპერამ – „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მშველიძის ეპიკურ-ჰეროიკულმა ოპერამ – „ამბავი ტარიელისა“ (ლონდარიძე 2006:).

„ვეფხისტყაოსანი“ შეიქრა საბალეტო თეატრშიც (ვრცლად იხ. წულუკიძე 1985: 66-76), თავდაპირველად ვანო გოკიელის ქორეოგრაფიულ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ (1933 წ.). როგორც უკვე ვთქვით, 1947 წელს მონტე-კარლოში, ხოლო მოგვიანებით პარიზის გრანდ-ოპერაში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე ფრანგმა ბალეტმაისტერმა სერჟ ლიფარმა დადგა 5-მოქმედებიანი ბალეტი, „შოთა რუსთაველი“; ცოტა ხანში არტურ ონეგერმა დამოუკიდებლად შექმნა ბალეტი, რომელსაც საფუძვლად დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები. რაც შეეხება ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ვეფხისტყ-

აოსანს“, იგი 1985 წელს წარმატებით დაიდგა პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე (დამდგმელი დირიჟორი – კომპოზიტორის ვაჟი ვახტანგ მაჭავარიანი, ქორეოგრაფი და ლიბრეტოს ავტორი ოლეგ ვინოგრადოვი).

### „ვეფხისტყაოსანი“ დრამატული თეატრის სცენაზე

- ქართულ სცენაზე 1895 წლის 21 მაისს პირველად დაინიშნა ა. თამაზაშვილის მიერ ინსცენირებული „ვეფხისტყაოსანის“ პრემიერა. აფიშა გვაუწყებდა: „პირველად ახალი პიესა ვეფხისტყაოსანი. დრამა 5 მოქმედ. და 7 სურ. შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანიდან, სასცენოდ პროზად გადაკეთებული. ტარიელის როლს შეასრულებს ს. პ. სვიმონიძე, ნესტან-დარეჯანის როლს შეასრულებს ვ. ნ. მელიქიშვილისა“. საოცარი ისაა, რომ თბილისური პრემიერის შესახებ გაზიარდა ამის შემდეგ იგივე პიესა ქუთაისშიც ჩატარდა, მაგრამ სპექტაკლი იქაური მსახიობების მონაწილეობით ძალიან მდარე მხატვრული ხარისხისა ყოფილა და საზოგადოების სრული აღმფოთებაც გამოუწვევია (დაწვრილებით იხ. ჯანელიძე 1937: 68).



- 1912 წლის 24 თებერვალს ქუთაისის თეატრში მსახიობ ვ.

ბარველს თავადვე დაუდგამს „ვეფხისტყაოსანი“ 6 მოქმედებად მის მიერვე სასცენოდვე გადმოკე-თებული. ამის შესახებ „სახალხო გაზეთი“ (1912, 538) აღმფოთებით ნერდა, რომ საზოგადოე-

ბამ უნდა დაგმოს და ალაგმოს ბარველისნაირ „მადააშლილ პირთა ამგვარი თავხედური საქციელი“;



დან „ბარველი“.

- 1960 წელს კრაკოვის პოეტურმა თეატრმა (პოლონეთი) მოაწყო „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-თეატრალური კითხვა (პოემა თარგმნა ეჟი ზაგურსკიმ, ინსცენირების ავტორი იყო თავად რეჟისორი – მტისლავ კოტლიარჩიკი, მხატვარი – მარიამ ტარლიცკი, მუსიკალურად გააფორმა ანატოლი ზარუბიანიმ, ცეკვები დადგა ზბიგნევ პენკოვესკიმ (თეატრალური თბილისი 1960: 50);

- 1966 წლის 27 სექტემბერს, რუსთაველის დიდ იუბილესთან დაკავშირებით, „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერა გაიმართა შოთა რუსთაველის თეატრში. კომპოზიციის ავტორი იყო რევაზ ებრალიძე; დამდგმელები: გ. გეგეჭკორი, ბ. კობახიძე, გ. უორდანია, რ. სტურუა, ნ. ხატისკაცი და გ. ქავთარაძე. რეჟისორთა ერთობლივ ნამუშევარს საბოლოო სახე მისცეს არჩილ ჩხარტიშვილმა და მიხეილ თუმანიშვილმა; მხატვარი ო. ლითანიშვილი, ქორეოგრაფი ი. ზარეცკი. მაყურებელმა უკვე აფიშიდანვე იცოდა, რომ სპექტაკლს

• 1927 წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა შოთა რუსთაველის საღამო, მსახიობები კითხულობდნენ ნაწყვეტებს პოემიდან;

• 1937 წელს უკვე მარჯანიშვილის თეატრმა მოაწყო რუსთაველის საღამო. მონაწილეობდნენ: მთხრობელი – ვ. ანჯაფარიძე, როსტევანი – შ. ლამბაშიძე, ტარიელი – ს. ზაქარიაძე, თინათინი – თ. ჭავჭავაძე...

• 1952 წლის 12 მაისს შ. ადეივილმა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტში წარმოადგინა 5 დრამატული სცენა „ვეფხისტყაოსნიდან“ (ადეიშვილი 1966:).

კი არა, ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას ნახავდა. ამიტომაც წერდა გ. ბარამიძე: „რუსთაველის თეატრის მიერ წაკითხულ „ვეფხისტყაოსანს“ არა აქვს პრეტენზიები, სპექტაკლად იწოდებოდეს“ (ბარამიძე 1967: 18). კომპოზიციის ავტორს ინსცენირებაში შემოჰყავდა მთხოვნელი და ანტიკური ქორო. ეს იყო მხატვრული კითხვა დადგმული მიზანსცენებით. მონანილეობდნენ: სერგო ზაქარიაძე, ზინაიდა კვერწენჩხილაძე, სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, გურამ საღარაძე, ეროსი მანჯგალაძე, ბუხუტი ზაქარიაძე, კოტე მახარაძე, იზა გიგოშვილი, ბელა მირიანაშვილი, ნუგზარ ჯულელი, ჯემალ მონიავა, ედიშერ მაღალაშვილი, ლეილა ძიგრაშვილი, დავით პაპუაშვილი, მერაბ თავაძე, გია მატარაძე, გოგი ხარაბაძე... ეს უკანასკნელი ასე იგონებს: „1966 წელი იყო, როცა ბატონმა არჩილ ჩხარტიშვილმა რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსანი“ დადგა. ტარიელს ვთამაშობდი. ვიდექი სცენაზე ზაქარიაძესთან ერთად, მასსავით შავ-რუს კოსტუმში ჩაცმული, მკლავზე ვეფხისტყავგადაგდებული და ვკითხულობდით... ზაქარიაძე იწყებდა, მე განვაგრძობდი... „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაკარაბაკე“ – ისევე, როგორც ჩემი მონოლოგის ამ პირველ სტრიქონს „ვეფხისტყაოსანის“ ყოველ სიტყვას თან ვატარებ იმ დროიდან მოყოლებული“ (ხარაბაძე:).



**ფინალური სცენა  
სპექტაკლიდან „ვეფხისტყაოსანი“**

• ამავე პერიოდში ბათუმის თეატრმა გონიოს ძველ გალა-ვანზე ღია ცის ქვეშ დადგა ფრიდონ ხალვაშის „რუსთაველი“; ონის სახალხო თეატრმა – დ. კასრაძის „ლეგენდა რიუსთაველზე“; თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიდგა ი. ვაკელის პიესა „რუსთაველი“, რომელიც ცოტა ადრე ტყიბულის თეატრმა განახორციელა.


• 2003 წლის 15 თებერვალის გაზეთ „24 საათში“ დაიბეჭდა ინტერვიუ რობერტ სტურუასთან, რეჟისორმა საზოგადოებას აუწყა, რომ იწყებდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობას. ინტერვიუ სკანდალური აღმოჩნდა, სტურუა თამამად აცხადებდა:

„ბავშვობაში მამაჩემი მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. ბევრს ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ სიუჟეტი ვიცოდი. რუსულ სკოლა-ში ვსწავლობდი და ამდენად, დაკომპლექსული გახლდით. როცა მოგვიანებით, ქართულად წავიკითხე, მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა. მეჩვენება, რომ ესაა ირონიული ნაწარმოები ქართულ ზენ-ჩვეულებებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქა-რთველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას. მოვიგონე პერსონაჟი, კაცი, რომელიც ვერ იგანს ამ წიგნს, მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება, დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არა-ნაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სიმარ-თლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს, ცინიკონი კი არ არის, მეცნიერია, რომელიც შენუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსო-ფიის ერთადერთ შედევრად. დასაწყისში ასეთი ეპიზოდია: წიგნი უჭირავს ხელში და ამბობს: აქ არის ქართული სული? მოისვრის და დაიფანტება ფურცლები. ნებისმიერი მაყურებელი ჩავარდება შოკში. ის კი განაგრძობს: ასეთი ბუტაფორია 7 ცალი მაქვს ყუთში, გადასაყრელად“.

რეჟისორის სურვილი თუ მცდელობა ამა აღმოჩნდა, სპექტაკ-ლი ვერ დაიდგა. 2014 წელს ისევ ჰელის სპექტაკლის შესახებ და პასუხი ასეთი იყო: „ვეფხისტყაოსანზე“ ლაპარაკი მრცხვენია.

დიდი ფული არ მჭირდება, 300 ათასი მეცნიერა. შემიძლია, დავდგა სპექტაკლი ღარიბი თეატრის სტილისტიკაში, მაგრამ თუნდაც ერთი სცენა, თინათინის გამეფება ხომ უნდა იყოს ისე დადგმული, რომ მიხვდე, ეს ქვეყანა ძლიერი და მდიდარია. ამიტომ ვუცდი, იქნება, მოხდეს რამე სასწაული და თანხა გამოყონ. ის კაცი არ ვარ, მუხლმოდრეკილმა ვთხოვო ვინმეს რამე, მე მგონია, რომ თუ ადამიანი გაიგებს, რას ვაპირებ, ოდნავ მაინც თუ სჯერა, რომ გამოვა, თავად უნდა წამოვიდეს ჩვენსკენ და დაგვეხმაროს. სპექტაკლი რომც არ გამოვიდეს, მივიჩნევ, ეს იქნება საშუალება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ახალგაზრდა რეჟისორმა დადგას სცენაზე და გზა გახსნას. ასეთი სიმდიდრე გაქვს და მხოლოდ წიგნად არ უნდა დარჩეს“ („რე-იტინგი“, 18.09. 2014).

2016 წლის ივლისში ისევ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რე-  
ჟისორი რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაო-  
სანს“ დგამს (თამასი 2016): კულტურული ინფორმაციით, ეს იქნება  
რუსთაველის თეატრის (თუ რეჟისორის) თვალით დანახული „ვეფხ-  
ისტყაოსანი“, უფრო სწორად, რეფლექსია უკვდავ პოემაზე!



რუსთაველის საიუბილე-ოდ პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა 2016 წელს მაყუ-რებელს შესთავაზა რევაზ მიშველაძის მიერ ინსცენი-რებული „ვეფხისტყაოსანი“, დამდგმელი რეჟისორი, მუსი-კალური გამფორმებელი და მხატვარი – ამირან შალი-კაშვილი. საინტერესოა ისიც, რომ ეს წარმოდგენა ეხმიანება თავის დროზე მიხაი ზიჩის მი-ერ ცოცხალ სურათებად წარ-მოდგენილ „ვეფხისტყაოსანს“, რადგან იქაც და პანტომიმურ სპექტაკლშიც გაისმის შესატყ-

ვისი სტროფები პოემიდან – ეს უადვილებს მაყურებელს იმის აღქ-  
მას, რაც სცენაზე ხდება.

ეს იყო ქართული პანტომიმის საჩუქარი მაყურებლისადმი.  
თუმცა, ფაქტია, რომ დღემდე ქართულ დრამატულ თეატრში ვერ  
მოხერხდა და ვერ დაიდგა პოემის მხატვრული ღირსების საკადრი-  
სი სპექტაკლი.

ბოლოდროინდელმა რუსთველოლოგიურმა კვლევებმა დაადას-  
ტურა კიდევ ერთი სიახლე: „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ წყარო-  
დაა გამოყენებული დიდი ინგლისურ დრამატურგიაში და ეს ჩანს  
უილიამ შექსპირის („ციმბელინი“), ფრანსის ბომონტისა და ჯონ  
ფლეტჩერის პიესებში („ფილასტერი“; „მეფე და არა მეფე“), რომ-  
ლებიც თითქმის ერთდროულად შეიქმნა მე-17 საუკუნის პირველ  
ათწლეულში და უაღრესად პოპულარული იყო ინგლისის თეატ-  
რალურ სცენაზე მე-17-19 საუკუნეებში (ვრცლად იხ. ხინთიბიძე  
2008; ხინთიბიძე 2014: 110-122).

\* \* \*

თანამედროვე თეატრი რთული კომუნიკაციისა და ესთეტიკის  
სისტემაა, მკვეთრად თავისთავადი სპეციფიკით გამორჩეული.  
დიდი ხანია, რაც სპექტაკლი აღარ აღიქმება დრამატულ ნაწარმოე-  
ბად, პიესად მაშინაც კი, როცა მისი საფუძველი დრამატურგიული  
ქმნილებაა. მით უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა  
ინსცენირებაზეა საუბარი, რადგან:

- ნებისმიერი **ინსცენირება ანტიდრამატურგია**. ის ანაცვ-  
ლებს თეატრის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილ მხატვრულ  
ქმნილებას მონტაჟირების გზით შედგენილთან;
- **ინსცენირება კლავს** თეატრის არსებობის საფუძველს –  
დრამატურგიას;
- **ინსცენირება ნიველირებაა** დრამატურგიის შინაგანი  
კანონებისა;
- **ინსცენირების** დროს თეატრი პროზაული ან პოეტური  
ნაწარმოების სანახევროდ ილუსტრატორი ხდება, რადგან შეუძლე-  
ბელია ლიტერატურული ტექსტის პირდაპირი და სრული ილუს-  
ტრიტრება სცენურ სივრცეში;

- ინსცენირებით ირლვევა უანრების თავისთავადობისა და შეუცვლელობის უნივერსალური კანონი;
- ინსცენირება იწვევს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის სიკვდილს, რადგანაც ის კარგავს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს და მოქმედების ხასიათის, კონფლიქტის ჩვენება-გამოვლენის საკუთარ, მხოლოდ თეატრისთვის დამახასიათებელ საშუალებებს;
- ინსცენირებთ ივსება რეპერტუარი, მაგრამ არ ვითარდება დრამატურგია;
- ინსცენირება სრულიად ახალი ნაწარმოების შექმნაა რთული მონტაჟირების, კლება-მატების, მოვლენათა რიგის შემცირებისა და შეცვლის აუცილებლობით (შდრ. ბაქრაძე 1965: 84-85). ინსცენირება ეს არის დეკონსტრუქცია-რეკონსტრუქციის გარდაუვალობა. ჯერ უნდა დაშალო ლიტერატურული წყარო და მერე ააგო ახალი კონსტრუქცია, მიზანსცენებში მოახდინო თითოეული სურათის რეკონსტრუქცია.
- ინსცენირების დროს ხშირია ლიტერატურული თეატრის ხერხების გამოყენება, შესაბამისად, დაქვეითებულია სანახაობითი მხარე (შექსპირის პრინციპი: მოქმედება სიტყვას შეუფერო და სიტყვა – მოქმედებას), მწვავე კონფლიქტი და დინამიკა ისევ სიტყვაზეა გადატანილი და არა – ქმედებაზე;
- სცენურ გარემოსა და ატმოსფეროში პირველწყაროს გადატანა გულისხმობს სიტყვისა და პოზიციის ტრანსფორმაციას ფიცვნაგზე. ასეთ დროს მთავარია მოძებნა იმ ძირითადისა, უმთავრესისა, რომელიც სცენაზე მოქმედების უწყვეტ ხაზს დაიცავს.
- ინსცენირების დროს მწვავედ დგას პირველწყაროს ინტერპრეტაციის პრობლემა. ტექსტთან ზედმეტად თავისუფალმა მიმართებამ (როგორც ახლა იტყვიან, „კანონიკური ტექსტის“ რისკიანმა, თამამმა წაკითხვამ), შესაძლოა, მხატვრული ქმნილება აქციოს ესკიზად; სიღრმით, სიდიადით გამორჩეული მოვლენა – პრიმიტიულ ეპიზოდად; დაიკარგოს „დროისა და ადგილის სული“. ერთხელ ვაჟა-ფშაველასთვის „ბახტრიონის“ პიესად გადაკეთება უთხოვიათ. კატეგორიული უარი მიიღეს პოეტისგან. ვაჟას ასეთი არგუმენტი ჰქონდა: „მაშინ სულ მოკვდება „ბახტრიონის“ მნიშვ-

**ნელობა, აღარც „ბახტიონი“ იქნება და აღარც – პიესა“** (დუშუ-რაშვილი 1915: 3).

- სპექტაკლი, უპირველესად, სანახაობაა, ამიტომ ინსცენირება აპრიორულად სიუჟეტის სანახაობად ქცევას, მის ახალ სიცოცხლეს, ვიზუალიზაციას უკავშირდება. ამ პროცესში, ბუნებრივია, დაიკარგება ლიტერატურული ტექსტის მხატვრული, ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური წილები.
- სპექტაკლი სიტყვის სასცენო ტრანსფორმაციის სახეობაა. ინსცენირება ერთი ენიდან მეორეზე გადატანაა, ერთი ენობრივი სტრუქტურიდან მეორეში ტრანსპორტირება. ამ დროს **ლიტერატურული ენის თარგმანი ხდება სათეატრო ენაზე**. „თარგმნა“, როგორც გადატანა, ტრანსპორტირება ხელოვნების ერთი ენიდან მეორეზე, მიეკუთვნება ტრანსმუტაციის სახეობას. ტრანსმუტაცია პირველ-წყაროს ჰერმენევტიკაა, რეცეფციული ესთეტიკით შთაგონებული და ინტერპრეტაციებზე აგებული შემოქმედებითი აქტი (ვრცლად იხ. მოდებაძე 2014: 218-236).

რადგანაც „ვეფხისტყაოსანი“ არ არის დრამატურგიული ნაწარმოები, ამიტომ მისი გადატანა სცენაზე დაკავშირებულია ამ პროცესისთვის დამახასიათებელ რამდენიმე აუცილებელ ფაქტორთან. ჩვენი აზრით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის (გაბედული სცენური ადაპტაციის) ექსპერიმენტები უშედეგოა, რადგან ვეფხისტყაოსნობის არსიც და მნიშვნელობაც, უპირველესად, მხატვრულ სიტყვაშია გამოხატული. პოემის ესთეტიკასაც და მსოფლმხედველობასაც მისი ლიტერატურული ბუნება განსაზღვრავს. ამიტომ იქნება ყოველთვის უშედეგო სცენური ინტერპრეტაციები. ინსცენირების ავტორებს მუდამ ექნებათ ის განცდა, რომელიც თავის დროზე ოქროპირ ბატონიშვილმა გაგვანდო: „გამჯობინე რუსთაველს შევდგომოდი, ვინაიდან რუსთაველი უკეთ მოუთხრობს“ და ამის გვერდით არ დამთავრდება მაყურებლისა და კრიტიკის პრეტენზიები, რომ ისე ვერ დაიდგა, როგორც რუსთაველს ეკადრებოდა.

რა თქმა უნდა, ექსპერიმენტები „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურებისა და დადგმისა წარუმატებელი იმიტომ კი არ არის, რომ თავად პოემას აკლია დრამატიზმი, კოლიზიები, მკვეთრი ხასიათები, ცოცხალი დიალოგები და მონოლოგები, ქვეტექსტები თუ მოუ-

ლოდნელობები... მაგრამ, „დრამატურგიული ხერხების სიმრავლე და მაღალხარისხოვნება, რა თქმა უნდა, პიესად არ აქცევს „ვეფხისტყაოსანს“. პოემაში მათი არსებობა მხოლოდ იმის საბუთია, რომ გენიოსი რუსთაველი, სხვა ღირსებებთან ერთად, სინამდვილის დრამატურგიული ხედვის იშვიათი ტალანტითაც იყო დაჯილდოებული“ (ურუშაძე 1967: 214). პოემის სოციალურ-პოლიტიკური გარემო, მსოფლმხედველობრივი სისტემა, მაღალი ესთეტიკა, ეთიკური შეხედულებები (ზნეობრივი თუ რელიგიური რელატივიზმი), რთული მხატვრული კონსტრუქცია, აზრის სიღრმით გამოწვეული ემოციები, შთაგონების მომნიჭებელი სახეები, პერსონაჟთა განწყობილებათა მრავალპლანიანობა, ზოგადად, ესთეტიკურად ცოცხალი სინამდვილე... მთლიანობაში ქმნის მიუწვდომელსა და დაუძლეველ მხატვრულ რეალობას. „ვეფხისტყაოსანში“, როგორც უკვდავ მხატვრულ ქმნილებაში, რაინდულ-რომანტიკული კულტურული კონტექსტი გვეძლევა, როგორც წესრიგი და სისტემა თავისი რიტმულ-ინტონაციური მრავალფეროვნებით. ამდენად, რთულდება აპელაცია იმ ღირებულებებთან, სიბრძნესთან და კულტურასთან, რომელთა რეცეფცია ზოგჯერ აღმატება ადამიანურ შესაძლებლობებს. პოემის კულტურულ-სააზროვნო სივრცე, მისი ექსპრესიული და ემოციური ინფორმაციული კოდი (ასე აუცილებელი პიესად ქცევისათვის) მაინც პოეტიკურ ნაკადებში მიედინება სიტყვის სიღრმითა და პლასტიკით, გნებავთ, ორნამენტით, ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე იჩრდილება მისი ინსცენირებით, ანუ სხვა სივრცეში გადატანით (ჯერ პოეტურიდან პროზაულ ენაზე და შემდეგ თეატრალურ ტექსტად ქცევით). ტრანსფორმაცია ბუნებრივად ნიშნავს მის თანამედროვე რეცეფციასაც. თანაც „სიბრტყეზე არსებული სიტყვის ტრანსფორმაცია სივრცობრვ განზომილებაში“ (არველაძე 2013: 42) ანუ ერთი მოცემულობიდან მერე სტრუქტურაში მისი გადატანა (ინტერპრეტაციის პრობლემა) ქმნის იმის საშიშროებას, რომ რუსთაველის სიტყვაში გაცოცხლებული იდეაც, დროც, ღირებულებათა სისტემაც, პოეტიკისა და მხტვრული რიტორიკის თვალსაზრისით, მონტაჟირებას დაექვემდებარება. ინსცენირება, ფაქტობრივად, ახალი ნაწარმოების შეთხზვას გულისხმობს. ისიც აქსიომაა, რომ ვერც ერთი ინ-

სცენირება ვერ დადგება პირველწყაროს სიმაღლეზე. თუ მაინც გვ-სურს, „ვეფხისტყაოსანი“ ვიხილოთ სცენაზე, მაშინ აპრიორულად უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ პოემა გადაკეთდება: დადგება მისი მოვლენათა რიგის შეცვლის აუცილებლობაც, კლებამცა და მატებამცა, რადგან ასეთია სანახაობითი კულტურის კანონი – სცენის ენაზე გადატანა, ტექსტის გაცოცხლება ქმედებაში. გარდა ამისა, „ესა თუ ის ნანარმოები იმიტომ იბადება ან რომანად, ან ლექსად, ან პიესად, რომ მას სხვა სახით და სხვა ჟანრით დაბადება არ შეეძლო. ე.ი. ინსცენირებით ხშირად ირღვევა ჟანრების თავისთავადობისა და შეუცვლელების კანონი“ (ბაქრაძე 1965: 84).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველ ადამიანს მუდმივად ექნება შიში (ან მინიმუმ უკმარისობის განცდა) იმ ყველაზე დიდი სიწმინდისა და სიმაღლის მიმართ, რომელიც განსაზღვრავს მის იდენტობასაც და არსებობის საზრისსაც. ამიტომ, „ვეფხისტყაოსნის“ ჯერ ინსცენირება და მერე მისი თეატრალურ ტექსტად ქცევა დიდი რისკის შემცველია, რადგან, იქ, სადაც რუსთაველის სიტყვა ხმიანებს (თავად მხატვრულ ტექსტში), სხვა სიტყვის (ანუ ინსცენირების, მეორე სიტყვის) ადგილი აღარ რჩება!

### დამოწმებანი:

**ადეიშვილი 1966:** ადეიშვილი შ. „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურებანი. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №10. 1966.

**არველაძე 2013:** არველაძე ნ. თეატრმცოდნების საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013.

**ბაგრატონი 1960:** ბაგრატიონი თ. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ (გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

**ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული ნრეები და სალონები საქართველოში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. დოკუმენტალური ნარკვევი. თბილისი: გამომცემლობა „საბლიტგამი“, 1940.

**ბარამიძე 1966:** ბარამიძე გ. „ვეფხისტყაოსნის“ აკაკი ფალავასეული ინსცენირება. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 9. 1966.

**ბარამიძე 1967:** ბარამიძე გ. „ვეფხისტყაოსნი“ რუსთაველის თეატრში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №2. 1967.

**ბაქრაძე 1965:** ბაქრაძე ა. პროზა თუ დრამატურგია. ჟ. „ცისკარი“, №2. თბილისი: 1965.

**ბოლქვაძე... 1960:** ბოლქვაძე ს., ფერაძე თ. მიხაი ზიჩი და ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 11, 1960.

**ბროსლავსკაია 1977:** ბროსლავსაკაია ტ. რუსთაველი და მისი პოემა მუსიკაში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №12. 1977.

**გვახარია 1966:** გვახარია ვ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული საერო მუსიკის აყვავების ხანა. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1966.

**გრიშაშვილი 1960:** გრიშაშვილი ი. თეატრალური წერილები. თბილისი: გამომცემ-ცემლობა „ხელოვნება“, 1960.

**გორგეზიანი 1966:** გორგეზიანი ბ. ზიჩი საქართველოში. თბილისი: გამომცემ-ლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**დუშურაშვილი 1915:** დუშურაშვილი ვ. „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას“. გაზ. „სახ-ალხო გაზეთი“, № 373, 1915.

**თაიმსი 2016:** რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსანის“ დასადგმელად ემზადებიან და დგამს თვით მაესტრო, რობერტ სტურუა. ჯორჯიან თაიმსი, 2016, მისამართი: [http://geotimes.ge/index.php?m=5&news\\_id=26510&cat\\_id=32](http://geotimes.ge/index.php?m=5&news_id=26510&cat_id=32).

**თეატრალური თბილისი 1960:** შოთა რუსთაველი კრაკოვის სცენაზე. ჟ. „თეატრალური თბილისი“, №18, 1960.

**თეიმურაზი 1939:** თეიმურაზ მეორე. თხზულებათა სრული კრებული გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონითა და შენიშვნებით. თბილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, 1939.

**თულიანი 1972:** თულიანი რ. გამოჩენილი უნგრელი მხატვარი – „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დამდგმელი. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 4, 1972.

**იოსელიანი 1936:** იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი: ფედერაციის გამომცემლობა, 1936.

**კალანდარიშვილი 2007:** კლანდარიშვილი მ. „სამსახიობო რეჟისურის“ კრიზისი. მოდერნიზმი ქართულ თეატრში, XX საუკუნის დასაწყისი“. დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. თბილისი: გამომცემლობა „კენტავრი“, 2007.

**კეკელიძე 1925:** კეკელიძე კ. ძველი ქართული თეატრი. უურნ. „ხელოვნება“, №1, 1925.

**კიკნაძე 1983:** კიკნაძე ვ. რუსთაველიდან გალაკტიონამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

**ლონდარიძე 2006:** ლონდარიძე ე. „რუსთაველი მუსიკაში“. რუსთველოლოგია, IV. თბილისი: 2005-2006.

**მაჩაბელი 2009:** ივანე მაჩაბელი – ბიოგრაფია. განთავსებულია 2009 წლიდან.  
მისამართი: <https://burusi.wordpress.com/2009/09/12/machabeli/>.

**მეუნარგია 1941:** მეუნარგია ი. ქართველი მწერლები (აღექსანდრე ჭავჭავაძე,  
გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი). I. თბილისი: გამომცემლობა  
„საბლიოტებაში“, 1941.

**მეუნარგია 1944:** მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. II. თბილისი: გამომცემ-  
ლობა „საბლიოტებაში“, 1944.

**მეუნარგია 1945:** მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილი-  
სა. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1945.

**მოდებაძე 2014:** მოდებაძე ი. „ტრანსმუტაცია თანამედროვე კულტურის სე-  
მიოტიკურ სივრცეში“. სჯანი, 15. თბილისი: 2014.

**მუმლაძე... 2014:** მუმლაძე დ., ქუთათელაძე თ. ქართული დრამატურგის ის-  
ტორია I. თბილისი: გამომცემლობა „კენტავრი“, 2014.

**ორჯონიძე 1966:** ორჯონიძე გ. პირველი ოპერა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედ-  
ვით. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №10, 1966.

**რუხაძე 1949:** რუხაძე ტრ. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია.  
თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1949.

**სირაძე 1982:** სირაძე რ. სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „ნა-  
კადული“, 1982.

**ურუშაძე 1967:** ურუშაძე ნ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სასცენო ხე-  
ლოვნება. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

**ფიჩხაძე 1966:** ფიჩხაძე მ. რუსთაველი და ქართული მუსიკა. ჟ. „საქართველოს  
ქალი“, № 10, 1966.

**ქართლის ცხოვრება 1897:** ქართლის ცხოვრება დასაბამითვან მეათცხრამეტე  
საუკუნემდის. ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1897.

**ქვლივიძე 1960:** ქვლივიძე მ. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიისათ-  
ვის. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1960.

**ქვლივიძე 1967:** ქვლივიძე მ. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებანი. თბილისი:  
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967.

**ყაუხჩიშვილი 1920:** ყაუხჩიშვილი ს. ხრონოლრაფი გიორგი მონაზონისაი.  
თბილისი: უნივერსიტეტის გამოცემა, 1920.

**ყვარელაშვილი 1966:** ყვარელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საოპერო  
ლიბრეტო. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №10, 1966.

**შათირიშვილი 2004:** შათირიშვილი ზ. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და  
ძველი ქართული ლიტერატურის უანრული სისტემა“. რუსთველოლოგია. III.  
თბილისი: 2004.

**შარაძე 1978:** შარაძე გ. მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1978.

**ცაიშვილი 1961:** ცაიშვილი ს. მიხაი ზიჩი საქართველოში. ჟ. „ცისკარი“, №2, 1961.

**ნაქაძე 2003:** ნაქაძე ი. „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების პირველი ცდები“. რუსთველოლოგია. II. თბილისი: 2003.

**წულუკიძე 1985:** წულუკიძე ა. „ვეფხისტყაოსანი“ ბალეტში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №12, 1985.

**ხარაბაძე :** ხარაბაძე გ. ჩემი რუსთაველი. მისამართი: <http://rustveli.yolasite.com/newera-myrustaveli-gogixarabadze.php>

**ხინთიბიძე 2008:** ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში, მივიწყებული წარსულის საიდუმლო. მონოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი“, 2008.

**ხინთიბიძე 2014:** ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსანი – ინგლისური დიდი დრამატურგის უშუალო ლიტერატურული წყარო. აღმოსავლეთმცოდნეობა, 3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი: 2014.

**ჯავახიშვილი 1990:** ჯავახიშვილი ივ. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1990.

**ჯანელიძე 1937:** ჯანელიძე დ. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №6, 1937.

**ჯანელიძე 1967:** ჯანელიძე დ. რუსთაველი და სახიობა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

## *Saba Metreveli*

### **Shota Rustaveli's Poem and Georgian Theatre**

#### **Summary**

There have been many attempts to stage “The Knight in the Panther’s Skin”. For instance:

1. “The Heir of Indian Throne and the Love of Homeland” – Five act tragedy by Goderdzi Piralishvili, written in Russian, 1805.

2. “The Knight in the Panther’s Skin” – Five act tragedy by Okropir Batonishvili, published in Moscow, 1853.

3. Five act play by Giorgi Eristavi, presumably written in 1849-50.
4. Five act drama by A. Tamazashvili, assistant director of Georgian theatre, 1895.

5. Literary – stage composition of “The Knight in the Panther’s Skin” with apotheosis by R. Mkinvari. (Published in Saint Petersburg, 1901.)

It is worth mentioning that several librettos have been created based on this poem. For example, libretto by Ivane Machabeli or Mikheil Ipolitov-Ivanov (there are controversial opinions about the author) for the lost opera “Nestan-Darejani”.

In 1909, P. Mirianashvili wrote the play “The Knight in the Panther’s Skin”, used as the libretto for the opera “Nestani and Tarieli” by Leo Paliashvili in 1923. Dramatic troupe performed “The Knight in the Panther’s Skin” in Tbilisi and Kutaisi in 1895.

In 1912 the play directed by B. Barveli was performed in Kutaisi. Kote Majanishvili started rehearsals in 1923 but eventually the play was not staged. Krakow Poetical Theatre organized literary – theatrical reading of “The Knight in the Panther’s Skin” in 1960. In 1964, directors of Shota Rustaveli Dramatic Theater performed the recitations of episodes from “The Knight in the Panther’s Skin” ... In the latest decades Robert Sturua, principal artistic director of Rustaveli Theater, announced twice that he was going to stage “The Knight in the Panther’s Skin” but rehearsals have not started yet. It is fact that Georgian dramatic theatre has not managed to produce the play which would be suitable for the poem so far.

From our point of view, experiments of producing or staging “The Knight in the Panther’s Skin” is futile owing to the fact that its true essence and significance is expressed through its artistic words. The aesthetics and the outlook of the poem is defined by its literary nature. Therefore, watching its theatrical interpretations will always give us the feeling of insufficiency. If we want “The Knight in the Panther’s Skin” to be staged, we must take into consideration the fact, that the piece will not contain all chapters of the poem and besides, its language will become more prosaic. According to the rule of staging dramatic performances, the poem should be transformed into theatrical text. Thus, without it, even dreaming about staging “The Knight in the Panther’s Skin” is worthless.

# რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში

## დარეჯან მენაბდე

### იარომირ იედლიჩკა – „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი

ამ ცოტა ხნის წინ თბილისში, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოში, საზეიმოდ აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 850 და პოემის ჩეხურ ენაზე მთარგმნელის, იარომირ იედლიჩკას, დაბადებიდან 165 წლის იუბილე. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, თუ ვინ იყო იარომირ იედლიჩკა და რა დამსახურება მიუძღვის მას ქართული კულტურის წინაშე.

ი. იედლიჩკა (1901-1965), როგორც ქართველოლოგი, მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა. იგი იყო ქართული ენის, ქართული მწერლობისა და ზოგადად ქართული კულტურის შესანიშნავი მცოდნე, დამფასებელი და პოპულარიზატორი მთელს ევროპაში.

ი. იედლიჩკა პოლიგლოტი იყო – ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური, ესპანური...), იცოდა რუსული, სომხური და ქართული ენები, სწავლობდა ჩინურს... იყო კავკასიოლოგი, ქართველოლოგი და არმენისტი, ენათმეცნიერი, პოეტი და მთარგმნელი, პრალის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი. იგი პრალის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ახლო და შუა აღმოსავლეთის ფილოლოგიის კათედრაზე ასწავლიდა ქართულ ენას, როგორც ერთ-ერთ ძირითადსა და სავალდებულო საგანს. მისი სამეცნიერო სტატიები და რეცენზიები ქართული ენისა და მწერლობის საკითხებზე იძეჭდებოდა ჩეხურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, სხვადასხვა დროს აქვეყნებდა ქართულიდან თარგმანებსა და სტატიებს ურნალებში „ნოვი ორიენტ“ და „პრალა-მოსკვა“.

ქართული ენის შესწავლა ი. იედლიჩკამ 1933 წლიდან დაიწყო. მოგვიანებით, სტატიაში „ჩემი ცხოვრების გზა“ იგი იხსენებდა: „პირველი ქართული ნიგნი, რომელიც ხელში მომხვდა, ეს იყო პარიზში დაბეჭდილი „დედა-ენა“. მე მომხიბლა ქართული ენის მელოდიამ, თუმცა წიგნში ვიპოვე მხოლოდ ცალკეული სიტყვები და მოკლე საბავშვო ლექსები. მაგრამ, როცა პირველად მოვისმინე, როგორ ჟღერდა რუსთაველის პოემა, ჩემს თვალწინ ახალი სამყარო გადაიშალა, და სურვილი დამტკადა არა მარტო გავცნობოდი ამ ნაწარმოებს, არამედ მეთარგმნა კიდეც ჩეხურ ენაზე“ (იედლიჩკა 1957: 12).

ი. იედლიჩკა რამდენჯერმე იყო საქართველოში. პირველად რომ ჩამოვიდა – 1957 წელს – პოემის თარგმნა კარგა ხნის დაწყებული პქონდა („ვეფხისტყაოსანს“ ი. იედლიჩკა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე თარგმნიდა) და ქართული პრესა უკვე იუწყებოდა, რომ ჩეხი მეცნიერი და მთარგმნელი, რომელიც შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“ და მალე დაიბეჭდებაო (ბარამიძე 1957). იმავე წელს სურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ი. იედლიჩკას სტატია „მოზღვავებული შთაბეჭდილებანი“, რომელშიც შთამბეჭდავადაა გადმოცემული საქართველოსთან შეხვედრით გამოწვეული მისი მართლაც მოზღვაცებული ემოცია:

„ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის დღე, როცა თვითმფრინავის სარკმელში პირველად დავინახე კავკასიონის მთაგრეხილი. დილის მზის სხივებში ჩემს თვალწინ აელვარდა თოვლით დაფარული მწვერვალები. რძესავით თეთრი ნისლი შადრევნებად დუღდა და მწვერვალებს აწყდებოდა... მე ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, სად ვიყავი, მაგრამ უკვე ვხვდებოდი, რომ უკანა პლანზე, მთების გასწროვ, მცურავ ღრუბელთა ფარდები საქართველოს ეკუთვნიდა და რომ ეს მაღალი კედლები აღმოსავლეთ პორიზონტზე მის სადარაჯოზე იდგნენ.

ბოლოს გამოჩნდა ქალაქი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, მარადიული ქალაქი... იმავე საღამოს ქალაქი ჩემთვის თავის სიმღერებს აგუგუნებდა... და მეჩვენებოდა, თითქოს ჩამჩურჩულებდა: აი, ის ქვეყანა, რომელზეც ოცნებობდი. აი, ის აღთქმული ქვეყანა!..“ (იედლიჩკა 1957: 104).

საქართველოში ჩამოსული ი. იედლიჩკა მეგობრობდა და თანამშრომლობდა ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან. აქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ათქმევინა მას: „აგერ რამდენი წელინა-დია ვსწავლობ და ვთარგმნი რუსთველს და მხოლოდ ახლა, როცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვიხილე ქართველი მნიგნობრების მიერ გულმოდგინედ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, სრულიად ახალმა სინათლემ გააშუქა ჩემთვის ქართული პოეზიის ეს საუნჯე, ეს „მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები“ (იედლიჩკა 1957: 105). ერთ-ერთ იმდროინდელ ინტერვიუში კი ი. იედლიჩკა ამბობს: „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანი იყო ჩემთვის პირველი ცდა ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჩეხურ ენაზე თარგმნისა. ამ საქმიანობაში მე ვხელმძღვანელობდი იმ მისწრაფებით, რომ დამექებნა იმგვარი მხატვრული საშუალებანი, რომლებიც დამეხმარებოდა, რაც შეიძლება სრულად გადმომეცა რუსთველის ქმნილების იდეური და ემოციური პათოსი, შემენარჩუნებინა მისი ეროვნული და ისტორიული კოლორიტი, ნარმომეჩინა ამ შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლის უჯრენობი ცხოველმყოფელობა.

ამას წინათ დავასრულე თარგმანის მეოთხე რედაქცია და უახლოეს დროში რუსთველის პოემას გამოსცემს პრაღის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა“ (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში 1978: 169-170).

მართლაც, 1958 წელს, პრაღაში, ჩეხურ ენაზე გამოიცა „ვეფხისტყაოსანის“ იარომირ იედლიჩკას მიერ შესრულებული სრული თარგმანი – პროზაული და პოეტური (ტირაჟი 1000 ეგზემპლარი), რომელიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (Šota Rustaveli. Muž v tygří kůži. Přeložil J. Jedlička. Praha. 1958. Státní nakladatelství krásné literatury, hodby a umění – რუსთაველი 1958).

„ვეფხისტყაოსანის“ თარგმანებიდან ეს გამოცემა იმითაც გამოირჩევა, რომ აქ ერთ წიგნში, ერთმანეთის გვერდით, დაბეჭდილია პოემის როგორც პოეტური (რუსთაველი 1958: 51-315), ისე – პროზაული (რუსთაველი 1958: 317-610) თარგმანები (პროზაული თარგმანის ტექსტიც სტროფებადაა დაყოფილი). წიგნი გამოცემულია პრაღის მხატვრული ლიტერატურის, მუსიკისა და ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობის მიერ, შეიცავს 624 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში. გრაფიკული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ

ზდენეკ სკლენრუის, რედაქტორია იტკა კრშესალკოვა. წიგნს დართული აქვს მთარგმნელის შენიშვნები და განმარტებები (რუსთაველი 1958: 611-619). თარგმანი იხსნება რუსთველის პორტრეტით, ბოლოში კი დართულია პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელი, ვახტანგ მეექვსის პორტრეტი (ა. შანიძის 1937 წლის საიუბილეო გამოცემიდან) და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 1671 წლის ხელნაწერის ფოტოები.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანის გამოცემას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში (ლიტერატურული გაზეთი 1958; ჩხეიძე 1959; მარჯანიშვილი 1959; გვინჩიძე 1959: 14-15; გვინჩიძე 1959<sup>ა</sup> და სხვ.).

შ. გვინჩიძემ საგანგებოდ შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური პოეტური თარგმანი. ვრცელ რეცენზიაში „მუჟ ვ ტიგრუ კუჟი“ დედნისა და თარგმანის სტროფების პარალელური შედარებით მან თვალნათლივ წარმოაჩინა თარგმანის ღირსებები და იქვე მიუთითა:

„ჩვენი ამოცანა იყო მკითხველისათვის გვეჩვენებინა ორიგინალიდან და თარგმანიდან მოყვანილი პარალელური ტექსტების მაგალითებზე, თუ რამდენად ზუსტია ი. იედლიჩკას თარგმანი, და დავინახეთ, რომ მთარგმნელს დიდი სიყვარულითა და მონდომებით გადაუტანია თავის ენაზე რუსთაველის უკვდავი ქმნილება, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება მოუმარჯვებია და რუსთაველის ტექსტის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოუყენებია, რათა მისი თარგმანი ესთეტიკურად დედნის შესატყვისი ყოფილიყო“ (გვინჩიძე 1959ა: 15). შ. გვინჩიძის აზრით, ი. იედლიჩკას თარგმანში შენარჩუნებულია რუსთველის ლექსის მუსიკალობა, დაცულია მაღალი და დაბალი შაირი, კარგადაა გადათარგმნილი მეტაფორები, მაჯამები და აფორიზმები.

ცალკე უნდა გამოიყოს „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანის ვრცელი წინასიტყვაობა (რუსთაველი 1958: 7-49), რომელიც აგრეთვე ი. იედლიჩკას ეკუთვნის (შემოკლებული თარგმანი გ. ნებიერიძისა იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში 1978: 170-200). მიუხედავად იმისა, რომ ი. იედლიჩკას წინასიტყვაობა დავალებულია კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიით“, უნდა ითქვას, რომ არსებითად ეს მხოლოდ თარგმანის წინასიტყვაობა კი არ არის, არამედ ვრცელი მეცნიერული ნაშრომია, რო-

მელიც მკითხველს წარმოდგენას უქმნის არა მარტო რუსთველსა და მის პოემაზე, არამედ ზოგადად ქართული მწერლობის არაერთ საკვანძო საკითხზე.

წინასიტყვაობა ასე იწყება: „ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მიჩნეულია ქართული პოეზიის მიუღწეველ სიმაღლედ. ჩვენ აქ ვხვდებით მსოფლიო ლიტერატურაში განცალკევებულად წარმოდგენილ მოვლენებს; რომანტიკული, საკარო, რაინდული ეპოსი ხდება ხალხის ყველა ფენის კუთვნილება. ეს პოემა თავისი ფორმით, სტილით, ენითა და ცხოვრებისეული სიბრძნით ისეთი მაღალი პოეზიის ეტალონადაა მიჩნეული, რაც უჩვეულოა პოეზიისათვის. ჩამოყალიბდა მთელი სკოლა, რომელიც ატარებდა „ვეხისტყაოსნის“ ავტორის სახელს. პოემა მოიპოვა ისეთი დიდი სიყვარული, რაც იშვიათად თუ მოუპოვებია პოეტურ ქმნილებას მსოფლიოში. საქართველოში მას არა მხოლოდ პატივს სცემენ, არამედ ზეპირადაც კი იციან, რაც ყოველთვის არ არის კლასიკური ნაწარმოების ხვედრი. ცნობილია, რომ ამ პოემის ხელნაწერი პატარძალს მზითევად მიჰქონდა თავისი ქმრის სახლში და მისგან მოითხოვდნენ, რომ სცოდნოდა არა მარტო ნაწარმოების შინაარსი, არამედ შეეთვისებინა და ზეპირადაც სცოდნოდა იგი. გმირთა თავგადასავალი შეიქრა ცხოვრებაში და მათი მამაცობა და ერთგულება არის ქართველი კაცის მისაბაძი მაგალითი. აფორიზმები, რომლებითაც სავსეა მთელი ნაწარმოები, ეხმარება მას ყოველდღიური ცხოვრების საკითხების განსჯასა და გადაწყვეტაში. სიტყვის სილამაზემ, რომელიც ექსოვება აზრის სიბრძნეს და ქმნის ქართული ხალხური მეტყველების განუყოფელ ნაწილს, გაუძლო ასწლოვან ომებს, ჩაგვრასა და მტრობას. ცოცხლობს და დღესაც ჩვენს თვალწინ ყვავის ნაწარმოები ლექსად, რომელიც ხალხის სულის ისეთი სრული გამოხატულებაა, რომ მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა“ (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში 1978: 170).

შესავლის შემდეგ ი. იედლიჩკა განიხილავს რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებს: ვრცლად ჩერდება პოემის ავტორის ვინაობისა და დათარილების, სიუჟეტის ორიგინალობის საკითხებზე, ეხება რუსთაველის შესახებ ხალხურ გადმოცემებსა და აღორძინების ხანის მწერალთა ცნობებს, მსჯელობს ქართული საერო მწერლობის განვითარებაზე, არაერთხელ გამოთქვამს საკუთარ თვალსაზ-

რისს მ. ბროსეს, ნ. მარის, ი. აბულაძის, პ. ინგოროვასა და სხვ. მეცნიერთა ნაშრომებში მოცემულ დებულებებზე, გამოყოფს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პოემის პროლოგი და ეპილოგი, კომპოზიცია, მთავარი პერსონაჟები, რუსთველის რელიგიური აღმსარებლობა, პოემის მხატვრული მხარე... ეხება „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა თემას, მიმოხილულია პოემის ხელნაწერები და გამოცემები (იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში 1978: 22-23; მენაბდე 1990: 158-160).

მიუხედავად ამდენი წლის თავდადებული შრომისა, ი. იედლიჩკა თავის თარგმანს მაინც არ თვლიდა სრულყოფილად და წინასიტყვაობის ბოლოს წერდა: „თარგმანის საფუძველი იყო პოპულარული გამოცემა 1941 წლისა, რომელიც მთლიანად წარმოადგენს საიუბილეო გამოცემის ასლს. მაგრამ ამავე დროს ყურადღება მიექცა ზოგიერთ გვიანდელ გასწორებასაც პ. ინგოროვას გამოცემაში და ა. შანიძის სტატიებში. პოეტური თარგმანი რამდენჯერმე გადამუშავდა, უკანასკნელად კი საფუძვლიანად. პროზაული თარგმანი დღევანდელი ფორმით არის უკანასკნელი ორი არასრული წლის საქმე. მთარგმნელი ცდილობდა პოეტურ თარგმანში დაეცვა ორიგინალის ფორმის ძირითადი თვისებები: პირველ რიგში გეგმაზომიერი მონაცვლეობა მაღალი და დაბალი შაირებისა და მასზე დამოკიდებული ქალური ან ვაჟური რითმების გამოყენება. ამ მხრივ სტროფი ყოველთვის თარგმნილია ორიგინალის სათანადო ადგილის მსგავსად. მთარგმნელს არ უღალატია ორიგინალისათვის. იგი კეთილსინდისიერად ერიდებოდა ყველა გადახვევას, რათა არ გაეყალბებინა პოემის სახეები, და ცდილობდა დარჩენილიყო რუსთველური მეტაფორების სფეროში... რუსთველის ნაწარმოების პირველი ჩეხური თარგმანი, როგორც ყველა პირველი თარგმანი, არის მხოლოდ ცდა. მოვლენ სხვა მთარგმნელები, პოეტები და სპეციალისტები. იდეალია ორივე მათგანის თანამშრომლობა. ორივეს შეუძლია მოუტანოს ამ თარგმანს გარკვეული სარგებლობა. შესაძლებელია მოიძებნოს ახალი ფორმა პოეტური თარგმანისათვის... ერთიც კიდევ მინდა მოვაგონო პოეტებს, რომლებიც მომავალში დაინტერესდებიან ამ ნაწარმოებით. ნუ დაკმაყოფილდებიან პროზაული ტექსტით, რომელიც აქ მათ ეძლევათ. ზოგი ადგილი სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობასაც უშვებს და მოითხოვს უფრო

ლრმა არგუმენტირებას. საჭიროა კვლავ და კვლავ მიემართოთ სპეციალისტებს“ (რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში 1978: 199-200).

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის პარალელურად ი.იედლიჩკა თარგმნიდა და პრაღაში ჩეხურ ენაზე აქვეყნებდა ქართულ ლიტერატურულ ტექსტებს: „ქართული ხალხური ზღაპრები“ (1949); ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ (1952); გ. ლეონიძის ლირიკული ლექსების ანთოლოგია „ქართლის ბაღი“ (1955); კრებული „ქართველ კლასიკოსთა მოთხრობები“, რომელშიც შესულია დ.ჭონქაძის „სურამის ციხე“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ (1958); დ. გურამიშვილის „მხიარული ზაფხული“ (1963) და სხვ. ყველა თარგმანს ერთვის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც ი. იედლიჩკა ჩეხ მეთხველებს აცნობს თხზულებათა ავტორებსა და მათ შემოქმედებას. იმდროინდელ ქართულ პერიოდიკაში დაიბეჭდა ი. იედლიჩკას სტატიები ქართული მწერლობის შესახებ: „ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა გმირები“ (განხილულია „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“ – იედლიჩკა 1957: 45-48), „იაკობის ჟამისნირვის ხელნაწერი პრაღაში“ – იედლიჩკა 1961: 175-180).

ევროპული ქართველოლოგიის განვითარებისთვის ი. იედლიჩკას კიდევ ბევრი მიზანი ჰქონდა დასახული, მაგრამ განხორციელება ვერ მოასწრო. სიკვდილამდე ორი თვით ადრე იგი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობდა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს დედაენაზე ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი“ და ეს უსწორო რომანი-ეპოსი გავაცანი ჩემს ხალხს. ახლა გადავამუშავებ და შევავსებ ქართული საერო მწერლობის ისტორიას კ. კეკელიძისა (1900 წლამდე). ამ წიგნს იულიუს ასფალგი და მე გამოვცემთ გერმანულად“ (მეგრელიძე 1970). საქმე ეხება კ. კეკელიძის „ძეველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ თარგმნას გერმანულ ენაზე. როგორც ცნობილია, მიქელ თარხნიშვილმა იულიუს ასფალგთან თანამშრომლობით 1955 წელს გამოაქვეყნა ამ გამოკვლევის პირველი ტომი, მეორე ტომის გამოცემა კი ველარ მოასწრო. ი. იედლიჩკამ გადაწყვიტა, ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა და ი. ასფალგის რედაქციით გამოიცა მეორე ტომი, რომელშიც რუსთველოლოგიური საკითხების გაშუქებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო

ამ საკითხების კვლევის არსებული თანამედროვე ვითარება (ამ საკითხის შესახებ იხ.: ბარამიძე 1975: 30-45; ბარამიძე 1987: 378-380). 1963 წელს ი. იედლიჩკას საგანგებო შეთანხმებაც ჰქონია თსუ რექტორთან ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ისე გარდაიცვალა, რომ კ. კეკელიძის ნაშრომის მეორე ტომის თარგმნა და გერმანულ ენაზე გამოცემა ვერ განახორციელა. მოგვიანებით, უურნალ „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილში, იულიუს ასფალგი დანანებით აღნიშნავდა, რომ ი. იედლიჩკა გარდაცვალებამდე აგრძელებდა ამ წიგნზე მუშაობას.\*

საქართველოში ყოფნისას ი. იედლიჩკას წერილები და ინტერვიუები იბეჭდებოდა „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ჟომუნისტში“, „დროშასა“ და „ცისკარში“... ერთ-ერთ მათგანში იგი ამბობს: „ქართული ენა თავისი უღერადობით მსოფლიოს ყველაზე მელოდიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, თავისი ლექსიკის სიმდიდრით კი სამხრეთ ევროპის კლასიკური ქვეყნებისას. ჭეშმარიტად, მხოლოდ ამ ენაზე შეიძლებოდა შექმნილიყო გენიალური შოთა რუსთველის სწორუპოვარი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (იედლიჩკა 1958: 5). ი. იედლიჩკა იკვლევდა ძველი და ახალი ქართული ენისა და მწერლობის საკითხებს, ინტერესით ადეკვატური და თვალს ქართველ ენათმეცნიერთა საქმიანობას, თანამშრომლობდა ევროპელ ქართველოლოგებთან და მათ ახალ ნაშრომებს რეცენზიებით ეხმაურებოდა. 1964 წელს მან დაბეჭდა მოზრდილი გამოკვლევა ძველ ქართულ ზმნისართებზე, უურნალში „ბედი ქართლისა“ გამოაქვეყნა სტატიები: „ძველ ქართული ენის სტრუქტურის შესახებ“, „ქართული ეტიმოლოგიები“, „სიტყვათწარმოება და ბრუნება ძველ ქართულში“, „წერილი აფხაზურისა და ქართული ენების ურთიერთობის შესახებ“ და სხვ., რეცენზიებით გამოხმაურა გ. დიუმეზილის, ი. ასფალგის, ჰ. ფოგტისა და სხვათა ქართველოლოგიურ ნაშრომებს. ი. იედლიჩკამ შეადგინა წიგნი – „ჩეხური ენა (ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქარ-

\* სხვათა შორის, „ბედი ქართლისაში“ („რევიუ დე კარტელოლოუ“) გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ სტატიის ერთვის ი. იედლიჩკას ქართულიდან თარგმანებისა და საშეცნიერო ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი მისი ქართველოლოგიური კვლევები. ბიბლიოგრაფიიდნ ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ თანამშრომლობდა ი. იედლიჩკა „ბედი ქართლისას“ რედაქციასთან, სადაც არაერთი სტატია გამოაქვეყნა 1959-64 წლებში (ასფალგი 1966: 98-102).

თველთათვის)“. წიგნი მან დაწერა ჩეხურ ენაზე, გადმოაქართულა და გამოსაცემად მოამზადა ელენე ერისთავმა, გიორგი ახვლედიანის რედაქციით. ეს არის ლექციების ციკლი – 30 ლექცია, რომელსაც დართული აქვს შესავალი წერილი და ლექსიკონი ჩეხურ-ქართულ და ქართულ-ჩეხურ ენებზე. გ. ნებიერიძის სიტყვით, ეს წიგნი „ამავე დროს ჩეხურისა და ქართულის შედარებითი ანუ პარალელური გრამატიკაცაა, რაც ამ სახელმძღვანელოს უდავოდ დიდი ღირსებაა“ (ნებიერიძე 1973).

ი. იედლიჩკა მაღალი აზრისა იყო ქართველ ენათმეცნიერებზე: „...ლინგვისტიკაში ქართულ მეცნიერებას მოწინავე ადგილი უჭირავს. აქ წყვეტენ მრავალ პრობლემას, რომელიც ეხება არა მარტო თვით ქართული ენის ისტორიას, არამედ ქართველური ენების მთელ ოჯახს, აგრეთვე კავკასიოლოგიას და ურთიერთობას წინა აზის მკვდარ ენებთან. ამ დარგში უდიდესი ამოცანებია და ქართველ მეცნიერებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ვინაიდან ძირითადად აქაა თავმოყრილი საკითხები, რომელთა გადაჭრა უფრო ადვილია დღეს, ვიდრე ხვალ; რადგან უნდა ვიფიქროთ, რომ ლიტერატურული ენები დროთა განმავლობაში უკანა პლანზე მოაქცევენ ნაკლებად განვითარებულ ენებსა და დიალექტების ფორმებს. მაგრამ ქართველი ლინგვისტები თავის სიმაღლეზე დგანან და ვთიქრობ, რომ მსოფლიო მეცნიერულს აზრს უფლება აქვს მოელოდეს მათგან ძირითადი პრობლემების თანდათანობით გადაჭრას, რაც, რა თქმა უნდა, მრავალი წლის დაძაბულ შრომას მოითხოვს“ (იედლიჩკა 1957<sup>o</sup>: 107).

ასე წერდა და ფიქრობდა იარმოირ იედლიჩკა, ქართველოლოგი, რომელმაც სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ქართული მწერლობის თარგმნასა და პოპულარიზაციას მოახმარა. ი. იედლიჩკამ აღზარდა ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალი სპეციალისტი, შექმნა ჩეს ქართველოლოგთა მთელი სკოლა. 1966 წელს რუსთველის იუბილეზე საქართველოში ჩამოსულმა მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ ვაცლავ ჩერნიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა პქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ ენაზე თარგმნასა და გაცნობას იმდრო-ინდელი ჩეხოსლოვაკიისათვის: „როდესაც „ვეფხისტყაოსნი“ ჩეხურ ენაზე მთლიანად პირველად გამოიცა, ამ მომენტიდან უკვე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ჩეხურმა კულტურამ საკუთარი,

უშუალო კონტაქტები და ამყარა ქართულ კულტურასთან. იგი აღარ წარმოადგენდა ბუნდოვან, ძნელად მისაწვდომ, ნაკლებად გასაგებ დარგს, რომელსაც უწოდებდნენ „აღმოსავლეთის კულტურას“ ანდა „საბჭოთა კავშირის არასლავი ხალხების კულტურას“, არამედ მან ჩეხოსლოვაკიელი მკითხველისათვის საკუთარი, სავსებით გარკვეული სახე შიიღო.

ახლა, როდესაც ჩეხებისა და სლოვაკებისათვის საქართველოს კულტურა აღარ წარმოადგენს ზოგად ცნებას, ჩვენ შეგვიძლია და-ნარჩენთაგან მისი განსხვავების განსაზღვრა. შეგვიძლია დავსვათ საკითხი, რაზედაც წინათ პასუხის გაცემას ვერ შევძლებდით: რა წვლილი შეიტანა ქართულმა კულტურამ, კერძოდ შოთა რუსთველის ეპოსმა მსოფლიო კულტურაში“ (ჩერნი 1978: 203).

#### **დამოცვებანი:**

**ასფალგი 1966:** Assfalg J. Jahomír Jedlička. Bedi Kartrlisa. Revue de Kartvelologie. vol. XXI-XXII. Paris: 1966.

**ბარამიძე 1957:** ბარამიძე ალ. „იარომირ იედლიჩკა საქართველოში“. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 28.VI.1957, №26.

**ბარამიძე 1975:** ბარამიძე ა. „პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი“. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

**ბარამიძე 1987:** ბარამიძე ა., ი. „იედლიჩკა“. ახლო წარსულიდან (მოგონებანი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

**გვინჩიძე 1959a:** გვინჩიძე: შ. მუჟვ ტიგრეზი კუუი. ქ. „დროშა“, 1959, №2.

**გვინჩიძე 1959b:** გვინჩიძე შ. „ქართველი კლასიკოსები ჩეხურ ენაზე“. „ლიტერატურული გაზეთი“, 13.III.1959, №11.

**იედლიჩკა 1957a:** იედლიჩკა ი. ჩემი ცხოვრების გზა. ქ. „დროშა“, №8. 1957.

**იედლიჩკა 1957b:** იედლიჩკა ი. მოზღვავებული შთაბეჭდილებანი. ქ. „ცისკარი“, №2. 1957.

**იედლიჩკა 1957c:** იედლიჩკა ი. ილია ჭავჭავაძის მოთხოვანათა გმირები. ქ. „მნათობი“, № 10, 1957.

**იედლიჩკა 1958:** იედლიჩკა ი. სახელოვანი და გმირული. ქ. „დროშა“, №10. 1958.

**იედლიჩკა 1961:** იედლიჩკა ი. იაკობის უამისწირვის ხელნაწერი პრაღაში. ქ. „მნათობი“, №6, 1961.

**ლიტერატურული გაზეთი 1958:** „ვეცხისტყაოსანი ჩეხურ ენაზე“. „ლიტერატურული გაზეთი“, 28.XI.1958. №48.

**მარჯანიშვილი 1959:** Марджанишвили Н. Жемчужина грузинской поэзии на чешском языке. «Вечерний Тбилиси», 15.I.1959, №12.

**მეგრელი 1970:** მეგრელიძე ი. „იარომირ იედლიჩკა“. გაზ. „სამშობლო“, 14.VIII.1970, №15.

**ნებიერიძე 1973:** ნებიერიძე გ. „მნიშვნელოვანი მოვლენა“ გაზ. „კომუნისტი“, 19.IV.1973, №92.

**რუსთაველი 1958:** Šota Rustaveli. Muž v tygří kůži. Přeložil J. Jedlička. Praha. 1958.

**ჩერნი 1978:** ჩერნი ვ. „რუსთველი და ჩერები“. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. II. თბილისი: თსუ გამომსაზრისმობა, 1978.

**ჩხეიძე 1959:** ჩხეიძე 6. „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანი“. გაზ. „თბილისი“, 27. XII. 1959, №292.

*Darejan Menabde*

Jaromír Jedlička – Translator of *Vepkhistqaosani*

### **Summary**

Jaromír Jedlička (1901-1965) was a Czech scholar and translator, Kartvelologist, who translated and published in the Czech language works by Georgian writers (D. Guramishvili, D. Chonkadze, I. Chavchavadze, Al. Qazbegi, L. Kiacheli, G. Leonidze), published articles on issues of grammar of the old and modern Georgian language, etc. Especially great is his contribution to the translation and study of *Vepkhistqaosani* ("The Knight in the Panther's Skin") by Shota Rustaveli. In 1958 Jedlička published in Prague the complete prose and poetic translation of the poem, furnished with an extensive preface. It was the first comprehensive study on *Vepkhistqaosani* in the Czech language. Publishing of this book greatly facilitated the popularization of Rustaveli's name in the Czech Republic.